

114
1950



მნათობი

2

თეზაურუსი



1950



მნათობი

უმჯელთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მხარეების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეშვიდე

2

თებერვალი

★



19

საბჭოთა
თბილისი

50

საქართველოს
საბჭოთა
მხარეების
კავშირის
ოცდამეშვიდე

134433

7815

შინაარსი



კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი შესავლ.	3
გაგრძელება	3
მარიამ ბარათაშვილი — ოცნება ბელადზე, ლექსი	50
სერგო კლდიაშვილი — გაზაფხული ზღვისპირის ტალღაში, მოთხრობა	51
აბაქი ბაქაძე — ორი ლექსი	55
ნინო აბაშიძე — მზექლა, მოთხრობა	57
მმ. ქაჯაიშვილი — ვარსკვლავი, მოთხრობა, დასასრული, თარგმანი ქეთო აღაშინაძისი	61
სილოვან აბშლოძიანი — ნომარ ფარაჯას, ლექსი	97
გრიგოლ იმედაძე — შეხვედრა დნებთან, ლექსი	98
შალვა ტოგონიძე — ჩემი თბილისო, ლექსი	99
შოთა შიბაშვიძე — სტუმრები საქართველაში, ლექსი	101
მინილ სანიკიძე — რქაწიოელი მოლდავეთში, ლექსი	102
—	
დემან შინგალაია — გიორგი წერეთელი, წერილი	103
სერბი შინბი — ნიკო მარი და სამბოთა განთავსების წერილი	112
მ. დუდუჩავა — ახალი ჭარბული ხელოვნება, წერილი პირველი	120
ი. ბალიში — რეაქციის უღელმკევი, წერილი	146
—	
ბ. კალაშნიკი — „ლიტერატურული კვარა“, სიბლიოგრაფია	156
ი. ნანიძე — „მ. ლენინის ძე „ახალი მუსიკა“, სიბლიოგრაფია	160
შალვა ნუშუაძე — „გ. თაყაიშვილი „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური პროცესის ისტორია საქართველოში (1871—1871)“, სიბლიოგრაფია	163
დ. კობიძე — „ქილილი და დამასხა“, სიბლიოგრაფია	168

მასხისმგებელი რედაქტორი

იკაქლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აბიაშვილი (მასხისმგებელი მდიანი), ლევან ასათიანი, შალვა აუხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მონაშვილი, შალვა კალიანი, ლეო კიანაძე, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე, სერგო შილაია.

ხელმოწერილია დასაბუთად 15/11-59 წ. ნაბჭურ ფორმათა რაოდენობა 109, ში 00036, შუკ. № 189, ტირაჟი 5.500.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ეკონომის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სისტემის კომისიტი, თბილისი, შარვაშიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: შარვაშიშვილის ქ. № 5, ტელ. № 3-23-42.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности, издательства и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ქონსაწილით გასახარებელი

დავით აღმაშენებელი

ბრილოვია

კარი მხარე

X XI

ზარადიანი სტუმრები

უწყვეტილი

...და მიიქცა კახთა მეფე კვირიკე და დასვენა კახთა მეფედ მისწული კვირიკისი აღსართან, რომელსა არა ჰქონდეს ნიშანა მეფობისანი".

დავით მეფის ქრონიკიდან.
...ამავე წელს ზავი შეკრეს ურთიერთ შორის მოსამედმა და ბარქიაროცა ბაღდადში, ხუტბა აღვიდნეს სულტან ბარქიაროცის სახელზე.

ბარქიაროცმა თავის შინველ ხალიფას წინაშე დანიშნა ამართო ამირი ნეჯიმ აღადინ ილაზი".

ამ ულ ფელას ანაღებოდან.

კავკასიონი საესებით გაქალარავდა. კაცს ეგონებოდა მიუახლოვდაო ნაჭარმაგვეის ციხეს. ზედ სასახლის ოთხივე გოდოლებთან მომდგარ ტრამალებზე უკვე გადაეჯიროთებინათ გვიანი შემოდგომის ქარებს. დაცალიერდნენ ბაბილოვანი ვენახის ხეივანები, თეთრი ვარდები წინაბერას ოცნებებსავეთ ჰქნებოდნენ საგარდებში.

მოჩვენებითი უღრტვინელობა სუფევდა ნაჭარმაგვეის სასახლის პალატებში.

თუმცა შენელდა საერისთავოებიდან დიდაზნაურთა, ებისკოპოსთა, მეძღვენეთა და მეროკიე ბერთა მიმოსვლა, მაინც კვლავინდებურად დაფუსფუსებდნენ მესტუმრეთუხუცესი და მზარეულთუ-

ხუცესი, მემანსაღეთუხუცესი და ციხეთუხუცესი.

ბატონკაცურ ბუხრების წინ, დამოქილი, მჭვარტლში ამოთხერილი ბიჭები, გრძელი მამებით აღჭურვილნი, აკოტრილებდნენ ნამორებს წიფლისას.

დაცალიერდა ბაგრატული სასადილო დარბაზი, მზარეულთუხუცესი დერეფნებში დაბორილობდა. სტუმრებსა და მასპინძლებს თავთავიანთ პალატებში უგზავნიდა ეშვის, ჯეირნის და მშელის მწვადებს შამფურებზე აგებულ ღურაჯებსა და კაკბებს.

ჩამოხნულბულ ტალანებში ისმოდა კურდლისტყავის ფაჩუნების ტკაპნი, ბაგრატული მანდატურების ჩიფჩიფი, შიმუნვართა თავშეკავებული ხითხითი.



უკანასკნელი ამბების მეოხებით შექმნილი სულიერი სიმძიმის გამო, ზედინედ ლოგინად ჩაეარდნენ დიოფალი ელენე, ლიპარიტის მეუღლე კატა და ჯანმფარო გიორგი მეფე, რომელიც ოსხის ამოღებისას გაცივდა ლიახზე.

კატას ენა ჩაუვარდა დარდისაგან, თუმცა იგიც უნდა ითქვას, მახარას სამწუხაროდ არ მიაჩნდა ეს ვარემოება, აგრე ამბობდა: ალბათ ეშინია, სადაცა ჩამოვა ქარიშხან სეტყელი და ენას გამოშტყუებს, ამაღაც გადაყლაპო ენა.

მარიამ დედოფალი ვეღარ აუღბოდა ავადმყოფების მოვლას, დაზაფრულთა ნუგეშინის ცემას და აღშფოთებულთა დაშოშმინებას.

მუდამ მოკისკისე გვანცამაც შეიცვალა ზნე, მან მიატოვა ცხენზე ჯდომა და ნადირობა, სასირე ბადეებისა და კაცანათების კირკიტი. დღენიადაგ მონაზვნებთან დადიოდა შავი ღვთისმშობლის ეკუდერში, გაუბროდა როგორც დედისიმედთან, ისე მარიამ დედოფალთან და კურაპალატისსა მეღიტასთან ყოფნას.

ენარგვილ მეჭაოზე დედაცაც დაუმეგობრდა, თეთნას, რომლის გამო მახარა ხუმრობდა: ბოსტანში რომ დააყულო კილყვაეების დასაფრთხობად გამოდგებოა...

თეთნას ერთადერთი ვაჟი მოწყლეს ზედაზენში თურქებმა, დღენიადაგ დადიოდა შავი ღვთისმშობლის ტაძარში.

მანდილოსანთა შორის ერთადერთმა დედისიმედმა გაიმამაცურა გული, სწორედ მან, ვისაც სულიერი სიმძიმელი ზორცისმიერ ტყვილს ზღუძრავდა ხოლმე.

მარიამ უკვე აღარ ანუგეშებდა მას, რადგან დედოფალს შემოლულელი ჰქონდა ნუგეშინის მომგვრელი სიტყვები მისთვის. გულთმისანი ქალი თვალნათლივ ჰხედავდა, თუ როგორ ჩამოდნა ზეზურად ქალწული.

ბოლოსანს მან თითქმის აღიკვეთა ჯამა, სვირნობა და ძილი.

ასე რომ, საბია დილდობობით ჰხედავდა სავარდენი მარტუკაქმფხეურენე ავგუსტას, რომელიც რახტუნდურქანსაზუსტით ასრულებდა ბიზანტიაში შეთვისებულ ჩვევას.

იმასაც კარგად ამჩნევდა მარიამი, რომ ორბელიანის ქალი გაუბროდა არამც თუ გიორგი მეფისა და ელენე დედოფლის პალატებში გამოჩენას, თვით საკუთარ დედის საძლო დარბაზში დაყოვნებაც უმძიმდა მას, სწორედ ამიტომაც მართობა მოიმიზეზა იმპერატრისსამ და თავის საძილო დარბაზში გადმოაყუანინა იგი.

გულამღვრელი ქალწული ვეღარც წიგნის კითხვას უღებდა გულს, ვეღარც ხელსაქმეს, არც ხანგრძლივი საუბრის მოსმენა შეეძლო გულდასმით; როცა მახარა და საბია ძველსა და გრძელ ამბებს წამოიწყებდნენ, აწრიალდებოდა დედისიმედი და დარბაზიდან გაიპარებოდა მყისვე.

დღენიადაგ უჯდა ის სამზერს, რომელიც პირდაპირ გადასტკეროდა ნაქარმაგვიდან მცხეთას მიმავალ თემშარას. ყოველი მხედარის დანახვაზე დავით მეფის მიერ გამოგზავნილი მალუმსროლი ელანდებოდა, ყოველი რაზმეულის მოახლოებაზე — მისი ტაძრეული.

განა მართა დედისიმედი, დავით მეფის ჩამოსვლას გულისთრთოლვით მოელოდა დიდი და მცირე ნაქარმაგვეში.

გიორგი ჭყონდიდელი მაჯგანით აოკებდა მახარას, რომელიც ყოველდღე იქაღინდა: ზედაზენს წავალა პატრონთან: ქარიშხან სეტყელი თანახლდა მეფეს, ასე რომ შეუძლებელიც არ იქნებოდა თრიალეთელ ლიპარიტელებს ნაქარმაგვის სადილეგოდან გაეტაცნათ ლიპარიტი და მისი აზნაურნი.

მით უფრო სახიფათო იყო ეს ყოველივე, რამდენადაც, დავით მეფეს ორასიოდე მეციხოვნის გარდა, მცირე საზიცი არ დაუტოვებია ნაქარმაგვეში, საფსებით დარწმუნებულს, რომ შერგულ ლიპარიტიანი და მისი ეგრისელნი ათსე-

ულნი სადაცაა გადმოვიდოდნენ ლიხზე და შიდა-ქართლის ციხეებს დაეპატრონებოდნენ.

ნინია ბაკურიანი დღენიადაგ აგზავნიდა მალეშრობლებს ზედაზენიდან, მოასხენებდა გიორგი მეფესა და ჭყონდიდელს რუსთავისა და ზედაზენის ამბებს წვრილად და წვრილად, მაგრამ არაფერს იუწყებოდა, თუ რას აპირებდა დავითი ზედაზენის აღების შემდეგ.

ბრძოლის ველებიდან ჩამოყვანილი დაკრილები ათასგვარ ხმებს აერცვლებდნენ, ერთნი ამტყიცებდნენ: სადაცაა რუსთავის ციხეს შემოეწყობათა ჯონდი ერისთავი, სხვანი აგრე ვარაუდობდნენ: დავით მეფე ხერკიდან მამკოდაზე გადაივლის სპიანად და კახეთ-ჰერეთის ციხეებს დალაშქრავსო.

სწორედ ამ დღეებში ნაჭარმაგვეს უწიეს ჯოჯიკიმ და არამისი არშარუნიამ, ირანის ამბები თან ჩამოიტანეს.

ჯოჯიკის გამოჯანსაღებით გახარებულნი, გიორგი ჭყონდიდელი და გიორგი მეფე დასვამდნენ მას მოგიზგიზე ბუხრის პირად და ათხრობინებდნენ რომთილის სახლში ვანციდილს, რომლის მკრთალი გამოსახვა, ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილია.

მთავარზე უმთავრესი ეს იყო მანც: ჯოჯიკი და არამისი დაბეჯითებით ამტყიცებდნენ: ვაპარშაპატში ჩამოდიან ისპაანიდან თურქომანების ახალახალი ათასეულნი, რომელნიც გაურჯისტანის დასალაშქრავად მზად ჰყავსო სულტანს.

საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ მათ ორ კვირას ევლოთ სომხეთიდან, მექარავენებად გადაცმულთ, ქარაჩანი ბარდავს მინავალა, მექარავენეთა წინამდგომს გამოპარვიან, დამდამობით უვლიათ სახედრით.

დღის ვაივაგლახით ჩამოსულან დმანისს. თურქებს მათი შეპყრობა მოუწადინებიათ, ღამით გამოქცეულან დმანისიდან და მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოუღწევიათ ფარცხისში!

გიორგი ჭყონდიდელმა დაუტყვებლივ წარგზავნა მალეშრობილი ზედაზენს და ეს ყოველივე უწყისა შეწყვეტეს!

მახარა არ იყო დარწმუნებულნი, რომ უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე სელჯუქიანთა ახალი ათასეული ტერილისის საამიროში არ იყვნენ უკვე მოსულნი.

მათ თამამად შეეძლოთ ზედაზენის ციხე მხარმარჯვენით დაეტოვებინათ და მტკვრის მარჯვენა ნაპირს აღმა აყოლილნი შიდა ქართლში შემოჭრილიყვნენ ანაზდად.

გიორგი ჭყონდიდელიც დაფიქრა ამ გარემოებამ, მაგრამ ეს შიში შეანელი შერგილ ლიპარტიანისა და ეგრისელ მოისართა ათასეულების მეორე დღეს ჩამოსვლამ.

უსიამო ამბავთა ვალას კიდევ წაემატ ერთიც:

გვარამ ერისთავი ნაჭარმაგვეს ჩამოვიდა ამალითურთ. (ასე რომ ბუქისციხის პატრონმა უფრო ადრე უწია ნაჭარმაგვეს, ვიდრე სტეფანოზ წილენელის მიერ წარმოგზავნილი წიგნი მოაღწევდა).

ტანიისის ფონზე გადმოსვლისას, ქაშაგები თავს დასხმოდნენ გჯარამ ერისთავს. ეპისკოპოზი სერაპიონი შუბბით გაუგმირავთ, ხოლო ერისთავი ბუქაისძე ისრით დაეკოლნათ.

როცა მოხუცი ერისთავი გადააკოცნა გახარებულმა გიორგი მეფემ და მშვიდობით მობრუნებმა მოულოცა მას, ნაღვლიანად ჩაიღუღუნა გვარამმა:

„ნეტა მეც მოვეკალით მაგ წყეულს ქაშაგებს“.

რათათ?

„შეეკითხა შეცუტუნებული მეფე.“

„ვერ გახლავართ კარგ ამბავთა მაცნე, ჩვენო პატრონო“.

ბოლოს დაიმარტოხელა გვარამ ერისთავმა ორივე გიორგი და წვრილად მოუთხორო მათ ყოველივე. რაც უკვე მოეხსენება ჩემს მკითხველს სტეფანოზ წილენელის მიერ წარმოგზავნილ წიგნიდან.

მარიამ დედოფალს უცნაური შიში ჰქონდა თურქების წინაშე, თავთაც ზუმრობდა ხოლმე; ჩემებრ რომ შინებოდა სულკურთხეულ ბაგრატ მეფეს მათი, კავკასიონს გადაღმა გადარეკავდნენო ქართველ ხალხს თურქნი.

იმასაც ამბობდა მარიამი: კონსტანტინეპოლში შემყარესო ეს შიში. მართლაც და ეგ არც ისე გასაოცარი იყო, რამდენადაც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე კონსტანტინეპოლს ნიადაგ ემუქრებოდნენ თურქნი; გარდა ამისა, ჯვაროსნულ ომების საშინელებათა გამო, ვაცილებით მეტი ჰქონდა განაგონი მარიამ დედოფალს, ვიდრე ეს იმჟამინდელ საქართველოში იყო ცნობილი.

ჯოჯიყისა და არამაისის ნათხრობით შემარწუნებულმა მარიამმა ერთი პირობა განიზრახა კიდევაც, დიოფალი ელენე, დედისიმედი და გვანცა თან წაეყვანა. გეგუთის სასახლეში გადასულიყო, მაგრამ როცა შერგულ ლიბარტიანი და მისნი ეგრისელნი სმანი ჩამოვიდნენ, მღელვარება დაიოკა და ბოლოს შერცხვა კიდევაც საკუთარი სულმოკლეობისა.

ახლა ახალი სიმძიმელიც დააწვა მარიამს: იგი ქვეშეცნეულად გრძნობდა, გვარამ ერისთავს რალაც უსიამო, ფრიად უსიამო ამბები უნდა ჰქონოდა შარალნიდან ჩამოტანილი.

შეეცადა კიდევაც ამის გამო გამოეკითხა თავის მშისთვის რაიმე, მაგრამ გვარამ ერისთავს გაფრთხილებული ჰყავდა ორივე გიორგი: პატრონის ჩამოსვლამდის ნუ გაახშიანებთო ყიფნადთა უმთავრესის შემოთელილს, ამიტომაც არასწორი პასუხი ავადარა გიორგი მეფემ თავის დას:

„აგრე უბნობს ბეჭისციხის პატრონი, ვეყო, თავდაპირველად დავით მეფეს უნდა მოვახსენეო ყიფნადთა უმთავრესის პასუხი, აგრე უბნობს და სხვა

არაფერი ვიცი, ჩემო მაიკო, ქირსე წაუღია მაგ ბარბაროსი ყიფნალები და მათი უმთავრესიცა“.

ამ გარემოებამაც გააძლიერა დედისიმეფის ნაჭარმაგვეს ჩამოსვლის მოლოდინი. მარიამი ნაწყენი დარჩა, მან ეპკვი შეიტანა გიორგი მეფის გულწრფელობაში; იმ დღესვე უბრძანა ცინცილუსს: არაეინ მიელო სანახავად მოსულთაგანი. თავის სამყოფლოში იწვა, „სიმფოზიონს“ კითხულობდა, დედისიმედის მეტს არავის იკარებდა.

* *

ერთ ღამეს მოვარდა უცნაური ქარბორბალა დასაეღუთიდან. ძლიერად შებერტყა ნაჭარმაგვეის ბალები და ვენახებზე, უკანასკნელი ფოთლები მიაზვინა ზღუდეებს ციხისას.

ფოფები დიდი ხნის წასულნი იყვნენ უკვე, ასე რომ მოხუცმა საბიამ ახალი გასართობი აძოვნა, როგორც ეს თავისუფალ დროს მოახელებდა, ლიახვს გადაღმა მიჰქონდა თავისი ჩიტბადენი, კავანათები და გალიები წითელი-ყვითელი ნაჭრებით მორთულნი, მთის ფერდობზე სამალს მოიწყობდა, დაჯდებოდა კაცებს დარად ასტეხდა კრიახსა და აკვანს.

მოგროვდებოდნენ კაცები, წითელი ფერისაგან აღტყინებული შემოასხდებოდნენ კავანათებს, ასტეხდნენ კავანს და მოუხმობდნენ თვისტომებს, ამგვარად დასტობით იჭერდა მათ ბებერი საბია და მარიამ დედოფალს მიჰკვრიდა.

არაფერი ისე არ უმსუბუქებს ადამიანს დარდს, როგორც ფრინველთა და ცხოველთა სიახლოვე. დედისიმედი და მარიამი ბალეებსავე გულს აყოლებდნენ ამ მშვენიერი, ნაერთენმოხატული ფრინველების უცნაურ ქცევას.

საძილო დარბაზში თავისი უბადლო, სამგზავრო სარკე ჰქონდა გაშლილი მარიამს, სწორედ იგი, რომელიც მაპარაჯასაგან შეისყიდა თავის დროს იმპერა-

ტორის მიხედვით ღუკას დავალებით ზაია-ტურმა, მას ეამსა შინა.

ამ სარკეს კიდევები მოხატული ჰქონდა, წითელ-ყვითელი და ყრუნი ტალღებითა.

დასვამდა საბია სარკის წინ კაებებს. როგორც ცნობილია, დიაცებებით კეკლუცებია კაებები; ვანა მარტო კრულ-კრულა ფერები ხიბლავთ მათ, არამედ სარკეში ყურებაც არასოდეს მოყიპდებოთ, ისევე როგორც დიაცებს.

მარიამი და დედისიმედი განცვიფრებულნი უპკრეტდნენ თუ როგორ ისხდნენ ეს ტანხატულა არსებანი მაპარაჯასეულ სარკის წინაშე. კეკლუცობდნენ, კაკანებდნენ და კრიახობდნენ საკუთარი ნაკრტენთა მშვენებით აღტაცებულნი, და სარკის ზედაპირს გულდაგულ მიმდგარნი, მის სიღრმიდან უხმობდნენ თვისტომად მიჩნეულ საკუთარ ლანღებს.

ამ უმნიშვნელო ამბავმა, გულკეთილი საბიას მიერ მოწყობილმა, ოღნავ, სულ ოღნავ, გაუნელა სიმძიმელი ორ ნაღვილიან მანდილოსანს.

ღღისით ისინი ერთობოდნენ ამ კაებების ცქერითა და მათი მოვლით, ხოლო ლამადაობით სიმფოზიონს კითხლობდნენ და სმენა წამახულნი უცდიდნენ დავით მეფისა და ნიანია ბაყურიანის ნაჭარმაგვეის ციხეში მობრუნებას.

საბია გაფრთხილებული ჰყავდა მარიამს: ოღნავ ნაშუადამევსაც რომ მობრუნდეს მეფე, დაუყოვნებლივ გაგვადვიდეთ. ერთ საღამოს თეონა შეხვდა წირვაზე დედისიმედს და ასეთი რამ უამბო: ერთ დაკრილს ვუკულიდი ზედაზენიდან ჩამოყვანილს და იმან მიამბო, ნიანია ბაყურიანი მძიმედ დაუკრიათო ზედაზენთან ბრძოლის დროს თურქებს.

მარიამი შეძრწუნდა ამის გამგონე, მაბარა ახმობინა მყისვე, ბევრი ეძებეს ამ ამბის მთხრობი, იგი თიღვას წასულიყო, ბოლოს შესძლო მაბარამ მარიამის დაშორებანება, მოაყვანიანა მექათმე

თეონა და როგორც იქნა, გადააოქმეცინათავეს ნათქრობი.

ეროვნული
გზაობისთვის

მალე მსროლი მოვიდა ზედაზენიდან, დავით მეფის წიგნი მოუტანა ჰუკობი-დედს. გადაიკითხა თუ არა იგი მწიგნობართუხუცესმა, მყისვე გაუგზავნა წვევის წიგნები ერისთავებსა და ეპისკოპოზებს.

სტუმრიანობა განახლდა ისევ. მანგლელი, წალკელი და წინწყაროელი ეპისკოპოზნი ჩამოვიდნენ ნაჭარმაგვეს, ერთი მზგუფსიც არ გასულა, ვიორგი მეფეს ეახლნენ ქუთათელი, ბედიელი ურბნელი, გოლგოთელი და ნიქოზელი.

მარიამ დედოფალი მაინც განაგრძობდა კარჩაკეტილ ცხოვრებას, ცინცილუსს მხოლოდ ეგ ეკერა პირზე: შეუძლოთა იმპერატორისსა, ჯერ არვის ღებულობსო ამაღაც.

სამი დღეც გავიდა, პირველი მამლის ყვილზე გამოადვიდა მარიამი დედისიმედმა. ლოყაზე აკოცა ნაზად და სიხარულისაგან გულამომჯდარმა წასჩურჩულა:

ვგონებ მობრძანდაო პატრონი.

მთვარეულივით ზეწამოიჭრა მარიამი და წამოიძახა:

„მელიტა, მელიტა!“

მელიტას ნაცვლად კარი შემოაღო, ახმახმა დედაკაცმა.

მარიამი შეკრთა მის დანახვაზე. ვინა ხარო?

შეესიტყვა დაფეთებული.

თეონა ვარო,

მიიღო პასუხი.

„ვინ თეონა, რას ამბობ, ქა?“

მარიამი შეკრთა წოწოლა, შავოსანის დანახვისას, მამაკაცური ანაგობა ჰქონდა ბეჭებბრტყელსა და დაწვალალ დიაცს, თანაც განცვიფრდა და უკითხავად მოსვლის მიზეზი ჰკითხა ოღნავ განარისხებულმა მას.

„ნუ შემრისხავთ, დედოფალო, მაგრამ

მძმვე, მძმვე, მიტომაც გაებედე გხლებოდით, რადგან შუშ... შამან ევე... ერისთავის ქალი... შუშ... შამან ერისთავის ქალი...“

„რა იყო, რა მოხდა, თონა?“

შეეკითხა დედისიმედი.

შამან ერისთავის ქალი ცვლებოა?!..

„მელიტა, მელიტა“, დამდურულივით წამოიყვირა მარიამმა.

მელიტა შემოვარდა დაფეთებული.

ჩამაცვით უბრძანა მარიამმა.

ვიდრე მელიტა შიმუნვარებს შემოიყვანდა და ტანისამოსს შეურჩევდნენ დედოფალს, მან მოასწრო ენაბრგვილ თონასაგან გამოეკითხა, თუ რა მოუვიდა გვანცას.

გამოირკვა: გვანცასაც არა სძინებია იმ ღამეს და როცა ციხის კარებთან ატეხილი თქართული შემოესმა, გული შეუღონდა თურმე.

დედისიმედი სამშერთან იდგა და ისმენდა მოკიხვინე ცხენების გნიასს, რკინის ჭიშკრების ჭრიალს, უთვალთვალეზდა ცხენოსანთა ნაირდილევის ლასლასს. მაშხალეზიან აღჭურვილ მსახურების რბენას...

მარიამი და მელიტა შეცვივდნენ გვანცას ოთახში, ვიდრე ისინი ძმრის ტლევებით მოასულერებდნენ გულშემოყრილ ქალს, მოხუცმა საბიამ იბორიალა ბნელ დერეფანებში და გვანცას ოთახში შემოჰყო თავი.

ანთებული მაშხალა მიაშვირა დედოფალს და ეუბნება:

„უფლისწული მობრძანდა ავგუსტა.“

მღელვარებისაგან გაოგნებულს, აგრე ეგონა მარიამს, მემაშხალეთუხუცესს უკან მოყვებოა მისი სათაყვანებელი ძმისწული და ამიტომაც წამოიძახა აღტყინებულმა:

„სად არის, სადა, საბიავ?“

„უფლისწული რკონის კოშკში ავაცილუ დედისცხონებამან მე თავათ ძოლან.“

„აბა იჩქარე, საბიავ, მახარა მომგვარე ახლავე.“

„მახარაც თან აქვთ რკონის კოშკში უფლისწული.“

„რას აკეთებს ის უფლისწული მანღ?“

„უფლისწულის მობრძანების უმაღლვე რკონის კოშკში აბრძანდნენ გიორგი ჭყონდიდელი, შვიდი ეპისკოპოზი ეახლა მას, ბოლოს გიორგი მეფეც წამოდგა ლოგინიდან, ერისთავნი და სპასალარნი თან მიჰყვნენ მეფეს. კიდევ არიან სხვანი, მაგრამ ვერ გავარჩიე ამ უკუნეთ ღამეში, დედისცხონებამან, ავგუსტა.“

„ნიანია ბაკურიანი ხომ არ ჩამოსულა, საბიავ?“

არ ჩამოსულაო?

ეს შემოესმა თუ არა, გარღვეულივით დაბარბაცდა მარიამი, მემაშხალეთუხუცესის მხარს წაებოტინა, ეგებ მართლაც მძიმედ დაჭრილი იყოს ნიანია და მიშალავდესო ამას მახა. მაინც მოიკრიფა მხნეობა, გვანცა მელიტას ჩააბარა, წინ გამიძებო უბრძანა საბიას.

მოფათურებდა ბნელ დერეფანში, თვალს არიდებდა მაშხალის მკაბე სინათლეს, ეშინოდა არ წაქცეულიყო. ბოლოს წამოეწია ბერიკაცს და მკლავში წააგლო ხელი.

ენამრავალი საბია განაგრძობდა ჩიფჩიფს:

„მე აგრე მგონია, დედისცხონებამან, ავგუსტა, შამან ერისთავის ქალს მიჯნურობის ელდა აქვს ნაკრავი, მიტომაც... აბა... იგი დღენიადაც ამას გვეკითხებოდა მანდატურებს: როდის ლა მობრძანდებოა უფლისწული ჩვენი?“

ხანაც მახარას ემუდარებოდა: თან წამოიყვანე ზეღაზენს, თუნდაც მეაბჯრედ ამოყვანეო. მე აგრე მგონია, დედისცხონებამან, ავგუსტა, ურიგო არ იქნება გვანცას შეირთავდეს უფლისწული ჩვენი.“

დერეფანი ახლა გრძლად ეჩვენა მარიამს, მხარდამხარ მიჰყვებოდა საბიას, მაშხალის მიერ ძირს დაფენილ სხივის რიალზე ისეთი გრძნობა აღძვროდა

ხანდახან, თითქოს მეწყერისაგან დამრულ მიწაზე აღგამდა ფეხს.

აღარ უნდოდა საბიას ბრიტინის მოსმენა, მაგრამ მისთვის ჩვეული თავაზიანობა არ აღევედა ნებას, ალექვეთნა მოხუცი მანდატურისთვის ამგვარი ლაუბობა. საბია მაინც თავისას არ იშლიდა.

„მე მართალს მოგახსენებ, დედისცხოვნებამან, ავგუსტა, ძილან მეჭათმე თეონამაც გამიმხილა გვანცას საიდუმლო, აგრე უბნობსო გვანცაი: თო მხველად მაინც არ ამიყვანა უფლისწულმა, ისეთ საქმეს ჭიკმ, ჯერ არ მოემოქმედოსო დიაცთავანს არასდროს.“

შენ ვულთამხილავი ხარ, ავგუსტა, არსთა ყოველთა განმკითხავი. უნდა გებრალეზოდეს შამან ერისთავის ქალი... მე აგრე მგონია, დედისცხოვნებამან, ჩვენს უფლისწულს მხარს დაუშვეენებდა გვანცაი“.

როგორც იქნა მოაღწია თავის სამყოფლომდის მარიამმა, საბია აღარ ამირებდა წასვლას, ახლა უკვე გასხიპული თავაზიანობით დაითხოვა იგი დედოფალმა და მოცელილივით წაიქცა საწოლზე.

ვარდის ესენცია მოაზბენინა დედისიმედმა, ვერაფერი უშველა ვარდის ესენციათ, რადგან მას კინჭრის ციება მოვლილი ჰქონდა უკვე. საბიამ მახარას შეატყობინა ეს ამბავი მყისვე. მახარამ ამოიღო უბიდან ნიანია ბაკურჩიანის წერილი, რომელშიაც იგი ითხოვდა: ჩემი ოქროსფერი კვიცი გამომიჭავენეთო ზედახენს.

მარიამმა თავათ გადაავლო თვალი ნიანიას ნაწერს და როგორც იქნა დამშვიდდა. და როცა მახარა წავიდა და ხურეება გაუხელდა ოდნავ, მარიამმა ესლა უთხრა ორბელიანის ქალს.

„მართალს იტყვიან ჰურიანი, გეთაყვა-ნე, ჩვენს გამო... მიმწუხრისას აგრე ილოცვიან იგინი თურმე: „გმადლობ, შენ უფალო, დიაცად რომ არ გამაჩინე მე.“

ესა სთქვა, საბანი გადაიფარა ხსენებულა და ხამალალი ფიქრი გახშირდა ხურეებისაგან გაოგნებულის რეჟიმით.

„ისეთ საქმეს ვიკმ, ჯერ არ მოემოქმედოსო დიაცთავანს არასდროს.“

„ნეტავ რა უნდა ჰქნას გვანცამ?...“

„ნეტავ რა უნდა მოიმოქმედოს ბედშაემა გვანცამ?“

ათვის გაიელვეს ამ სიტყვებმა მარიამის გულში. მერმე დეფუფლა მის გონებას ძილი, ძილი კი არა კომპარი კინჭრის ციებით დასიცხულისა.

...და მობობლავდა უსინათლო დეკაციის ანრდელი, მოაფათურებდა მისკენ გამოშვერილ ხელებს, ცრემლები ლაპაღუპით ჩამოდიოდა ჩამქრალ თვალებიდან... და ვევედრებოდა ვულმოწყალე მარიამს ლანდი:

„მაჩუქე მე უსინათლოს, ჩემი გვანცას სიცოცხლე, ავგუსტა“...

თავდაპირველად სელჯუქიანთა დიდი სასულტანოს ამბავთა გამო მოხსენდა იმ ღამეს დარბაზისერთა საბუკოს.

...ქაშანიდან ჩვენი გამოქცევის შემდეგ ფრიალ საგულისხმო ამბები მოხდა ისპაჰისა და ბაღდადში“.

„ბარქიაროკისა და მისი ძმის — მოსმელს შორის ატეხილი ბრძოლები დიდხანს გაგრძელდა, ისპაჰანი და ბაღდადი ორივე სულტანის მემხრეთ უვარდებოდათ მორიგეობით ხელში. ამ ომებში დიდი წილი დაიდევს ამირთ-ამირებმა: აიაზმა, სადიყამ და ილაღიმ.“

ეს უკანასკნელი, როგორც მოგვხსენებათ, თავათ მიელტვის სულტნობას, ამიტომაც ხან ერთს მიემხრობოდა, ხან მეორეს.

ერთ ხანს მოჰამედი ფლობდა როგორც ვანძას, ისე მთელ საამიროს არანისას, მას შემდეგ რაც მალიქ-შაჰ სულტანმა გააძევა ნაშიერნი იმ ამირ ფადლონისა, რომელიც ვირზე შესევს კახე-

ლებმა და ბაგრატ მეფეს მიჰგვარეს ბოქორმის სასახლეში.

განძაში საკმოდ დიდი ლაშქარია ჰყავდა დატოვებული მოჰამედს ამირ გოზგოლის წინაღობითა. აღარბაგანის ზენჯანშიაც მოჰამედის სახელზე აღედუნდნენ ხოლმე ხუტბას.

მოხდა ისე, რომ მოჰამედმა ხელმარჯვე დრო მოახელა და ჰამადანში სანადიროდ წასულ ბარქიაროკს დაასწრო ისპაჰანში შესვლა, თავადი ციხე აღო და სულტანის ჰარამხანასაც დაეპატრონა.

ბარქიაროკი გამობრუნდა, ჰამადანიდან, ვარს შემოეწყო სპიანად ისპაჰანს. ამირ გოზგოლიმ აიყოლია დიდ დიდნი ამირნი: მანსური და ერთერთი ვაჟი ნიზამალ-მალკისა, რომლის სახელი არ მავონდება, დიდძალი სპით გაემართა მოჰამედის გამოსახსნელად.

როცა რეის უწიეს ამირებმა, აქ გაიგეს: მოჰამედს თავი დაედწია გარემოცვისათვის და სავას წასულიყო თავის ლაშქრის ნამუსრეეთა.

ბარქიაროკი კვლდაკვალ მიჰყვა თავის მოსისხლე ძმას, ეს ამბავი რა აცინეს მოჰამედს, აიყარა იგი სპიანად და აღარბაგანს მიაშურა. აღარბაგანში ეთაყვანა მას ამირ მავედუდი, რომელსაც მამა მოუკლა ბარქიაროკმა ოდესღაც და შესთავაზა: გიშველიო ბარქიაროკთან ბრძოლაში.

მოკავშირენი სპიანად გაემართნენ არდებილისკენ. ბელაქანის სანახებში ნადირობა მოუნდა მოჰამედს: ლელიანში ვეფხებს გადაეყარნენ.

ძე ვეფხმა მავედუდი ბატყანივით გაგლოჯა. ხოლო ზეადი ცხენზემჯდარ მოჰამედს შეახტა უნაგირის ტახტზე, იმარჯვე სულტანმა და იატაგანით განგმირა ნადირი.

ბარქიაროკს რა ესმა, გაერთიანდნენო მოჰამედი და მავედუდი, მათ შესახვედრად დაიძრა სპიანად.

მავედუდის ხელქვეითი ამირები არ

შეერთნენ, ყურანზე ხმლები დაჰყარეს და ერთგულება შეჰფიცეს მოჰამედს.

«ენ იყენენ ეს ამირები? ჟარქინეშული შეეკითხა გიორგი კუონტანტელის ხელმძღვანელს ჯეისი.

«სოკმან ელკობტი, რომელიც სომხეთში მბრძანებლობს ამჟამად, ისმილ ბენ-იაყუტ, ძველთაძველი მტერი ბარქიაროკისა, იაგი სიანის-ძე ამირ მეჰმედი და «წითელი ლომის» ვაჟი — კიზილ არსლანი.

ომი დაიწყეს კოის ციხის სანახებში.

ბარქიაროკმა არა იცოდა რა მავედუდის სიკვდილის გამო, ამიტომაც უბრძანა ამირ აიაზს, რადაც არ უნდა დაკვიდეს მავედუდის თავი მომიტანო, სამაგიეროდ აღუთქვა საძარცვავად გაღმოგვემო აღარბაგანს, არანს და საქართველოს.

სისხლის წვიმები გაგრძელდა ვეიდდეს, და ბოლოს ის იყო, ამირ აიაზმა მოისართა ახალი ათახულები, შემოიყვანა მიმწუხრისას ბრძოლაში, ზურგში მოექცა მოჰამედის ლაშქრის გულს, მოჰამედი შეერთა და მასთან ერთად უკუიქნენ სხვა ამირებიცა.

თავით ბარქიაროკი ამ ბრძოლებს არ დასწრებია იმის გამო, რომ იგი ქეიფობდა ერთ მწვანელიოვან გორაკზე თავრიზის მახლობლად. გულნაწყენმა, იმის გამო, რომ დიდძალ ნადავლთან ერთად მავედუდის თავი ვერ მიიღო, ლაშქარი აჰყარა და ზენჯანს გაემართა.

მოჰამედმა სომხეთს მიაშურა და არჯიშში დაბანაკდა. აქაც შეეშინდა ბარქიაროკის მოახლოებისა, ხლათს ჩავიდა, სადაც მას უცდიდა არზრუმის ამირა, ალი, აიყოლია ეს უკანასკნელი და ანიხში ეწვია ამ ქალაქის მეურვეს მანუჩარს...

«ასე რომ, ორივე ვაჟი მალიქ-შაჰ სულტანისა, განაგრძო ჯოჯიკი მცირე ხანს დაყოვნების შემდეგ, საკმარისად დაუახლოვდნენ ჩვენი ქვეყნის სამაზნებს.»

„ისევ შესდგა ჯოჯიკი, ბოლოს მწერა მიაპყრო გიორგი ჭყონდიდელს და დასძინა:

„მოთვარზე უმთავრესი ჯერაც არ მომიხსენებია. როგორც ბარქიაროკის, ისე მოჰამედის მემხრე ამირებისა და ლაშქრის სარანგთა წრეებში მოიპოვებოდნენ ისეთნი, რომელიც ვამიდან-ვამზე შეახსენებდნენ ხოლმე ორთავე სულტანს, რომ საქრისტიანოს მეფეთა და მთავართა მომძლავრების პირისპირ საქირო იქნებოდა მთელი სამუსლიმოს გაერთიანება.

„ისპაჰანის წრეებში აქ გულისხმობენ, რა თქმა უნდა, დავით მეფეს, კილიციელ სომეხთა მბრძანებლებს, ანტიოქიისა და იერუსალიმის ხელისუფალთ — ფრანკთა თავადებს.

„ასეთმა პირებმა შეუჩინეს ორივე სულტანს აბდულაჰმერ ჯორჯანი და ყალი აბულფარაჯ ჰამადანელი.

„დიდხანს იარეს მოციქულებმა ორივე სულტანის კარზე და ბოლოს მიაღწიეს ჩვენდა საეპალოდ ზავის შეკვრას მოხისხარ ძმათა შორის.“

„როცა ჯოჯიკიმ კვლავ შეისვენა მცირე ხანს გვარამ ერისთავი შეეცითხა მას: ზომ არაფერი იციო საზავო პირობათა გამო?“

„ევპარშაპატში გვაუწყა ამ ზავის პირობები მანდაურმა ვართავეტმა ერთმა“, მიუგო ჯოჯიკიმ.

„სულტან ბარქიაროკმა ნება დართო თავის ძმას მოჰამედს, სულტანის წოდება ეტარებინა საქვეყნოდ.“

„სასულტანო ზომ არ დაუმიჯნავთ, თუ იცი?“

„იცითხა მეფე გიორგიმ.

„სულჯუციანთა სასულტანო ამგვარად გაიყვეს ძმებმა: მოჰამედს წილად ხვდა მთელი გამოღმა მხარე ისპიდ რუდიდან¹, დარუბანდამდის.“

„დარუბანდის ხსენებაზე ხველა აუფარდა გვარამ ბეჰისციხის პატრონს, მას ამ

წუთში მოაგონდა ბაგრატ მეხამე, რომელიც პყრობდა საქართველოს ჯიქეთიდან დარუბანდამდის მხარეებში.

„ჯოჯიკიმ ყური არ ათხოვა მოხუცი ერისთავის უკმაყოფილო დუღუნს და განაგრძო.

„მოჰამედსაცეე მიუჩინეს საუფლოდ დიარბექირი, სომხეთი, ჯეზირეთი, მოსული და სირია, ხოლო ერაცში, მთელი საამირო სეიფ ელდაულაჰ სადაყასი.

„ამ ზავის მიხედვით მოჰამედის ყმადნაფიცებად იცნო ბარქიაროკმა საქართველოს, სომხეთის, მესოპოტამიის, მეფენი მთავარნი და ამირნი.“

„საქართველოს ხსენებაზე ზეწამოიჭრა აქამდის დარბაზის კუთხენი გატვინული მახარა და ასტეხა ვნაისი.

„როცა გიორგი ჭყონდიდელმა მისი დაშოშმანება შესძლო, ჯოჯიკიმ განაგრძო:

„ირანისა და არაირანის ქვეყნების ძმათა შორის გაყოფა ისე საგულისხმო როდია, როგორც ერთერთი მუხლი ბარქიაროკსა და მოჰამედს შორის დადებული ზავისა:

„სულტან ბარქიაროკი და სულტან მოჰამედი უმცირესი ფიცით შეეკრნენ ურთიერთს: ყურანზე დადებული ზმლის ძალით აწარმოონ ერთობლივი ომი ამიერიდან, ფრანკების, ქართველებისა და სომხების, საერთოდ მთელი საქრისტიანოს მიმართ.“

„როცა ჯოჯიკიმ დარბაზისერთა წინაშე წარმოდგენილი პიტაკი მოათავა, სრული მყუდროება ჩამოვარდა დარბაზში.

„გიორგი ჭყონდიდელი ორივე ხელით დაეყრდნო საკუთარ მუხლებს და აგრე მიმართა ერისთავეებს, სპასალარებსა და ეპისკოპოზებს:

„დარბაზისერთო, ამ საქმეთა გამო ჩვენ სათქმელი არაფერი დაგვრჩენია თითქმის. სულტანმა ნაწილობრივ მიი-

¹ თეფის მდინარე.

ლო ჩვენგან პასუხი ზედაზენისა და რუს-
თავის მისადგომებში.

მთავარი ეგაა: სელჯუქიანთა სასულ-
ტანო კვლავ გაერთიანდა ჩვენდა სამტ-
როდ, როგორც უკვე მოგხსენდათ. ამიე-
რიდანაც ჩვენი ვალია: არავის ვეყმობ
თვინიერ უფლისა.

იგიც ნათქვამია უკვე ბრძენთაგან:
მხოლოდ იგია ღირსი სიცოცხლისა და
თავისუფლების, ყოველდღე ბრძოლით
ვინც შეიძლებს მათ მოპოვებას.

ახლა გვარამ ერისთავი მოგახსენებთ
ყოფნადა უმთავრესის, ათრაბა შარა-
ლანისძისაგან შემოთვლილ პასუხს.“

წამოდგა მხცითმოსილი ახოვანი, სი-
ტყუაძვირი დეგაკი, მამულისა და მეფე-
თა სამსახურში მოხუცებული, ამ ჯე-
რად ძაბუნი აღმოჩნდა რიტორობის საქ-
მეში, დიდოსტატი ხმლის მოქნევისა.

იგი ტაატი ლაპარაკობდა, ბორძი-
კობდა, ენას უკიდებდა, სიტყუებს ეძებ-
და, და როცა ამ ყოფით მიადგა დამოყუ-
რების საკითხს, მთლად დაეხა ენა, ხან
გიორგი მეფისკენ აცეცებდა თვალს,
ხანაც ეპისკოპოზებისაკენ იხედებოდა,
დამდულრულივით ათუხთუხდა: ისეთ
შთაბეჭდილებას კბადებდა, თითქოს
ჰაერი ეცოტავება და სადაცაა მომშო-
ბაო.

დანდობილად მოათავა სათქმელი და
მძიმედ დაეშვა საჯდომზე.

აქრიალდა თუ არა ბეჭისციხის პატ-
რონის საკარცხლული, დრტივინვა და
დუღუნი შექმნეს ეპისკოპოზებმა, იჯდა
გატერინული გვარამ, და უსმენდა გიორ-
გი მეფის როხროხსა და ჩივილს.

ისევ აბუბუნდნენ ეპისკოპოზები.
თუ ვინმე ინებებსო გვარამ ერისთავის
პიტაკის გამო რაიმეს თქმას?

უხალისოდ იკითხა გიორგი ჭყონდი-
დელმა.

დუმილი დაეუფლა დარბაზს.

არც მცხოვრანთაგანი, არც კბუთაგა-
ნი, არავინ აპირებდა აზრის გამოთქმას.
ერთობლივმა ჩიჩქოლმა ვადარიბინა

ეპისკოპოზების ბაგეებზე და ^{როცა}
ჭყონდიდელმა კვლავ განიმეორა კითხ-
ვა, ისეთი ბუჭბუჭი შექმნეს მათგან
ათუხეში მჯდარმა გოლგოთელმა ეპის-
კოპოზმა, როგორც მდორე წყალს ჩვე-
ვია ხოლმე კბოდზე მიმწყვდელუს.

ხარკაშნელი ეპისკოპოზი მღელვარედ
აემატურებდა თავის გამბუნტულ წითელ
ტუჩებს, გააუტულ წვერულვამიდან გა-
მოჩენილს, მის გვერდით მჯდარ დოსი-
თეოზ წალკელის დამქკნარ ყურის ბი-
ბილოსთან ბუტბუტებდა, ხოლო წინ-
წყაროელი ეპისკოპოზი აბრიალებდა
დაწითლებულ თეთრონებს თვალისას.
რომელნიც ისე ამღვრეულნი იყვნენ,
როგორც ეს ლოთებს ემართებათ
ხოლმე.

ურბნელი ეპისკოპოზი მანკავდა თავის
მეჭკეჭებიან, ნესტოდაბერილ ცხვირს.
თითქოს ქეძაფი აყნოსვინესო და თა-
ნაც წარამარა ასავსავებდა მძიმე შავი
ბაღით დაბანჯგვენულ უზარმაზარ ხე-
ლებს და რაღაცას ებუბუნებოდა გატ-
ვრინულ მანგლელ ეპისკოპოზს.

წინწყაროელმა მღელვარება ვერ დაი-
ოკა, წამოდგა თავის საკარცხლულიდან.
ქუთათელ მთავარეპისკოპოზს მიუჯდა
და დაიბუხუნა:

„წავწყდებით, ყოვლად სამღვდელო,
წაგვბილწება როგორც ეკლესია ისე მე-
ფეთა ტახტი.“

ამ სიტყუებმა დარბაზი მოვლეს, გი-
ორგი მეფემ თავის ქნევით დაამოწმა მი-
სი ნათქვამი, ამან უფრო გაამხნევა წინ-
წყაროელი, უფრო ხმამაღალი ბუხუნი
მორთო, მაგრამ ქუთათელმა მსუქან
მკლავში უბიძგა წინწყაროელს და დუ-
მილისაკენ მოუწოდა მას.

სავსებით გაფთვრებული წამოდგა ოქ-
როტედილ სელიდან გიორგი ჭყონდიდ-
ელი, ისეთი თავშეკავებითა და თავგან-
წირვით აღქურვილი, როგორითაც დოს-
ტაქარი ადგება ხოლმე ალესილი დანით
ხელში და მძიმედ დაყოლილისაკენ დან-
დობილად გაეშურება.

აგრე გაკერპებული მიეახლა მზრდე-

ლი თავის სათაყვანებელ გაზრდილს, ჯვარი გადასახა სამგზის, მერმე საპატიო მანძილზე უკუდგა, ამოწვდილი მახვილივით გაიმართა წელში ეს უჯიათი ძოხუცი და პირუთვნელად შექაღრა მის წინაშე მღუმარედ მკადარ დავით მეფეს:

„მე ენა არ მერჩის სამინელის თქმად და უცნაურის საუწყებლად.“

ვამ, სასასა ჩემსა ეგზომ მწარე სიტყვის გამეტება: რომ დამპირდა შენთვის, ვამ, მსცოვანებასა ჩემსა, შენს მაგივრად რომ არ ძალმიძს ვიტვირთო ბაგრატიული მახვილი თვისტომთა ჩვენთა დასაცავად და მამულისა ჩვენის დასახსნელად.

ვამ, დღეთა ჩვენთა უხანობას და ემთხასიავებს, რომლის თანდამსწრენი გავცხადა ზენამ. ჯერ არავის მოსწრებია, რომ ბაგრატიოვანთა უფლისწულებს არაქრისტიანთა ნამიერნი მოეყვანათ თანამემცხებრედ“.

ამის გაგონებაზე კვლავ აღდუღუნდნენ ეპისკოპოზები და ერთობლივი ჩოხქოლი ატყდა მათ შორის დარბაზში.

გვარამ ერისთავი ზეწარმოიჭრა და თავისი შეყრილი წარბებიდან შეუბღვირა ენაგალაქსარებულ წინწყაროელ ეპისკოპოზს.

ამან იქმარა კვლავ დუმილის დასამკვიდრებლად და გიორგი ჭყონდიდელმა განაგრძო:

„...მაგრამ რაა ექნათ, სულიერო შეილო ჩემო, არც თუ ოდესმე მდგარა ეგზომ დიდი საფრთხე მამულისა ჩვენის წინაშე.“

როგორც ჰხედავ, კვლავ აღსდგა მკედრებით გულარძნილი და ბიწიერი სასულტანო სელჯუქიანთა, მალიქ-შამ სულტანის მთელი სამკვიდრო გაერთიანდა ჩქენდა სამტროდ, შჯულისა და მამულის ჩვენის დასათრგუნველად.

ხამს, უწინარეს ყოვლისა, რჩეულთ მიიტანონ საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად მამულის წინაშე, რადგან შენა ხარ რჩეულთა შორის რჩეული, ამადაც შენ გერგო სასუმელი ესე და პირადი ბედ-

ნიერება უნდა დასთმო ამოერიდნს. სულიერო შეილო ჩემო და ჩვენი პატრონო.“

ესა სიტყვა და შუბლზე აკოცა დავითს.

როცა ჭყონდიდელი კვლავ დაბრძანდა თავის ადგილზე, სრული სიჩუმე დავარდა დარბაზში. გიორგი მეფეს გამლილი ხელით დამეფუნა პირი, მუხლის თავზე იდაყვით დაყრდნობილს, გაოგნებული იჯდა და ავურის იატაკს დასჩერებოდა, ახლა საესებით დაბერებული და გატეხილი მოსჩანდა ფარცხისის გმირი.

ისიც კარგად შენიშნეს დარბაზისერთა, თუ როგორ გადაფითრდა დავით მეფე, მცირე ხანს იგიც იცავდა თავჩაქინდრული დუმილს და ბოლოს ეს და სიტყვა:

„იყავ ნება შენი, მამაო გიორგი!“

დარბაზისერთა ამ ბკობაზე გადასწყვიდა: გვარამ ერისთავი გაბრუნებულიყო შარალანს. ორივე მეფეთა სახელით დამოყვრების თანხმობა მიეცა ათრაბა შარალანისძისათვის და ქირის სპაი გამოეთხოვა სასწრაფოდ.

იმავე ღამეს შესმენილ იქმნა კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ივანესძე ბაღლაშორბელიანი, სჯულისა, მამულისა სამეფო ტახტის მრავალგზისი დაღატის გამო.

გადაწყდა: მისი გაძეება საქართველოდან და ჩამოერთვა მოღალატეს როგორც ერისთავთ-ერისთავის წოდება, ისე მამეული მისი მანგლისსა, ლიპარიტის უბანსა და არგვეთში.

როცა ეს განაჩენი გამოტანილი იქნა, თვით წინწყაროელ ეფისკოპოზსაც არ დაუძრავს კრინტი, მხოლოდ გიორგი მეფემ დაარღვია დუმილი:

„კუდი ძაღლისა არ განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.

ჩრდილისძერამდის არ ჩამქრალან რკონის კოშკში ოქროს სახანთლენი.

ჩრდილისძვრამდის ძილტვიზლობდა დღესისმედი.

სწორედ მეორე დღეს, ჯერ კიდევ ეძინათ სტუმრებსა და მასპინძლებს, როცა ნაჭარმაგვეის ციხის პირველ გოდოლს ხუთი ზარადიანი¹ ცხენოსანი მოადგა. მთიულურ სატალახო ცხენებზე ისხდნენ ისინი, მეცხეარული თექვსიდან მოკლე გურტაყები მოუჩანდათ ჯაჭვისა. როცა გუშაგთა წინამდგომმა სადაურობა და ვინაობა ჰკითხა, არც ერთის გამხელა არ მოისურვეს მათ.

ახლა ზარადების ახსნა მოსთხოვა ლათერიაჲ. დაწინაურდა უხუცესი მათ შორის, რომელსაც მგლისფერი წვერი გადმოდეროდა ჯაჭვის პერანგზე.

მთიელები ვართო, ეაზირთა უპირველესთან სააჯოდ მოსულნი.

უპასუხეს: ორშაბათობით დაჯდებოა ჰყონდიდელი სააჯო კარსა, ეგვიც არ იყოს ჯერაც ისვენებსო მწიგნობართუხუცესი.

განრისხდა ლათერია ჩუხნთა ასისთავი: ან განაცხადეთ ვინა ხართ, ან იარაღი აიყარეთო.

ციხისთავი აქ მომგვარეთო, განაცხადა მან, რომელსაც მგლისფერი წვერი გადმოდეროდა ჯაჭვის პერანგზე.

ამ ხმაურობამ ციხისთავი გამოადვიბა. მან ახელდახედა სტუმრებს, საეკვოდ ეჩვენა მათი გაჯიქება და უბრძანა დაუყოვნებლივ აეხადათ ლითამი.

მაშინ წვეროსანი გადმოიხარა ცხენიდან და თითქმის ჩურჩულით უთხრა ციხისთავს: განემართოდეთ და ავიხდით ლითამს.

ბოლოს ჩამოხტა ცხენიდან ზარადიანი მოხუცი და ერთივ მუხის კუნძივით ჩა-

ბსკენილი ვაკეცი და ციხისთავის სამყოფოში შევიდნენ.

ლათერიას ცნობისწადილთა² ახლა მხლებლებს დაუწყო სათითაოდ გამოკითხვა, მათაც იგივე სთქვეს:

მთიელნი ვართო, ჰყონდიდელთან სააჯოდ მოსულნი.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ლათერიაჲ შენიშნა: ციხისთავი თავაზიანად წამოუძღვა მათ და ხუთივენი სანიდაგო კარიბჭისკენ წაიყვანა.

ლათერია შორი-ახლოდან თან მიჰყვა მათ.

ახლა ხედავს ლათერია: ღია კიშკარში შესულთ, ცხენები ჩამოართვა ციხისთავმა და მეჯინიბეთუხუცესს გადასცა, ხოლო მათი პატრონნი ქარიშხან სეტიელის სამყოფლოსკენ წაიყვანა.

როცა ქარიშხან სეტიელი ჰყონდიდელს ეახლა ამ იღუმელი სტუმრების გამო მოსახსენებლად, ეაზირთა უპირველესს დილის ლოცვაც არა ჰქონდა მოთავებული.

სტუმრები დაეინებით სთხოვდნენ ჰყონდიდელს, მათი მოსელა დაუყოვნებლივ ეუწყებინათ დავით მეფისათვის, თანაც ამბობდნენ: ამაღამევე უნდა გაებრუნდეთო ხორნაბუჯს.

ამოდ ეცადა ჰყონდიდელი, როგორმე საუბრით შეექცია ისინი. ქარიშხან სეტიელი რკონის კოშკში წარგზავნა, ხოლო თავათ სტუმრების საუზმისათვის თავდარიგს შეუდგა.

ახალმოსულთ შორს დაიჭირეს ასეთი რამ, რადგან არ უნდოდათ თვით მანდატურთ შეეცნოთ მათი ვინაობა.

მაშინ ტალანში ამბობინა ჰყონდიდელმა მესტუმრეთუხუცესი და უბრძანა: მწიგნობართუხუცესის პალატაში გაეწყო სასწრაფოდ სუფრა, ბოლოს დითხოვა არა მართო მსახურნი, თვით მესტუმრეთუხუცესიცა. თავათ ემსახურებოდა სტუმრებს, სთავაზობდა ნაირნაირ კერძებს.

მახარა იმ დილითაც ყველაზე ადრე ამდგარიყო. თავის ქორ-მიმინოთა მოსახსნულებლად მიდიოდა ჩვეულებისა-

¹ ზარადი — მუზარადიდან გადმოკიდული სახის დასაფარავი ჯაჭვის ვეალი, ლითამი — ზარადი სიტყვა რუსთველსა აქვს პირველად ნახარი.

მებრ. (აგრე სჯეროდა მას, როგორც კი საწოლიდან წამოდგება ვაჟკაცი, მტაცებელ ფრინველს, ან ნადირს უნდა ჩახედოს თჭალებში. ასეთი რამ ძალამოსილებას ჰმატებსო კაცთაგანს).

ციხის ეზოში ლაფშიამოსკრილ ცხენებს გადააწყდა მახარა, შეეკითხა მეჯინიბეთუხუცესს.

ვისიაო ეგ ნამგზავრი ცხენები? მეჯინიბეთუხუცესს გამოძინება ვერ მოესწრო, ამიტომაც უქმურად მიუგო: რა ვიცი, ვინ ოხრისაა ეგ სამგელე ცხენები, ციხისთავმა მომანიჩნიაო.

მახარა ციხისთავის სამყოფლოსკენ გაემართა.

არც ციხისთავი იყო კმაყოფილი ხელახლა ვალეიმებისაგან, ამიტომ მანაც უგუნებოდ მიუგო:

ვიღაც მთიელნი ეწვიენ სააჯოდ მოსულნი და ამის მეტი არც მე ვიციო რამე.

ისევე გაბრუნდა მახარა ციხეში, მან ასეთი იქვე აიღო: ალბათ თრიალეთელ აზნაურთაგან იქნებიან წარმოგზავნილი, ლიპარიტისა და მისი აზნაურების შევრდომება უნდა სთხოვონო ვაზირთა უპირველესს; ბრაზი წაეკიდა და სულის მოუთქმელად გაემართა ჭყონდიდელის სამყოფლოსაკენ.

მახარა განცვიფრდა, როცა მესაწოლე პერის, ბესას ნაცელად, მას კარი გაუღო თავათ ჭყონდიდელმა. ჭყონდიდელს არ ებრიანა მახარას დანახვა (რადგან ეწინოდა მახარა არაფერს დაუმალავსო მარიამ დედოფალს, ხოლო ჭყონდიდელს აგრე სჯეროდა: დიაცს საიდუმლო არ ეთქმისო).

ვიდრე მახარა სიტყვას დასძრავდა, ჭყონდიდელი რაზას წაეპოტინა, ღიქედ დარჩენილი კარისას და გამოიხურა ანაზღად იგი.

მახარამ არ დააყოვნა ცნობისწადილის გამომგლავნება:

ვიღაც მთიელნი გწვევითაო აგრე აღრე, მამაო გიორგი.

ჰო, მთიელი ხევისთავნი მეწვიენო,

ჩაიღუდუნა ჭყონდიდელმა. მორცხვად და არ შეიპატიოთა თავის სამყოფელოში იგი.

გულგანაწყენი მახარა გამოიხურდა გაწბილებული.

ნამუღაღევს მწიგნობართუხუცესის ღარბაზში მობრძანდა დავითი. მხოლოდ სპასალარები და ერისთავები წამოეყვანა მას...

სალამომდის დაწყველილივით დაწრიალებდა მთელს სასახლეში მახარა, უთვალთვალებდა მწიგნობართუხუცესის პალატებს, მაგრამ არც შიგ შესული, არც იქიდან გამოსული არავინ უნახავს.

გიორგი მეფეს შეეკითხა ერთ ორგზის.

„მეც მაგას ვუცდი, ვეგო დილას აიყოლია ერისთავები და სპასალარები, ვვანებ ცხილოს ციხეში უნდა იყვნენ წასულნი...“

მახარას გულს უღადრავდა ცალკერძ ბრაზი, ცალკერძ ცნობისწადილი, ვერ გაეგო ამდენი სათათბირო რა გაუჩნდათო?

მხოლოდ ნამუღამევს შენიშნა მისმა მახელმა თვალმა, თუ როგორ ვააცილა ციხისთავმა ის ხუთი ცხენოსანი, რომელთაც თან გაჰყვენენ ქარიმან სეტიელი და შვიდი ჩუხჩი. მათ შორის ასისთავი, ლათურიაც, რომელმაც შარადანიდან მობრუნების შემდეგ მიიღო აღხევება დავითის ბრძანებისამებრ.

მახარა დიდხანს ემდუროდა ჭყონდიდელს, რად არ დამისწროვო იღუმალ თათბირზე. რა თქმა უნდა, ღიქედ დარჩენილ კარიდან მახარამ იცნო როგორც ბარამ არიშიანი, ქავთარ ბარაშისძე და ისე ხევისთავნი: თორღვაი, თოთიბაი და ხურანაძე.

იგიც ცხადი იყო, რომ ეს იღუმალი თათბირი უნდა შემდგარიყო კახეთ-პერეთის საქმეთა გამო, რადგან იმ ხანებში გარდაიცვალა კახთა მეფე კვირიკე და მის ტახტზე ავიდა აღსართან მეორე, „უცნდრეკა რამე, უსჯულო და ყოვლად უმეცრად უსამართლო.“

სიამის დღენი და ღამენი

...სწორედ იმ დღეს, როცა იღუმალი ბჭობა მიმდინარეობდა მწიგნობართუხუცესის პალატებში, მანდილოსნებიც ვამალებულნი დაეძებდნენ დავით მეფეს. უზომოდღვარს ცინცილუკსა და საბიას მოსვენება არა ჰქონდათ, აღმა და დაღმა დაჩოჩავდნენ სასახლის კიბეებზე, სავსებით ამოღ.

მეორე დღეს ადრე ადგა მარიამი, წინაღობით უძინარს, ტუბილად ეძინა დედისიმედს. მარიამს გადაწყვეტილი ჰქონდა:

თავით წავალ რკონის კოშკში, თუ დავითი ჭერა ვნახე, გიორგი მეფეს მაინც ვინახულებო.

როგორც მარიამი, ისე დანარჩენი მანდილოსნებიც კარგად გრძნობდნენ, დიდზე დიდი ამბები ხდებოდა სასახლეში. წინათ რომელიმე მანდატურს ერთი ორი მისახვედრი სიტყვა დასცდებოდა, ახლა თვით მანდატურნიც სახტად იყვნენ დარჩენილნი. სწორედ ისინი ცოფდებოდნენ ყველაზე მეტად, რადგანაც მუდამ ჰუმურეტანებში მოთვალთვალეს, ღიჟვდ დარჩენილ კარებში მაკეჩრალთ, უფრო მეტად უვითარღებათ ცნობისწადილი.

პაგრატულ მანდატურთა შორის, ზოგი ბიზანტიამი დაესაქურისებინათ, ზოგს ცოლშვილი სავსებით არა ჰყოლია და საკუთარ ოჯახს მოკლებულთ, სხვისი ცხოვრება აინტერესებდათ მუდამ, ამიტომაც მათ ამ რომანის აგტორზე უკეთ იცოდნენ ყოველი, თვით უმცირესი წყრილობანიც, ნაჰარმაგვეის კარის ცხოვრებისა.

მარიამს მოკაზმვა არა ჰქონდა მოთავებული, როცა ცინცილუკი შემობოროილდა და დაფეთებულმა მოახსენა: თავით მობრძანდებო ბაზილევს გიორგი.

მარიამი ადგა, მეზობელ დარბაზში გავიდა დედისიმედს დახედა, ჯერ კიდევ ეძინა მას.

ისევ გამობრუნდა მისაღებ დარბაზში, მოუთმენლად ელოდა ძმის მოსვლას... მარიამს დერეფნიდანვე მოესმა, თუ როგორ დაჰკრა იატაკს ცინცილუკმა მუზლი, და გზადმომავალ მეფეს შესსახა: „პოლიხრონიონ“¹.

ბუნებით შშვიდსა და გულჩვილ მარიამს არა სჩვევოდა ჩივილი და დრტყენვა.

მას და გიორგის ისეთი ტუბილი, დაძმური ურთიერთობა აყავშირებდა, იშვიათად შეჰკადრებდნენ შვეახე სიტყვას ურთიერთს...

გიორგის ბუნებრივი კაცობა მოსდგამდა სიყრზიდანვე, იგი თვით თავის მანდატურებს და ბაზიერებსაც არ აგრზნობინებდა მათ წინაშე უბიზატესობას რაიმეს.

მეფობას, კესაროსობას და ქვეყნის პატრონობას იგი განიცილიდა როგორც უფლის განჩინებით დაკისრებულ სასჯელს.

მას აგრე ჰქონდა წარმოდგენილი: უბრალო მენადირედ, მარეკად ან ჯარჩად რომ გაეჩინა არსთაგანრიგეს, უფრო ბედნიერი ვიქნებოდიო.

შეუბღალავი ბუნების იყო მისი დიი, მარიამაცა. ბიზანტიის სასახლეების ხვანჯებმა, გულარზნილობამ და ფლილობამ ვერ შესძლეს ათეული წლების მანძილზე მისი ბუნების შელახვა და ამღერევა.

ოლონდეს იყო, იგი ეკუთვნოდა იმ დასტას თავისთავზე შეყვარებულ ადამიანთა, რომელნიც უჩვეულო სილამაზით, ან ტალანტის მეოხებით წინასწარ

¹ ბერძნულად — პოლიქრონიონ, დღევანდელა.

დაირწმუნებენ თავს, თითქოს ისინი აღამიანთა დაყვანისცემის საგანი იქნებიან მარადის, ამის გამო განუზომელად უვითარდებათ თავმოთნეობა და ქრთილის-ოდენა უპატივცემულობას, ან უგულვებელყოფას ავადმყოფურად განიცდიან ზოლმე.

თავათ შეურყვენელი ბუნების პატრონი, მარიამი, ყოველ აღამიანს გაცილებით მეტ კეთილშობილებას მიაწერდა, ვიდრე ეს ნამდვილად გააჩნდა მას, ნდობიერი და გულალალი იყო თავათაც, ამიტომაც მოყვასისაგანაც თავანკარა ნდობას მოითხოვდა უქცეველს.

სწორედ ამიტომაც, საკმაოდ თავშეკავებულად, მაგრამ მაინც საყვედური აკადრა მას. გულისტყვილით შესჩივლა რომ მას უნდობლად ექცევიან ნაპარმაგევის სასახლეში ამჯერად.

მერმე ვის? მარიამს, რომელსაც მამისეული ოჯახისა და სამშობლოს დარდით, წლების მანძილზე დაუღტვია ბუკოლეონისა და მანგანის სასახლეთა სარეცელნი.

„მე მუდამ მძაგდა ის დიაცნი, რომელნიც მისთხოვდებიან თუ არა უცხო ტომის ნაშიერს, მყისვე ივიწყებენ საყუთარ ოჯახსა და სამშობლოს.

ვინ მოიგონა რომ ჩვენ, მანდილოსნებს სამშობლო არ გაგვანდეს?!

მეწყერსაც წაუღია ბიზანტიონი და მისნი სასახლენი, ჩემი ვაჟი რომ მანდ არ მეგულეობდეს, ფეხსაც არ დავადგამდი ბერძენთა მიწას“.

ამბობდა ცრემლმორეული მარიამი.

„რად დაჰქირდა ეს ყოველივე, მაიკო, განა დაივანებს ოდესმე ქრთილისოდენა საიდუმლო ჩემი გულის უაღრესს კუნჭულშიაც, რასაც შენ არ გაგანდობდი. არ გაგიზიარებდი და თუ რაიმეს გიმაღავთ, ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ შენ დაგზოგოთ, დარდი არ შეგმატოთ პირადი უბედობისაგან დაზაფრულს.

2. „ნათობი“, № 2

თუ გიყვარდე, ნუ მანვეცა შენს ცრემლებს, მაიკო, შენ ზომიერად ვერ ვიტან დიაცის ტირილს, მაგრამ შენსას, დედის სულს გაფიცებ, ნუ სტირო, მაიკო, მე ამასწინათ ვნახე მექათამე თეონა თავის ვაჟის სამოსს დასტიროდა, ბალღივით გაფიქცი, ისე შემადრწუნა“...

დედის სული რა დააფიცეს, მყისვე მოიხოცა მარიამმა ცრემლები, ზოლო გიორგინ განაგრძო:

„ვინ მოიგონა, ვეეო, თითქოს შენ რაიმეს გიმაღავდეთ, ან მე, ან დავით მეფე, ან მონაზონი გიორგი? თუ გიმაღავთ რაიმეს, ჰირს გიმაღავთ, ჩვენი ქვეყნის უბედურობას გიმაღავთ, შენ ზომ ხედავ მე თავს ვიგივიანებ, ხან ღვინოს ესვამ, ხან მებადურებებს ავეკიდები, ხან ნადირობას ვაყოლებ გულს, მეშინია გულ არ გამისქდეს, ვეეო, ან რაღაა გასახარელი ამ ჩვენს უბედურ ქვეყანაში? ამიტომაც ბევრ რამეს გიმაღავთ, ვეეო“.

ბევრ რამეს გიმაღავთო?

„მაინც რას, მაინც რას, ახლავე უნდა მითხრა გიორგი, მე არ მეპრიანა დარბაზისერთა უკანასკნელი ბუკობის ესოდენი გაჭიანურება.

დედის სულს გაფიცებ, ნურაფერს დამიმაღავ, სხვა არ იყოს რა, შემობრალე მე უსამშობლო, სვეგამწარებული ქალი, გიორგი...“

„დამშვიდდი, მაიკო, ყველაფერს გეტყვი, არაფერს დავიმაღავ შენმა მზემ, მაგრამ რა გამოვია მერმე აქედან, გულის დარდი მოგემატება, სხვა რა გამოვია?!

ნეტავ მეც არ ვიცოდე ბევრი რამ, ნადრევედ არ გაეიხეთქდი ამ დასამიწებელ გულს. რა გამოვია გულის ხეთქვიდან? ჰიამ თქოვო, ქვეყანა უნდა დაიქცესო და თვალი დაითხარაო თურმე...“ „ბევრი რამ?! მაინც რა მოხდა გიორგი, ახლავე მითხარი, იცოდე“.

„სელჯუკი... თიანდა... მო... ბარქიაროკი...“

126423

7815

საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური

ERBOTEK

„ვიდევ რაი?“

„ათრახა შარაღანისქემ დამოყვრება გვთხოვა, უამისოდ ვერ განდობთო ქირის სპას.“

„დავით მეფემ რა სთქვა მერმე, ან თქვენ რა გადასწყვიტეთ, შენ და ჭყონდიდელმა?“

„რა უნდა გვეთქვა, სათქმელი რა გვაქვს, გუარამ ბეჭისციხის პატრონი შარაღანს გაბრუნდება ხვალ ზეგ.“

„მერმე?“

„მერმე და ჩვენს თანხმობას აღწყებს ყოფილთა უმთავრესს. აბა შენ თავით გვიბრძანე, სხვა რა გზა გვაქვს, მალიქ-შაჰ სულტანის სასულტანო მკვდრეთით აღსდგა, შენ ალბათ კარგად გესმის, რას მოასწავებს ეგ. შევიდას ათასი მონასპა გამოყავდა ბრძოლის ველზე მალიქ-შაჰს, შენ ხომ არ ეხუმრები ამ ამბავს, ვეყო.“

ასევე, როგორც ქართველი უბირი დედაკაცი დიდი უბედობის შეცხადებისას თავგამეტებით იტყვიავს ხოლმე საკუთარ ლოყაზე გაშლილ ხელს, ასევე შემოიკრა მარიამმა თავისი მშვენიერი, ღრძელი თიფები, რომელთაც ხახულის ღეთისშრობლის ხატზე დღესაც ვხედავთ ჯელათში, და გიორგი მეფემ მზერა წაატანა ხუთივე თითისგან დამჩნეულ მოთფრო ზოლებს თავის დის დაწვზე.

„ღმერთო დიდებულო ეს რა მესმის, ეს რა მესმის, ღმერთო!“

სთქვა მარიამმა ლოყიდან ხელის ჩამოუღებლად.

მცირე ხნის დღმილის შემდეგ განაგრძო:

„ო, მაგრამ, გიორგი, ნუთუ იმპერატორის ალექსი კომნენის გამოცდილები-საგან ვერაფერი ისწავლეთ შენ და ჩემმა სათაყვანებელმა ძმისწულმა ამდენ ხანს?“

რამდენჯერ მოათრია კეისარმა ის ავაზაკი ყოფილები სამეუფო ქალაქში. დაუწყავებდა, გააძღებდა, ჩააცვამდა, იარაღით აღჭურვავდა, მძევლებს გამოართმევდა.

ერთ ქარიან ღამეს ცეცხლს მრავალდენ თავიანთ კარვებს, ეკლესიებსა და ქოლბაქებს დამარცხებდნენ და სიკვდილებს ებედნენ საკურველს, შეიკრებოდნენ ბალკანეთში და ხანძარს გაუჩენდნენ დაბნებსა და ქალაქებს.

ბოლოს უკან გამოუდგებოდა ბედშავი კეისარი და მის მიერვე აღჭურვილ ბრბოებთან უხდებოდა ომი.“

„რაც არის ეგაა, ვეყო, მე პირი დავიმუწე იმ ღამეს, დავიფიცე აღარ გავერევი მეტეი სამეფოსის საქმეებში ამიერიდან, წავალ ჩემს გეგუთში და მგლის ლეკვების წურთენას შევუდგები კვლავ, რა კი აღამიანები აღარ მიგონებენ, ეგებ მხეცებს შევასმინო რაიმე.“

სიბერეს მრავალ სიავესთან ერთად ერთი ქირიც თანა სდევს, ვეყო. მას, ვინც ბერდება, აგრე ჰგონია, ჭკუა მემატებაო, ხოლო მის უმარწემეს თანამედროვეთ ვოცნებებათ: ჩვენ გემატება ჭკუა და მას აკლდებაო.

მე უკვე აღარ ვიცი ჩვენ შორის ქის აკლდება, ან ვის ემატება ჭკუა, შესაძლოა ორივენი ვცდებოდეთ ვეყო“.

მარიამს ნელი ფაჩუნი შემოესმა მახლობელ ოთახიდან, ფიქრმა გაუელვა: ხომ არ გაელვიძაო დედისიმედს?

ზოღიში მოიხადა მის წინაშე და მზობელ დარბაზში შევიდა. პირქვე დამხობილი იწვა დედისიმედი. შეეხმინა, მაგრამ ხმა არ გაიღო ქალმა...

ეს გაიფიქრა მარიამმა, ვაჰ, თუ ჩვენს საუბარს მოჰკრაო ყური; მცირე ხანს გაოგნებულ იდგა საძილო ოთახში, მერე გამობრუნდა, ისევე მიუჯდა გიორგი მეფესა და სთქვა:

„მე გონს ვერ მოესულვარ, ვეთაყვანე, სად ყოვლად ქრისტიანი ბაგრატიონი მეფე წყალობითა ღეთისათა და სად ათრახა შარაღანისქემ, ან მისი ასული, მოხეტიალე მეჯოგეთა ნაშიერები.“

ღმერთო, ეს რა გაიგონეს ჩემმა ყურებმა!“

ჩივოდა მარიამი კვლავ.



გიორგი მცირე ხანს შესცქეროდა დარბაზის კუთხეში დაკიდულ ხატებს, მერმე მარიამისავენ გადაიტანა მზერა და ნაღვლიანად სთქვა:

„მე შეინია, იმ ლამიყლაპიას ამბავი არ მოგვივიდეს, ვეთო, თევზებს, ღორჯოებსა და ლიფსიტებს ნებიერად რომ მიირთმევედა, ერთ დღეს კიბორჩხალას შესანსვლაც მოიწადინა, შეიპყრო და შესქამა კიბორჩხალა იგი, მაგრამ მისი ქანგები ყელში გაეხირა და მოიშოთ ვაგლახად.

მეორეს მხრით, კარგად რომ დავეფიქრეთ საქმეს, ჩემს ქაესა და ჭყონდიდელს სხვა გზა არ დარჩენიათ, ჩემი თანამდგომი სომხეთი გადათქერეს, ბერძნები თავის თავსაც ვეღარ შეველიან.

როგორი იმედი მქონდა მაგ სვედავსილი ითანე მაგისტროსისა, რა ბალღურად შეხანხლეს ყოველივე მან და რომან დიოგენის ვაჟმა, კიდეც კარგი — შენ და კონსტანტინე მწვილობით რომ გადაურჩით ზიფათს, მაიკო...

ასე თუ ისე ჩვენი უკანასკნელი იმედი დაიშხვრა.

არც ის მინდა გული გაუტეხო ახალგაზრდებს, ვამბობ კიდეცაც ჩემს გულში: ეგებ მე დაქებრდი, მკლავში ღონე გამომელია, მუხლი აღარ მერჩის კლავინდებურად, და ამადაც შემერყა-მეთქი რწმენა. გიორგი მონაზონს დღენიაღა ვეჩიჩინები: რას შერებით მეთქი, ვეთო?

ვერძნობ ბევრ რამეს მეც არ მიმხელენ, მაგრამ ფრიად დიდი ამბებისთვის ეშხადებთან, მე არ ვიცი, რა მოხდება, მაგრამ კარგი რამ რომ არ მოხდება, ეს შეგერა საუბედუროდ ჩემდა.

ზედაზენი წართვეს კახთა მეფეს, ახლა სხვა ციხეებს უმიზნებენ, მაგრამ ციხეთა აღება ისე მწელი როდია, როგორც მათი შემომტკიცება.

არც ჭყონდიდელი, არც ჩემი ვაჟი და არც მისი სპასალარები აინუნშიც არ აგდებენ იმ გარემოებას, რომ მარტოოდენ მონასპათა ვმირობა როდი სწყვეტს ომის

ბედს, არამედ საჭურველი და რამე მონაწილე პირუტყვი.

ერკუნესული არაბებმა თავიანთი გმელმეჩეთქულიეს ბიზანტიელებს, რადგან აქლემი მონასპათა, მათი საჭურველის და საზრდოს გადასაზიდად უფრო ძალოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ცხენი.

სელჯუკიანებმა გურჯანის ზღვის გადაღმიდან ჩამორაკეს მრავალი ათასი ლოინი¹. აღფ-არსლანს, ახალქალაქში რამდენიმე ათასი მონასპა მოჰყავდა ლოინებზე აღმხედრებული.

ახლა, როგორც ჯოჯიკი გეარწმუნებს, აქლემს გარდა საომარი სპილოები გამოუყენებიათ როგორც სულტან ბარქიაროკს, ისე სულტან მოჰამედსაც.

როცა ეს ვუთხარი ჩემს ვაესა და მის სპასალარებს, დავითმა გაიღიმა და მითხრა:

ჩვენცა ვცვაესო ჩვენი საომარი სპილოები, ეგაა ჩვენი მთები, ჩვენი გორაკები. თურქებს, მათ სპილოებსა და მათ აქლემებს ბარში ბრძოლა ემარჯვებათ, იქ სადაც ჩვენი ფეხმარდი, მთიულური ცხენი იომებს, იქ აქლემი და სპილო ვერას გახდებიანო.

როგორც ვაკვირდები, ჩვენი სპანი კარგად გაწვრთნილნი არიან, მაგრამ მაინც ბევრი რამ მაფიქრებს, ვეთო.

თუმცა, სულო ცოდვილო, იმ დღეს კარგად მომიჭრა სიტყვა ჩემმა ვაჟმა:

— შენ არც ლოინები გყოლია და არც საომარი სპილოები ფარცხისში, მამა-ჩემო, მაინც სძლიე სელჯუკიანთა სარანგს, არა?...

აქლემი და სპილო როდი იგებენ ომებს, არამედ სული თავდადებული ვაკეაცისა.

სამსონმა ვირის დაწვით შემუსრა ფილისტიმელები, ხომა?

ეს კარგად მითხრა შენმა მზემ, მაიკო... ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას, მაიკო... ვირის დაწვით შეემუსროთ სელჯუკიანები დავითსა და ჭყონდიდელს.¹¹

¹ ლოინი — საომარი აქლემი.

„ლიბარტის საქმე ხომ არ მოგისმენიათ წუხელი?“ იყობდა საუბრის დასასრულს მარიამმა.

„ლიბარტის ექსორია მიესაჯა, მამეულის ჩამორთმევა, მე მგონია კატანის დაუტოვებენ მცირე სასახლეს გომარეთისას...“

ესა სიტყვა გიორგი მეფემ, დიოფანთან მკურნალი შერაქისძე მოვიდოდაო, მოიბოდიშა და კარისაკენ გაემართა....

როგორც კი პირველი სიტყვა დასძრა მისაღებ დარბაზში შემოსულმა გიორგიმ, შამაკაცის ხმამ მყისვე გამოაღვიძა დედისიმედი.

იგი დიდხანს იწვა თავქვე და გატვრინული უსმენდა დაძმის დიალოგს და როცა ყური მოჰკრა ყიფნალთა უმთავრესისათვის თანხმობის შეთვლის ამბავს, გველცემულივით შედწამოიჭრა, თვისი ყელსაკიდი ხატი გადაიკიდა, სანიაღვრე კაბა გადაიკვა სასწრაფოდ.

როცა მარიამის ფეხის ხმა გაიგონა, ხელახლა ჩაწვა ლოფინში, მერმე წამოდგა კვლავ საბანი გადაფარა სარეცელს, ისე ოსტატურად, თითქოს იგი იწვაო კიდევაც ვინმე, ფეხაკრეფით ადგა, დიქედ დარჩენილ კარს მიეახლა და რა შემოესმა ლიბარტის ექსორიას ამბავი, უკან კარისკენ გაემართა გულდაგულ.

ნელა, სულ ნელა დააკაუნა უკან კარზე ვიღაცამ.

გახეებულებით იღგა კარს უკან მაღალი, შავებიანი დედაკაცი.

„თონა, შენა?“

უთხრა ჩურჩულით დედისიმედმა, მკლავში ხელი გაუყარა და ორივენი სირბილით მიჰყვნენ ციხის ეზოში ჩამავალ ვიწრო კიბეს. ისე გადაიარეს ციხის ეზო, ადამიანის ორანი არსად იყო, მხოლოდ ბაბილოვან ვენახში თვალი წაატანეს ბაზიერთუხუცეს ელარუნას, რომელიც ბაზთა დასაპურებლად მიდიოდა იმ დღით.

იფარეს ხეები და ასე ქურდულად

გაიარეს დიდი ვენახი და ბანილოცებისაკენ მიმავალ თემშარას დაადგინენ.

გაისტუმრა თუ არა გიორგი, მარიამი ფეხაკრეფით შევიდა თავის საძილო დარბაზში. დედისიმედის საწოლს დახედდა. დავალოვო სვეგამწარებულს ძილი, ასე გაიფიქრა და ისევ მისაღებ პალატაში გაბრუნდა.

ფსალმუნი აიღო ხელში და დილის ლოცვას შეუდგა. რა მოათავა იგი, ისევ შევიდა საძილო პალატაში, ცრემლები ყელზე ებჯინებოდა, ფიქრობდა გულდამდულრული: ვის მოუბრუნდება ენამცნოს ამ უბედურ ქალს, თუ როდენ დიდი უბედობა დაატყდა თავზე?

არა, მე ენას ვერ დავძრავ, ვისაც ენეზოს, იმან უთხრას ვერაფერს ვეტყვო, მე მოვალ შენთან, მხოლოდ შეუბღვრე გეამბორები ჩემო ლამაზო.

დედავო ღეთისა, შენა ხარ დედითა და ქალწულთა მფარველი, შენ გეპაროს ეს სვეგამწარებული ქალი...

ნაზად, ნაზად შეეხმიანა მძინარეს, გამოიღვიძეო ჩემო ანგელოსო, როცა ხმა არავინ გასცა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა სარეცელს, მოუფათურა ბალიშს ხელი და გადახადა თუ არა საბანი, ელდა ეცა...

სასთუმალთან გადაშლილი ფსალმუნი იპოვნა, მის გვერდით ჩამოღვეთილი შანღალი. დედისიმედის ყელსაკიდი ხატი არსად იყო, მისაღებ დარბაზიდან კაქებების კრიახი შემოესმა ანაზად.

საკენცი დაუყარა ფრინველებს, კართან მივიდა, ოდნავ გამოაღო და დაიძახა:

„მელიტა“.

არავინ გასცა ხმა.

ისევ დაიძახა:

„მელიტა, მელიტა.“

მელიტას ნაცკლად წვერგაბურძგენილი, ნაფინარევი ცინცილუკი შემოფრატუნდა:



უბრძანა:
დედისიმედი მოსძებნე და აქ მომგვარეო ახლავე.

კარგა ხანს იჯდა გაოგნებული მარია-ში მაპარაჯასეულ სარკესთან, იგი ამჩნევდა რამდენი ქალარა, რამდენი ნაოჭი შეჰმატებოდა ამ უკანასკნელ, მღელვარე დღეების მანძილზე!

უყრიდა საეცეს, მაგრამ მკერდწითელა ტანმოხატული კაკებები სარკესკენ მიიწყვდნენ, განაგრძობდნენ კაკანსა და კრიახს.

კარი გაიღო და დედისიმედის ნაცვლად, გვანცა შემოიყვანა ცინცილუკმა.

მთლად გამოჩურჩულდა ეს ბერიკაცი.

გაიფიქრა მარიამმა, მაგრამ არ გაკვირვებია, რადგან ასეთ რამეში დაცდილი ჰყავდა იგი (ცინცილუკი არაბერძნული ძირის ქართულ სახელებს ურთიერთში ურევედა ხშირად).

კართან შეაყენა ცინცილუკი და უფრო გარკვეულად უბრძანა:

ლიპარიტ ერისთავის ქალი მომგვარეო.

მარიამს ისე ეამა რატომღაც გვანცას დანახვა ამ დილით, როგორც არასდროს. მოეაღერსა შამან ერისთავის ქალს.

„მადლი უფალს, რომ კარგად ხარ, ქალავ, მე შენს სანახავად ვაპირებდი გამოვლას“.

მერმე ეს უთხრა:

„სიზმარში ვნახე, ჩემო ლამაზო, წუხელი, იისფერი დოღბანდი გეხურა, თეთრ ცხენზე იჯექი, გეთაყვანე.“

„უღ მე, ავგუსტა, ავეთი სიზმარი ცუდად მაქვს დაცდილი, თეთრ ცხენზე ჯდომა ცრემლებს მოასწავებსო, აგრე მსმენია, სულკურთხეულ დედინემისგან.“

„რას ამბობ, ჩემო მშვენიერო, ცრემლებს რა ხელი აქვს შენს ლამაზ თვალებთან!“

ალიბუხარით საეცე ყუთი გამოუტანა, წინ დაუდგა.

ჰკითხავდა:

„დედისიმედი ხომ არ გინახავს, გეთაყვანე.“
ერისთავის გეგლიციმეძას

არა, არ მინახავსო ამ დილით.

„აბა წადი, კატაის საძილო ოთახში თუ არის,“

უბრძანა მარიამმა ცინცილუკს.

მარიამმა აღარ იცოდა, როგორ გამოესწორებინა თავის გამოჩერჩებულ კარისკაცის შეცდომა.

საბია შემოვიდა, კაკებების საკვები მოიტანა და ერთი ხონჩაც, დამჰქნარი ყურძნით, კომშებითა და ლეღვის ჩირით გავსილი.

დედისიმედი ხომ არ შეგხვედრიო? შეეკითხა მარიამი საბიას.

არც საბიას შეგხვედროდა იმ დილით იგი.

შესაძლოა, თეონასთან იყო.

სთქვა საბიამ.

მარიამი ღიმილით მიუბრუნდა გვანცას:

„რა საქმე გაქვთ შენ და დედისიმედს იმ შექათმე დიაცთან?“

„არაფერი, ავგუსტა, თეონას ერთადერთი ვაჟი მოუტყუეს ზედაზენში თურქებმა, ამაღაც გვებრალება, ჩვენ ამიტომაც ველოლიავენით მას.“

გვანცამ არც ალიბუხარს დააკარა პირი, არც ხონჩიდან ნათავაზები ზილის ქამა ისურვა.

მაგიდაზე გადაშლილ წიგნს დააკვირდა და წამოიძახა:

„ეს რა მშვენიერი წიგნი გქონია, ავგუსტა, რა ჰქვია ნეტავი ამ წიგნს?“

„ეგაა პლატონის „ნაღიმი“ გეთაყვანე.“

„რას ეხება იგი, ავგუსტა.“

„ახლავე გეტყვი, რას.“

ესა სთქვა და საეგებოდ დაადო თითი იმ ადგილს, რომელსაც წინა ღამით კითხულობდნენ მარიამი და დედისიმედი.

მარიამი მაგიდას მიუჯდა და ტაბატით უთარგმნა გვანცას ეს სტრიქონები:

„...შესაძლებელი რომ იყვეს ისე მოეწყოს სახელმწიფო ან რომელიმე ლაშ-

ქარი, სადაც გამიჯნურებულნი წყვილნი იომებდნენ მხარდამხარ, მაშინ სიყვარულში ურთიერთთან გაჯიბრებულ მიჯნურთა ლეგიონს ველარაეინ დაუდგებოდა წინ.“

გვანცას თვალები გაუბრწყინდა, ხოლო მარიამმა წიგნი დაკეცა და სთქვა:

„ასეთი რამ მართლაც მომხდარა ძველებერმენთა ისტორიაში, გეთყვანე, ურთიერთთან გაჯიბრებულ თებანელ მიჯნურთა ამგვარ ლაშქარს უსარდლა პელოპიასმა ოდესღაც და სასტიკად დაამარცხა სპარტელნი თურმე.“

ცინცილუკმა ამბავი მოიტანა: ვერსად ვნახეო ორბელიანის ქალი. ერთი სანუგეშო ამბავი მოიტანა ცინცილუკმა. ბაზიერთუხუცესს, ელარუნას გადაჰყროდა, მისთვისაც უკითხავს. აგრე უთქვამს თურმე ელარუნას, ამ დილით ერთად ვნახეო ბაზილიკებისკენ მიმავალნი დედისიმედი და მეჭათმე თონა.

კატაის დარბაზში თუ იყავიო? არც მანდ არისო.

მეჭათმე თონა ხომ არ გიბოვნიაო? ცინცილუკს არც კი ცოდნია თონას ვინაობა და სამყოფელი. გვანცამ განუმარტა მარიამის თარჯიმანობით: ნადირთ საჩიბეს მახლობლად საქათმეებია გამწყრივებული, იმ საქათმეებს რომ ვასცდები, ბარე სამი ქოხია, ორში ხაზაზებია, ხოლო უკანასკნელ მესამეში თონა ცხოვრობსო.

მარიამი წარამარა კარისაკენ იხედებოდა, ყოველი დაკაჟუნებაზე ცინცილუკის მოსელის მოელოდა, ბოლოს, როგორც იქნა, მოაღწია ამ უკანასკნელმა და ამცნო: ის ქოხი კარგამოკეტილი დამიხვდა, ხაზაზებმა მამცნეს: მცხეთას წასულაო თონა.

მცხეთას წასულაო?

გვანცას ენიშნა: სწორედ ერთი მგზეფსის წინათ ამბობდა დედისიმედი: რათაც არ უნდა დამიჯდეს, სვეტიცხოველი უნდა მოვილოცოვო.

მარიამი ცას ეწია სიხარულისაგან.

„მართლა აგრე სთქვა, გეთყვანე?“
„მამას გეფიციები, ვერც უნდა გუსტა.“

გვანცას
ერთი რამ საქოქმანოდ მიაჩნდა გვანცას:

ამ სიშორეს როგორ წავიდოდლო სალოცავად ერისთავის ასული, ისიც უაშალოდ?

„რა მოხდა მერმე, ბიზანტიელ დიდებულთა ქალები გაეპარებიათ ხოლმე თავიანთ დედამამს და კონსტანტინეპოლიდან ერგასი ეჯის მანძილზე მიდიან მონასტერთა მოსალოცავად.“

მე თავათ რამდენჯერ წავესულვარ ეამსა სიყმაწვილისა რომელმე მონაზუნის ამარა გეგუთიდან სოხასტერს.“

სთქვა მარიამმა და მცირე ხნის შემდეგ დასძინა:

„მოდო ახლა ეს გავივით, რომელი კაზა ჩაუცვამს დედისიმედს, წამოდი, გვანცა.“

გახსნეს კედლის კარადა, ზანდუკები და ვაშკარანები, ფარჩისა და შალის კაბები მანდ აღმოჩნდნენ.

მარიამმა დაადგინა: სანიადაგო თალხი სამოსი გადაუცვამს, ისე წასულაო.

ნაჭარამაგვეს ჩამოსვლის დღიდან მარიამ დედოფალსაც ენატრებოდა მცხეთას წასვლა, მაგრამ უსიამო ამბები ისე წაეწყვენენ ურთიერთს, მან ეს წადილი ვერ აისრულა.

იმ დღეს მზე გამოვიდა და დარიც ისეთი მწყაზარი იყო, ხეებს ფოთლები აკლდა და ველებს სიმწვანე, თორემ ვარდობის თვეო იტყოდით.

პირდაპირ ქალწულური ხალისით შეაგულანა მარიამმა გვანცაც:

„მოდო, წავიდეო, უთუოდ წავიდეო მცხეთას.“

დედისიმედი თონასთან ერთად მცხეთას რომ უნდა ყოფილიყო წასული, ამაში წინასწარ დარწმუნდა მარიამი, გვანცას და ხაზაზების ჩვენებას დაემყარა უმთავრესად იგი, დედისიმედი თურმე მცხეთას წასვლისთვის ოცნებობდა, თონა მცხეთას წასულა, ამ დილით.

ორივენი ერთად უნახავს ელარუნას, მაშასადამე დედისიმიედი და თონა მცხეთას უნდა ყოფილიყვნენ წასულნი.

მცხეთას წასვლა ბალღივით აიჩემა მარიამმა ახლა. მან უკვე იპოვნა მეხთამრიდი დიდზე დიდი მწუხარებისა, რომელიც მოსალოდნელი იყო მისთვის დედისიმიედის შესაძლებელ გადაკარგვის გამო, ახლა საჭირო იყო თუნდაც ორიოდ დღით ნაპარმაგვიდან წასვლა, რათა ამ უკანასკნელი დღეების მღელქვარება მგზავრობასა და ცხენზე ჯდომას გაეძარცვებინა.

მარიამი არ უტყდებოდა თავის თავს, თორემ ქვეშეცნეულად გრძნობდა სხვა რამ, შეფარული ზრახვაც რომ ედო სარჩულად მცხეთას გამგზავრების წადილს.

მცხეთიდან ზედაზენამდის სულ ორიოდ ფარასანგია, ხომ შესაძლო იქნებოდა ნიანია ჩამოსულიყო შემთხვევით მცხეთას და ეს იქნებოდა ფრიად საამური შემთხვევითი შეხვედრა.

რა თქმა უხდა, დავითის წამოსვლა დაამშვენებდა ამ მოგზაურობას, სხვა არ იყოს რა, ან მეფე ეწვეოდა ახლადშემომტკიცებულ ციხეს, ან მარიამი მოიწადინებდა ზედაზენის ნახვას.

თუ უბირი ადამიანები, რომელთა ცხოვრების პირობებსა და ოცნებათ შორის გადაუხიდავი მზღვარია დადებული, მეტწილად აუზღინელი სურვილებით სულდგმულობენ და იოლად ურიგდებიან არ შესრულებას მათსას.

მეფეებს დედოფლებს და ტირანებს გალაღებული ცხოვრების ძალით, ქვეშეცნეულად უვითარდებათ წინასწარი რწმენა, რომ ყოველი, თვით უმციურესი წადილი მათი, უეჭველად უნდა ახდეს და თუ რაიმე მიზეზის გამო ეს ვერ შესირულეს, ისინი ფრიად უბედურად იგრძნობენ ხოლმე თავს.

მარიამმა მტკიცედ გადასწყვიტა მცხეთას წასვლა, მაგრამ ეს აღარ იცოდა, იმ შემთხვევაში, თუ დავით მეფე ვეღარ მოიცილიდა თან წამოსასულად,

როგორ მოეწყო ეს მგზავრობა ისეთნაირად, რომ მეფე გიორგისს დაეცხადოდა და ეპისკოპოსებს შეეცხადებინათ სცემოდათ ეს მოულოდნელი მისი გამგზავრება.

ეს საკითხი გადაწყვეტილიც არა ჰქონდა, ისე შეუდგა საცხენო სამოსელის გამოძებნასა და შერჩევას.

სწორედ ამ დროს შემოვიდა ცინცილუკი და მოახსენა: დიაკონი ტიმოთე გეხლათო, ქუთათელის, მანგლელისა და ბედიელის მიერ წარმოგზავნილი.

რა უნდაო, თუ იცი, დიაკონს? მიაძახა მარიამმა ეზოსმოძღვარს.

კარიდან გაუსვლელად მიუვო ცინცილუკმა: სამივე მღვდელმთავარი ხლეების ნებას თხოულობენ, რა თქმა უნდა, თუ იმპერატრისსა საამისოდ ნებას დართავსო.

ერთი პირობა გულზე შემოაყარა მარიამს, მათ ორგზის უკვე ჰქონდათ სადარბაზოდ მოსვლის ნება ნათხოვნი, შეუძლოდ ყოფნის მიზეზით მოიგერიო ისინი, ახლაც უარი შეეთვალა და მცხეთას წასულიყო, ფრიად და ფრიად უხერხული იქნებოდა ეს.

სადარბაზოდ მოეწვია ისინი? დასხდებოდნენ სტუმრად მოსულნი და სილაიმედის ვერ მოათავებდნენ ხათქმელსა და საუწყებელს.

უცბე ახალმა აზრმა გაიელვა მარიამის გულში: ეპისკოპოსებს თან ვიახლებ, მაშინ არავის მოუვა თავში, რომ ნიანია ბაკურიანის მოსანახულებლად გამგზავროთ იმპერატორისსა მცხეთას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დავით მეფის წამოსვლა მეტად საჭიროდ მიაჩნდა დედოფალს. განა ცოტა შემთხვევა იცოდა მარიამმა ისეთი, როცა ბიზანტიელ იმპერატორებს წარმოშვება, მდგომარეობა, ან სამღვდლოება არ დაანანებდა ამა თუ იმ გამიჯნურებული ქალწულის შერთვას, ეს უკანასკნელნი რჩებოდნენ ხოლმე სასახლეში, როგორც ფაგორიტი¹ თუნდაც შიშუნგართა წინამ-

¹ ფაგორიტი — სიყვარელი.

ღვამის სახით, ასეთი მიჯნურების მთელი დასტა ჰყავდა თავის სასახლეში იმპერატორს, კონსტანტინე მეფერთმეტეს.

ბედისწერის ჭირვეულობის სახით ვერ შედგა დავითისა და დედისიმედის შეუღლების ამბავი.

რა მოხდა მერმე, მარიამ დედოფალი იზრუნებდა იმისთვის, რომ ნომოკანონის დაურღვევლად, ეს ბედნიერება ზელიდან არ გამოსცლოდა მის სათაყვანებელ ძმისწულს.

ამ მხრითაც დავითისა და დედისიმედის შეხედრა თუნდაც მცხეთაში, ამ ცნობისწადილით გახელებული მანდატურებისა და შიმუნვარების თვალთვალის გარეშე, არამც თუ საჭიროდ, აუცოლებლად ეჩვენა მარიამს.

ამ იღუმალი ზრახვებით აღძრულმა უბრძანა ცინცილუსს: რკონის კოშკში წადი და დავით მეფეს მობრძანება სთხოვე, ჩემის სახელით.

ცინცილუსი კარის ზღურბლიდან გამობრუნდა და შეეკითხა:

„ღიაკონი ტიმოთე კარს უკან იცდის და პასუხს მოეღოსო.“

„უთხარაი წაივდეს, თავათ შევეუთვლითქო პასუხს“.

ცინცილუსი შეყოყმანდა და მარიამმა მიიძახა:

„ჩქარა იარე, დავით მეფემ არ გავასწროს როგორმე, თანაც მელიტას უთხარი: ამ წუთში მოვიდეს ჩემთან.“

მელიტას ფარჩის კაბის შარიშური გაისმა დარბაზში.

როცა მარიამმა სამი ეპისკოპოზის ხმობა უბრძანა მელიტას, ქუთათელის ხსენებაზე თვალეები გაუბრწყინდა დიაცს, ციბრუტივით შეტრიალდა და კარისაკენ გაეშურა.

ვიდრე იგი ზღურბლამდის მიადწევდა, უკუიხმო მარიამმა მელიტა და ბეჯითი ტონით უბრძანა:

„იცოდე, წინასწარ მოუხსენებლად არ უნდა შეხვიდე მათთან გესმის?“

მესმისო, სთქვა მელიტამ და კარისაკენ გაემართა.

კვლავ უკუიხმო იგი მარიამმა და უთხრა:

„ეგვე დაიხსომე, მეღვინეა ჩემი ამცნო, თავაზიანად დასძინე: იმპერატორისსა მცხეთის ტაძრების მოსალოცვად გამგზავრებას აპირებს-თქო.“

მესმის, მესმისო, სთქვა მელიტამ და კარი გამოიხურა.

ქუთათელი ნამეტნავად გასუქებული ეჩვენა მარიამს. არხიეპისკოპოზის დაეღაეა ლოყები არ ეთანაბრებოდა მის ბერულ ჩაცმულობას ეს ფაშფაშა, ბრდღვილა მოხუცი უფრო მეტად ხორცის აყვავების მაუწყებელი იყო. ვიდრე სხეულის დაშრეტისა და სულის აღზევებისა.

როცა მარიამი მანგლელ ეპისკოპოზთან საუბრით გაერთო, ქუთათელი წარამარა ესროდა მზერას გათქვირულ თეძოებს მელიტასას, რომელიც ამასობაში მაპარაჯასეულ სარკის წინ მოკურკურე კაკებებს ულოლიაებდა და ეტიკტიკებოდა ტკბილ ხმოვან ბერძნულ ენაზე.

საბია შემოვიდა, შემოიტანა ყურძნით, უნაბით და ჩირით გაქსილი ხონჩა, მეღვინეთუხუცესი მას თან შემოჰყვა და სველი ხელაღები და სამწღეურები დალაგა სუფრაზე.

ქუთათელმა სამწღეური გააესო, მზერამელობა უსურვა დედოფალს, სამწღეური გადასცა მანგლელს, რომელსაც ღვინისთვის არა სცხელოდა, რადგან მას წამოწყებული ჰქონდა თრიალეთის საერისთავოს გაჩანაგებულ ეკლესიათა და მონასტერთა ამბავი.

ქუთათელმა კიდევ მოასწრო ორიოდ სამწღეურის გამოცლა და სთქვა:

„როგორც მელიტამ გადმოგვცა, ავგუსტა, მცხეთას წასასვლელად ვიხმევართ, თუ წამობრძანებას ინებებთ, უკვე დროა გზას დავადგეთ, რადგან მზე სამზოში ასულია უკვე.“

მარიამი გაგულისდა, რა დაბეჯითობით დავაბარე და როგორ აურევიაო საუწყებელი მაგ სულელ დიაცს, ეს არ

გაამხილა და ასე მიუგო მთავარების-
კობოზს:

„დიდი ხანია მცხეთას წასვლას ვლა-
მობ, თუ თქვენც წამობრძანდებით, მო-
ხარული ვიქნები, რა თქმა უნდა, მა-
მანო.“

სამივე ეპისკოპოზმა ერთად დაიბუ-
ბუნეს:

გვახლებითო.

მარიამმა დასძინა:

„თუ მაინც და მაინც შემოგვადამდა,
მუხრანის სასახლეში გავათითო ღამე.“

ბოლოს ცინცილუკი დარბაზში მობ-
რუნდა.

უფლისციხისა და ცხვილოსციხის პატ-
რონნი ხლებიან დაეთ შეფეს, ერისთა-
ეები და სასახლარებიც მანდ არიან,
ამიტომაც არ შემიშვაო მოსახსენებლად
მესტუმრეთუხუცესმა რკონის კოშკში.
მეჯინიბეთუხუცესი ეახლა დედო-
ფალს.

მზად ვახლავთო ეტლები და ცხე-
ნები.

დარბაზის ზღერბლთან მიღწეულმა
ერთი გაიფიქრა:

ღიოფალ ელენესთან შევივლი, ვამც-
ნობო მაინც მცხეთას რომ მივდივარ,
მაგრამ შეეშინდა: გიორგი მეფე ჩამომე-
კიდება: გაცივდებიო და სხვა მისთა-
ნანი...
ბოლოს არც ის მიაჩნდა საჭიროდ დე-
დისიმედის მცხეთას გაპარვა გაეხშიანე-
ბინა მთელს სასახლეში. ამიტომაც დაად-
გა დედოფალი გზას, მხოლოდ შიშუნ-
ვართა წინამდევომი შარვაშისძის ქალი
დაიბარა და უბრძანა: ჩემი წასვლა ამ-
ცნეო დიოფალს.

შუაღლეც არ იქნებოდა გადასული,
როცა მარიამ დედოფალმა აიყოლია სა-
მივე ეპისკოპოზი, გვანცა, კუროპალა-
ტისსა შელიტა და მცხეთას გამგზავრა.
ორი პროტოდაკონი, ორი მონაზონი და
ათი ჩუხჩი თან ეახლნენ მათ.

მარიამი და მისი ამაღა უკვე წასულნი
იყვნენ, როცა საბია გადაეყარა ნახევ-

რად ბნელ დერეფანში მახარას და ლე-
დისიმედის გაუჩინარების ამბავი უმცნო.

მახარას თვალთ დაუხმდლან მცხეთა-
რებისაგან, კედელს წაებოტინა, რას მე-
უბნებო! შესძახა მემამხალეთუხუცესს.

სიბნელის მიუხედავად, მისი მღლევა-
რება შეიცნო საბიამ ანაზღად და უწყე-
ბული უბედურების შერბილებას შეე-
ცადა.

დააშოშმინა მახარა:

„ყველა აგრე უბნობს და მარიამ დედო-
ფალსაც აგრე მოხსენდა: მექათმე თო-
ნასთან ერთად მცხეთას უნდა იყოსო
წასული, მეც აგრე მგონია დედისცხო-
ნებამან“.

„როგორ, ორბელიანის ქალი, თონას-
თან ერთად წავიდოდა მცხეთას, რას რო-
შავ, ბერიკაცო?“

„შეუბღვირა მახარამ საბიას.

„არა, მე არ შითქომს ეს, დედისცხო-
ნებამან, თავი იმართლა საბიამ, არც მე
მჯერა ეგა, დედისცხოვნებამან, ეზოსმო-
ძღვარმა ცინცილუკმა აგრე მოახსენა
და იმპერატრისსაც წამრძანდა დედის-
იმედის საქებნად მცხეთას.“

განცქიფრდა მახარა ამ ამბის გამგონე,
საბიასთან არ განაცხადა თავისი ნახევა-
რი დის აუგი, ისე გულში კი გაიფიქრა:

„ღიატური მალემრწმენლობაა ეგ, რო-
გორ? ორბელიანის ქალი მასპინძლების
უკითხავად, უამალოდ წავიდოდა მცხე-
თას, იმ ბელშავი მექათმის ამარად?“

საბია დერეფანში დასტოვა და რკო-
ნის კოშკში გაბრუნდა კვლავ. წინასწარ
გადაწყვეტილი ჰქონდა, დაუყოვნებლივ
ემცნო ეს ყოველივე დავითისათვის.

დარბაზში ჯერად გრძელდებოდა ბჭო-
ბა, ციხისთავნი, ერისთავნი და სასა-
ლარნი ისხდნენ, ჰყონდიდელი პირისპირ
უჯდა პატრონს და ესაუბრებოდა.

ვაზირთა უპირველესის სიტყვიდანაც
სჩანდა, თათბირს ჯერ არ უჩანდა
ბოლო.

მახარამ მზერა შეავლო დავითს, წი-
ნალამით უძილარს უჩვეულო დაქანცუ-
ლობა ეტყობოდა სახეზე, თვალის უპი-

ნი ჩაშაგებოდა, მის ღაწვისთავეებზე გამ-
ქრალიყო ის მოწითალო ელვარება,
რომელიც გადაკრავდა მთელ სახეს
მისას. იგი ოდნავ მოდრეკილი იჯდა ოქ-
როჭვილი სელზე და გატერინული უს-
მენდა თავის მზრდელს.

კიდევ და კიდევ შეხედა მახარამ ამ
დამწუხრებულ, ძვირფას სახეს, რომელ-
საც წყენისა და დაღლის დამლა ზედ შეკ-
ფენოდა და თავის გუნებაში თქვა:

„ვინ იქნება ისეთი უგულო, რომ მას
ეგზომ დიდი უბედურება ამცნოს?“

არა, თუნდაც ამ წუთში შესწყვიტოს
გიორგი ჭყონდიდელმა მასთან საუბარი
და თუნდაც მყისვე დასრულდეს ბჭობა,
მე არ შეყოფა ქაყაცობა ეს სიმძიმეილი
ვამცნო პირველად“.

მოუთმენლობამ შეიპყრო მახარა, მას
უკვე აღარ შეეძლო გრძელი საუბრის
ბოლომდის მოსმენა, ადგა და სანახევ-
როდ ბნელ დერეფანში გავიდა. მიდიოდა
გაოგნებული, განმგეთუბუცესი წამოე-
წია, წაიდუღუნა:

„შენც მიბრძანდებია პატრონთან ერ-
თად ცხვილოს ციხეს?“

ყური არ ათხოვა მის ბუტბუტს მახა-
რამ და თავჩაქინდრულმა განაგრძო
სვლა. მიდიოდა, თავათაც არ იცოდა, სად
წასულიყო, ვისთვის ემცნო ეს ამბავი
პირველად?

ახლა ეგ აფიქრებდა: ვინ ამცნოვო
თავდაპირველად დარბაზისერთა განჩი-
ნება დედისიმედს?

წინწყაროელ ებისკოპოზზე მიიტანა
იჭვი.

სიზღვევად ეჩვენა საბიას ბუტბური
დედისიმედის მცხეთას გამგზავრების გა-
მო. მისთვის ცხადი იყო, ესოდენ დიდი
უბედურებათა შემცხადების შემდეგ
მცხეთას წასვლის გუნება სად ექნებო-
და იმ სვედავსილ ქალწულს;

ლოცვა თუ უნდოდა, რაღა აგრე შორს
წავიდოდა, შავი ღვთისმშობლის ტაძარი
აქვე არ არის, გინა სამთავისი, გინა სხვა
ეკლესია ნაჭარბაგვეის სანახევში თუნ-
დაც.

ჯერ გიორგი მეფის პალატისკენ იარა,
მერმე მოაგონდა: ალბათ ჯერაც ისევე-
ბენო მეფე და დედოფალი ვინაღმე
ში ჩაჭიდა, ვენახები განვლო და ბაზი-
ლიკებისკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვა
ანაზღად.

შავი ბაზილიკის ხუცე-მონაზონს ეწ-
ვია, დედისიმედი თუ ნახეო დღეს დი-
ლით, ან მექათმე თეონა?

ბოლოს ეკედერებში მცხოვრები მო-
ნაზუნები მოაყვანინა.

არავის ენახა ამ უყანასკნელ დღეებში
არც დედისიმედი და არც თეონა შავს
ბაზილიკაში.

უგუნებოდ დაავლო შავი ბაზილიკა და
მიჰყვა აღმოსავლეთისკენ მიმავალ ბი-
ლიკის გასწვრივ გაწყაპულ ბაზილიკებს,
ზოგი მათგანი დაკეტილი დაუხედა, სა-
დაც კი წააწყდა ხუცესს, დიაკონს, მო-
ნაზონს ან ბერს, ყველას საითთაოდ და-
კითხავდა, მაგრამ არავის უთქვამს მისთ-
ვის სანუგეშო პასუხი.

ისევ გაბრუნდა სასახლეში, კვლავ მია-
შურა რკონის კოშკს, განმგეთუბუცესი
იდგა კარებთან ატუზული: ჯერაც არ
მოთავებულაო ბჭობა. ბოლოს გაბრუნ-
და და გიორგი მეფის პალატისკენ წა-
ვიდა.

* *

როცა მახარამ დედისიმედის გადაკარ-
გვის ამბავი აუწყა გიორგის. სასთაულო-
თან გვარამ ბეგისციხის პატრონი უჯდა
მას, გველცემულივით ზეწამოიჭრა გვო-
რამ ერისთავი და ცრემლმა იწვიმა მისი
ღაწვისთავეებზე.

შეძრწუნდა გიორგი, ჩამაცვითო, მია-
ძახა განმგეთუბუცესი სარიდანს; არა მარ-
ტო გიორგი მეფე, თვით სნეულმა ელე-
ნე დედოფალმა მოინდომა წამოდგომა,
იგი ხელეზგამილილი მინებებოდა შიმუნ-
ვართა წინამდგომს შარვაშისძის ასულს,
მალე, მალეო იძახოდა, თითქოს საკმა-
რისი იყო გასულიყო მისადებ პალა-
ტებში, მყისვე მოძებნილი იქნებოდა
ორბელიანთა ქალი.

გიორგი მეფე გაშრა, ერთი წაიდუღუნა: დაგვედოვო სხვისი შვილის ცოდო, მერმე უხეშად მოიშორა მელოტი კარისკაცი, რომელიც წაღებს აცვამდა მას და წელის ტყვილის მიუხედავად, ახალგაზრდული სიყისკასით ჩაიცვა ქოლოსფერი, ახალი წაღები და აკლოებით გავიდა მისაღებ დარბაზში.

ამ პალატაში უკვე გარს შემოსევდნენ მახარას, არა მარტო მანდატურნი, კარებთან მოგროვილიყვენენ მესარეცხე დიაცები, მეჭურჭლენი, მეურმენი, მკარენი, მემახალენი, მეჯორენი, ბაზიერნი, მესათხველნი.

დედაკაცები ჩუმჩუმად სტიროდნენ უკვე.

მახარა თანდათანობით აღძრულ კითხვებს აძლევდა თანადამსწრეთ, როცა გიორგი მეფე, დედოფალი ელენე და გვარამ ერისთავი შემოვიდნენ დარბაზში, ანაზად შეწყდა ჩოჩქოლი და დრტიენვა.

პატრონის დანახვაზე, წასვლას დაადგნენ მდაბიორნი, მაგრამ მახარამ ორივე ხელი ზეასწია და იყვირა:

ნურავინ გავა პალატიდან, სანამ ყოველი კაცი რაიმე ცნობას არ მოგვაწვდისო.

ყველაზე ადრე ეღარუნა დაკითხვა მახარამ. ბაზიერთუხუცესმა გაიმეორა ცინცილუკისტების მიცემული ჩვენება:

უთენია ვნახე ბაზილიკებისკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვებოდნენო ორბელიანის ქალი და მექათმე თეონა, ბაზთა დასაბურებლად მივიჩქაროდი, და ამის მეტი არაფერი ვიციო.

მახარამ კითხვა მოუნაცვლა:

„ხომ არ გახსოვს რაფერის სამოსი ეცვაო დედისიმედს?“

ეღარუნამ თავზე მოიფხანა, ეგ არ მახსოვსო.

თუ რაიმე ეჭიროო ან ერთს ან მეორეს ხელში, ხელკალათი, ფუთა, ან ვაშკარანი რაიმე?

არც ეგ მახსოვსო.

გვარამ ერისთავმა შეაჩერა მახარა,

გიორგი მეფესა და ელენე დედოფალს შეხედა და სთქვა:

„თუ არა ეცდები, ავტომატურად, ცალცალკე დაგვეკითხა ისინი, ვისაც რაიმე ცნობისთვის ყური მოუტრავს.“

აგრეც მოაწყვეს, სასტუმრო დარბაზის კარი დაკეტეს და სათითოდ გამოხმობა დაიწყეს.

ეღარუნას შემდეგ ჯერი მოუწია მეურმე სესიას, რომელსაც იგოეთის გზაზე შეხვედრია იმ დილით ორი შავოსანი ღიაცი და უთხოვიათ მცხეთას წაგვიყვანეო.

სესია ამდღერა, მას არასოდეს დაუღამს მეფეთა პალატებში ფეხი. არც აროდეს ენახა ასე ახლოს მეფე და დედოფალი, მუხლი მოიყარა, მაგრამ მახარა ყოველ მდაბიორთან შეხებრებული იყო, ამიტომაც ჯერ წამოაყენა, მეგობრულად დაუყვავა სესიას და სთხოვა:

მხოლოდ ისა სთქვი, რაც ნამდვილად გაიგონე, ან შენი თვალთ ნახეო.

„შენ სად მიდიოდი ამ დილით, სესია?“

„მენა? იგოეთს მივიდიოდი, მენა.“

„სად შეგხვდა ის ორი ღიაცი, რომელნიც გიხსენებია გამგეთუხუცესთან დაკითხვაზე?“

„იქ, სადაც გზა უხვევს მხარმარჯვნივ, წისქვილისაკენ მიმავალი.“

„ტანზე რა ეცვათ, თუ გახსოვს, იმ ქალებს?“

„ვეგონებ შავოსნები იყვნენ...“

მერმე კეფაზე მოიფხანა სესიამ, იატაკს დასჩერებოდა მცირე ხანს და სთქვა:

„კარგად არ მახსოვს შენი რისხვა არ მომეცეს.“

მახარა მეფე გიორგის მიუბრუნდა და სთქვა:

„სავეალლოა, ეღარუნასაც რომ არ დახსოვნებია, თუ რა ეცვა დედისიმედს ტანზე.“

ისევ სესიას მიმართა:

„მამ შენ არ გახსოვს თუ რა ეცვა რო-



მელიმე მათგანს?“

„არ მახსოვს, შენი რისხვა არ მომეცეს.“

„კარგი და პატიოსანი, ახლა ეს მითხარი, სესიავ, რომელი მათგანი გამოგელაპარაკა, მოხუცი, თუ ახალგაზრდა?“

თავი ჩაქინდრა სესიამ და სთქვა:

„არც მაგას ჩაგვევინებებოვარ, შენი რისხვა არ მომეცეს, მოხუცი მათ შორის არაიენ ყოფილა, ვგონებ ორივენი ჯეული დიაცები იყვნენ, მე ენგრე მახსოვს, და სხვა უფალს ეცოდინება უკეთ.“

ახლა მეფე გიორგიმ მისცა კითხვა სესიას:

ფული თუ შეგაძლიესო მცხეთას წაყვანისთვის, სესიავ?

ამ კითხვამ დააფრთხო რატომღაც მეურმე, მან კარგად არ იცოდა, თუ რად ახმობინა იგი მახარამ, ან რა მოსვლოდა იმ დიაცს, რომლის გადაკარგვის გამო იყო მთელი ეს აურზაური ატეხილი, ვაჰ, თუ მოეკლას იგი ვინმეს და მე დამბრალდესო რაიმე, ამიტომაც შეკრთა და დაიწყო ლუღლუღი:

„ფულიო, მე არავითარი ფული არ მიმიღია, მეფევე ბატონო, იმ დიაცთაგან, შენი რისხვა არ მომეცეს... და სხვა არაფერი ვიცი მენა, მე რა ბრალი მაქვს, არ ვიცი.“

გიორგი მიხვდა, თუ რად შეკრთა კითხული, დაუყვავა მეურმეს და უთხრა:

„შენ ნუ კრთი, სესიავ ჩემო, არაიენ არაფერში გდებს ბრალს. ჩვენ ხომ შენ არ გაბრალით, თითქოს ფული მიეცეს იმ დიაცს შენთვის, ჩვენ მხოლოდ ეგა გესურს გავიგოთ, ფული თუ შემოგაძლიეს მცხეთას წაყვანისათვის, ხომ გასაგებია?“

სესია დამშვიდდა და სთქვა: „ფული არ შემოუძლევიათ, მე თავიდანვე უარი უთხარი მცხეთას წაყვანაზე, რადგან საღამოსვე ვაპირებდი სასახლეში გამობრუნებას.“

მახარამ ბევრი უჩიჩინა მეურმეს, მაგრამ ამ ფრიად ძუნწი ცნობების გარდა, მსხვა ვერაფერი გამოიტანა მის უთავა-

მო ნაუბარიდან.

ახლა ის მეჯორე შემოაყვანიდა, მატყურამ განმგეთუხუცესს, სწორედ იგი იყო მელიც ამტყიცებდა: ურბნისს მივდიოდი ჯორით და ორი ქალი შემხვდა, ტასისკარის გზა მკითხეს, გზაზე დაეაყენე და გავეცალეო.

მეჯორე ოსი აღმოჩნდა, იგი ოდნავ ნაღვინევი სჩანდა, წარამარა ურევდა ჩვენებას.

როცა მახარა ჰკითხავდა: ახალგაზრდას ეცვაო შავი თუ მოხუცს, ხან იტყოდა: ახალგაზრდას ენდროსფერი ეცვაო, ხოლო მოხუცს შავი, მახარა შეიქცევდა მას გულისგარედ მიცემულ კითხვებით, მერმე დანდობილად მისცემდა კითხვას:

რომელ მათგანს ეცვაო ენდროსფერი, ახალგაზრდას, თუ მხცოვანს?

მეჯორეს თავათ დაავიწყდებოდა ორიოდე წუთით აღრე მიცემული ჩვენება და წამოტორტლავდა:

„მოხუცს ეცვა, სენი წირიმე.“

მახარას ბრაზი წაეკიდებოდა უცებ, თვალს დაუბრიალებდა თუ არა, ისევე იუაეარებდა მეჯორე:

„არა ყმაწვილქალს ეცვა ენდროსფერი, სენი წირიმე.“

ამ ხანგრძლივი დაკითხვისაგან არაფერი გამოიჩევა, ერთის ნაუბარისაგან ირკვევდა, რომ ორი ქალი აღმოსავლეთს წასულა, ორიც დასავლეთს, მაგრამ რადგან ქლარუნამ ვერ აჩვენა, თუ რა ეცვა იმ დილით დედისიმედს, დაბეჯითებით ვერ დაადგინეს, თუ საითყენ უნდა ყოფილიყვნენ წასული თეონა და დედისიმედი?

ცნობილია, ხანგრძლივად ერთად ცხოვრების გამო ერთნაირი შეხედულებანი და ჩვევანი უვითარდება ხოლმე ცოლ-ქმარს.

აგრე ტკბილად დაბერებულნი იყვნენ ურთიერთთან გიორგი და ელენე, ელენეს სათნო ბუნება ისე შეეგუა გიორგისას, ამ უკანასკნელს შავი ფერი რომ ქრუნად მოჩვენებოდა, ელენეც აგრე

იტყოდა უთუოდ:

ერუნათ.

მხოლოდ იმ დღეს მოუხდათ მით მცირეოდენი შებაეჭრება.

ელენეს გულით ეწადა მცხეთაში აღმოჩენილიყო დედისიმედი, მით უმეტეს, რომ მარიამ დედოფალიც მანდ იყო მის საძებრად წასული, ამ შემთხვევაში ყოველივე კეთილად წარიმართებოდა და მის სათაყვანებელ ვაჟს ასცდებოდა დიდზე დიდი სიმძიმელი ამჯერად.

ელენე აგრე ასაბუთებდა თავის შეხედულებას: რაკი ქლარუნა დაბეჯითებით ამტკიცებდა: ბაზილიკებისაკენ მიდიოდნენო დედისიმედი და თონა, ალბათ მცხეთას წავიდნენო უთუოდ, მეურმის ჩვენებაც ზედმიწევნით ასაბუთებდა ამ აზრს.

გიორგი არ დაეთანხმა:

„აბა დაუფიქრდი რას ამბობ ვეუო, ვთქვათ ცამდის მართალია ბაზილეთუხუცესი, ქლარუნა და ბაზილიკებისაკენ ე. ო. აღმოსავლეთით წასულან თრბელიანის ქალი და მექათმე თონა.“

ერთი ეს მიბრძანე, ღვთის გულისათვის, რად არ შეიძლება აღმოსავლეთისაკენ მიმავალ კაცს გუნება შეეცვალოს, ან რაიმე მოსაზრებით ჯერ აღმოსავლეთისკენ იაროს და მერმე დასავლეთისკენ გაუხვიოს, ხომა?

რაიცა შეეხება მეურმის ჩვენებას, ხომ შესაძლებელია სულ სხვა დიაცები წახედნენ იგოეთში მას?

რაო, განა ცოტა ხალხი დადის აქედან მცხეთას ზოგი სავაჭროდ, ზოგი სალოცავად ხომა?“

შიმუნწართა წინამდგომმა შარვაშიძის ქალმა აიჩემა, ალბათ ის ორი, ტაისისკარს მიმავალი ქალი იქნებოდნენო, თონა და დედისიმედი.

გულზე ბრაზი წაეკიდა გიორგის.

„დიაცური ქუამოკლეობის ამბებია ეს ყოველივე, ჩემმა მზემ, ეუბნება იგი გვარამ ერისთავს.“

ან რა ფასი აქვს უთავეამო ბრიტინს

იმ მეჯორისას, რომელიც მახარას შესცივინებდა თვალბში ედა ყოველ წუთში სცვლიდა ჩვენებას მხოლოდ ერთი ვაჟი და ცოცხალი ვაჟი, რომელს ენდროსფერი ეცვა და რომელს შავი.“

ეს მცირე გაბაეჭრება მოთავდა თუ არა, მახარამ შემოაყვანია ორი მეხამლე, რომელნიც ხუთ ცხენოსანს გადაჰყროდნენ ატენის ხეობაში.

სამ ვაეკაცს მიჰყავდათო ერთი პირლამაში დიაცი, ქალი ლოყებს იხოკდა, ორი მხედარი მკლავში ეპოტივებოდნენ და აშოშმინებდნენ, იგი მაინც გულმწარედ სტიროდა, ერთი შავოსანი ჰარმაგი დიაცი უკან მისდევდა ოთხთა, მამაკაცურად ცხენზე გადამჯდარი, იგიც მდულარებას აფრქვევდა თვალთავან, შემცხადებულებით იხოკდა დაწვებს და დაუცხრომლად მიაჯირითებდაო ლაფშა ამოსვრილ ცხენს.

ამ ამბავმა შეაშფოთა გვარამ ერისთავი და თვით გიორგი მეფეც.

ცალ-ცალკე დაკითხეს მეხამლენი: ორივეს ჩვენებიდან შემდეგი წვრილმანები გამოარკვიეს: ახალგაზრდა ლამაზი ყოფილა, ხოლო ჰარმაგი დაწვებადლო ბეჰარტყელი, პირველს თუ რა ეცვა ეს ვერ დაადგინეს, უკანასკნელს ჯგალოს სადიაცი ცმია.

იმ მამაკაცებს, რომელთაც ძალით თუ ნებით მიჰყავდათ ისინი, მოკლე თექები ემოსათ, მეცხეარული წოწოლ ქუდები ხურებიათ თურმე თავზე, ჯაჰვი არ უჩნდათ თქვიდან, მხოლოდ გრძელზე გრძელი სატევრებისთვის წაუტანებიათ მეხამლეებს თვალი.

გრძელი წილამურები ეფინებოდათ წოწოლა ქუდებიდან გადმოდვრილნი სახეზე, ასე რომ არც მათი ეროვნების, არც მათი გამომეტყველების გამო, ვერაფერი თქვეს მეხამლეებმა.

მახარამ განმგეთუხუცესი მოიხმო და ჰკითხა:

თუ ვინმე გეგულებათო ხელახლად დასაკითხავი?

როცა ასეთი არ აღმოჩნდა, გვარამ

ერისთავმა სთქვა.

„ახლა შთავარზე უმთავრესი ეგაა, მახლო, როგორმე გამოვარკვიოთ, თუ ვინ არის და რა ზნეობისაა ის მექათმე თეონა?“

„მიმუნვართა წინამდგომმა შარვაშიძის ქალმა განაცხადა: ფრიად სათნო, გამრჯელი დიაციოა მექათმე თეონა.

სამი ძმა ფარცხისში მოუკლეს თურქებმა მას, ქმარი ლიხეზე დაეჩრხო შარვან, ხოლო წრეულს ერთადერთი ვაჟი ზედაზენში იმსხვერპლესო თურქებმა.

მექათმეთა წინამდგომი ახმოინა მახარამ.

ბურტყლში ამოთხვრილი, თურქვერა მოხუცი დამფრთხალი აცეცებდა მეფისა და დიდებულის დანახვისას თვლებს, როცა მახარამ ტბილად მოუფონა და უხსენა თეონა, მან სიამოვნებით დაადასტურა:

გულმართალი, გამრჯელი და გულისხმიერი დიაცი იყოვო თეონა.

მხოლოდ ამ ბოლოჯამს ოდნავ შეუშვა შრომას ხელი, ამიტომაც ჭირი დაერიოა ქათმებს. ნიადაგ შავი ღვთისმშობლის ტაძარში ლოცულობდა, რაც ებადა აღაბებს შეაღია.

აგრე იქადნიდა: დავით მეფეს თუ კიდევ შეამთხვიეს ომი, ქმრისეულ ჩოხას გადავიცვამ, მის ხმალს წელზე შევირტყამ და ჩემი ვაჟის სისხლს ვაზღვევინებო თურქებს.

ამ ჩვენებამ შეარყია გვარამ ერისთავის იჭვი, რომელიც მას აღუძრა მეხამლეთა ნათხრობმა.

ბევისციხის პატრონი შესაძლებლად სთვლიდა თურმე ასეთ რამესაც: ვინ იცის ეგებ იმ მექათმე დიაცს თურქ მსტოვარებისათვის მიეყიდნოს ერისთავის ასული, და მით მიერ გატაცებული ქალი ენახოსო იმ მეხამლეთა.

დასასრულ ნადირობიდან ახლადმობრუნებული მენადირეთუხუცესი შემოიყვანა განმგეთუხუცესმა.

და სთქვა მენადირეთუხუცესმა შემდეგი:

კვერნაქის მთის სანახებში ზეგლზე ვნადირობდი დღეს დილით, დადგინდნქმნადირი ძაღლებს გაექცა, გზისპირაში იქცა.

ორი ქალი მიდიოდა მცხეთისკენ, ერთს შავი ჯვალო ეცვა, ტანმალალსა და ლაწქმალალს, მეორეს ყმაწვილ ქალს, თალხი სამოსი.

გზისპირად წაქცეულ შევლს თავზე წამოადგა ქალწული, ჯერ იტირა და იტირა, მერმე დრუნჩზე აყოცა მომაკვდავ ნადირს.

„შე კაი კაცო, რას ერჩოდიო ამ მშვენებას ტყისას, ეს საყვედური მესროლა და გზას დაადგა.

ახლა მენადირეთუხუცესის ჩვენებას მოეკიდა დიოფალი ელენე. გიორგი მეფესთან მივიდა და მახეუწარის კლოთი უთხრა:

„მერწმუნე ჩვენო პატრონო, მცხეთაში აღმოჩნდება ორბელიანის ქალი“.

დიღხანს უმტკიცა გიორგი მეფემ თავის თანამემცხედრეს: ცხოველთა მოყვარული და გულჩვილი დედისიმედის გარდა სხუაც ბევრიოა ამ ქვეყნად.

„შენ ხომ უგულოდ მიგაჩინვარ, მაგრამ მშვლის სიკვდილი ისეთი შემზარავი რამეა, მის მშვენიერ თვალთაგან დადენილ ცრემლებს მეც არაერთხვის აუტირებბივარ ტყეში“.

როცა უკანასკნელი იმედიც ხელიდან გამოაიკლეს ელენე დედოფალს, იგი ბალღივით ატირდა და შესჩივლა ქმარს:

„შენ მართლაც უგულო ხარ გიორგი, უგულო, მაინც და მაინც გული უნდა გაუხეთქო ადამიანს“.

მხრები აიჩეჩა მეფე გიორგიმ და განმგეთუხუცესს უბრძანა:

მესათხველეთუხუცესი აქ მომგვარეთო.

მესათხველეთუხუცესს დაავალა: დაუყოვნებლოვ წაეყვანა მესათხველენი, ლიხევი და მტკვარი მოეჩრკიათ ბეჯითად.

ხოლო ვარდოსანისძეს, ქონდაქართუხუცესის ნაცვალს, ჩუხჩნი უნდა წაეყვანა, ატენის ხეობაში წასულიყვნენ

სასწრაფოდ და გამოერკვიათ ამ სამი ცხენოსნის სადასურობა და ვინაობა, რომელთაც ორი ატირებული ღიაცი თან მიჰყავდათ.

ტანასხევისთავს აცნობეს: ხელი შეეწყუთ ამ საკმეში ჩუხჩითათვის.

როცა მანდატურნი და კარისკაცი წაეიღწაოვიდნენ, გვარამ ერისთავი შეეკითხა გიორგი მეფეს:

ხომ არ ვამცნოთო დავით მეფეს ეს ყოველივე?

გიორგი ოდნავ შეყოყმანდა, მაგრამ არც მახარამ და არც გვარამ ერისთავმა არ იყისრეს ეს ეუწყებინათ მისთვის.

ღედოფალი ელენე გადაჭრით უბრუნდა: ისედაც უჭედიდო ყოფილა დამენათევი, ამაღამ მაინც ვაცალოთო დანევენება როგორმე.

გიორგი მეფე ორჭოფობდა, ბოლოს ეგ უთხრა გვარამს:

„რა გაეწყობა, ვეყო, სიავის შეტყობინებას არასოდეს გაუღის ყავლი, ვნახოთ, რას მოგვიტანს ხეაღინდელი დღე. ციხისთავებთან ბჭობა გვიან მოთავდუბა, როგორც შენ ამბობ, ხეაღინდის დავიკადოთ, გუარამ.“

ელენე ღედოფალმა შესტირა ბეჭისციხის პატრონს:

„სიავის დღენი დაგვიღგა გვარამ ბატონო.“

გვარამ ერისთავს სინანული წაეკიდა გულზე: ნეტავ მომკვდარიყავ და არ გაგვგზავნეთო შარაღანს.

* *

უკვე შეღამებული იყო, როცა ციხისთავები დაითხოვა დავით მეფემ, სპასალარები და ერისთავები დასასვენებლად წაეიღნენ. ფრიად უგუნებოდ იყო, თავის ტკივილი მოსძალეზობდა.

მისივე სურვილისამებრ მესტუმრეთუხუცესის მიერ მორთმეული ვახშამი მაგიდაზე დასტოვა.

სარკმელი გააღო, მკირე ხანს იღგა გაოგნებული და გადასცქეროდა ციხის ეზოში მოღასლასე ლანდებს გუშაგე-

მისას, მერმე თავათვე დასტოვა იგი, საწოლისკენ წაეიდა. ერეკლე უკვე აგრე განიზრახა: დედოფალითურედს, მერმე გაევიღო მამიდა მარიამის პალატებისკენ.

ნახევრად ბნელში იწვა პირქვე დამხობილი, უცნაური მოუსვენრობა შესდგომოდა იოგებში.

მის შემეცნებას დაუცხრომლად ღრღინოდა მქენჯნავი ფიჭვი: მარიამ დედოფლის დარბაზში უთუოდ შეეყრებოდა თავის სასურველს, რა ეთქვა, რითი ენუგეშებინა ეს სვეგამწარებული ქალი, რომელსაც ზედიზედ დაატყდა თავზე, ქმის მოკვლა, მამის დატყვევება და ახლა ახალი, და დიდზე დიდი უბედობა ამგვარი, განცხადებული სიავისი დღეს...

როგორი საშინელი და უპიკველი პირვეულობაა ბედისა!

ნეტავ თუ გაიგო წუხანდელი ბჭობის ამბები, ან ვინ ეტყოდა?.. ვის ეყოფოდა გულბორიტება ეს ყოველივე ემცნო მისთვის?

და თუ როგორ გაიგო, რა სთქვა?

აგრე ეჩენა დავითს: მეზუთებო სული, გადასწყვიტა: ისევე ჩაეცვა ტანზე და მარიამ დედოფლის სამყოფლოსკენ წასულიყო.

მიჰყვებოდა ნახევრად ბნელ დერეფანს, მანდატურნი და მემამზალენი კედელზე აკრულნი უცდიდნენ პატრონის გავლას, ყველანი ცახცახებდნენ.

არაფერი გვეითხოსო.

განმგეთუხუცესი მოდიოდა დერეფნის მეორე თავიდან, შორიდან დაღანდა პატრონი, სუნთქვაშეკრული შევარდა სასადილო დარბაზში და მანდ გაიტყარინა.

შიმუნვართა წინამდგომი შერქაშისძის ასული წინ შემოეყარა, ქალი ათრთოლდა:

ვაა, თუ მომიხმოს და მკითხოსო რაიმე.

დავით შესდგა მკირე ხანს, მერმე განავარძო გზა და მარიამ დედოფლის პა-

ლატებს მიაღვა.

კარზე დააკაუნა, არავინ გაიღო ხმა, შიმუნვართა წინამდგომი მოვარდა: აქელებულმა მოახსენა:

მცხეთას წაბრძანდა იმპერატორისა.

დავითი გაოცდა: უჩემოდ როგორ წასულანო მცხეთას?

კიდევაც რომ მოენდომებინა ჩემი ნახვა, როგორღა მნახავდა!

გამობრუნდა და გიორგი მეფის დარბაზისკენ გაეშურა.

რკონის კოშკიდან გამოსულ ერისთავებსა და სპასალარებს დედისიმედის გადაკარგვის ამბავი რა გაეგოთ, გიორგი მეფის სამყოფლოში მოვროვილიყვნენ.

როცა დავითი დიდ დარბაზში შევიდა, მეფე-დედოფლის გარდა, ყველა ფეხზე იდგა.

დავითმა კარის ზღურბლზედვე გაიგონა ცხარე საუბარი, მის შემოსვლაზე ყველამ გაკმეიდა ხმა...

სდუმდნენ მეფე გიორგი და დედოფალი ელენეც.

დავითმა მზერა შეაგლო მსხდომართა და მდგომართ, გაოცდა ამ ერთობლივი დუმილის შემცნობი და სთქვა:

რა მომზდარა, რად გეწყინათო ჩემი შემოსვლა?

ყველანი თავჩაქინდრულნი სდუმდნენ დაქინებით კვლავ.

რა მოხდაო?

ისევ იკითხა პატრონმა.

ისევ და ისევ მამამ, რომელიც ყველაზე გულმამაცი მტკირთველია ჩვენი სიმძიმისა, სავსებით ფერგანამკროთალმა ცივი ოფლი ჩამოიხოცა შუბლიდან და აუწყა მას, რაც მოხდა სიავის იმ დღეს.

ღიოფალი ელენე საწოლზე წაიქცა, ისევ დადუმდნენ ყველანი მხოლოდ შეკავებული ქვითინი ისმოდა დედისა...

დავითი გახევდა, ლანის ფერმა გადაკრა ლაწვის თავებზე, საკარცხლულზე დაჯდა ხმისგაუღებლად.

ელენემ მხნეობა მოიკრიფა, წამოდგა და ისევ დაიწყო მტკიცება: დედისიმე-

დი და თეონა მცხეთას უნდა იყვნენ წასული. ახლა გიორგი მეფე და გვარამ ერისთავიც განგებისად, ნაკვეთიანი ელენეს. მახარამ მეურმისა და მენადირეთუხუცესის ჩვენებანიც გაიმეორა.

როცა მახარამ მკეათმე თეონა ახსენა, დავითმა მოიგონა ლაწვამდალ, ცხვირწამახული შავებინი დედაკაცი, რომელიც ამ ბოლო ხანს გვანცასთან მთარული ენაბა ხშირად.

ისევ დადუმდნენ ყველანი, ისევ ატირდა დედა, რადგან დარწმუნდა, რომ არც დავითს ეჩვენა დამაჯერებლად მცხეთას გამგზავრების ამბავი.

დავითმა ველარ აიტანა გულისმომწყულველი ტირილი დედისა, ვერც გაუტეხელი დუმილი თანადამსწრეთა, ადგა და უხმოდ გავიდა დარბაზიდან.

მახარა, გვარამ ერისთავი და განმგეთუხუცესი უკან გამოუდგნენ, შესდგა მიუბრუნდა მათ და თავაზიანად დაითხოვა ისინი.

ციხის ეზო გადაიარა, კენახებში გადავიდა და მიჰყვა ჩამობნელებულ ხეუნებს ვენახისას, სადაც არა ერთჯნის უსეირნია ღამღამობით თავის სასურველთან.

ნადირთა საჩიხეს ჩაუარა, ისევე, როგორც გასულ ზაფხულში მიწაზე პირქვე დამზობილნი თუჯის ქანდაკებებსავით მიწაზე განრთხმულნი იწვნენ ირმები, დათვები და მგლები, მხოლოდ საწყალობელი მარტოხელა აძუ, მოუსვენრად დაწრიალებდა ჯებირებს გადაღმა.

რადაც უცნაური, საწყალობელი ხმა გაიღო მან, როცა ლანდის მოახლოება შეიცნო, რადაც სამუალო, ხბოს ზმუილსა და ზაქის ყოყინს შორის.

გულისმომწყულველი იყო ეს ძახილი უმწყო მარტოსულისა. სიავის იმ ღამეს...

დავითმა კიდევ მიხედა ბნელში მორიალუ ლანდს, მელიების საჩიხსკენ წავიდა, თავის ტკივილი გაუმძაფრდა უსიამო სურმა, მენადირეთასახლს ჩაუ-

არა და ბაზილიკებისაყენ მიმავალ გზას დაადგა.

მიდიოდა, არც კი იცოდა სად მიდიოდა, ან რად?

ოფლმა გამოიყონა მის საფეთქლებში, მუხარადი მოიხადა და შუბლი შეუშვირა ლამეულ სუსხს:

ის გულდაგულ მიდოდა შავი ღვთისმობლისკენ, კარგად იცოდა: მანდ არ დაუხვდებოდა თავის სასურველი, მაგრამ მაინც ეწადა: ერთხელ კიდევ დაეხენდა იმ ადგილისთვის, სადაც მტვერში განრთხმული ტიროდა იგი...

ისე უმწეო და საწყალობელი, როგორც ის ლანდაღქცეული აპუ...

შავი ბაზილიკიდან ძაბუნნი შუქი მოდიოდა, მიჰყვებოდა ჩამობნელებულ ტრამალს...

ღია დაუხვდა ბაზილიკის კარები, ორი მონაზონი დამხობილიყო აგურის იატაკზე, გულამოჯდარი სტირიდნენ, უმწეოდ ფართხალებდნენ მტვერში.

ხუცეს მონაზონი კანკელს ვადაღმა პუტუნებდა...

ღვთის მშერა მისწვდა შავი, ლაწვმაღალ ღვთისმშობლის უსიამოდ შავ სახეს, ეკალივით წამახულ ცხვირს, განიერსა და კუთხედებიან მხრებს, სიფრიფანა ტუჩებს.

ახლა შეიცნო უცნაური მსგავსება მისი მექათმე თეონასთან. ნამდვილად, ნამდვილად, თეონა ისე ჰგავდა მას, როგორც ტყუბთაგანი თავის ორეულს.

დიდი მწუხარება ისე ბანგავს გონებას, რომ მის შემცნობს აფიქრებიანებს ხოლმე შესაძლებელის შეუძლებლობას, აუხდენელის ახდომას და დაუჯერებელის სარწმუნოდ მიჩნევაც ასეთივე სიმძიმის შედეგად ხდება.

ამიტომაც გაიფიქრა ღვთისმამა:

3. „ნათობი“, № 2.

ეგებ ამ ორ მლოცველ შავოსანთა შორის, ერთი ღვთისმშობელი იყო, (იყო და სანიადაგო თაღ კაბას მტვერში იგი ტაძარში წასვლისას).

ეკეშმარიტა ეს ფიქრი ღვთის.

ჯიქურ მივიდა კანკელთან, თავლის სანთელი აიღო და ანთო, მერმე თან წამოიღო და ფრთხილად მიაშუქა მლოცველთ.

წელში მოღრეცილი ღვთისმშობელი აღმოჩნდნენ ეს შავოსნები. გარედ გასვლის წინ უკანასკნელად გახედა პირბნელ მოირას მრისხანე სახეს და ისევე მიაშურა ტრამალზე განრთხმულ სიავის დამეს.....

რკონის კომკში მიბრუნებულმა ტანთ გაიხადა, ძილი სცადა, მაგრამ გამუდმებით ესმოდა მარტოხელა აპუს საწყალობელი ზმუილი და შავი ღვთისმშობლის ხატება ელანდებოდა.

სათითოდ ასწონ-დასწონა მეფემ მახარას მიერ ნაამბობი ჩვენებანი, მენადირეთუხუცესისა მეურმისა, მეჯორისა და მეხამლეთა.

მისი ფიქრი ამ უკანასკნელთა ჩვენებაზე შეჩერდა დიდხანს.

სამ მხედარს მიყავდათო ორი დიაცი, ერთი პირლამაზი და ერთიც შავოსანი, კარშავი დიაცი?

რად არ იქნებოდა, შესაძლებელი, გზად მომავალი ღვთისმშობელი და თეონა, შეეპყრო თურქ მსტოვარებს და გაეტაცნათ?

ვინ იცის ეგებ სულტანის მოგზავნილიც ყოფილიყვენ?...
აა!...

დიდხანს იფიქრა ამის გამო და დასასრულ დაასკვნა:

ენახოთ რას გვეტყვიან ატენის ხეობიდან მობრუნებული ჩუხჩინი?

წამოდგა, სასანთლენი აანთო და ნომანის წიგნის კითხვას შეუდგა—სიავის იმ ღამეს...

მოუთმენლად უცდიდა ჩრდილისძვრას და როცა ციხე-სასახლეში ისევ განახლდა ცხოვრება, კარისკაცთა რბენა, გუშაგების სტვენა და ძახილი. მანდატურთა უხმობლად პირი დაიბანა, ტანთჩაიკვა და მიჰყვა ნახევრად ბნელ დერეფნებს.

მარიამ დედოფლის პალატებამდის მისული არ იყო, როცა საბია შეეყარა, მემამულეთუხუცესი.

დავითი შეეკითხა: ხომ არ მობრუნებულია მარიამი მცხეთიდან?

კატაი სიკვდილის პირად იყო მიმდგარი წუხელ, მე და შარვაშისძის ქალი ვუთქვდითო ღამეს.

ამიტომაც არა სცოცხლოდა საბიას დაბრუნდა თუ არა დედოფალი მცხეთიდან.

საბია უკან მოსდევდა პატრონს და ბუტბუტებდა თავისთვის:

„ეგებ მოსულიც იყვნენ მცხეთიდან მარიამი და დედისიმედი უფლისწულო ჩვენო პატრონო.“

შეუძლებელი არაფერია, უფლისწულო ბატონო, მცხეთას იქნება დედისიმედი წასული“.

ამ უმწეო ბერიკაცის ჩიჩინმა ქრთილის ოდენა იმედი აღუძრა დავითს ვულში.

მხნე ნაბიჯით მიჰყვა გრძელ დერეფანს, თანაც ფიქრობდა:

„ვინ იცის, ეგებ ენამ უყვილოს ამ საცოდავ საბიას, მარიამ დედოფლის

პალატის კარი გაიღოს და დედისიმედ წინ შემომეგებოს და ეს ექნება დედისიმედის სიკეთისა.“

მოფრატუნებდა უძილარი საბია და ბუტბუტებდა დაუცხრომლად: „ყველაფერი განგებითაა, უფლისწულო ბატონო, და მლოგვის მარცვალიც არ ჩავარდება სიცალიერეში, არამოთუ ადამიანის სული, დედისცხოვნებამან.“

მერმე ისეთი ღეთისშვილის სული...

ყველაფერი განგების ნებაა და ალბათ ეგვეცა: როგორც მდინარენი მიდიან და აღარ მოდიან, ისე ილევინ დღენი და თან მიჰქვთ ნატამალი ჩვენი სულსა და ხორცისა.“

მიღწია თუ არა მარიამ დედოფლის პალატებამდის, დავითმა მკვეთრად, დააკაუნა კარზე,

თავნეხვეული მონაზონი გამოვიდა, მეფის დანახვაზე დაფეთებულმან ზედ კარის ზღურბლთან დაიჩოქა ანახლად. ხომ არ ჩამოსულანო?

შეეკითხა დავითი.

ჯერ არ მობრძანებულანო. იყო პასუხი.

დავითს მუხლები მოეჭრა ამის გამგონეს, საკარცხლულზე ჩამოჯდა ანახლად.

ღამშეული კაცები მისეოდნენ მაპარაჯასეულ სარკეს. აწრიალებულნი კაკანებდნენ და კრიახობდნენ, სარკის სიღრმიდან უხმობდნენ საკუთარ ღანღებს.

თავჩაქინდრული იჯდა დავით მეფე და ამ ტანბატულა ფრინველთა წრიალს განიცდიდა როგორც ბედისწერის წამყოფას სიავის იმ დღეს...

XXIII

სირაპლენა და ყვითელი ძოვხა



მუშაობები

...მას ეამსა განიცადა შეფეშან გონებისა თუალითა, კეთილად, გულისხმა ეს საქმე რომლითა მოიმაღლებდა ღმერთსა და სარგებელი იქნებოდა, რამეთუ წმინდანი ეკლესიანი, სახლი ღმერთისანი, ქება-აგაზაკთა კმნილნი, უღირსთა და უწყესთა მამულობით დაეპერნეს საეპისკოპოსო, ვითარცა ავიახათა, და მათნივე მშგავენი ხუცესნი და ქირეპისკოპოსნი დაედგინნეს, და თუთ სახელითა უფლისათა, და მღვდელთაგან გამოვიდოდა უოველი უსჯულოება და ცოდვა, რომელთა თუალი ღმრთისა, ხედვიდა უოველთა და განჩისხებულ იყო, ვითარცა ზემო ვთქვით...

და რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღვდელისა და მხედრისა, არცა ერისა და მღვდელმთავრისა, არცა მწყემსისა და სამწყესისა...

...მათ უკვე ესე ვითარცა და დიდთა წულულებათა კურნებად შემოკრბა ერთ მრავალი; სამეფოსა თვისასა კათალიკოსნი, მღვდელმთავრნი, მღვდებანი, მოძღვარნი და მეცნიერნი — შემოკრბნა უოველნი წინაშე მისსა, ეამსა და ადგილსა ჯეროვანსა, და დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილეთა კეთილად გამოიძიეს, უოველთა ცთომა განმართეს, კეთილი და სათონი ღმრთისა წესი უოველი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი განკუთვნეს და შეაჩუენეს, ვარდამოსთხინეს საყდართაგან და რამეთუ მწელა იყო ესე, რამეთუ იყუნეს კაცი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწყსოდ დაეპურა საყდრები, და მათ წილ მკემპირტნი და სათნონი ღმრთისანი მწყემსნი დაადგინეს."...

დავითის ძოვნიძღვან.

* *

ქარბმან სეტეელმა მუხრანის სასახლეში გაათეენა დამე ზარადიან სტუმრებს, მხოლოდ მეორე დღის ნაშუალაშვეს უწიეს ზედაზენის ციხეს.

ნიანია გულდასმით ურჩევდა მათ. საშოსელი გამოეცვალათ, მენადირეთა კაბა-ჯუბანი ჩაეცვათ, ცხენები ზედაზენში დაეტოვებინათ, მამკოლიდან თეხით გადასულიყვენ ბოქორმას.

მესამე დღესვე აღჭურვა ისინი მენადირის გულა-ნაბადითა, მთიულური ბანდულებით, თხილამურებით და წრიაპებითა.

თან გაატანა მათივე სურვილისამებრ სიტყვავი ქორა, გოდერძი ხორგაი და ზედაზენს შემთხვევით ჩამოხეტებული ნადიაცენარი ხახუტაი, რომელსაც უკვე მოსწყენოდა მუცელღმერთობა და ამ ძველ პალესტინელს კვლავ მონატრებოდა ომი. ნიანიას არ უნდოდა გული

ვაეტეხნა კახთა ერისთავებისა და ხევისთავთათვის, თორემ თავათ არა სჯეროდა, რომ ისინი შესძლებდნენ რაიმე ხრიკებით აღსართან მეფის ბოქორმის ციხე-სასახლიდან გამოტყუებას და ამ ვზით შეპყრობას მისას; რადგანაც ჯერ კიდევ არ იყო წარხოცილი ხალხის ხსოვნაში ჯონდი ერისთავის მიერ რატის გამოტყუება ხულუტის ციხიდან და ნადიროპის დროს შეპყრობა ლიპარიტისა. იგიც კარგად იცოდა ნიანიამ, რომ ამ ბოლოხანს აღსართან კახთა მეფე ფრიად უგუნებოდ იყო. მრავალგვარი ვითარებანი აძლევდა მას ამის საბაბს.

როგორც უოველ ადამიანს, დაბალი გონებისას, მას უამისოდაც წამახული ჰქონდა თავდაცვის ცხოველური ინსტიქტი.

ზედაზენის აღების შემდეგ, დავით მეფის დაეალებით წარამარა აგზავნიდა ნიანია ბაყურიანი მსტოვარებს კახეთპერეთის ციხეებსა და სასახლეებში.

ასე რომ სიტყვაი ქორა და გოდრ-
ძა ზორგაი, ხან მჭედლების, ხან მესამ-
ლეების, ხან კალატოზების სახით გადა-
მულნი შინაკაცებივით გაჩვეულნი იყ-
ვნენ მანდ.

განსაკუთრებით სიტყვაი ქორას ემარ-
ჯვებოდა უჩინმაჩინობა, ვინ გაიფიქ-
რებდა, რომ ამ თხუბნია, დაფეხვილი
ქონდრისკაცის გულში ვაყვაცობის რაი-
მე ნაპერწყალი თუ გაიფლავებდა
ოღესმე.

ამგვარად ორივეს საკმაოდ მჭიდრო
კავშირი ჰქონდათ გამბული კახთა მე-
ფის მესმლეებთან, მესაწოლე ბერებ-
თან და მეჯინიბებთან.

კვირიკეს სიკვდილის შემდეგ ეს ამბა-
ვი უფრო გაიოლდა, რამდენადაც მდა-
ბიორნი ქრისტიანეთაგანი დიხაბც და-
წუხებულნი იყვნენ აღსართანის ტახტ-
ზე ანელისაგან.

ვახარებულნი იყო თავათ აღსართან,
მაგრამ არც ისე, როგორც ეს მის
მტრებს ეჩვენებოდათ. ცნობილი ამბა-
ვია: როცა კაცი უღირსი და უმეცარი
შემთხვევით მოექცევა ქვეყნის სათავე-
ში, იგი სხვაზე მეტად თავათ განიციდის
ხოლმე საკუთარი ძალაუფლების მერ-
ყობასა და ეფემერობას, ამიტომაც იკ-
რებს იგი უკანასკნელ ძალას ბედის
უსაზღვრო თამაშის მეოხებით ბოძებული
ხვედრის შესარჩენად.

აღსართანს ზედღიზედ გაუფუჭა გუნე-
ბა რატის მოკვლამ და ლიბარტის შეპ-
ყრობამ.

ბოლოს კვირიკე მეფის სიკვდილმა მას
გზა გაუხსნა. ტახტისკენ, მაგრამ არც
თუ ისეთი რეგვენი იყო აღსართან, რომ
არ შეეგნო, თუ რა ჩრდილიანი მხარეე-
ბი თან ახლდა ამ ამბავს.

კვირიკე "ფრიად ღვთისმოსავ და
ხუცთამოყვარულ" მბრძანებლად იყო
ცნობილი, ამიტომაც უჭერდნენ მას
მხარს კახეთ-ჰერეთის როგორც შავი,
ისე თეთრი სამღვდლოება, განსაკუთ-
რებით ეპისკოპოზნი და ძმანი თავად-

თაგანნი, დიდთა მამულთა და ციხეთა
პატრონნი.

იგიც კარგად უწყობდა აღსართანს
სწორედ ამ გარემოების მეოხებით დას-
ჯერდა დაეით მეფე ზედაზენის აღებას,
ჯერხნობით ერიდებოდა კახეთ-ჰერე-
თის ციხეთა დალაშქვრას, ქრისტიან
მეფის მოკვდინებას, ან ისეთი ხერხით
მის დატყვევებას, როგორც მან ეს მო-
უწყო კლდეკარის ერისთავს.

დასასრულ რატის სიკვდილი საზიანო
იყო კახთა მეფისთვის არა მხოლოდ
იშის გამო, რომ ამ ამბავმა ხელიდან გა-
შოცალა მას ფრიად მამაცი და თავ-
აწყვეტილი მოკავშირე საერთო მტერ-
თან ბრძოლაში.

იმ წლებში, როცა თრიალეთიდან გა-
ძევებული რატი და მისი აზნაურები
დაწოწილბდნენ კახთა მეფის სასახ-
ლეებში და წარამარა აქეზებდნენ მას
დაეით მეფის მოშობა დაეჩქარებინა
როგორმე, ამ სახიფათო თამაშში ჩასატ-
ყუებლად რატი ორბელიანი იღუმალ
პირდებოდა აღსართანს თავისი დის,
დედისიმედის ხელს, მაგრამ საამისოდ
უცილო პირობას უყენებდა აღსართანს:
მის კანონიერ თანამემკვიდრეს, ანასტა-
სიას უნდა გაჰყროდა წინასწარ.

აღსართანს თრიალეთში ყოფნის
დღიდან გულში ჩაჰრილი ჰქონდა ღე-
დისიმედისადმი ტრფიალი, იგიც კარგად
ახსოვდა, თუ რა უქმეხად უპასუხა ამ
უკანასკნელმა მის გამოიჯნურებას, მაგ-
რამ აგრე ფიქრობდა: დიაცს ვინა-
სთხოვსო სამაგიერო სიყვარულს, და-
ვით მეფეს რა მოვაშობ, ეს საკითხი
თავათ მოგვარდებოდა.

რატის შესაჯერებლად ერთ ორჯერ
წეეთათბირა კიდევაც ბოდბელ ეპისკო-
პოზს, ზაქარიას, იღუმალ: ნომოკანონი
თუ დამრთავსო ცოლთან გაყრის ნებას,
როცა მისგან ალობა მიიღო, შეყოყმან-
და, უცდიდა: რითი გათავდებოდა რატის
მიერ დაქადნებული გეგმა შიდა ქართლ-
ში შექრისა.



სწორედ იმ შემოდგომაზე, როცა არსთავეის მისადგომებთან დაამარცხა ჯონდი ერისთავმა აღსართანი და რატი, ხატობაზე გადგნო აღსართანმა ერისთავის, არიშიანის ერთადერთი ქალი, ნანა და მისდამი უკურნებელი ვნება მოექცო გულზე.

არც ქერაჯულულიანი ნანა შეხვედრია გულგრილად ამ ბექპრტყელსა და ახოვან ვაჟკაცს. რომელსაც ვნებიანად უბრწყინავდნენ ალუჩისფერი დიდრონი თვალები.

იმ დღეს აღსართანს ფრიად შვენოდა მოლაღურისფერი არაბული კაფტანი და ვეფხისფერი კაბა ფარჩისა.

ნანა იბნიდებოდა ამ პირმშვენიერი ვაჟკაცის ყოველ შემოხედვისას.

აღსართან ამ დღიდან უგზავნიდა მოციქულებს ხორჯის ციხის პატრონს, არიშიანს და დამოყვრებას სთხოვდა. მაგრამ ამ უკანასკნელს არ მოსწონდა თავქარიანი აღსართან, გამოტეხილი უარი ვერ შეჰბედა უფლისწულს და მიზეზად მოსდო: კანონიერი მეუღლე გყავს და ამაღაც ვერ გაგატანო ქალს.

იმავე დღეს, როცა ეს პასუხი მიიღო აღსართანმა, იხმო ზაქარია, ბოდბელი ეპისკოპოსი და მოსთხოვა: გამყარეო ცოლთან.

ვიდრე ამ განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, მესაწოლე ბერმა, ულუშპამ, რომელმაც სმენა წაატანა ამ საუბარს, ყოველივე წერილად უამბო ანასტასიას, ეს უკანასკნელი აღშფოთდა, ღამით გაიპარა ხორნაბუჯის სასახლიდან და მამისეულ ოჯახს მიუბრუნდა მკაპებლის ციხეში.

ახლა კვლავ მიუგზავნა აღსართანმა ბოდბელი ეპისკოპოსი არიშიანს და განმეორებით სთხოვა მას დამოყვრება. არიშიანს უკვე ხელსაჭიდი მიზეზი აღარ გაჩნდა, მაინც უარი შეუთვალა უკვე კახთა მეფეს, აიყოლია ქაეთარ ბარამის-

ძე და სამი ხევისთავი და ნაჭარბაგვეს წავიდა იღუმალ.

ერთი კვირაც არ გასულა, მემდეგ, განძელი ყადი ჩამოვიდა ბოჰორმის სასახლეში და ამცნო აღსართანს: განძის ამირა, ათაბეგი გოზგოლი სულტანს მოჰამედს მოელის სპიანად და სულტანის პატივსაცემად მოსაწყობ ნადირობაზე გიწვევსო.

ვიდრე სულტან მოჰამედი განძას ჩავიღოდა, ლხინის დროს განაზრახა ამირ გოზგოლიმ აღსართან, შიდა ქართლის დასალაშქრავად ჩამოდისო სულტანი განძას, თანადგომასა და მეგზურობას სთხოვდა.

ამ კავშირის განსამტკიცებლად ამირ გოზგოლიმ დამოყვრება შემოსთავაზა: აღსართანს უნდა შეერთო სამი წლით მასზე უფროსი, ერთადერთი ქალი ამირასი, აიშე.

ერთ ორ დღეს იყოყმანა აღსართანმა, ამასობაში დიდძალი სპით ჩამოვიდა სულტან მოჰამედი განძას.

ნადირობის დროს დამოყვრების თანხმობა მისცა აღსართანმა ამირ გოზგოლის, მოჰამედის თანდასწრებით.

ირანისა და არაირანის სულტანს იამა ევ. მან მოიგონა ძველი ამბავიც, როცა აღსართან I კახთა მეფე ისპაჰანში ეახლა მალაქ-შაჰს და მამამდის შჯული მიიღო.

ყოველივე ამის საფასად სულტანმა აღუთქვა აღსართანს უქცეველი თანადგომა „დავულ“ მეფესთან ბრძოლაში და კახეთ-ბერეთის ამირას წოდების ბოძება.

წინადაცვეთისა და ნიშნობის ცერემონიები დიდის ზეიმით მოაწყო განძის ამირამ.

სულტანი მოოქროვილ სელზე იჯდა, მისნი მხლებელნი ამირანი და საჩანგნი ფეხზე იდგნენ, ყურანის წარმოთქმელნი გამყიფანი ხმით გალობდნენ სურას ყურანისას:



...აჰ, ეგ არის ძროხა,
 არცა ბერწი, არც უშობელი, ამ ორთა შორის შეაღელი
 და მოექეცით მას, როგორც გენებოთ...
 და თქვეს მათ: ევედრეთო ჩვენს ნაცვლად უფალს,
 რათა განგვიმარტოს: რა-ფერისაა ეგ ძროხა?
 და მიუგეს მათ: ეგ არის ყვითელზე უყვითელესი ძროხა,
 მკერეტელისათვის აღმძრავე ვნებისა.
 და სთქვეს მათ: ევედრეთო ჩვენს ნაცვლად უფალს,
 რათა განგვიმარტოს, რა ფერისაა ეგ ძროხა.
 რადგან ჩვენ გვანან ეგ ძროხები ერთობლივ.
 და რქვა მან: აჰა საცნაურ ჰყავით ეგ არის ძროხა,
 ულისათვის უხმარი, ერქვანისათვის უხმარი,
 ჯანსალი და უზადო წორცითა.
 და შემდგომ ამისა, მსხვერპლად მოიტანეს ძროხა იგი
 ყვითელზე ყვითელი“.

აღსართან და მისი მხლებელი ჰერე-
 თელი რაინდები უსმენდნენ ამ ვალო-
 ბის, აღსართანმა ჩინებულად იცოდა
 არაბული, მაგრამ ამ სტროფის რიტუ-
 აღურ მნიშვნელობას ვერ ჩასწვდა,
 ჰერეთელმა მისმა აზნაურებმა „ყვითელ
 ძროხას“ წაატანეს მხოლოდ და მხო-
 ლოდ სმენა.

იმევე დღეს განძაში მიუბოძა აღსარ-
 თანს სულტან მოჰამედმა მდელოსფერი
 მენდილი, ისეთი როგორიც სელჯუ-
 კიანთ ამირებს ეხურათ ხოლმე იმეამდ
 თავზე. მენდილზე სირაქლემას ფრთენი
 იყო მიკრული, ჩიტისკვრაცხის ოღენა
 აღმასითა.

აღსართან თავათ მაღალი იყო, როცა
 ეს მენდილი თავზე დაიხურა მაღალ
 კანჭიანმა ვაჟკაცმა, კახეთს მობრუნე-
 ბულს „სირაქლემა“ შეარქვა ხალხმა,
 ეგ მას აცნობეს კიდევაც მისმა ნათესა-
 ვებმა, მაგრამ აღსართან ისე გაწუწკ-
 ბული იყო სულტნებისაგან ნაბოძებ სა-
 პატიო ნიშნებზე, იგი ცას ეწია სიხა-
 რულისაგან. მაინც თავიდან არ იშო-
 რებდა მენდილს, ქართული ანდაზით
 ინუგეშებდა თავს: „ვინც რა უნდა
 თქვასო, ოღონდ წისქვილმა ფქვასო“.

აღსართან წარამარა დაწოწილობდა
 ისპაჰანსა და ბაღდადში, ნასუფრალის
 მოქმეგრე და ნაჩუქარის მონატრული

მუდამ იმის ცდაში იყო, სელჯუკიანთა
 ამირებისა და სარანგებისათვის ყოფა-
 შიაც მიეზამნა როგორმე, რათა ამ გზით
 თავის ხალხისათვის ზემოდან დახედვის
 უფლება მოეპოვებინა, როგორმე.

არც თუ ისეთი რეგვენი იყო აღსარ-
 თან, ასეთი უბრალო რამ რომ არ
 სცოდნოდა: როცა ქვეყანა განსაცდელ-
 შია, ორად ორი გზაა ხოლმე დარჩენი-
 ლი მისთა მკვიდრთათვის: ერთია გზა
 ბრძოლისა საკუთარ ხალხთან ერთად
 და მასთან ერთად გამარჯვებისა, ან
 სიკვდილისა, ხოლო მეორე — მტრებთან
 ღებნისა.

მან შეგნებულად ეს უკანასკნელი
 გზა აირჩია, რადგან იგი არც მარტვი-
 ლი იყო და არც მებრძოლი. თავის ვაჟ-
 კაცობის და ბრძოლის უნარის ასპარე-
 ზად იგი სთვლიდა ნადირობას და ღვი-
 ნის სმას, ჩინებული მოისარი იყო და
 უბადლო მოქეიფე და ამიტომაც კახეთ-
 ჰერეთს იგი სთვლიდა საკუთარ ნაქრ-
 ძალად.

აღსართანის განძას ყოფნის დროს,
 მის ამაღაში ერია, ერთი ენამწარე აზ-
 ნაური ვინმე დურალისძე, რომელმაც
 განძიდან ჩამოსვლის უმაღლე ხმა დააგ-
 დო ხორნაბუჯის ციხე-სასახლეში:

სულ მალე, სულტნის ბრძანებისა-
 მებრ, ჩვენს „სირაქლემას“ „ყვითელ

ძროხას“ შერთავენო.

კახეთს მიბრუნებულ აღსართანს, ორიოდ დღის შემდეგ ეახლა მისივე კარისმოდგარი, ხუცეს-მონაზონი თევდორე, წარსდგა მეფის წინაშე და ეპისკოპოზთა დაუკითხავად შეაჩვენა და განკვეთა იგი უკმეხად, სჯულის გამოცელისა, წინადაცვეთისა და „ყვითელი ძროხის“ დანიშვნისათვის.

აღსართანმა არაფერი მიუგო ხუცესს, ადგა და მარტო დასტოვა დარბაზში, შემოცვივდნენ აღსართანის მეზმლენი, ხელი წამოაღეს ბერიაკს და ზორნაბუჯის ციხის ქონგურებიდან გადმოაგდეს.

ამ გაუგონარმა ველურობამ შეაშფოთა კახეთ-ჰერეთის სამღვდელთა მღაბიორთაგანი: ხუცები, ბერები და დიაკვნები.

ეპისკოპოზნი, მღვდელმთავარნი და ძმანი თავადთაგანი¹ პირმოქუშულნი სდუმდნენ.

თავს იკავებდნენ გულში დაგუბებულ რისხვის გამზელისაგან, რადგან მათ კარგად იცოდნენ, სწორედ წინებში მომხდარ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე თუ რა დღე აყარა დიკით მეფემ „წარჩინებულთა შვილებს, რომელთაც უწესოდ დაეპყრათ საყდრები“.

ამგვარად კახეთ-ჰერეთის ეპისკოპოზნი და ძმანი თავადთაგანი სცილასა და ხარიბდას შორის მოექცნენ. დასავლეთიდან მოიწვედა დავით მეფე, რომელსაც არაბული ქითაბების კითხვისთვის „მწვალებლობაში“ სდებდნენ ბრალს წინწყაროელი და წალკელი ეპისკოპოზნი, ახლა დავითმა ეკლესიებიდან და მონასტრებიდან გამორეკა „კაცნი უღირსად გამოჩინებულნი, მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრა საყდრები“, ზოლო

¹ ძმანი თავადთაგანი — მველ საქართველოში, ეწოდებოდა არისტოკრატიის წრიდან გამოხულ ბერებს.

აღსართან კახთა მეფე ამირებდა არა მარტო სელჯუკიანთა სულტნებისა და ამირების მეგზურობას, არამედ მუსლიმთა ხოჯების, ყადების და მოღების კახეთ-ჰერეთში ჩამოთესვას.

კახეთის სამღვდლოების თავკაცთათვის ცხადი იყო, ეს უკანასკნელნი ისევე მოინელებდნენ მათ, როგორც ფარაონის მკლე ძროხებმა შესჭამეს მსუქნები.

ეგზომ გაფარვარებულ გარემოცვაში მოხვედრილი აღსართან იხტობარს მაინც არ იტებდა, თუმცა ძილი გაუერთა და მოსვენება გაეცალა.

გველცემულივით დაწრიალებდა, ხორნაბუჯის, ბოჭორმას, ვეჯინისა და უჯარმის სასახლეთა შორის, ეძალებოდა „მატის ქუცისფერ ღვინოს“, ნადირობას და ნადიმებს, დავით მეფის ძაგებით იოხებდა გულს.

იქალოდა განმის ამირას მოვირთავ, სულტნის სათ კახთა ციხეებში ჩავაყენებ, შიდა ქართლში შევიკრები და „აფხაზთა მეფეს“ თავისივე მშვილდის საბელით მოვაშთობო.

აღსართანის ნათესავნი არ უმაღავდნენ მას ხალხის აღშფოთებას ერთობლივს, შჯულის გამოცელის, წინადაცვეთის და უმწეო ბერის ციხიდან გადმოგდების გამო აღძრულს.

და არც იმას, რომ თვით მისნი მეზმრენიც რომ იცინოდნენ „ყვითელი ძროხის“ დანიშვნისათვის.

ენამწარე ღურალისძეს ის ამბავიც ჩამოეტანა თურმე განძიდან: ამირ გოზგოლის ქალი, აიშე, სამი ამირას პარამხანებში ნათრევი რომ აღმოჩნდა. ეს დიაცი უკანასკნელად ყოფილა უფროსი ცოლი ამირ მავდუდისა, რომელიც ვეფხმა დავკლიჯა სულტან მოამედის თვლწინ.

ამ ცნობამ მთლად გააცოფა აღსართანის ღედა, და მამიდები. უხუცესნი ეახლნენ ბარამ არიშიანის მეუღლეს თეკლას და განმეორებით სთხოვეს მას დამოყვრების საქმეში თანადგომა.

არიშინი შინ არ იყო, ნაჯარმაგვეს იღუმალ წასული, ხოლო თეკლას დიხაც ეწადა კახეთ-ჰერეთის დედოფალი გამხდარიყო ნანა, მაგრამ ვერც პოულობდა და ვერც უარი შეჰპებდა პელაგეას, აღსართანის დედას.

ამ მითქმა-მოთქმამ მომეტებული იქვენულობა შეჰყარა აღსართანს, იგი უკვე აღარ ენდობოდა კახეთ-ჰერეთელებს, ჩამოაყვანიდა თრიალეთელი აზნაურები, რომელნიც მანამდის უსაქმოდ ეყარნენ რუსთავის ციხეში, თავის მებმლედ მაღალ გიორგი აიყვანა, ხორნაბუჯის ციხე-სასახლე ზაზას ჩააბარა, ფარცხისის ციხისთავყოფილს, ბოჭორმისა — მამისთავლა მახარობლისძეს, უჯარმისა — იაი ციხელაისძეს, ხოლო წითლოსან დუკისძე თავის ამაღლის წინამდგომად დანიშნა.

შხოლოდ ეეტხი ბერი დარჩა პირში ჩალაგამოვლებული, სწორედ იგი, რომელსაც ბოდბელი ეპისკოპოსის ტახტს ჰპირდებოდა აღსართან.

აღსართანის ბრძანებისამებრ წითლოსანმა თურქობულები¹ ჩამოიყვანა აღარბაგანიდან და მათგან შემდგარი ათასეული, „მცირე სპად“ წოდებული, თან დაჰყავდა აღსართანს და შიშის ზარს ჰკერიდა თავის მტრებს კახეთ-ჰერეთში.

* *

ტფილისიდან ჩრდლოაღმოსავლეთით, ერთი დღით ცხენის სავალზე მდებარეობს ძველთაძველი ციხე-ქალაქი უჯარმა, რომელიც ვახტანგ გორგასალის დროიდან მოაქვამამდის მრისხანედ გადასცქერის უსიერ ტევრებს კახეთისა და კუხეთის მთებისას.

ხევს გაღმა ტყეა უსიერი, ტყის ვალმა ისევე ამომშრალი ხევი მაღალქარაფიანი და იქვეა ტყიანი მთა, რომელსაც

¹ თურქობულები — თურქის ხალხისაგან შემდგარი ქირის სპას. ამგვარ სილღუნერებს სპირად ქირაობდნენ ხოლმე საშუალ-საუწყუნეთა ქრისტიანი მეფეები და შთავრები.

სარკინეს ვუწოდებთ მონადირეთა დღესაც.

იგი შემოსილია ათასწლეული მუხებითა და რცხილებით, აქლემის კუხით მოდრეკილი ზურგი აქვს, სამი მხრიდან ხევით გარსმოვლებულ შუაგაკვეთილ მთას.

მიწისძვრისაგან დაღწეული კოლოსალური კვადრატები ყირაყირა წამოსულან ძირს, და ტაფობზე ჩახერგილი ლოდები ქმნიან ვეებერთელა ამფიტეატრს;

მთის შეღწეულ ცალ კიდეზე დატანებულია უამრავი ბენიოები, აკანთთ დაბურდული და შეუვალი, დათვებისა და ეშვის უზრუნველი სამკვიდრო.

მთის მწვერვალზე ნანგრევია ძველი გოდოლისა, რომელიც ზედ დაჰყურებს ამ სანახაობას. (როგორც სჩანს, ეს გოდოლი ყოფილა ოდესღაც ერთ-ერთი ფარი უჯარმის ციხისა).

სწორედ სარკინეს ტყეში უნდა მოეწყოა ჯერგა¹ უჯარმის ციხისთავს იაი ციხელაისძეს აღსართანისთვის, რომელიც სულტნის წყალობით შემოსილი დაბრუნდა იმ დღეებში ხორნაბუჯს.

ოდითგანვე ჯერგას უმართავდნენ ხოლმე ერისთავნი თავიანთ მეფეებს, პატრონისათვის ერთგულებისა და პატივის დასამოწმებლად.

წინასწარ გადაწყვეტილი იყო შესაძლებლად იღუმალ მოეწყოთ ამ ჯერად ჯერგა, მაგრამ რამდენადაც ასეთ ერთობლივ ნადირობის გამართვას, ისიც ზამთრის პირობებში, დიდი სამზადისი სჭირდება, ხორნაბუჯის კარისკაცებმა და განპატიებულმა მესაწოლე ბერებმა ქვეყანას მოსდევს მოსალოდნელი ჯერგას² ამავეი.

ასე რომ ჯერ კიდევ ნიანია ბაკურიანმა ზედაზენშივე აცნობა „ზარადიან სტუმრებს“ თუ როდისთვის აპირებდნენ მის გამართვას.

¹ ჯერგა — როგორც ძველ საქართველოში, ისე დღესაც, ზოგიერთ რაიონში ცნობილი კოლექტურა ნადირობაა.

სამი ციხე-ქალაქის რჩეულმა მოხიბვნილმა დიდი წილი ამ ჯერგაში. სამი ეპისკოპოსი, ასიოდე, პერეთელი რაინდი, სამასზე მეტი უციხო აზნაური, ამდენივე, თურქობული, მარეკი, მეხუნდარი და ჯარჩი იღებდა მასში მონაწილეობას.

დილიდანვე სთოვდა.

უთენია დაიძრა მონადირეთა ეს ლაშქარი ხორნაბუჯის ციხიდან, ხუთასზე მეტი მადევარი თან მოჰყავდათ მეითარებს და მარეკებს, ასზე მეტი ქორმავარდენი ბაზიერებს.

თორიანი ცხენოსნები და ქვეითნი მოსიარნი ნადირობა-ნადირობით მიჰყვნიენ იმ გაუვალ ტყეებსა და აჯანთებს, რომელნიც ნაყოფსავსე კახეთის შუაგულში გაჩენილი იყო ჯერ კიდევ დიდი თურქობის დროიდან.

მოხოცდნენ ირმებს, შუღებს, ხოხიებსა და დურაუგებს. მეჯორენი და მონები ქელარ აუდიოდნენ ნანადირევის საბარგულებზე დადებას.

ამ უკანასკნელთ შორიახლოდან მოსდევდნენ ფეხშიშველა უპოვარნი და გლახაკნი, რომელნიც პატრონების მიერ დაწუნებულ ჯურდოლებს და მადევრებისაგან ვაგლახად დაგლეჯილ ნანადირევს კრეფდნენ გზადაგზა.

ამ დაბეჭკილ მჩერებში გახვეულ უპოვარებთან ერთად მოდიოდნენ ხორნაბუჯს მსტოვარად წარგზავნილნი სიტყვაი ქორა და გოდერძი ხორგაი.

* * *

„ზარადიანმა სტუმრებმა“ მთელი ცვირით ადრე დაისადგორეს სარკინეს იმ შემუსვრილ გოდოლში, რომელიც ათქოს განგებისად შენიღბულიყო ირგვლივ დაბურდული აჯანთით.

ყოველდღე მოელოდნენ აღსართანისა და მისთა თანამენადირეთა მოსვლას, ამიტომ ვერ ბედავდნენ ცეცხლის დანთებას, ხელების ტყაპუნითა და ფეხების ბაყუნით იგერიებდნენ სიციფეს.

ღამამობით იწყნენ თექვმეტი გახვე-

ულნი, მაგრამ ყინვასა და სინეტებს ვერ აცავენდნენ მეცხვარული ტყაპუნები და თექვბი.

გოდოლის ზეთავი ანდელი იყო, დამე თოვლი მოდიოდა, დილით ხახუტაი იღვიმებდა ყველაზე ადრე, „შეუდგებოდა „თოვლიან საბნების გადახდას“, როგორც თავათ იტყოდა ხოლმე.

ასე იტანჯებოდნენ, მაინც ნატრობდნენ თოვა არ მოეკლო ზენას.

ქარიმან სეტეელი თავიდანვე იტვინულად შესცქეროდა ერისთავებისა და ხევისთავების მტკიცე გადაწყვეტილებას, სარკინეში გამართულ ჯერგის დროს შეეპყროთ აღსართან.

უკვე სამი დღის ამო ლოდინის შემდეგ მან გულახდილად გაუხიარა, ერისთავებს თავის დაექვება ამ საქმის გამო.

აგრე სთქვა:

„...საქმე ისე რომ იყვეს მოწყობილი, რომ ჩვენც წილი დაგვედო ჯერგაში, გავინაპირებდით სადმე აღსართანსა და მის მამალს და გავიტაცებდით.“

ეთქვათ დაიწყეს ჯერგა და ჩვენ ძირს ჩავიდეთ ტაფობში, უეჭველია, კახთა მეფე ათიოდე მსლებლის ამარად არ მოვა სანადიროდ, შევებათ და შევრცხვეთ... ამის მეშინია“.

ერისთავები მაინც არ იშლიდნენ თავისას.

არიშიანმა მიუგო:

„ჩვენ თავათ არაერთხელ ვხლებივართ ჯერგაში აღსართანს, კაცი ნადირობისას უკეთ გამოაჩენს ხოლმე თავის ბუნებას. აღსართან აქაც სულწასულია და დაუდგრომელი.“

მეითარების ბუკის ხმას, მარეკების ძახილს და მადევრების წყაფწყავს რა გაიგონებს, აცეტდება, აბორგვდება და მენადირეთუხუცესის უკითხავად გასდევს ხოლმე განზე ოტებულ ნადირს.

უეჭველია, ამ ჯერად, ჯერგაში რამდენიმე თემის კაცი იქნება აღბათ, ორასიოდე თურქობული, სულ მცირე ხუთასზე მეტი მენადირე. უზარადოდაც რომ

გავეროთ მათში, ვერავენ გვიცნობს, რადგან ჩვენც მონადირულად გვაცვია. შეღამებამდის ამ გოდოლიდან ძირს ჩაჭიდეთ, ლოდებს შორის დავიმალეთ, გინა ბეჩოში სადმე.

მიმწუხრისას ადრე ბნელდება ტყეში, თუ უფალი შეგვეწია და თოვაც დაგვემთხვა, ჩვენს მონადირულ გუდანაბადასა და შუბებს გამოვაჩენთ და მონადირეთა შორის გავერვით.

დათევს რა გამორეკავენ ბეჩოებიდან, ბუკის ცემისა და ძაღლების გნიახისაგან ისეთი აურზაური ატყდება, ძაღლები პატრონს ვეღარ იცნობს, ჩვენც შორიასლოდან ვუთვალთვალოთ და გაეინაპიროთ სადმე ძეძვიანში აღსართან¹.

ხახუტაი უფრო გულმოცემული იყო. ვდოლონი ასელამდის მას დათვის ტყავი ჰქონდა ერთ ბეჩოში გადაამალული და მასზე ამყარებდა მთელ თავის იშედს.

ხახუტაიმ მუშტი მიიბჯინა თავის ვახუშტულ ტუჩებზე და ქილიკობდა: „თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ: ოღონდ თოვა დაგვესწროს იმ დღეს, როგორც კი ოღნავ შებნელდება, მე თავით გავხდები დათვი... და გაყურებიანებთ აღსართანის სეირს, საშობო ღორივით მოვიკიდებ ზურგზე.

თუ მისი მხლებლები თან გაჰყვენ მას, თქვენც უკან მოჰყევით ნებანება მათ, აგერ მაქვს მისთვის განმზადილი თასმები, ურა ცხენს შევკრავ ამ თასმებითა“.

ესა სთქვა ხახუტაიმ და მუცელზე დაიკრა თავის ნიჩაბივით ფართო ხელი.

ერისთავეებმა დახედეს და მართლაც მონადირული ტყაუკი გაიხსნა თუ არა ხახუტაიმ, თხის ტყავის თასმებით მთელი გორგალი ჰქონდა ვერცხლის ბალთებიან ქამარში გარკობილი.

ბარამისძემ გადაიხარხარა:

„ჰემმარიტად შენ ისე გემართება, ხახუტაი ჩემო, ჯერ ღვინო არსად იყო და ეშმაკები თხიერებს ბერადენენო“.

„აგრეა, ერისთავო ბატონო, ომში

შეუძლებელი არაფერია, უნდა შეუძლებლად საჩინოს შესაძლებლად გახდის, მხოლოდ იგი იმარჯვებს“.

მე ერთხელ ტყვედ ყოფნის დროს ფრანკების წინააღმდეგ ბრძოლაში თან ვახლდი ჩემს პატრონს, ამირ ხალიაფს, როგორც მეჯორე.

ომის დაწყების წინ თურქთა და ფრანკთა ათასეულები ისრის გასროლის მანძილზე იღგნენ ურთიერთის პირისპირ, მხოლოდ ბუკის ხმას უცდიდნენ ისინი.

თვალის დაფახულებაზე ასასინელი ვინმე შეიპარა თურქი ცხენოსნების შწყრივში და რატაგანი გაუყარა ერთ ამირას მუცელში, ზოგი იქით ეცა, ზოგი აქეთ, ატყდა აურზაური და ვაი უშველებელი, მიწამ პირი უყო, თუ ცამ გადნთქა, ვერ იპოვნენ მკვლელი.

ზოგი აგრე უბნობდა: ასასინი იყოვო, ამირ ხალიაფი ამტკიცებდა: ჯინი¹ იქნებოდაო, ერთი რამ ცხადია: ღღესაც გარბის ალბათ იმ ამირას მკვლელი.

ცხადია; ეგ ასასინი შეიპარა თურქების ათასეულში, მათებურად ჩაიცვა და თავის საქმე რა მოათავა, მან თავით დაუწყო ვითომდაც ძებნა ამირას მკვლელს“.

ქარიმან სეტეელს ბევრი რამ ჰქონდა ვანაგონი ხახუტაის მამაცობისა და ანგლოზის გამო, მაგრამ ეს ამბავი არ მიიჩნია სარწმუნოდ, ტრაბახობსო, ეს გაიფიქრა.

ბოლოს შეეშინდა სიმბდალე არ დამწამონო, თავი ჩაჰქინდრა და წაიდუღუნა:

„მე მაინც აგრე მგონია, ვვიჯობს ჯერგის გათავებამდის შევიცადოთ. უჯარმას მიმავალთ გზაში ჩავუსაფრდეთ და ისრით დავხოცოთ აღსართან და მისი ამალა“.

თავი წამოჰყო ლათერიამ, ჩუხჩთა ასისთავმა:

„რალა ვუცადოთ ჯერგის გათავებას. თქვენ აქ ბრძანდებოდეთ არხეინად, მე

¹ ჯინი — არაბ. ღვეი, ეშმაკი და სხვ.

ერთი ჩავალ ტაფობში, სადმე, ქვის ყორში, ან აკანთში გავილურსები, ოღონდ ესაა, არ ვიცი იმ სახეძალდ აღსართანს, თორემ ისარს როდი ვაკადრებ, ღორივით გამოვშიგნავ ჩემი სატყერითაჲ.

მოკვლის საქმე შორს დაიჭირეს ერისთავეებმა და ხევისთავეებმა:

არიშიანმა სთქვა:

„აგრე გვიბრძანა პატრონმა: აღსართან შეიპყროთ და ცოცხლად მომგვარეთო ნაჭარმაგვეს“.

საუბარი მოთავებული არა ჰქონდათ „ზარადიან სტუმრებს“, როცა შოალწიეს სიტყვაი ქორამ და გოდერძი ხორვაიმ:

ამალამ უჯარამაში გაითენებენ მონადირენი და ხვალ დილისთვის უნდა კიქნეთო მზად.

იმ ღამეს უკვე ცეცხლი დაანთეს გათიშობებმა გოდოლში, ხელფეხი გაიტყეს, და მენადირეთუხუცესის ბუკის ხმამ უთენია წესძრა სარკინეს მთა.

მეორე დილას ისე მადლიანად ბარდნიდა, გოდოლიდან მოთვალთვალენი ურთიერთისაგან ველარ არჩევდნენ რაინდებსა და მეითარებს.

არიშიანი და ბარამისძე მთელს თავიანთ იმედს თოვლზე ამყარებდნენ, ხახუტაი ქილიკობდა:

თუ ღმერთმა ინება და საღამომდის თოვა, მე არამცთუ დათვად, ლომად გავსაღლებიო.

სიტყვაი ქორამაც არ დაიშურა იმედიანი სიტყვა:

„მათ იმდენი ნანადირევი მოჰქონდათ, წუხელ უჯარამაში ინადირებდნენ, ასე რომ დღესაც მთვრალეები იქნებიანო“.

ქარიან სეტყელი გოდოლის სამზერიდან უთვალთვალებდა მონადირეთა ლაშქარს, რომელიც გარს შემოერტყა სარკინეს მთას, ბილიკები და კლისურები თურქობულებმა შეკრეს, მარეკები ყიყინით მოედნენ ტყეებს, კოცონები აანთეს აქა-იქ.

ძაღლები გაუსიეს სხვადან, მხრიდან დათვების ბეჩოებს, მცირე ხანს მყუდროება სუფევდა მთებში, ხანცდ ამოდოდა კოცონებიდან კვამლი.

ღუმბულების ცემა მოუხშირეს, ატყა და ძაღლების წაკეწკაეი.

ქარიმანს აროდეს ენახა დათვზე გამართული ჯერგა, იგი უკვე მონადირის თვალთ უყურებდა ან სანახაობას.

გაისმა პირველი ბოყინი და ბურღლუნი და ბეჩოდან გამოვარდა გვიმრისფერი, უზარმაზარი დათვი, მცირე ხანს ისე ირბინა მან, ვერავინ შეჰხვდა ისრის სროლა.

აკანთიდან გამოენთო მხეცს სამი ჯაქვიანი მონადირე და ზედიზედ დაუშინეს ქვიბურები.

რომელიღაც შუბოანი მონადირე პირდაპირ შეეხეჩა ოტებულს, მონადირე დაიბნა შემკრთალი, დათვა წამოუსვა მას ტორი და ნიყვივით გადასტყორცნა ხევში.

ახლა ორი მოისარი გაჩნდა ქარაფზე, დათვი უკუიქცა და როცა მას უკანიდან აძგერა ჯაქვიანმა ვაქცაცმა შუბი, დათვი უკანა ფეხებზე აღიმართა და ეცა შუბოსანს.

დიღხანს ერკინენ ურთიერთს დათვი და კაცი, ასე რომ გოდოლში სულგანაბლუნი ამკარად ჰხედადნენ, თუ როგორ კოტრიალობდნენ თოვლში მხეცი და მონადირე.

ხან ერთი მოქეცეოდა ძირს, ხან მეორე, მიეჭრა მათ მესამე და პაერში გაივლვა მახვილმა.

ბოლოს ბღაეილის ეხო გაისმა მთელს ხეობაში.

თითქოს ბეჩოებში გატყრინულმა მხეცებმა იგარძვნესო თვისტომის შეკირვება, ბოყინით და ბურღლუნით გამოსტყეიდნენ ტაფობზე, დაბლდნენს აკანთები და აქოჩრილნი ეძგერნენ შუბოსნებს.

წამოესიენ მათ აკანთებიდან გამოცვენილი შუბიანი, წერაქვეცულოანი, პოროლიანი თურქობულები და ვაიძარ-

თა ერთობლივი ბრძოლა ვაყვაცებსა და მხეცებს შორის.

ერთ მუხარადიან ვაყვაცს დიდხანს ერკინებოდა წაბლისფერი დათვი, და როცა წერაქვეცულიანი მონადირენი წამოეწველნენ მუხარადიანს, ორივენი გადაეშენენ მაღალ ქარაფიდან.

მხეტავანი ზოგი ისეთის სისწრაფით გამოვარდებოდა თავის ბუნაგიდან, ტაფობში გამოცეწილთ ვერც ისრისა და ვერც ჰოროლის ცემას ვეღარ უსწრებდნენ მონადირენი.

ერთს დაიბოყინებდნენ ქარაფებთან მიღწეულნი და თვითმკვლელებივით ცვივოდნენ უფსკრულში.....

ახლა სხვა მონადირენი უცდიდნენ მათ ხევში ჩასაფრებულნი და ყოველ მხრიდან ისმოდა დათვების ბოყინი და ღრიალი.

ნაშუადღევს უკვე დაიწყეს ხევიდან ამოზიდვა შუბით განგმირული, ხმლით დაჩეხილი და მუცელგამოლადრული დათვების ლეშებისა.

ორსამ კაცს ამოჰქონდა სათითაოდ ისინი და მორიგეობით ჰყრიდნენ მათ შუაგულ ტაფობზე; ხევებიდან ამოდისოდნენ თურქოპულები, მარეკები, ჯარჩები, დაუცხრომლად ეზიდებოდნენ დახოცილ დათვებს.

და როცა მოთავდა ნანადირევის მოზიდვა, არიშინამა და ბარამისძემ შენიშნეს: აღსართან, მაღალ გიორგი და სამი ეპისკოპოზი მივიდნენ იმ ადგილას, სადაც მოკლული დათვების ლეშები ეყარნენ, დონჯშემოყრილნი იდგნენ და ზორზოკობდნენ გახარებულნი.

არიშინამა წამუყო თავისიანებს, ჩურჩულით ამცნო: დავიძრაათო.

ხახუტაიმ პირველმა ამოიყვია ტყავკაბის კალთები, ცივსავით ზედ დააჯდა თოვლს და სრიალით დაეშვა ძირს, მას უკან მიჰყვნენ ქარიშან სეტყელი, არიშინი, ბარამისძე, ზევისთავნი და ჩუხჩნი.

როცა მთის თხემიდან ძირს ჩაცურდა ხახუტაი, მან აკანთი იფარა და დაინა-

ხა: მენადირეთუბუცესს მოეგროვებინა მონადირენი და ორ-ორე კაცს უძლეველათითო დათვს და ამგვარად მისი მუდუნენ ნანადირევს ხევისკენ.

ხახუტაიმ უკან მოიხედა, ხელის აწევით ანიშნა მის უკან მომავალთ: შეიცადეთო, ხოლო თავათ, ფრთხილად შეძვრა უახლოვს ბეჩოში.

არიშინი მცირე ხანს უთვალთვალეზდა მას და ბოლოს დაინახა, ხახუტაის ნაცვლად დათვი გამოძვრა იმავე ბეჩოდან.

ერთხანს შეერთა მართლაც დათვი ეგონა, და როცა მხერა დაძაბა, შენიშნა: ჩინებულად ბაძედა დათვის ტყავიანი ხახუტაი დათვის ბაჯბაჯს.

ახლა თავათაც აეფარა აკანთის ძეძვს და გაიხედა ტაფობისაკენ, მენადირენი კვლავ ეზიდებოდნენ დათვის ლეშებს, ხოლო აღსართან, მაღალ გიორგი და ეპისკოპოზები იქვე იდგნენ და უყურებდნენ ამ სანახაობას.

არიშინამა ისევ მიხედა დათვის ტყავოსანს და ხედავს: იგი სწრაფად მიშლივინებდა ძეძვიანში, შუბშემართული ქარიშან სეტყელი აკანთებს შორის შიამოტებდა მის უკან.

არიშინამა ისევ გაიხედა დახოცილ დათვებისაკენ და ხედავს: აღსართან ანახლად მოსწყდა ადგილიდან, შუბი შომარჯვა და უკან გამოუდგა მას, ვინც აკანთებში დათვებრ მიბაჯბაჯებდა.

როგორც არიშინამა, ისე ქარიშანმა ისიც შენიშნეს; კარგ მანძილზე სდია აღსართანმა ხახუტაის და ქეიბური ესროლა ერთბაშად, მაგრამ თავათვე შენიშნა უშედეგო რომ იყო ეს, ამიტომაც ხელახლა მოუნაცვლა და კვლავ მოზიდა მშვილდი.

ვიდრე აღსართან ახლა უკვე შუბს გამართავდა, ხახუტაი ქარაფიდან გადაეშვა.

არიშინამა მცირე მანძილი გაირბინა ხშირ აკანთებში, შესდგა და ისევ გაიხედა დათვების ლეშებისკენ, ახლა ეს შენიშნა: მაღალ გიორგი მოეშვა

ეპისკოპოზებთან საუბარს და აღსართანისკენ გაეშურა ანაზღად.

არიშინმა კვლავ გაირბინა მცირე მანძილი, ისევ შესდგა და დაინახა თუ როგორ გადაეშვა ქარაფიდან აღსართან. მას ქარიმან სეტიელი მიჰყვა უკან, ხოლო ამ უკანასკნელს მაღალ გიორგი და როცა ხახუტაი და აღსართან უკვე ხევში იყვნენ, ერთბაშად გამობრუნდა დათვის ტყავწამოსხმული ხახუტაი, გაიმართა წელში, დათვის ტყავი გადაგდო განზე და გააშისვლა ხმალი.

აღსართან შეკრთა, შესდგა მცირე ხანს, დამრჩიო უყვილა ხახუტაიმ და საშინელის სისწრაფით ეცა აღსართანს, ხმალი წაართვა და სილა გააწნა სახეში.

ეს უკანასკნელი არ დაიბნა და მიუზღო სამაგიერო.

ქარიმან სეტიელიც ქარაფიდან გადაეშვა, მაგრამ მის უკან მომავალ მაღალ გიორგის არ შეუნიშნავს იგი, ის ის იყო მაღალ გიორგის უნდა მიესწრო მას: ხახუტაისთან შერკინებულ აღსართანისთვის, მაღლობიდან ისკუბა ქარიმანმა და მხრებზე დაახტა მაღალ გიორგის.

ხახუტაი და აღსართან მცირე ხანს სცემდნენ უკვე მუშტებით ერთმანეთს, ბოლოს ხელი აიღეს კრივზე, ხახუტამ ქედზე მოსდო ხელი აღსართანს და დასცა მიწაზე, მაგრამ თავათაც დაუცურდა ყინულზე ფეხი და მოპირდაპირეს მოუწვა გვერდით.

არიშინმა გვერდით ჩაუარა ქარიმანსა და მაღალ გიორგის, ხარადი ჩამოუშვა მუზარადიდან, გადმოაბრუნა ხახუტაის შვერდზე წამომგდარი აღსართან, ცხვირ-პირში უთავაზა მუშტი და უკვე ცნობა წაერთო კახთა მეფეს.

წამოდგა ხახუტაი, ქამრიდან მოიხსნა თასმის გორგალები, ერთი არიშინს მისცა ხელში და მეორეთი შეუდგა აღსართანის შეკოჭვას.

საიდგანდაც ხევში გაჩნდნენ თურქობულეზი ბარე ხუთი, ორი დათვი მოჰქონდათ თან, ხევისთაენი და ჩუხჩინი

მივარდნენ მათ, მცირე ხანს ეკენწილეენ მონადირეებს ხმლით; როგორც კი ორი თურქობულე შემოაკვდა, ლაბერეზს, დანარჩენებმა დათვის ლეშები დაადგეს და თავისიანიების სახმობლად ვაიქცენ ყვირილით.

ქარიმანს და არიშინს მაღალ გიორგის შეკოჭვა მოთავებული ჰქონდათ, როცა ეპისკოპოზები და მონადირეთუხუცესი მოადგნენ ქარაფს.

ოთხივე ბებერმა ასტეხეს ყვირილი.

ხევისთაეები და ჩუხჩები მოვარდნენ და ეს უზარმაზარი ვაჟაკები ისე გაიდგეს მხრებზე, როგორც მონადირეებმა დახოცილი დათვები წელან და მიაშურეს მახლობელ ტყეს.

მოხუცების ყვირილზე ქარაფებიდან დაემგნენ შუბებით აღჭურვილი თურქობულეზი და ჰერეთელი აზნაურები.

ხარადიანმა სტუმრებმა დიდხანს ათრიეს დატყვევებულნი ხევდახევ, მაგრამ ხევი ძეძვიანი იყო, ნიადაგი ლოდებით დახერგილი, ორ-ორნი მათარევდნენ აღსართანს და მაღალ გიორგის, მიარღვევდნენ აკანთის ბურღებს.

წამოედებოდათ ნახევრად ბნელში გაბმული ნარი და ყირაყირა ვადილიოდნენ.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ აღსართანისა და მაღალ გიორგის გამტაკებელნი, მით უფრო ბნელდებოდა ხევი, ძეძვიანი მით უფრო გაუვალი ხდებოდა.

ყიენით მოსდევდათ თურქობულეზი ფეხდაფეხ მათ და ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო თავდამსხმელთა ტყვედ ჩავარდნა.

ბოლოს მოიქანცნენ ეს უკანასკნელნი და იძულებული გახდნენ ხელი შეეშვათ თავიანთი ნადავლისათვის.

ძირს დაადგეს შეკოჭილები, შიშნარუნდნენ თურქობულეზს, ისრები დაუშინეს, მცირე ხანს შეიქციეს ისინი ამგვარად, როცა კაპარკები დაუცალივრდათ და მიმართეს ხშირ აკანთებში დანებებულ ღამეს

ამდენი ტანჯვის შემდეგ ეგზომ ვაგლახად ხელის მოცარვამ გააცოფა საერთოდ გულდინჯი ერისთავი არიშიანი. მან უკვე აღარ იცოდა, რა პირით სჩვენებოდა დავით მეფეს.

ერთი თვეც არ იყო გასული ჯერგას გამართვის შემდეგ და ერისთავმა არიშიანიშა აწვია ხორჯის ციხეში ბოდბელი ეპისკოპოზი ზაქარია, დაიმართობეულა და ფრიად საიდუმლოდ განაზრახა:

თუ აღსართან კახთა მეფე კვლავ მოიქცევა ქრისტეს შჯულად, მე მზადა ვარ ჩემი ქალი ნანა მივათხოჭოვო.

ზაქარია ეპისკოპოზს გული აუჩუყდა უჯიათი არიშიანის „ეგზომ ქრისტესმოყვარულ“ საქციელისგან. ბოდბელმა კარგად იცოდა, თუ რა უნუგვმოდ გამოიჯნურებული იყო აღსართან ნანა არიშიანის მიმართ.

ეპისკოპოზს იმდენად არ აწუხებდა ეგ, როგორც ის ამბავი, რომ კახთა მეფე კვლავ დაუბრუნდებოდა მამაპაპეულ სჯულს და კახეთ-მერეთი გამუსლიმებდა ვადარჩებო ამ გზით, რაც უმთავრესა იყო, იგი თავათ შეინარჩუნებდა ბოდბელის ტახტს.

აქო და აღიდა „ასეთი უანგარო მამულიშვილობისა და ქრისტეს მოყვარეობისათვის“ ერისთავი და დაპირდა მთელს ჩემს ზეგაღუნას მოვახმარო ამ ამბავს.

როცა ბოდბელი ეპისკოპოზი ხორნაბუჯში ეწვია კახთა მეფეს, ეს უკანასკნელი ცას ეწია სიხარულისაგან.

ყოველგვარი ღალატი მეგობრის მიმართ იქნება იგი, თუ მამულისა, გინდა რწმენისა და ზნეობის მიმართ, პირველად ჩადენისას არის ძნელი, თორემ ერთხელ ვინც შესძლებს უღალატოს რაიმეს, წმიდათაწმიდად მიჩნეულს, მას იოლად შეუძლია იგი დღეში სამჯერ ვაიმეოროს.

აღსართანმა აღარ დააყოვნა.

ზაქარია ბოდბელი გამოგზავნა ხორჯის ციხეში და ამცნო არიშიანს: თუ

ახლავე შესდგება ნიშნობა, მაშაქლის სჯულს უარყოფ, ამერ გიჯუჯულის ქალთან ნიშნობას გავაუქმებო. ერისთავი არიშიანი ისევე შეყოყმანდა, ბოლოს ეს უთხრა ბოდბელს:

კიდევ დაეფიქრდები გულდასმით, თანამემცხედრებს შევეთათბირები, ერთი კვირაც დამაცალეთ და თავათ გვეუწყებო პასუხს.

დაუყოვნებლივ წარგზავნა ხახუტაი ნაჭარმაგვეს, დაბეჭდილი წიგნი გაატანა დავით მეფესთან, თანაც დაავალა: ერთ კვირაში გამობრუნდი როგორმე და მეფის პასუხი მომიტანეო.

ბოლოს მობრუნდა ხახუტაი და გორგი კყონდიდელის წიგნი მიართვა ერისთავს, არიშიანიშა თავისი ქალი პანკისს წარგზავნა ნანას მამამძღუმესთან. ხოლო სამნივე ხევისთავს დაავალა: დაუყოვნებლივ დაბრუნებოდნენ თავიანთ თემებს და იანერის ჩვიდმეტს უთენია მოეყვანათ ათასიოდეთ მთიელი მოლაშქრე და შემოწყობოდნენ ხორჯის ციხეს.

როცა უფროს ხევისთავს ხორანასქეს ამცნობდნენ ციხიდან: „ღვინოვო“, იგი შემოვიდოდა არიშთან ციხეში.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, ბოდბელმა ეპისკოპოზმა პროტოდიაკონის პირით შემოუთვალა არიშიანს: პასუხს ითხოვესო აღსართან კახთა მეფე.

არიშიანიშა თავაზიანად აწვია ზაქარია ბოდბელი და ამცნო:

ჩემი ქალის მამამძღუმე ავადშექმნილა, ამიტომაც ნანა პანკისს არისი წასული, მხოლოდ ამიტომ მიძნელდებო ნიშნობის დღის დანიშვნა, თორემ ჩვენს დამოყვრებას არაფერი უღვიაო წინ.

ბოდბელი შეყოყმანდა, სანამდის ნიშნობის დღეს არ დამინიშნავ, შინ ვერ წავალო. მერმე მიიხედ-მოიხედა დარბაზში და უჩურჩულა არიშიანს:

„კარგად მოგეხსენება, ერისთავო ბატონო, რა თავქარიანი ვინმეა ჩვენი მეფე. ნიშნობის გაუქმება, რამდენადაც

ვიცი, მან უკვე ამცნო ამირ გოზგოლის, მაგრამ გუშამამ მითხრა: თუ ხიძობა შესდგება, ამ ერთ თვეში უნდა შესდგეს, თორემ მე ამ მოკლე ხანში ვახძას ვაპირებ, იქიდან აღბეო ირანს მოგვიხდება წასვლა და, ღმერთმა იცის, როდეს-ღა მოვბრუნდებითა შინ.

სამი ღღის წინათ ვაზიარე იგი ქრისტიანული წესით, ვინ იცის, ეგებ ისევე მოუაროს ზუსტურმა, კვლავ გამუსულმანდეს და მართლაც შეიერთოს თავისი „ყვითელი ძროხა“.

მცირე ხანს სდუმდა არიშინი. და მერე უთხრა: ძლიერ მიძიმეს შენი ვაჭბილება, მამო, წაბრძანდი და ამცნე აღსართანს: იანვრის ჩვიდმეტს შესდგება-თქო ნიშნობა.

გაბარებული წავიდა ზაქარია ბოდბელი ხორნაბუჯს. საქმე არც ისე მართივი იყო, როგორც ეს გულუბრყვილო ზაქარიას ეოცნებებოდა. აღსართანს არ გაუუქმებია ნიშნობა, იგი აგრე ვარაუდობდა: იმე უფროს მეუღლედ მეყოლება, ნანა — სასიყვარულო ცოლად, რაიცა შეეხება ქრისტეს შჯულად მოქცევას, რა მნიშვნელობა აქვსო, გამოფშტურებული ბოდბელი ეპისკოპოზის პუტუნს.

* * *

წითლოსან დუკისძემ რა გაიგო, ხორჯის ციხეში აპირებდა აღსართან ამალითურთ წასვლას, არ ეპრიანა ეს აზრავი, რადგან მან ჯერ კიდევ თრიალეთიდან იცოდა ერისთავ არიშინის ხშირი მისვლამოსვლა ჰქონდა დავით მეფესთან, მოერიდა სასიმაზროს აუგად ხსენებას და ეს-ღა უთხრა აღსართანს:

„...მე თუ მკითხავთ, მეფევე ბატონო, ეშმას თვალი არ უჩანს; მცირე სპით გეჯობს ხორჯის ციხეს წასვლა“.

„რათა ვითომ?“

შეეკითხა შეცფუნებული აღსართან. ხორჯის ციხეში ხუთასზე მეტი ციხიონი, ჰყავს ჩემს სიმამრს, ხომა?“

„არა; მე სიფრთხილისათვის მოგახსენებთ, მეფევე ბატონო“.

როგორც იქნა დაიყოლია წითლოსანმა აღსართან და გადაწყდა მცირე სპით წასულიყო ხორჯის ციხეში, აღსართანს და მისი აძალა.

ნიშნობის დღისთვის დიდძალი საკლავი მოარეკია არიშინმა თავის ციხეში. აღსართანისა და ნანას ნიშნობის ამბავი მთელს კახეთ-ჰერეთს მოედო, გაბარებულნი იყვნენ ეპისკოპოზნი და მღვდელმთავარნი.

არიშინის, ამ გავლენიანი ერისთავის მეფესთან დამოყვრებას ისინი შესცქეროდნენ როგორც კახეთ-ჰერეთის კვლავ ძლიერ სამეფოდ ქვეყის საწინდარს.

აგრე ეოცნებებოდათ მათ: მჭიდროდ შეკრული ხელისუფლება ამ კუთხისა, არგვარ განსაცდელს აცდენდა პირადად მათ, ერთის მხრით გამუსლიმების საფრთხეს და მოღების ბატონობას, მეორეს მხრით კახეთ-ჰერეთის ეკლესიის მთავარნი არაგვზე დაახვედრებდნენ ზღუდეს რუის-ურბნისის საეკლესიო ყრილობის დადგენილებებს.

რა თქმა უნდა, დავით მეფის წინაშე ქედის მოდრეკას ისინი არჩევდნენ აღსართანის ზუსტურების ატანას, რადგან ეს მეფე ჯერ კიდევ უფლისწულობის დროსაც გულგრილად ექცეოდა საეკლესიო საქმეებს.

იანვრის ჩვიდმეტს, ხორჯის ციხეს მოადგა აღსართან მცირე სპით. არიშინს ეს არ გაჰკვირვებია, რადგან ისედაც იცოდა სარკინეს ტყეში განცდილი გვემვის შემდეგ აღსართანს შიშის ქარი ჰქონდა შემდგარი იოგებში.

წითლოსან დუკისძემ არ ისურვა ციხეში შესვლა და მის მისადგომებთან კარებში დაშანაკებულ რაინდებსა და მონასპებთან ერთად დარჩა.

ხოლო აღსართან სამი ეპისკოპოზის, სამი ჰერეთელი აზნაურის, თავის დედის პელაგეას და მამიდების თანხლებით აჰყვა ციხისკენ ამავე ბაღიკს.

სტუმრებს წინ შემოეგებნენ თავათ ერისთავი არიშინი, მეუღლე მისი და უხუცესნი ქალ-ჩაღათაგანნი.

როცა აღსართან სასტუმრო დარბაზში შევიდა, იგი გამოღებულ ეძებდა ნანას, მაგრამ დარბაზში არც ერთი ახალგაზრდა ქალი არ სჩანდა, აგრე ივარაუდა: ალბათ საპატარძლო და მისნი ღობილნი სადღედოში იცდიანო ხმობამდის.

როცა პურობა დაიწყეს, აღსართანის დედამ, პელაგეამ მოიკითხა თავისი სასძლო.

ნანა მხოლოდ დღეს ძლივს ჩამოვიყვანეთ პანკისიდან, ცოტა შეუძლოთა და მოვაო მალე.

მიუგო არიშინის მეუღლემ.

პელაგეამ ასე ივარაუდა: ალბათ მთელ კვირას გაგრძელდება ქეიფი და ახალგაზრდები გულს მოიხერხებენო ერთად ყოფნით.

თამაღობა ერისთავ ბარამისძეს დააკისრა არიშინამა.

ნანას ნახვას მოწყურებული აღსართან ხაროვით დაეწაფა ბატის ქუეისფერ ღვინოს, რომელიც საგანგებოდ მოატანინა იმ ღამისთვის არიშინამა.

თამაღამ ოქროს ფიალებიდან დაიწყო და მერმე დაუშინა ჯიხვის რქები სასიძოს.

აღსართან დიდი მსმელი იყო საერთოდ, მაგრამ იმ ღამეს რატომღაც ადრე მოეკიდა ღვინო და ჩვეულებისამებრ შეუდგა დავით მეფის ღანძღვას.

თუ შენისთანა გაველნიანი ერისთავები უკლებლად შემოვიკრიბე, დავით მეფეს ვირთხასავით გამოვიქერო ნაქარმაგვეის ციხეში.

ეუბნებოდა არიშინას.

„განძას ყოფნისას ბევრი რამ გავიგე, ახალი, ჩურჩულით უთხრა მან თავის სასიამაროს.

სულტან მოჰამედს გადაწყვეტილი აქვს დიდძალი სპით შეიჭრას ტფილისის საამიროდან შიდაქართლში, ამირ გოზგოლი და ამირ ელკობი, სომხეთსა და აღარბაგანში უკვე ჩამოსულ თურქომანთა ათასეულებს მოირთავენ, ნუხიდან შემოვლენ საინგილოში, კახეთის

ციხეებში თურქომანებს ჩაეყენებენ და ჯერ ჯონდი ერისთავს გაეცდებოდნენ, კინის ხევიდან, მერმე ნიხანია, რეკონიანს მოვაშობობო შედახენში.

„ბოლოს წეროვანიდან ნაქარმაგვეამდის ორიოდე ეგია, ხორნაბუჯის სადილეგოში კლდეზე მიდღღებულა ერთი ჯაჭვი ამ კლავის სიმსხო, განაგრძო აღსართანმა და თავისი განიერი მაჯა უწვენა არიშინას, იმ ჯაჭვზე მივაბამ დავით მეფეს და მერმე ვნახოთ რამდენ დირაქმს მომცემს მე მის თავისათვის სულტანი“.

თამაღამ ახლა ხის კოთხო მიართვა მოწიწებით მეფეს, მან „ევაკაცურად“ გამოსცალა იგი, თვალები დაუწითლდა და ურცხვად ჰკითხა არიშინას:

„ეს ყველაფერი კარგია ჩემო სიამარო, როდის-ღა მოვა ჩემი გულის ჯავრი?“

ამის თქმა მოასწრო აღსართანმა, არიშინი სელიდან წამოდგა და სუფრის თავში მღვომ თამაღას გასძახა:

ღვინოვო!

თამაღა წამოდგა, სასადილოს კარი გააღო და მერიქიფეს გასძახა: ღვინოვო.

მცირე ხანს კიდევ ღანძღვდა დავით მეფეს უკვე სავსებით უწვერი სიტყვებით აღსართან. ამ დროს კარი გაიღო და ხევისთავი ხურანასძე შემოვიდა ხმალამოწვდილი, მას უკან მოჰყვებოდნენ ქარიშხან სეტყელი, ხახუტაი, ლათერია, ჩუხჩია ასისთავი და გოდერძი ხორგაი.

აღსართან საუბრით იყო გართული. მხოლოდ ჰერეთელმა მისმა მხლებლებმა თავი ასწიეს, მათ ვერ გაეგოთ, რას ნიშნავდა ხმლიანი ხევისთავის შემოსვლა. ზოგ მათგანს თამაღის მიერ გამოგზავნილი სავსე ჯიხვი ეჭირა ხელში.

ხევისთავი ხურანასძე და ქარიშხან სეტყელი მოულოდნელად თავზე დაადგნენ აღსართანს და მხრები გაუკრეს სასწრაფოდ, ხახუტაი მიეჭრა და თამაღებით გაჰკოკა მთვრალი მეფე.

წამოცვივდნენ აღსართანის აზნაურნი, მაგრამ გოდერძი ხორგაი და ლათერია ეძგერნენ მათ. შემოცვივდნენ მეციხოვნენიც და გარედ გაათრიეს სამივენი.

სუფრა აიშალა, გულშემოყრილი პელაგია და მამიდები სასტუმროში გაატანინა ბარამისძემ, ასე რომ მათ აღარ უნახავთ, თუ როგორ გამოათრიეს გაცოკილი აღსართანი წინა კარიდან და მტერიან ხარისხებს კიბისას მიხვეტავენდნენ მისი ხშირი და თაფლისფერი კულულები.

ეპისკოპოზები ჯერ შიშისაგან გაოგნებულნი იყვნენ, მერმე გარს შემოერთყნენ მასპინძელს.

თავი იმართლა არიშიანმა: რა ექნა, არ მოეშვა დავით მეფის ლანძღვას და იმიტომაც გავაყოვენიერო.

წითლოსან დუკისძე უთენია გააღვიძეს მცირე სპის ბანაკში. ამცნეს: შუბებით, ხმლებით, ჰოროლებით აღჭურვილი მთიელთა ბრბო დაბანაკდაო ხორჯის ციხის მისადგომებთან.

კარვის კარიდან გამოიხედა ნამძინარევა, აგრე ეგონა: ნიშნობაზე წვეულის ხალხი მოსულაო.

ბოლოს რა ნახა, ციხიდან გამოსულმა ხევისთავმა ზორანასძემ ჯერ დააწყობისინი და მცირე სპის ბანაკისკენ წამოუძღვა მათ, თავათ წითლოსანმაც წამოჰყარა თავისი მონასპანი, უსარდლა

მათ, საესებით დარწმუნებულმა ცოლად გავრეკავო მთიელების პაროს.

მაგრამ სამივე ხევისთავი წაბუტკვა ჰოროლებით, ქვიბურებით, აღჭურვილ ხალხს საგორავები დაუშინეს აღსართანის მცირე სპას, მერმე ჰოროლები გამართეს, და უკუაქციეს თურქობულები. წითლოსან დუკისძეს ცხენი წაეჭკა მთის ბრეკზე, ძლივს წამოაყენეს თრიალეთელმა აზნაურებმა და, როგორც იქნა, უშველეს თავს.

ასე რომ, როცა ერისთავმა არიშიანმა თავისი ციხიონი გამოიყვანა წითლოსან დუკისძის შესაპყრობად, მხოლოდ ასიოდე ტყვე და დაყოდილი თურქობული დაახვედრეს ხევისთავებმა ზურანასძემ, ათორღვია და თოთიბაიმ.

რადგან გაყოკილი აღსართან უსიამოდ ბღაოდა და მხარგაკრულიც არ იშლიდა „აფხაზთა მეფის“ უშვერად ლანძღვას, ხახუტაიმ ძაფის მორგვი მოატანინა დიაცებს და პირში ჩასჩარა ყა-მყარას; დასასრულ, არიშიანმა და ბარამისძემ მთიულურ ურემზე დააკრევინეს იგი ხახუტაის, ნაბღებით შებურვეს ურემი, პანკისის ხეობაზე ვზაგავლით, ნაქარმაგვეს წაიყვანეს დატყვევებულნი აღსართან.

ენამწარე დღერალისძეს ოზუნჯობის საბაბი მიეცა ახალი:

სირაქლემამ ყვითელ ძროხას გადაყოლაო თავი.

(გაგრძელება იქნება)

ოცნება ბელაზე



როცა დღიური ლეღვა მისწყდება
და გაშლის კარავს ჩუმი საღამო,
როცა ოცნების ფრენა იწყება —
დაუსაბამო,
როდესაც ფიქრი ფრთას გაჰკრავს... ქროლვით
უსაზღვრო სივრცეს შემომატარებს,
ერთგან შეედგები... და გულის თრთოლვით
შევაღებ კარებს.

იგი აქ არის! ყოველ ცისმარე
აქ მისი აზრის შუქი ჰფენია,
ვის ჩვენზე ფიქრში ნათევი ღამე,
თმებში ვერცხლისფრად შემორჩენია,
ვისი საბელიც ახლავს განთიადს,
გაპყვება დროის უსაზღვროებას...
ვინც ყველგან არის, ყველასთან მიაქვს,
დიდი იმედი და მყუდროება.

გარინდებული მის სიახლოვეს.
კრძალვით შესდგება წამთა დინებაც!...
მაგრამ ის ღიმილს შემომამეწელებს
და შალდა, თაღსაც გაელიმება.
მინდა ვუმღერო გრძნობით გამთბარმა,
ვის ხილვას გული ასე ელოდა!
დიდ ქართველთან ვარ, ერთი პატარა
ქალი-მეღეჭე, საქართველოდან.

ვუშვებ და ფრთები მეზრდება თითქოს,
ჩემს ჰერქვეშ ვეღარ დამევაწება!
ფრთა-შემართული — დიდ სივრცეს ითხოვს,
დიდ ბრძოლებისთვის აღფრთოვანება.
რომ ყველგან ჩადგეს იდეა წმინდა,
უფრო ბრწყინვალე გეჭონდეს შერმისი!
ო, რა შალაღი სიმღერა მინდა,
ამ შალაღ განცდის შესაფერისი!!!

საგამოკლიაგვილი

გაზაფხული ზღვისპირის მხარეში

ერთი დღის მოგონება

★

ეს იყო ბათუმში 1921 წელს...

შუა მარტიდან ზღვისპირის მხარეში ერთბაშად მოძლიერდა გაზაფხული. დილიდან მზიანი დღეები დაიწყო. მთა და ველი ჯერ ისე ტიტველი იყო, მაგრამ უკვე გადაჰკრავდა სიცოცხლისკენ მობრუნების ფერი და იგრძნობოდა, რომ გაღვიძებული ბუნება მალე შეიმოსებოდა ახალი მწვანით.

ჭალაქის განაპირას გზის პირად მინდვრებზე ვიჯექი. ჩემს გვერდით იწვა მანარაში გახვეული მეგობარი ჯარისკაცი და ეძინა.

ჩვენ შემთხვევით არ ვყოფილვართ აქ. იმ დღეს განზრახ განვერიდეთ ქალაქს და ბუნებაში ყოფნა ვარჩიეთ. დიდხანია მობეზრებული გვექონდა ყოველივე და კინაღამ ჩვენს თავზედაც ავიღეთ ხელი. განსაკუთრებით გავვიძაღლეთ ცხოვერება ბოლო დღეებში, როცა დაიშალა ჯარი და ბედის ანაბარად მიტოვებულნი, თავგზააბნეულნი, მიუსაფარნი, მხოლოდ შინ დაბრუნებაზე მეოცნებენი, უსაქმოდ დაგეხეტებოდით. ყოველი დღის გათენება იწყებოდა ჩვენთვის პურისა და თამბაქოს ძებნაში. ეს იყო ჩვენი ერთადერთი საზრუნავი და ხშირად აუხსნელი ოცნება. ერთმანეთს ვთხოვდით ჭადის პატარა ნატებს და ერთ-ორ გამოღება თამბაქოს, თუმცე ვიცოდით, რომ არც იმას ჰქონდა, ვისაც შეეღობინებდით.

ამ მზიან დილით კი ბედმა გაგვიღიმა და აპარელ გლახისაგან მთელი გირვანქა თამბაქო ვიყიდეთ. მერე როგორი თამბაქო! ყვითელი, წვრილად დაჭრილი, სურნელოვანი. შეუფაქრებლად გადავუხადეთ, რაც დავგიფასა. აბა რა დასანანებელი იყო გასაქცევად მომზადებულ მთავრობის მიერ დაუზოგავად გაცემული ბონები, რომლის ფასი საათობით იკლებდა.

ჩვენს წინ ვაკე გადაშლილიყო, რომლის ბოლოში აპარის მთების გრეხილი იწყებოდა. გორაკებზე ფორტები ჩანდნენ. შორიდან ისინი ძველებურ კომკებს გვანდნენ და თეატრალურ ბუტაფორიას მაგონებდნენ.

ფორტებში აღარავინ იყო. იმ დღიდან, როცა რეიდზე მდგარ უცხოეთის სამხედრო გემებზე გაიხიზნა ძველი მთავრობა, დაცალიერდა ფორტები და კარლია დარჩა.

მიწაზე მორთხმული უდარდელად გავცქეროდი ბუნებას. გარემო სიჩუმე და მარტის მზის სითბო გულში სიტკბოდ ჩადიოდა. ამ მცირედითაც გაბედნიერებულს ახლა მხოლოდ ის სურვილი მქონდა, რომ ეს წუთები არ შეწყვეტილიყო. კმაყოფილი ვწევდი თამბაქოს და თავს ვირთობდი იმის ცქერით, თუ როგორ გაიშლებოდა ბოლი და შემდეგ როგორ ქრებოდა სუფთა ეთერში.

ბუნების ამ მაღალში ჯოჯოხეთურ

კომპარად წარმოდგა ის, რაც ქალაქში დავტოვე: ქუჩებში მოხეტიალე მშვიერი ჯარისკაცები, დაკეტილ ფურნის წინ დედაკაცების სასოწარკვეთილი წრიაქი, უადგილობის გამო საავადმყოფოს გვერდით ქვაფენილზე მიგდებული პარტახტიანი ტიფით დაავადებულნი... რა ბედნიერება იყო, რომ შორს ვიყავი ქალაქისგან. რა შევებისმომცემი იყო სიჩუმე და ზღვის შარი-შური, რომელიც შორიანლოდან მესმოდა. მხოლოდ ეს სიბო, სიჩუმე, სიმშვიდე — ამაზე სანატრელი ახლა არაფერი არ იყო.

უცრად თვალი გზამ მიიპურო, რომელზედაც შეიარაღებული კაცები გამოჩნდნენ. ისინი ქალაქისკენ მიიქაროდნენ. მოულოდნელი იყო მათი დანახვა და ამასთანავე გასაკვირალი, რადგან ჩაცმულობით ჩვენიანებს არ გვანდნენ.

ჩაძინებულ მეგობარს ხელი ვკარი და გავაღვიძე.

— ერთი ამათ შეხედე... მომიჩვენენ, თუ მართლა ისინი არიან?!

მეგობარმა რაღაც ჩაიბურტყუნა. ალბათ მისაყვედურა, რომ ძილი დავუფრთხე. უნდობლად გაიხედა ძილმღვიძარმა და შემდეგ მისი ვაოცებული შეძახილი მომესმა:

— საიდან განდნენ?! ეს ხომ თურქებია!

ეჭვი აღარ მქონდა, — ისინი ასკერები იყვნენ.

რაზმს ცხენოსანი ოფიცერი უძლოდა. მისი ულსაყი ოქროსფერი და ტანმორჩილი იყო. ლამაზი რხევით მიდიოდა, თითქოს მითამაშობდა. სიარულში ემჩნეოდა, რომ თავგამწევი იქნებოდა. კისერზე მსხვილი ქარვის ანცმა ეკიდა. პატრონი, ალბათ, ძალიან უსათუთებდა.

წარმოვიდგინე, როგორ ვადმოიარა ამ ცხენმა ანატოლიის ხრიოკები, არზრუმის კლდეები, ძველი ქართული შავშეთი, სანამ თავის მხედარს ბოროტ მოჩვენებად ჩემს წინ ჩაატარებდა.

ასკერების ოფიცერი ძალიან შოალი უნდა ყოფილიყო. ფეხები მალა ჰქონ-

და აკეცილი და რომ უზანგებიდან ჩამოეშვა, ალბათ მიწამდე დაწვდებოდა. განგისფერი სახე ჰქონდა, უხეიროდ და მოკაუტებული. პირველი შეხედვით ქორს გავდა, სანადიროდ გამოსულ მშვიერ ქორს. მისი თვალები შიშით ვასცქეროდნენ წინ გადაშლილი ქალაქს... ვინ იცის ახლა რა ელოდა იქ! ცხენს ლამაზში ჩასქიდებოდა ორივე ხელით, არ უშვებდა თავის ნებაზე, მაგრამ პირუტყვი მაინც მიიქაროდა და ასკერები თითქმის სირბილით მისდევდნენ.

ოფიცერი რომ ქვეითად ყოფილიყო, ჯარისკაცებისაგან ვერაფერს ვაარჩევდა. მტვერით დაფარულნი, ერთმანეთისაგან არ გამოიცილობოდნენ, ყველა ერთიმეორეს გავდა. რუხი მოძრავი, შესაზარი აჩრდილები.

— ეს უკვე აღარ მომწონს, — შემფოთებით ჩაილაპარაკა ჩემმა მეგობარმა, — თურქები სასიკეთოდ არ ჩამოვიდოდნენ.

ცხადია, ბათუმის ხელში ჩასაგდებად! ისინი მსუნავი ტურებივით ჩასაფრებულნი იყვნენ მთებში, იქიდან გამოსცქეროდნენ ზღვის პირს და ამ არეულ დროში ხელსაყრელ წუთს ელოდნენ. იყნოსეს ეს წუთიც და კიდევაც დაეშვენ გორაკებიდან, რომელიც აქამდე უცნებელ ბუტაფორიად მეჩვენებოდნენ.

სწრაფად ჩავვიარეს, მტვერი იდგამათ ნაკვალეზზე. მტვერის ნისლმა ბოლოს კიდევაც დაჟფარა ისინი.

ასკერები ქალაქში შევიდნენ.

— ახლა ნახე, რა ორომტრიალი შეიქნეს! — ხელი ჩაიქნია მეგობარმა, — ამ წუნკალმა ხალხმა წაგვართვას ბათუმი?!

ეს ორომტრიალი უფრო აღრე დაღვა, ვიდრე ჩვენ გვეგონა.

ჩვენ, ჯარში ნამყოფთ, დასანახავად აღარ გვინდოდა თოფი და ტყვია, რომელიც მრავალს აქამდე არც ვაგვისროლია, რადგან მტრად არ მიგვანდნენ ისინი, ვის წინააღმდეგ საომრად ვაგვიწვიეს. ხალხმა მათ თვითონ გაულოსაპატიმროს კარები, როგორც კი ამის სა-

შეუღება მიეცა და სწორედ ახლა, როცა თურქი ასკერები ქალაქის შუაგულშიც ჩასაფრდნენ, სამშობლო ჩვენგან შევლას ითხოვდა.

რეიდზე იდგნენ უცხოეთის გემები, სადაც გახიზნული მთაგრობა სტამბოლისაკენ წასასვლელად მოკალათებულ იყო. ბრიტანეთის დრედნოუტს ზარბაზნის ტუჩი ნაპირისაკენ ჰქონდა მოშვერილი, თითქოს ჩვენ გვემუქრებოდა.

ქალაქის ბედს თითოეული წუთი სწყვეტდა... ნუ თუ ის განწირული იყო და ველურების ხროვას უნდა წაებილწა?

ბოლომთ საეცე ქუჩაში მივიღიოდი, როცა მოულოდნელად უცხო სიმღერა გავიგონე. ამ ნაღვლიან წუთებში პირველად ის მწარე დაცინვად მომესმა. მაგრამ რა დიდი იყო გაკვირვება და სიხარული, როცა დავინახე, თუ ვინ გუგუნებდა ასე ხმაიანად და მხნედ!

ისინი იყვნენ ქალაქში ახლადშემოსული წითელარმიელები.

— გაუმარჯოს ახალ საქართველოს! — გასძახა ქუჩაში ვიღაც მოქალაქემ და ქუდი ჰაერში ააფრიალა.

ამ ხმას მრავალი აჰყვა.

იმ წუთიდან იმედმაც გაიღვიძა.

• • •

...იმავე ღამეს რაზმებად დაგვყვეს და გავანაწილეს.

ჩვენი რაზმი ორთაბათუმისაკენ გაგზავნეს.

ღამით ქალაქიდან კანტიკუნტად აღწევდა თოვის ხმა. ნაშუალამევს საღვურის მხრიდან ძლიერი სროლა ისმოდა.

შეუმჩნევლად გათენდა. ჩემს წინ ისევ ის ველი იყო, სადაც წინა დღით უღარდელად თამბაქოს ვაბოლებდი. ისევ ის მთები, მაგრამ ახლა ბუტაფორიად აღარ მეჩვენებოდნენ. აღარც მათი სიღამაზე მზიბლავდა. ან კი რა სიღამაზე უნდა ჰქონოდა, როცა ფერ-

დობზე მტერი იდგა და იქიდან სიკვდილის ხარბი თვალი მიცქერდა!

დილიდანვე ბრძოლა გაჩაღდა მარცხანასთან, თამარის ფორტზე, უღსნდგურთან, მარინეს პროსპექტზე ქალაქის შუაგულში. სადაც ქვემეხმაც დაიგუგუნა.

ჩვენთან კი ჯერ ისევ სიწყინარე, სიჩუმე.

ვიღაცამ ამბავი მოიტანა, რომ ქალაქიდან თურქები გამორეკეს და ისინი ჩვენსკენ მოდიანო.

რამდენიმე ხნის შემდეგ შორიახლოდან გახშირებული სროლა მოისმა. თოვის ხმა თანდათან გვიახლოვდებოდა. ბოლოს თვალი მოვკარი, — ჩვენს პირდაპირ ფერდობზე ადამიანები მიცოცავდნენ ფორტის მიმართულებით.

ესენი, ცხადია, ჩვენიანები იყვნენ... ფორტზე ხომ თურქების ნახევარმთვარე ფრიალებდა.

გვიბრძანეს გვეცვალა ადგილი და ველს დავახლოვებოდით. ხოხვით წავიწიეთ და დანიშნულ ადგილზე განვლაგდით.

— ნოტიოში ჩაეწევი თუ რა ჯანდაბაა?! — ბუზღუნებდა ჩემს გვერდით ჯარისკაცი. — აბა რატომ დამგრილა ასე? არა, მშრალია მიწა... — თითონ გასცა პასუხი თავის თავს და მერე ხელი გამომიწოდა: — მომეცი თამბაქო!..

— ერთი შენ კიდევ, რა დროს ეგაა!

— დროს სად ვუცადო, შე კაი კაცო, იქნებ უკანასკნელი იყოს...

ქალაქის ნაგლეჯში გახვია და ხარბად მოსწია.

— რა გემრიელია, შენ აგაშენა ღმერთმა! — ერთი ბლუჯა აიღო და ჯიბეში ჩაიყარა.

გორაკზე ბრძოლა გაცხარდა, ბოლოს კიყინით შეუტრეს ჩვენებმა და შუადღისას ფორტი ისევ ჩვენი იყო.

ქალაქიდან გამორეკილ ასკერებს ერთადერთი უკანდასახვევი საშუალება დარჩენოდათ: ის ვიწრო ველი, რომელიც ჩვენსა და მეორე ფორტის შუამდებარეობდა.

თურქები მართლაც მალე მიადგნენ ამ ადგილს და როგორც კი გამოჩნდნენ, ორივე მხრიდან წავიდა მათგან ტყვია.

ნათლად შევნიშნე, როგორ დაიბნენ და აირიენ. უწყისრიგო სროლით გვიპასუხეს და შემდეგ სადღაც თხრილში ჩაიმაღლნენ. მაგრამ ფერდებიდან დაშენილი ტყვია არც იქ ასვენებდათ. დროდადრო ისინი გამოიჭრებოდნენ ველზე, განწირულებით გაიბრაძლებდნენ, მაგრამ დაკარგავდნენ თუ არა რამდენიმე კაცს, ისევ საფარს უბრუნდებოდნენ.

უეცრად ველზე ცხენი დავინახე.

პირველად ის მოლანდებას ვავდა. ოქროსფერი ცხენი, რომელსაც კისერზე ქარვის ანცმა ეკიდა.

ცხენზე უნაგირი იდგა. ზედ არავეინ იჯდა.

დაფეთებული, შიშისაგან გააგეებულნი დაქროდა. თითქოს ესმოდა, რა გასაკვირში იყო ჩავარდნილი. ერთ ადგილას ის წამით შეჩერდა, ჩაიჩოქა, უცბადვე წამოხტა და ისევ გაქანდა. ჯადოსნურ წრეში მოხვედრილივით ტრიალებდა ველზე.

რა მომხდარიყო იქ? ჩამოქვეითებულ პატრონს გამოქცეოდა, თუ ცოცხალი აღარ იყო ის, ვინც გუშინ გზის პირად მჯდარს ბოროტ მოჩვენებად ჩამოიარა? ფერდობიდან გრიალი გაისმა. ჩვე-

ნებს მსუბუქი სამთო ქვეშები აეტანათ და იქიდან უშენდნენ თხრილში ჩამალულთ.

ჩვენ უკვე გვაბრაზებდა ცხენის შეხედვა. გვინდოდა გათავებულიყო მისი გაგეებული სირბილი, როცა თითონ იბრუნა ამაზე... უკანასკნელად მან ისევ გაიბრინა მინდორზე და მერე ისევ თხრილისკენ იბრუნა პირი. შუა მინდორს იყო მიღწეული, როცა უეცრად შეჩერდა, დატრიალდა, რამდენჯერმე ყალყზე აღგა, თითქო აფრენას აპირებდა და შემდეგ დავარდა როგორც მოცეცილი. დავარდა და თავს ურტყამდა მიწას. ცდილობდა ამღვარიყო, ერთხანს იტრიალა დაწოლილმა, ისევ ურტყა მიწას თავი, მერე თანდათან დაწყნარდა და ბოლოს უძრავად დარჩა.

მეორე დღიდან არც ერთ ფორტზე და არსად ქალაქის ახლო არცერთი თურქი ასკერი აღარ გამოჩენილა. ვინც ცოცხალი გადაჩა, გაქცევით თავს უშველი. იმ დღიდან ეს ველური ტომი საბოლოოდ გამოეთხოვა ბათუმის მხარეს. იმ დღეს იქ ახალი საქართველო დაიბადა.

აკაკი ბენაძე

ორი ლექსი

★

მოსკოვიდან ბერლინში

თოვლის ფიფქები ნაძვებს ეხვევა,
ზამთარს უგალობს ქარი ეული.
აღრენილ ქვეშებს უბა არ ელლება.
წივილით დაძრწის კურვი წყვეული.
არის ტყვიების სტვენა სასტიკი,
თოვლს აწვეებენ ოხვრით ნაღმები.
წინ გვიდგას მტერი შავი სვასტიკით,
უკან, მოსკოვი მაღალ სახლებით.
ვერ აგვათროლებს ცივი ზამთარი,
ვერ შეგვაშინებს ნაღმთა განგაში;
ნათელი სახით, რუხი მაზარით,
ბელადი ჩადგა ჩვენთან სანგარში.
ამოკაშკაშდა ელვად თვალები,
ამოვუდღეკი მხარში შაწხანით
და შეტევაზე ერთად წავედით
მე ჯარისკაცი და ის მარშალი.
გზაზე შეჯგვრიან ტანებს შევებით,
მტრის ქვეითებსაც ერთად ვცელავდით.
... ასე ბერლინში ერთად შევედით
ჯარისკაცი და ხალხთა ბელადი.

— : —

აკაკის მედროზე

★

ცხრა ხმშტადერილს შეება ერთი,
ცხრავე დაცხრილა ბიჭმა შეათვალამ.
თუმც შეელება თვითონაც მკერდი,
მთის წვერზე დროშა მაინც გაშალა.
ის მოიტანეს არმიის შტაბთან,
გულმკერდზე ხალათ-გადახეული,
მოჰყვა ვოგონა სანიტრის ჩანთით,



იდუმალ ცრემლით თვალამღვრელი.
 დაჭრილის შკერდი დიდხანს ლელავდა
 და როს გვეგონა სული დალია, —
 უცებ კრემლიდან გვეკითხა ბელადმა:
 — პოლკის მედროშე ხომ ცოცხალია?
 და ქაბუკს ისევ გაეხსნა თვალი;
 — ჩემი ამბავი ბელადმა გკითხათ?
 შაშ, გადაეცით, ცოცხალი არი
 და კიდევ სწამს, რომ იცოცხლებს დიდხანს.

მზექალა

★

ივლისის გრძელი დღე როგორც იყო მიიწურა. სამუშაო დღე მიილია. დიდ დროს არ გაუვლია, რომ მწყემსმა ნახი-რი სოფლის შარავნაზე გამოატარა. დე-ცარიელებული ორღობეები სამუშაო-დან დაბრუნებული ხალხით გაივსო.

სალეწ მანქანასთან კი ხალხი ისევე ტრიალებდა. ხორბლით გავსებულ ტომ-რების შუა ქალარა კაცი დადიოდა ეტ-ყობოდა, თითით ჩუმად თვლიდა; რო-ცა მე ამ კალოზე გამოვიარე, სალამზე მიპასუხა და როცა გაათავა, შემომხედა. განივრად იღვა. ოფლისაგან შესველე-ბული საყინძი შესნილი ჰქონდა. შავგ-რემან სახეზე კმაყოფილება ემჩნეოდა.

— მზექალა, გეყოფა. — გასძახა მან-ქანისაკენ ვიღაცას. — მაქედან წამოსუ-ლი ხორბალი მე ვიცი, დღეს შენ თავს არ შეგაწყენს, მაგას კიდევ შენ როგორ მოსწყინდება, ბინდი კი საცაა მოგვეპა-რება, ხორბალი უნდა დავაბინავოთ.

ახალგაზრდა ქალი წელში გასწორდა: — თედო, სამჯერ გავწმინდეთ, ხინ-ჯი რამ არ უნდა აჩნდეს, — უპასუხა.

თედო წინ წავიდა, ხორბალი გასინჯა თუ არა, ვადახლართულ წარბებში შე-ქი ჩაუდგა. ამ შექმა მთელ სახეზე შე-მოუარა. თვალით მანიშნა, მივსულიყა-ვი. დაყოფრებული ხელის გული გამო-მიშალა. რომელზედაც უმტვერო ხორ-ბალი ბეჭყვრიალებდა. მაშინ მივხვდი, რომ ეს ერთი შეხედვით გაუცინარი, შეკრული სახე ამ პატარა მარცვლებს გაეშალა.

— კარგია, კარგი! — ჩაილაპარაკა და ორივემ მზექალასაკენ გავიხედეთ. მან გაწითლებული ღამაზე სახე მოგვარი-

და, მაგრამ მაინც შევნიშნეთ. ხშირ წამ-წამებზე ბზის ფერფლები დაჰკიდე-ბოდა.

— ამბად რომ წაიღო, ვინ დაგიჯე-რებს, რომ ხანდახან ღამაზე ქალზე ბზეც კი სამკაულად მოგეჩვენება, — მომიბ-რუნდა ღიმილით თედო. ჩემ პასუხს კი აღარ დაუცადა. იქვე ტომარას დაეჭიდა ასაწევად, თან სხვებიც მოიხშო. იმის ხმაზე თითქოს მანქანას რომელიღაც ნა-წილი ჩამოეცალა, ისე სწრაფად გამოე-რიდა შევეგრემანი მაღალი ქალი. წინ კაბის კალთა აეკაბიწებიანა, განიერ ბო-ლოს კი ფარშევანგივით მოაცურებდა.

— გოგია! ჩქარა გამოიარე სიზარმა-ცისაგან თავი წინ მიგაქვს, ფეხები კო-დევ უკანა გრჩება, — გასძახა ბედელი-დან გამოსულ ახალგაზრდა კაცს.

— მე რომ არ ვიყო, მაკა, ნეტავ რა გეშველებოდა.

— შენმა მზემ. შენ რომ არ იყავი, ოთხ წელიწადს იმიტომ პური გასაღე-წი გვრჩებოდა, ხორბალი კიდევ შესაზი-დი, — უპასუხა სხაპასუხობით ქალმა.

— მაშინ სხვა დრო იყო, მაკა. ხომ გავიგია: — უკაცო სოფელში თავნიც ყანასა მკიდნენო, ვეფხენი უგრეხდნენ ულოსა...

— ერთი ამ მცონარას ვერ უყურებთ. რეებს გვიბედავს. — შეაწყვეტინა მაკამ. თან ღიმილი შემოიწყო სახე კი თით-ქოს ფიჩხს ცეცხლი მისცესო, ისე აენ-თო, მაგრამ გოგიამ გაიცინა და თავისი მოკიდებული ცეცხლი ამ სიცილით თვი-თონვე ჩააქრო. მხიარულად ანიავებდნენ მთელი დღის ნაშრომს.

შებინდებისას ყველანი ერთად გამოვედით.

მზექალას ეჩქარებოდა. — ბაღლებში არ დაიძინონ, უნდა მიუსწროო. ჭაკვირდებოდი: ოდნავ რჩევით მიდიოდა, მჩატედ მიჰქონდა სიმსუქნეში შესული ტანნი. ორღობეში ამოუხევიეთ. ხის ჭიშკართან ორი პატარა გოგო უძრავად იდგა. ჩვენ დანახვაზე მოსწყდნენ ადგილს და მზექალას გზა გადაუჭრეს. დედას კალთაზე ხელებსა ხვევდნენ. თან ერთმანეთს ედავებოდნენ. იმ კალთიდან რომელს უფრო მეტი ეჭირა. მზიარულად შევიდნენ ეზოში. მე ვიდექი იმათ კაკლის ქვეშ და ძლივს გასაგონად მესმოდა ხმები.

რახელ დააბინავეთ ასე სწრაფად, დაიღლებოდი.

— როცა ვაქცაენი გეხმარებიან, მაშინ დაღლაც ნახევარდების.

— ვაი, ბეჩავ, შენ რომ ვაქცაცივით ველარსად ველარ დაიკვებნი. — უპასუხა პირველმა ხმამ და ხმაილალი ამოიხარა.

— რად არა! დასაკვებნი პატროსანი ვაქცაენი კიდევაც დაგვრჩენენ..

მეტი ველარაფერი გავიგე. მივიღოდი და ვეჩქარებდი, რომ ომს ოა მყოფარებას ამ ოჯახისთვისაც ფრთები შეეხა. მაგონდებოდა მზექალას შავი სატინის ტანსაცმელი. შავი მანდილი — ცხარე მზისაგან აქა-იქ ამოხუჩებული.

დიდი მქონდა სურვილი ამ ოჯახის ახლო გაცნობისა, იმდენად დიდი, რომ ერთ საღამოს რაღაც სასყიდლები მოვიმინე და წიკლაურების ჭიშკარი ფრთხილად შევალე ხანში შესული ხევსური ქალი გამომეგება. თალხი ფერის ხევსურულ ტანსაცმელზე ფერადი საგულე და სარტყელი მოხსნილი ჰქონდა. ჩემი დანახვა არ გაუკვირდა, რადგან ასეთ ოჯახებში მოაგარაკენი ხშირი სტუმრები არიან ხოლმე. მწვანე ეზოში ხის პატარა სკამი დამიდგა სახელი ვკითხე.

— მზიას მიხმობენ, — მოძალახა, ღიმილით დაეცქერდი. იმისა სახის მზიანობა ხანს დაეჩრდილა, მზექალას, დარდისგანაც მოკუმულ პირთან ნახევარი გამარაგლებოდა. მარტო თვალბში-და შერჩენოდა პატარა შუქი. ფეხზე ავდექი. ხარხიბით შემოფარგულ ეზოში საქონელი დადიოდა. ფეხებში ქათმები ეღებოდათ. შენიშნა ჩემი ცქერა, ახლოს მოვიდა.

— ხომ ხელავ? ყველაფერი ბევრი გვეყავს — ცხენი, ძროხა, ცხვარი, მარტო ქუდიანი აღარსად მოგვეძებნება. ვაქცაციის ხმა აღარსაიდან ისმის. — და იმის თვალბში ის შუქიც ჩაქრა მე რომ პირველად შევამჩნიე. უბერხული სიჩუმე მზექალამ და ბავშვების შემოსვლამ დაარღვია, ეტყობოდა, სამუშაოდან მომავალს გზაში შეგებებოდნენ, მხოლოდ ახლა ცხენი მომატებოდათ. მზექალა მორცხვად მომესალმა და ცხენს უნაგირის მოხდა დაუწყო.

— თქვენ აქაური არ უნდა იყოთ. — შევეკითხე მზიას.

— გულამაყრიდან გადმოვედით ოცოწლის წინათ. ქმარი აღრე მომიკვდა. ორი ბიჭი დამრჩა. მაგრამ აწი თვალით არ ინახვიდის, ისეთი კარგები იყვნენ. იმათ გამოსაზრდელად ბევრსა ვწვალბოდი. ჩვენ მწირ მიწას რაც გამოსარჩენი ჰქონდა, ვრჩებოდი. რაც გამოსაწერი ჰქონდა, ვწურავდი, მაგრამ მარტო დიაცი რას გახდების. სიღარიბე ჩემ ოჯახში მშვიერ მგელივით მოიწვედა. რომ ბარიდან ამბავი ამოიტანეს — იქ კოლექტივია, მარტოხელა ადამიანს, ხალხი და მანქანები ეხმარებიანო. — გულმა მითხრა: — ადექი, წადი, იქ ერთი-ოცთან იმუშავე და რაიმეს გახდებო. ბიჭები მხრებში ამოვისხი და აქეთ გადმოვაფრინე. კარგი შენ დაგემართოს, კარგად ჩვენ ვიყავით. ბიჭებმა მალე შემცვალეს კოლექტივში და დოვლათი-დოვლათს ემატებოდა. უფროსმა ამ მხარის ყველაზე ლამაზი დიაცი წამოიყვანა.

მზიამ მზექალასაკენ მოიხედა და მეც

გამახედა. გარინდებული იდგა. მზექალას ცალი ხელი ცხენის კისრისათვის შემოეხევენა და თითებით ფაფარს უფარცხნიდა. მზია კი ისევ განაგრძობდა:

— მაგრამ აღამიანის ბედნიერება ცვარსა გავს, მზე-დაკრულს გამობრწყინდება და ისევ მალე ამოშრება. არ შეგერჩა დიდხანს. ომი გამოცხადდა. ორივე ბიჭი სხვა თავის ტოლებთან ერთად ისე წავიდნენ, რომ ოფლიანი პერანგების გაშრობაც კი ვერ მოასწრეს. ისე ჩაიარეს ამ გზაზე, თითქოს ცხრა მთას იქით პური ღარჩენიათ მოსამკალო...

გაჩუმდა მზია. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაისმა მისი დაბალი ხმა.

— წამივიდნენ და აღარ მომივიდნენ. ნუ დაიჯერებთ, თუ ვინმე ვალექსავს, ან შაირად იტყვის, რომ დიაცმა ვაჟის გულისთვის ან ვაჟმა დიაცის გულისთვის თავი მოიკლაო. ის სიყვარული არ იქნება. მე განა ნაკლებ მიყვარდნენ ჩემი ბიჭები. მაგრამ ცოცხალი დაერჩი. მართო გული გამეშდა, გაიყინა.

მე რამდენიმე სიტყვა უთხარი სიცოცხლეზე და მოვალეობაზე, მაგრამ მზიამ შემაწყვეტინა:

რა მესწავლება. დავბერდი... და რაღაც დიდ ფულურო ხისაკენ გამახედა.

— ამოდენა ხის ძირი იმადა სცდება, რომ წვერში ამოსული პატარა ყლორტები ახეიროს... და იქვე მოთამაშე შვილი-შვილებს დაუძახა, მოუალერსა.

— ჰო, ამ ქერა თავზე ერთერთს ქუდი რომ ეხუროს, დარდს არაფრად ჩავაგდებდი... ეტყობოდა, სახეზე გაკვირება შემატყო. მომიბრუნდა:

— რად გიკვირს ბიჭები რომ იყვნენ, კიდევ იმედი შექნებოდის, რომ ოდესმე ჩემი ოჯახი ან გმირობით, ან ვაეკაცობით, ან დოვლათით მოიხსენებოდის. სახელი დიდი რამ არის.

მზიას მაგიერი აღარაფერი ეუთხარი. ბინდი შესამჩნევად ჩამოწვა. მე წასასულელად ავდექი. მზექალამ და ბავშვებმა ორლობეში გამოამაცილეს.

წამოსვლის წინ მზიასთან კიდევ შევიარე. მარტო იყო. მე ვამხნევებდი, ვეუბნებოდი, რომ მზექალას მკაცრი განკვირება-მეთქი.

— ო ო, შენ კიდევ არ იცი, რომ მზექალამ ერთგულება დაიფიცა.

— როცა სიკვდილის ამბავი მოიტანეს, ზარი და მოთქმა გაიმართა. უწინ წესი არ იყო, რომ ხევსურ ქალს ხმა ამოეღოს, მაგრამ ჩემი მოთქმა ცასა სწვდებოდა. ვტიროდი, ჩემ ოჯახში ვისლა დაეახურო თქვენი ნაქონი ქუდი. თქვენი იარაღი ვისლა ავასხა. თქვენ ცხენზე ვინ ამხედრდების. ზარის დროს სიტყვა ძვირი მზექალა ხმას ამოიღებს და იტყვის ისე, რომ მოქარბულ ხალხს, რუს, ქართველს, თათარს ეყურებოდა, ვინც ვერ იგებდა უთარგმნეს და ვინც არ დაესწრო მზექალას სიტყვები ამბად წაიღეს.

— თუ ამათი დატოვებული პურის ყანები მე ჩავიბარე, მაშინ ამთ მიტოვებულ იარაღსაც მე ავიხსამ, ამათ ცხენზე მე ავმხედრდები და მტრის ჯავრს მე შევექამო, მაგრამ დღეშმანს არ დასცალდა. ომი გათავდა, თორემ უსათუოდ შესასრულებდა. — მითხრა მზიამ და კიშკრამდის გამოამაცილა.

რამდენიმე საათის შემდეგ იმ სოფლიდან უკვე შორს ვიყავი, საღამო იყო, მზე ისევ მთის წვერზე შედგა და მაგონდებოდა, რომ ახლა სწორედ მზექალამ კოლეტივიდან მომავალი ორლობეში ამოუხვია და ქერა გოგოები შესაგებებლად აღმათ გზას გადაუჭრიდნენ. დედას კალთაზე ხელებს მოხვევდნენ.

ორი წლის შემდეგ ერთი ნისლიანი შემოდგომის დღეს ისევ იმ სოფელზე გამოვიარე და ნაცნობ ორლობეში შეუხვითე. ცოტა ხნის შემდეგ მზიაც გამოჩნდა. ეტყობოდა, ჩემი ნახვა გაუხარდა, ხელი წამელო, ფართო მზიან ოთახში შემიყვანა. მოიბოდიშა მზექალა საბუკოში დაიბარეს, მალე მოვაო. თვითონ კი, როგორც მასპინძელი დაფათურობდა. მარტო ვიყავი ოთახში. თითქმის

ყველა წვრილმანს თვალს ვადევნებდი, მოხარატული კიდობანი და ძველებური სკივრი შუა ცეცხლისაგან შებოლილი კუთხეებში იყო მიფარებული. დანარჩენ ავეჯს სიახლის ელფერი ჰქონდა და თვითულ იმათგანს პატრონის მზრუნველი ხელი ისე აჩნდა, რომ უსათუოდ მზექალას გაგახსენებდა. ბავშვებს დედის ამბავს ქეკითებოდი, რომ კარების დირეზე მზია გადმოდგა.

სახე უღიმოდა. ნაოჭებში ჩამჯდარი პირი რაღაცას სათქმელად ემზადებოდა.

ახლოს მოვიდა, ღმირით სახეში დამაცქერდა.

— გაგიკვირდება და გაგიხარდება ისეთ ამბავს გეტყვი! ისე, როგორც ბავშვობის ხანს გიხაროდა, როცა კონკებით შემოსილი მზეთუნახავი ბედს ეწეოდა. ანდა კარგი ჰკუთით და ღონით იმარჯვებდა. მაგრამ ის ზღაპრად იყო. მარტო ერთ ღამეს ძილს დაგვიფერთხობდა. მეორე დღეს კი გვაიწყდებოდა. ჩემ ოჯახსაც სწორედ ისეთი ბედი ეწვია. მზექალა გაზეთშია დახატული. უცხო კაცი ხელს აწერენ. ვმირი ქალია, ბევრი პური მოიყვანაო.

მე აღტაცებული ფეხზე ავდექი. მზიას გაზეთი მოფვითხე.

— შენ იცი, მზექალას ჩვენი მთის მეტი სხვა მთისა და ბარისათვის თვალი არ მოუყრავს. ისიც იმ მთაზედაც ბავშვობის ხანს ნახირი დაუდიოდა. — მითხრა მზიამ და კარადიდან გაზეთი გამოიღო.

— ახლა იმის სახელმა კი ცხრა მთა და ცხრა ზღვა უნდა შემოიაროს... — დიდი სიფრთხილით დაეკვილი გაზეთი ისეთივე სიფრთხილით გადამიშალა.

— აი აქ ჩემი ბიჭების სახელიც არის მოხსენებული, ქმარი და მამლა გმირული სიკვდილით დაედუბაო! — ეტყობოდა. ემინოდა არ გამომჩინოდა. დამჯანარი თითი გაზეთირებულ სტრიქონებს

გააყოლა, როცა გაზეთის უკითხვა მოგათავე, მზიას მივუბრუნდი:

— მზია, ხომ ხედავ ვაჟს ვაჟების ოდენა შესაძლებია!

— მერე მე ეგ როდი მესწავლება. მე განა მზექალაზე ნაყლებს ვმრომობდი, მაგრამ მაშინ ვინ მიფახებდა... დანაოჭებული შუბლი მოგონებისაგან უარესად დაუნაოჭდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მომიბრუნდა: — ახლა სხვა დრო გათენდა. დიაცებს, რომელსაც კარგი ვაჟკაცის ოდენა შეუძლია, ამ დრომ ვაჟკაცის ქუდიც დაახურა.

...ამას წინებზე, აქ დოდი იყო. ვეცოდინებდა, მთის ხალხს ცხენით ჯირითი ძალიან უყვარს. ომის დროს ცხენის ჭიხვინიც კი აღარავის არ გაუგია. იმტომ ყველა ვაჟკაცი ფეხზე დადგა. თავის ცხენს მუხლი გაუსინჯა. მე კი ვიჯექი და ვტიროდი, რომ ჩემი ბიჭების ცხენი უპატრონოდ თავლაში ლაგამსა ღრღნიდა. მზექალამ ერთხანს მუხლმეკრული მიცქირა, მერე უხმოდ ფაფარი ტურფად შეუკაზმა და რომ წაფხდნენ ვაჟკაცი, ისიც შუაში ჩაიყენეს, როგორც ნამდვილი მხედარი და წაიყვანეს. იქ ბევრს გაუსწრო თურმე და ქმრის ცხენი ცხენებში არ გამოსწირა, ოჯახი კი სხვა ოჯახებში.

— მზია, მარტო შენ კი არა, მზექალას ყველა უნდა ვუმაღლოდეთ ამ გმირობისათვის.

— მზექალას კი არა, ჩვენს საყვარელ მამას უნდა ვუმაღლოდეთ, — მზიამ სტალინის სურათზე მიმითითა.

— ამისმა მაღლიანმა თვალმა ჩემ გარტილებულ ქონშიც შემოიხედა, დიარავებულ გულზე ნუგეშად მალამო მომაფარა. ორთავ დაბრმავებულ თვალებში შუქი კიდევ ჩამიყვნა.

მზიას შეეხედე, თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს ვიღაცას ორი გაღვივებული ნახშირი მოუტანია და ამ მინაცრებულ სახეში ხელით ჩაუსხამსო.

პარსკლავი



„გამარჯვებით, ამხანაგო ლეიტენანტო! გწერთ მე, ივანე ვასილის-ძე ანიკანოვი, თქვენი მზვერავი, სერჟანტი და პირველი ათეულის მეთაური. შემიძლია შეგატყობინოთ, რომ კარგად ვცხოვრობ, რასაც თქვენც გისურვებთ სულითა და გულით. ჰოსპიტალში ამომიღეს ტყვია, რომელიც ფეხის რბილ ქსოვილებში მქონდა. ჰოსპიტლიდან მოვხვედი სათადარიგო პოლკში. აქ პირველ ხანებში, მაინცდამაინც, საქმე რიგზე ვერ იყო, იმიტომ, რომ უფრო უარესად კვებავენ, ვიდრე ფრონტზე; მე კი ჭამა მიყვარს და საფრონტო ულუფასაც ძალიან შევეჩვიე. მთელი დღის განმავლობაში მიხდებოდა სამხედრო საქმისა და წესდების სულ თავიდან შესწავლა და აგრეთვე სირბილი და „ვაშას“ ძახილი. გერმანელები კი, რა თქმა უნდა, აქ არ არიან, ხოლო სასროლად გაზნებს არ იძლევიან. აი, კიდევ ერთი უბედურებაც — ჩამომართვეს ჩემი დამბაჩა „ვალტერი“. რომელიც, თუ გახსოვთ, აი, იმ გერმანელ კაპიტანს წაეართვი შავი დოღბანდით თვალი რომ ჰქონდა ახვეული. ვიყავი გასასაჩივრებლად აქაურ ბატალიონის მეთაურთან, მაგრამ მან მითხრა: სერჟანტს დამბაჩა არ ეკუთვნისო. მე რომ უბრალო სერჟანტი არა ვარ, არამედ მზვერავი ვარ და ასეთ დამბაჩას, შესაძლოა, ორ ასეულსაც გაეგლოს ჩემს ხელში, ამის შესახებ მას გაგონებაც კი არ სურს, შემდეგ გადამიყვანეს დამხმარე მეურნეობაში, და

აქ კი ვცხოვრობ, როგორც შეძლებული კოლმეურნე. მე აქ ყველაფერი მაქვს — არაყანიც, კარაიცი და ყოველგვარი ბოსტნეულიც. მით უმეტეს აქ მე უფროსის ადგილზე ვარ, როგორც კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე. ძაშასადამე, ჩვენ სულ ხენა-თესვანი ვართ. სადამოობით ვახშმისა და ზედრძის დაყოლების შემდეგ, ვწვევარ ბუმბულზე. დიასახლისი თავს დამტრიალებს და ვფიქრობ. ამხანაგო ლეიტენანტო ტრაკინ, თქვენზე და ჩემს ოცეულში მყოფ ამხანაგებზე. ვიგონებ ჩვენს საბრძოლო საქმეებს და, რაც მთავარია, თქვენს ტანჯვას, თუ როგორ იბრძვით ჩვენი დიადი საშობლოსათვის, და გულზე ცეცილი მეკიდება. გახსოვთ ამხანაგო ლეიტენანტო. მოელაპარაკეთ ამხ. სერბიჩენკოს იქნებ მან ჩემზე მოთხოვნილება გამოგზავნოს, რომ მე თქვენთან გამომიშვან. მე უთქვენოდ აქ ყოფნა არ შემიძლია — მცხვენია, ამხანაგო ტრაკინ, რომ თქვენთან ერთად ვერ მივიყვანე ეს ომი ბოლომდე და ვცხოვრობ, როგორც შეძლებული კოლმეურნე და, ისე გამოდის, თითქოს თქვენ მიცავთ გერმანელებისაგან. საღამო თქვენ და მთელ ჩვენს სახელოვან ოცეულს.

ივანე ვასილის-ძე ანიკანოვი“.

ვინ იცის მერამდენეჯერ გადაიკითხა ეს წერილი ტრაკინმა. გულაჩუყებულს გაეღიმა და კვლავ გაიხსენა, როგორი იყო ანიკანოვი და რა კარგი იქნებოდა, რომ ის აქ ყოლოდა ახლა. თითქმის სულ

უგულოდ ჩასტყვროდა მძინარე მწვერავების სახეებს და აღარებდა მათ იქ არმყოფ ანიკანოვს.

«არა, — ფიქრობდა ტრაკვინი, — ესენი არ არიან ისეთნი, როგორც ის იყო. ამით არა აქვთ ის მშვიდი სიამაცე, აუჩქარებლობა და ნათელი გონება. ანიკანოვში მუდამ დარწმუნებული ვიყავი, მისი იმედი მქონდა. მან არ იცოდა რა არის პანიკა. მამოჩინი გამბედავი, მაგრამ წინდაუხედავი და ანგარების მოყვარულია. ბიკოვი წინდახედული, მაგრამ მეტისმეტად ფრთხილია. არის ხოლმე ისეთი მწვავე წუთები, როცა წინდახედულობა სიმხდალეს უდრის. ბრაქნიკოვს არა აქვს საკმაო დამოუკიდებლობა, თუმცა მას კარგი თვისებებიც მოეპოვება. ვოლუმი, სემიონოვი და სხვები ჯერ კიდევ არ არიან მწვერავები. მარჩენკო — ადამიანი, ოქრო ადამიანი იყო, მაგრამ ის, ალბათ, დაიღუპა და ვეღარ დაბრუნდება».

ანიკანოვის წერილის გამო არც თუ მთლად მართებულად მწარე ფიქრებით შეპყრობილი და აღელვებული ტრაკვინი დარანიდან გავიდა ცივ გარეგარეზე და წაჩანჩალდა იმ ფლატესაკენ, რომელიც ამორჩეული ჰქონდა მწვერავებთან ტექნიკური მეცადინეობისათვის.

ეს ადგილი საკმაო სიზუსტით წარმოსახვდა ნამდვილ წინა ხაზს. ფლატეს სკრიდა ფართო ნაკადული, რომელზედაც დახეკილიყო უკვე ამწვანებულ ძეწები. მწვერავების მიერ სპეციალურად მათი მეცადინეობისათვის ამოთხრილი არც ისე ღრმა სანგარი და ორი წყება ეკლიანი მათეულხლართი მოწინააღმდეგის წინა ხაზს აღნიშნავდა.

ამ „ბრძოლის ასპარეზზე“ ტრაკვინი ახლა ყოველამე ატარებდა მეცადინეობას. მისთვის ჩვეული შეუპოვრობით ერეკებოდა მწვერავებს მდინარის ცივ ფონში გაღმა გადასასვლელად. აჭრენებდა მათეულს, გრძელი სასანგრო ზონდით ასინჯინებდა ვითომდანამოულ მინდორს და აბტუნავებდა სანგრებზე.

გუშინ მან ახალი თამაში მოიგონა. რამდენიმე მწვერავი ჩასვა სანგარში. დანარჩენები კი აიძულა მიტოვებულიყვნენ მათთან, რაც შეიძლება ჩუქად, რომ გაეწაფა ხალხი უცხო მოძრაობაში. თვითონაც ჩაჯდა სანგარში და უსმენდა ლამურ ხმებს, მაგრამ მისი ფიქრები აქ კი არა, იქ, ნამდვილ წინა ხაზზე იყო, სადაც გერმანელებმა უკვე მოასწრეს აეგათ საინჟინერო ღობურათა მძლავრი სისტემა, რომლის გადალახვაც მალე მას მოუხდებოდა. ამასთან ერთად ოცეულმა მიიღო შევსება — ათი ახალი მწვერავი, ასე რომ ტრაკვინს ახლა, მის მიერ ოპერაციისათვის შერჩეულ ადამიანებთან სპეციალური მეცადინეობის ჩატარების გარდა, მეცადინეობა უხდებოდა დანარჩენებთანაც, ამათთან მას თვალყური უნდა ედევნებინა ყოველდღიურად მოწინააღმდეგის წინა ხაზისათვის, შეესწავლა მისი რეჟიმი და ქცევა.

ამ განუწყვეტელი მძიმე მუშაობის შედეგად ის მეტად ნერვიული გახდა. თუ წინათ ტრაკვინი განწყობილი იყო ეპატიებინა მწვერავებისათვის წვრილმანი შეცოდებანი, ახლა იგი სულ მცირე დანაშაულისთვისაც კი სჯიდა მათ.

უწინარეს ყოვლისა მამოჩინის მოხვდა. ტრაკვინმა მკაცრად ჰკითხა — სად მოულობს ის ყოველგვარ სურსათ-სანოვავეს. მამოჩინმა რაღაც ჩაიბუტბუტა გლეხთა ნებაყოფლობით წყალობის შესახებ, რის გამოც ტრაკვინმა სამი დღედაღამით დააბატიშრა იგი და თანაც უთხრა:

— დაე სამ დღეს მაინც დაისვენოს შენგან აქაურმა გლეხობამ.

კატიას თავაზიანად, მაგრამ დაბეჯითებით სთხოვა შეეწყვიტა ჯერჯერობით (მან სწორედ ასე უთხრა: „ჯერჯერობით“) დარანის მონახულება. მართალია, ცოტა უხერხულობა იგრძნო, როცა კატიას შემკრთალ გამოხედვას შეასწრო თვალი, უნდოდა უკან დაებრუნებინა იგი, მაგრამ თავი შეიკავა.

მაგრამ მას ყველაზე უფრო ატყინა გული ჯერ არნახულმა ამბავმა, რომელიც შეემთხვა ახალმოსულ ფეოკტისტოვს, ყაზანის რომელიღაც მახლობელ ადგილიდან ჩამოსულ ამ მაღალ, ლამაზ ყმაწვილს.

იმ დილას წვიმდა და ტრაკვინმა გადაწყვიტა დასვენება მიეცა მზვერავეებისთვის. დილით გამოვიდა დარანიდან და გავემართა ბარაშკინის ბლინდაკისაგან, სადაც თარჯიმანი ლევინი მას გერმანულ ენას ასწავლიდა. წისკვილის ახლოს, ბუჩქნარში, ფეოკტისტოვი დაინახა. მაღალი, მშვენიერი მოყვანილობის ფეოკტისტოვი, წელსებით შიშველი იწვა ბალახზე კოკისპირულ წვიმაში. გაკვირვებული ტრაკვინი შეეკითხა, თუ რას ნიშნავდა ეს. ფეოკტისტოვი წამოხტა და შეცბუნებით უპასუხა:

— ცივ აბაზანებს ვიღებ, ამხანაგო ლეიტენანტო... შინაც ასე ვშვრებოდი.

იმავე ღამით, უხმაურო ცოცვისათვის გაჩაღებული მეცადინეობის დროს, ფეოკტისტოვს მაგრად დაახველა. პირველად ტრაკვინს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ, როცა ისევ დაახველა ფეოკტისტოვს, ლეიტენანტი ყველაფერს მიხვდა: ფეოკტისტოვი ვანზრახ ცდილობდა გაცივებულყო. მან, ცხადია, იცოდა ძველი მზვერავეების ნაამბობიდან, რომ ვისაც ხველა აწუხებს დავალებასზე არ წაიყვანენო, რადგან ხველას შეუძლია მთელი ჯგუფი გამოამკლავნოს და ხელთ ჩაუგდოს გერმანელებს. ტრაკვინს მთელი თავისი ზანმოკლე ცხოვრების პერიოდში არ განუცდია ისეთი საშინელი სიშმაგე, როგორც ახლა. მას დიდი ნებისყოფის გამოჩენა დასჭირდა, რომ არ დაეხვრიტა ეს მაღალი, ლამაზი, მხდალი არამზადა იქვე, ამ მოვარის სინათლეზე, საგონებელში ჩაყარდნილ მზვერავეთა თვალწინ.

— აი, თურმე, რა ყოფილა ეს აბაზანები, საზიზღარო ლაჩარო!..

მეორე დღეს ფეოკტისტოვი სხვა ნაწილში ვადარიცხეს.

ტრაკვინს მოაგონდა ეს შემთხვევა და ველარ შესძლო თავი დაეხვეწა საზიზღარი გრძნობისათვის.

მზე ამოდიოდა, და საჭირო იყო წინა ხაზზე წასვლა. ტრაკვინმა წაიყვანა ორი მზვერავე და ჩვეულებრივი გზით გაემართა მდინარისაკენ.

რამდენადაც უფრო უახლოვდებოდა წინა ხაზს, იმდენად უფრო დაძაბული, და უფრო შეკუმშული იყო ჰაერი, თითქოს ეს დედამიწის კი არა, არამედ განუზომლად მეტი და უცნობი პლანეტის ატმოსფერო იყო. ტყვიამფრქვევის ცეცხლის მძლავრი მზეფები, ნაღმ-მტყორცნელთა დამაყრუებელი გრუნხუნი და შემდეგ უკეთურობის მომასწავებელი სიწყნარე, რომელსაც უეცარი სიკვდილის ახალ-ახალი შესაძლებლობა მოსდევს. ყუმბარებით დახლეჩილი ხეების გასწვრივ, არტილერიის პოზიციების გასწვრივ მწვანე ხალათებით გამოწყობილი მზვერავეები სულ უფრო-დაუფრო უახლოვდებოდნენ ომს.

მეორე ბატალიონის სანგრებში ტრაკვინს მამოჩინი შეხვდა. მამოჩინი პატიმრობის შემდეგ აქ გამოგზავნა ტრაკვინმა მუდმივ უფროსად სათვალთვალო პუნქტზე — „ახლოს გერმანელებთან, მოშორებით კათმებისაგან“. მამოჩინმა მკვირიცხლად შემოკრა ქუსლები ერთმანეთს და გადასცა მას მეთვალყურეობის სქემა და ჩანაწერები მოწინააღმდეგის მოქმედების შესახებ განვლილი დღე-ღამის მანძილზე.

ტყვიამფრქვევის ძელმიწურიდან ტრაკვინი სტერეომილით აჯვირდებოდა გერმანელთა წინა ხაზს. მის ძელმიწურში ჩვეულებრივად შემოდიოდნენ ბატალიონის მეთაური კაპიტანი მუშტაკოვი და არტილერისტი კაპიტანი გურევიჩი. მათ იცოდნენ ტრაკვინის მომავალი ამოცანის შესახებ, და ტრაკვინიც მათ თვალეში სინანულით კითხულობდა რაღაც ბოდიშისმაგვარ გამომეტყველებას: „შენ, აი, იქ უნდა წახვიდე და ჩვენ

კი მშვიდად ვზივართ აქ ძელქვრებით დაცულ მიწურებში“.

თვით მათი თავაზიანობაც და მოსახმარებლად მუდმივი მზადყოფნაც კი აღიზიანებდა ტრაკვისს. ტრაკვინი თავის გუნებაში პროტესტს უცხადებდა მათ აზრებს რომლებიც მისთვის სასიკვდილო განაჩენს უდრიდნენ. ის სტერეომილით იყურებოდა ილიმებოდა და ფიქრობდა: „დაიცათ, მეგობრებო, მე თქვენზე მეტ ხანს ვიცოცხლებ“.

ტრაკვისს მათთვის ავი როდი სურდა. პირიქით, იგი ორივეს მიმართ ღრმა სიმპატიით იყო გამსჭვალული. ახალგაზრდა, ლამაზი მუსტაკოვი დივიზიაში ბატალიონის საუკეთესო მეთაური იყო. განსაკუთრებით მოსწონდა ტრაკვისს მუდამ თავაზიანი და ყოველ ვიზიტებში ფაქიზი არტილერიისტი გურევიჩი, რომელსაც მათემატიკის დიდი ნიჭი ჰქონდა; მისი ბატარეა განსაკუთრებული სიზუსტით ურტყამდა მიზანში და შიშისხარს სცემდა გერმანელებს. გურევიჩი მთელი დღეობით დაუხეტებოდა სანგრებში, დაინებით, გამუდმებული სიძულვილით აცივრდებოდა გერმანელებს და ყოველთვის აწვდიდა ტრაკვისს უძვირფასეს ცნობებს. გურევიჩში ის ამჩნევდა მისთვისაც, ტრაკვისისთვისაც, ჩვეულ ფანატიზმს მოვალეობის აღსრულების დროს. იფიქრო არა შენს პირად სარგებლობაზე, არამედ მხოლოდ შენს საქმეზე — ასე იყო აღზრდილი ტრაკვინი და ასევე იყო აღზრდილი გურევიჩიც. ისინი ერთიმეორეს „თანამემამულეს“ უწოდებდნენ, რადგან ერთი ქვეყნიდან იყვნენ — იმ ქვეყნიდან, სადაც სწამთ თავისი საქმე და მზად არიან სიცოცხლე შესწირონ მას.

ტრაკვინი გულმოდგინედ მისჩერებოდა გერმანელთა სანგრებსა და მავთულ-ხლართებს. გულში ინიშნავდა ნიადაგის ოდნავ უსწორმასწორობას, გერმანელთა ტყვიამფრქვევების ცეცხ-

ლის მიმართულებას, გერმანელების ყოველ მოძრაობას სანგრებში.

ნამდვილი შურისმაგებლობით შეპყურებდა ის ზაფხულსავე, რომლებიც დაუსჯელად დაფრინავდნენ ჩვენი წინა ხაზიდან გერმანელების ხაზისაკენ და უკანვე ბრუნდებოდნენ. მათთვის არ არსებობდა ეს მრისხანე დაბრკოლებანი. აი ვის შეეძლო ეამბნა ყველაფრის შესახებ, რაც გერმანელების მხარეზე ხდებოდა ის ოცნებობდა მოლაპარაკე პილყავაზე, მწვერაგ-პილყავაზე, და თვითონ მას რომ შესძლებოდა გადაქციულიყო ასეთად, სიხარულით გამოეთხოვებოდა თავის ადამიანურ სახეს.

თავბრუნდახვევამდე თვალთვალის შემდეგ, როცა ტრაკვინმა უკვე აღნიშნა თავისი დაკვირვებანი, სამეთვალყუროდ მწვერაგები დასტოვა და თვითონ კი მუსტაკოვის მიწურისაკენ გაეშურა.

აქ თავი მოეყარათ ოცეულთა ახალგაზრდა მეთაურებს, რომელთაც ახლან დემთავრებიანთ სამხედრო სასწავლებელი სადღაც ზურგში და ფრანტზე ჩამოსულიყვნენ. ესენი იყვნენ უმცროსი ლეიტენანტები, რომელთაც სულ ახალი ტანსაცმელი და ფართოყელიანი წყალუქონვადი ჩექმები ეცვათ.

მათ შესწყვიტეს ხამალალი ლაპარაკი და ტრაკვისს პატივისცემის გამოჩნატველი სიჩუმით შეხვდნენ. ტრაკვინი მიუხედა პატარა მაგიდას, ის გრძნობდა ახალგაზრდა ოფიცრების მისკენ მიმართულ ცნობისმოყვარე თვალებს და თვითონაც ფიქრობდა მათზე.

დაახლოებით ამათი ასაკის ტრაკვინი თავს გაცილებით უფრო ხშიერად გრძნობდა. მისთვის საამერი იყო იმის შეგნება, რომ მან უკვე საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა. ის რომ დაიღუპოს, მებრძოლები იდარდებენ, მას მოიხსენებს დივიზიის მეთაურიც „ის გოგონაც, — ანაზღად გაიფიქრა მან, ის კატიაც“.

შეიძლება საკუთარი თავის დაღუპვის წინ ოგი უაღრესი შემწყნარებელი სიბრალულისა და უპირატესობის გრძნობით აღდევნებდა თვალყურს ახალგაზრდა ლეიტენანტებს.

ერთი მათგანი, დიდი ცისფერთვალეობა ყმაწვილი, რომელიც ტრაკინს აღტაცებით შესცქეროდა განსაკუთრებით მოეწონა მას. როდესაც მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, ყმაწვილმა მორიდებით უთხრა:

— წამიყვანეთ თქვენთან. მე სიამოვნებით წამოვალ დახვედრებზე.

სწორედ ასე უთხრა: „სიამოვნებით“. ტრაკინს გაეღიმა.

— კეთილი, ვთხოვ დივიზიის შტაბის უფროსს, რომ თქვენ ჩემთან გამოგიშვან, მე ხალხი ცოტა მყავს.

დივიზიის შტაბში მისვლისას მან მართლაც მიმართა პოლბოლკოვნიკ გალიევს ამ თხოვნით. გალიევი დაეთანხმა და ბრძანება გასცა დაერყნათ ამის შესახებ პოლკში.

ასე დასახლდა დარანში უმცროსი ლეიტენანტი მეშჩერსკი — წარმოსადგეგი, ცისფერთვალეობა, ოცი წლის ყმაწვილი, ფართოყელიანი წყალ უფონავი ჩექმებით. მის ჩემოდანში რამდენიმე წიგნი იყო, და მეცადინეობის შემდეგ, თავისუფალ საათებში, ის მღერით უკითხავდა მშვერავებს ლექსებს. ისინიც სერიოზული სახეებით ისხდნენ მობნელო დარანში, გულმოდგინედ ისმენდნენ შეწყობილ, შერგვალებულ სიტყვებს, და გაკვირვებული იყვნენ პოეტის ხელოვნებითა და მეშჩერსკის ზეშთაგონებული ალყაღებებით.

როცა ტრაკინი დარანში არ იყო, კატია მოდიოდა. მეშჩერსკი მას თავაზიანად ზედებოდა, ხელს ართმევდა და დასაჯდომად ეპატიებოდა. ეს მოსწონდათ მშვერავებს და ცოტა ეცინებოდათ კიდევ ასეთ თავაზიან მოპყრობაზე, რადგან გადაჩვეული იყვნენ ასეთ თავაზიანობას.

ერთხელ როგორღაც მეშჩერსკიმ უთხრა ტრაკინს:

— შესანიშნავი გოგონაა, ვე შეგძალაწი შირე!



— რომელი?
— კატია სიმაკოვა. ის ხშირად მოდის აქ.

ტრაკინმა წაუყურა.
— თქვენ განა არ იცნობთ მას? — შეეკითხა მეშჩერსკი.

— ვიცნობ. რითია ის შესანიშნავი, თქვენის აზრით?

— გულკეთილია. მშვერავებს ურეცხავს. ისინიც, როცა შინიდან წერილებს იღებენ, უკითხავენ, უზიარებენ ახალ ამბებს. მისი მოსვლით ყველა კმაყოფილია. მღერის კარგად.

მეორეჯერ მეშჩერსკიმ მისთვის ჩვეული აღფრთოვანებით სიტყვა:

— მას ხომ თქვენ უყვარხართ! პატრონის სიტყვას გაძლევეთ, უყვარხარო: ნუთუ თქვენ ვერ ამჩნევთ ამას? ეს ისე აშკარაა... რა კარგია! მე მახარებს ის ამბავი.

ტრაკინს ნაძალადევაღ გაეღიმა.

— თქვენ საიდან იცით? თვითონ გათხრათ?

— არა, რატომ... მე თვითონაც შევაჩინე. გეუბნებით, შესანიშნავი გოგონაა!

— მას ხომ ყველას შეყვარება შეუძლია, — უხეშად სიტყვა ტრაკინმა.

მეშჩერსკი მტკივნეულად შეიკუმხნა და ხელებიც კი გაასაყავა.

— რას ამბობთ, რას ამბობთ!.. როგორ შეიძლება ასეთი რამ იფიქროთ? ეს უსამართლობაა!

— უკვე დამის მეცადინეობის დროა, — შეაწყვეტინა ტრაკინმა ლაპარაკი.

მეშჩერსკი გულმოდგინედ მეცადინეობდა. რასაც აკეთებდა ყველაფერში თითქმის ზავშეურ კმაყოფილებას გრძნობდა. ის მანამ დახობავდა, სანამ ღონე არ გამოეღოდა. გულადაღ შესა-

ტრავადა ნოღმე ყინულივით ცივ ნაკადულში და მთელი ღამეობით მზად იყო მოესმინა დაუსრულებელი ამბები ოცეულის საბრძოლო საქმეების შესახებ.

მეშვირსკი სულ უფროდაუფრო მოსწონდა ტრავკინს, კმაყოფილებით შეკურობდა ცისფერთვალეა ყმაწვილს და ფიქრობდა: „აი ეს ნამდვილი არწივი იქნება“...

• თავენი მემკვსე

— მაშასადამე, ხეალ ღამით გავდივართ, ღმერთმა ქნას, ღამე ბნელი იყოს, — მშვერაგებისათვის ეს ყველაზე მთავარია, — თავმოწონებით ყბედობდა მამოჩინი ახალგაზრდა მშვერაგების წინაშე.

ის საკმაოდ შექვიფიანებული იყო. ტრავკინმა მომავალი ოპერაციის გამო მამოჩინი წინა ხაზიდან დასასვენებლად გაუშვა და ის მაშინვე წავიდა „თავის“ მოხუც-ქვერივ მამაკატთან. მან დარანში მოიტანა ერთი კოკობი თაფლი, ერთი ბოთლი არაყი, კარაქით სავსე კონსერვის ქილა, კვერცხები და სამი-ოდე კილოგრამი მოხარშული ღორის ხორცის ძეხვი. ხარკის დიდი რაოდენობით მოთხოვნის გამო, მოხუცის მორიდებულად შესიტყვებამზე, მამოჩინმა ნაღვლიანად უპასუხა:

— არა უშაქს, მოხუციო! შესაძლოა ამის მეტად აღარასოდეს მოვიდე შენთან, ცხადია, სამოთხეში მოვხვდები: აქ კი შენს ღედაკაცს ვნახავ და ვუამბობ როგორი კეთილი კაცი ხარ. უმჯობესია ნუ შედაეები, მე შენგან, შეიძლება, უკანასკნელ ხარკს ვიღებდე...

შექმნილ განსაკუთრებულ ვითარებასთან დაკავშირებით მამოჩინმა გადასწყვიტა გაემხილა თავისი „ბაზის“ საილუმოება. მან თან წაიყვანა ბიკოვი და სემიონოვი. დატვირთა ისინი სანოვაგით და თვითკმაყოფილებით გაღიმებული ყოველ წუთში ეკითხებოდა მათ.

— აბა, რას იტყვით!

სემიონოვი აღტაცებულმა იყო მამოჩინის მიუწვდომელი, თითქმის წაშლის-ნური წარმატებით:

— ჩინებულა! როგორ ახერხებ ასე?

ბიკოვი მიხვდა, რომ აქ ცოტა ჭუპყიანი საქმე იყო და უთხრა:

— ფრთხილად, მამოჩინ, ლეიტენანტი გაიგებს!

მოხუცის ყანის ახლოს ჩავლისას მამოჩინმა ირიბად გადახედა „თავის“ ცხენებს, გუთანსა და ფარცხში გაბმულებს. ცხენებს წინ მიუძღვებოდა მოხუცის წვილი, მოხრილი, ჩუმი რეგვანი, და რძალი—მაღალი, ღამაში დედაკაცი.

მამოჩინმა ყურადღება მიამჯობა დიდ ქვრან, შუბლზე თეთრნიშნიან ფაშატს. მას გაახსენდა, რომ ეს ცხენი იმ უცნაურ დედაპერს ეკუთვნოდა რომელთანაც ოცეული დასასვენებლად გაჩერდა.

„აღბათ, ილანძღება ის ღვთისმოსავი დედაპერი!“ — გაუელვა თავში მამოჩინს და მან რაღაც სინდისის ქენჯნის შავგარი იგრძნო. მაგრამ ახლა ყოველივე ამას აღარ ქონდა მნიშვნელობა. წინ დავალეა უძვეთ და, ვინ იცის, რით დამთავრდება.

დარანში მოსვლისას მამოჩინმა თვალი მოჰკრა ტრავკინს, რომელიც ძველ სალევ მანქანასთან იჯდა ფანქრით ხელში დედისა და დისთვის წერილის მიწაწერად ემზადებოდა. მამოჩინი უცბად გაფიქრდა და წყნარად მივიდა ლეიტენანტთან. მამოჩინის თვალეზში უჩვეულო შიში გამოკრთოდა, ტრავკინმა გაკვირვებით ახედა მას.

— ამხანაგო ლეიტენანტო, — უთხრა მამოჩინმა, — რაცია? ხომ გუქქნება რაცია?

— გუქქნება. ბრაცნიკოვი წავიდა მოსატანად.

— რადისტო?

— მე თვით გადავცემ რადიოგრამებს. რადისტის აყვანა არ ღირს. შეიძლება ვინმე შიშარა გამოდგეს, ან სა-

ერთოდ უვიცი ჯარისკაცი. არა, ჩვენ ფეთონ წავალთ იოლად, მე ცოტა რამ გამეგება რადიოსი.

— აჰა!..

ამჟერა იყო, რომ მამოჩინის სათქმელი აღრაფერი ჰქონდა, მაგრამ იგი მინც არ მიდიოდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, — ამოილულულა მან, — ღორის ხორცის ძებვი ხომ არ გინდათ?

ის მოვლოდა, რომ ტრავკინი მივარდებოდა მას: კიდეც ძარცვავ გლეხებსო?! მაგრამ ტრავკინმა მოკლედ გადაუხადა მადლობა, მერე უარი უთხრა და ისევ წერას შეუდგა. მაშინ მამოჩინმა გაბედა და უეცრად ათრთოლებული ხმით უთხრა:

— ამხანაგო ლეიტენანტო, ნუ სწერთ წერილს.

ტრავკინი გაკვირვებით შეეკითხა:

— რა მოგივიდა?

მამოჩინმა სხაპასხუბით უპასუხა:

— აი, ასევე, ამ საღეწ მანქანაზე სწერდა მარჩენკო წასელის წინ. ეს ცუდი ნიშანია. ჩვენთან ზღვაზე მეთევზეებს ნიშნები სწამთ... და, პატიოსან სიტყვას გააღვეთ, სწორად იტყვიან.

ტრავკინმა დაცინვით, მაგრამ რბილად უთხრა:

— მამოჩინ, თავი დაანებე ამ დღაბრულ ზღაბრებს.

როცა მამოჩინი წავიდა, ტრავკინმა ხელახლა აიღო ფანქარი, მაგრამ ამ დროს უეცრად მიაყრო თვალი შემოსასვლელის მახლობლად დაყრილ ჩაღის მუქ გროვას. ამ სამხედრო საწოლის სასთუმალთან იღო წვიმის, ოფლისა და უამიდობისაგან გამუჭებული მომცრო ნიეთსანახი ჩანთა. ეს მარჩენკოს საწოლი იყო.

ტრავკინს წერილი აღარ დაუმთავრებია. ბრავნიკოვი მოვიდა და პატარა რაცია მოიტანა. მას მოყვნენ დივიზიის ყვეშირგაბმულობის უფროსი მაიორი ლიხაჩევი, კატია და ორიც რადისტო. ლიხაჩევი ერთხელ კიდეც აუხსნა ტრავ-

კინს კოდირებული რუკი და ცხრილით სარგებლობის წესები:

— აბა შეხედე ტრავკინს მარჩენკოდგვის ტანკები აღნიშნულნი ცხრილში ორმოცდა ცხრა, ქვეითი ჯარი — ციფრით „ოცდაერთი“, ხოლო რუკა კი, დაყოფილია კვადრატებად. აი, მაგალითად, საჭიროა შეტყობინება, რომ ტანკები აი, ამ რაიონშია. შენ გადასცემ: „ორმოცდაცხრა კვადრატი ხარი ოთხი, თუ ქვეითებია, მამასაღამე: „ოცდაერთი ხარი ოთხი“, და ასე შემდეგ.

მათ მოაწყვეს უკანასკნელი სავარჯიშო შეცადინება. მშვერავთა ჯგუფის გამოსამაზებელი სიტყვა საბოლოოდ დადგინდა: „ვარსკვლავი“. დივიზიის გამოსამაზებელი — „მიწა“.

ღარანის სიზუმეში გაისმა საიდუმლო მნიშვნელობის შემცველი უცნაური სიტყვები. მშვერავები მდუმარედ იდგნენ ლიხაჩევისა და ტრავკინის ირველივ და უნებური თრთოლვით უსმენდნენ ამ ლაპარაკს.

— მიწავ, მიწავ, უსმინე ვარსკვლავს. ლაპარაკობს ვარსკვლავი. ოცდაერთი კამეჩი სამი. ოცდაერთი კამეჩი სამი. მიღება.

და აღელვებული ლიხაჩევიც, სამარისებური ხმით უპასუხებდა:

— ვარსკვლავო, ვარსკვლავო, აპარატთან მიწა. სწორად გავიგე, თუ არა? ვიმეორებ: ოცდაერთი კამეჩი სამი. მიღება.

— მიწავ, აპარატთან ვარსკვლავია. სწორად გავიგიათ. შემდეგ, ორმოცდაცხრა ვეფხვი ორი.

ბნელი ღარანის თაღებქვეშ სალანეტაშორისო საიდუმლო საუბარი გაისმოდა და ადამიანები თითქოს სამყაროს სივრცეში თავს გაბნეულად გრძობდნენ. ღარანის სახურავქვეშ კი მერცხლები ბუდეებს იკებდნენ და ფრთებს მზიარულად ამრიალებდნენ, ისინიც უღარდელად მსჯელობდნენ თავიანთ ოჯახურ საქმეზე.

უკანასკნელად ლიხაჩევიმა მაგრად ჩამოართვა ხელი ტრავკინს და ჰკითხა:

— იქნებ, მაინც წაგვეყვანათ რადისტი? მე კარგი რადისტები მყავს და მთხოვენ დაზვერვაში გაგზავნას. დღეს, — მას ცოტა უხერხულად გაეღიმა, — მოხსენებითი ბარათიც კი მივიღე უმცროს სერჟანტ სიმაკოვასაგან. მას შენთან წამოსვლა სურს.

ტრავკინი შეიკუმუხნა და თქვა:

— აბა, რას ამბობთ, ამხანაგო მაიორ! მე რადისტი არ მჭირდება. სასერიზოდ ზომ არ მივდივარ.

კატამ გაიგონა ასეთი შეურაცხყოფელი უარი თავის მხურვალე თხოვნის პასუხად და დარანიდან გაეარდა. ის ღრმად იყო შეურაცხყოფილი ტრავკინის დამცინავი სიტყვებით. „როგორი უხეში და ცუდი ადამიანია! ფიქრობდა ის ტრავკინზე ბრაზმორეული, — მხოლოდ ბრიყვის შეუძლია შეიყვაროს ასეთი...“

კაპიტან ბარაშკინის ბლინდაყთან გავლისას კატამ ნაბიჯი შეანელა. „აი, ავღგები და ჯიბრზე შევალ“. მას ანაზღად გაახსენდა ბარაშკინის დაყენებული, მოთაფლული აღერსი, მისი თეაზიანობა, აცახცახებული ხმა და, თუმცა ძალზე ჩვეულებრივი, მაგრამ მართახელა გულისათვის მუდამ სასიამოვნო სიყვარულის ახსნა. თბილი გრძნობით მოიგონა კატამ ბარაშკინის სქელი რვეულიც კი, რომელიც ლექსებითა და სიმღერებით იყო სავსე. ბარაშკინში ყველაფერი ჩვეულებრივი, სადა და გარკვეული იყო, და სწორედ ეს ეჩვენებოდა ახლა ისეთ რამედ, რაც საკიროს ადამიანის ბედნიერებისათვის.

კატა შევიდა. ბარაშკინი ცოტა გაოცებული, მაგრამ კმაყოფილების ღიმილით შეხედა. მან ბუნდოვანად გაიფიქრა, აი ტრავკინი მიდის და ამ ცბიერმა ვოგონამ გადასწყვიტა, ჯერჯერობით ბარაშკინი მაინც არ გატყუვდა ხელიდანო. გამოჩნდა ბარაშკინის საყვარელი რვეულიც, აქ იყო სიმღერები კინოფილ-

მიდან და სხვადასხვა შერჩინებულ რომანსები, თუმცა დღეს კატის არ ემღერებოდა.

ბარაშკინი ყოველნაირად ცდილობდა გაეძეებინა ბლინდაყიდან თარჯიშანი ლევინი. მაგრამ, როცა ლევინი წაეიდა და ბარაშკინი ტკბილი ღიმილით მოეხვია კატისა, ეს უკანასკნელი აუტანელი ზიზღის გრძნობამ მოიცვა. მან ხელი ჰკრა ბარაშკინს, ბლინდაყიდან გაეარდა და მოშრიალე ტყეეს მიაშურა. არა, ეს „ჩვეულებრივი“ მისთვის უცხო და სასაგელი იყო. მას თვალები ცრემლებით ქონდა სავსე.

ამ დროს ტრავკინს მეტად არასასიამოვნო ლაპარაკი ჰქონდა.

დარანში შევიდა მშვიდი, უჩინარი, ოდნავ ნაყვავილარი, პროკურატურის გამოძიებელი კაპიტანი ესკინი. ეს უკვე აღარ იყო საპლანეტაშორისო ლაპარაკი. გამოძიებელი და ტრავკინი დასხდნენ ბრეზენტის ფარდის უკან და გამოძიებელმა დაწერილებით დაუწყო. გამოკითხვა ტრავკინს: როდის და როგორ იყო წამოყვანილი ცხენები, რა საფუძველზე წამოიყვანეს, როდის და რა ვითარებაში დააბრუნეს და რატომ ხელწერილი არ ჩამოართვეს უკანვე...

ტრავკინმა კუმტად, მაგრამ დაწერილებით უამბო საქმის შინაარსი. როცა საქმე ხელწერილზე მიდგა, ის ერთი წუთით ჩაფიქრდა. ახ, მართლა, ორი ცხენი, რომლებიც კიდევ ერთი დღე-ღამით დაეიტოვეთ მამოჩკინმა წაიყვანა. მან გამოუძახა მამოჩკინს, მაგრამ ის დარანში არ აღმოჩნდა. გამოძიებელმა წასვლისას დაიბარა, მოგვიანებით შემოვალო. გასვლის წინ მან თითქოს შემთხვევით შეათვალიერა დარანი და დაინახა მამოჩკინის საწოლზე გადაფარებული თეთრი საბანი, რითაც იგი განსხვავდებოდა სხვა საწოლებისაგან, რომლებზედაც ბრეზენტი იყო გადაფარებული, მაგრამ არა სთქვა რა და წაეიდა.

როცა მამოჩკინი დარანში შევიდა, ტრავკინმა გამოიძახა იგი. მაგრამ მან

უკანასკნელ წამს გადაიფიქრა და ცხენებზე არაფერი უკითხავს. მამოჩინი ხომ მასთან ერთად უნდა წასულიყო ამოცანის შესასრულებლად. ლეიტენანტმა კვითხა მხოლოდ, თუ სად დაიკარგა იგი უკანასკნელი ორი საათის განმავლობაში. მამოჩინმა უპასუხა, მესანგრეებთან ვიყავით და ლაპარაკი ამით დამთავრდა.

ტრავეინი და მეშჩერსკი ბუგორკოვთან წავიდნენ სტუმრად. გზაზე რაღაცით შეწუხებულმა მეშჩერსკიმ უეცრად უთხრა:

— ტრავეინ, თქვენ როგორც გენებოთ ისე მოიქეცით მაგრამ მე კი წავალ და კატიას დაეუძახებ. თქვენ არ გინახავთ, მე კი ვნახე. ძალიან მებრალებია. ის საშინელი აღელვებული წავიდა. ახ, ტრავეინ, თქვენ ტყუილად აწყენინეთ მას!

ის ბუგორკოვის ბლინდაეში მივიდა და თან შემკრთალი კატია ზელჩაიდეზული მოიყვანა. კატიამ ტრავეინის დამნაშავე გამოხედვა მაინც შეამჩნია.

ეს მომხიბლავი, წარბატი იმედებით აღსავსე სალამო იყო კატიასათვის. ეს სალამო ტრავეინისათვის მოულოდნელი ბედნიერი შემთხვევით დამთავრდა.

გაცხოველებული საუბარი ბრაენიკოვმა შეაწყვეტინა, რომელიც ბლინდაეში აქოშინებული შემოიფარდა. მას თვალები უბრწყინავდა. პილოტკის დახურვა დაეწყებოდა და სელისებური თმა შუბლზე ჩამოშლოდა.

— ამხანაგო, ლეიტენანტო, თქვენ გეძახიან! წავიდე თქვარა, იქ ნახავთ... დარანის ახლოს ხალისიანი ფუსფუსი იყო. მწვერაგები ტრავეინს ქრიაშულით მისცვიდნენ:

— ნახეთ ვინ მოვიდა!
ტრავეინი შეჩერდა.
მისკენ ანიკანოვი მოდიოდა და ილიკებოდა. მას კვეციანური თვალები გაბრწყინებოდა. ვერ გადაეწყვიტა მოხვეოდა თუ არა ლეიტენანტს და ერთ აღვილს ტყებნდა.

— მაშასადამე, მე ჩამოვედი, ამხანაგო ლეიტენანტო. ეგრევე წავალ. გაოცებული ტრავეინი მის ჩერებოდა. სიტყვის თქმა არ შეეძლო. ბოლოს მან უდიდესი შეება იგრძნო და ამ წუთში ნამდვილად მიხვდა, თუ რა ეპყებისა და უნდობლობის უფსკრულში იყო ამ უკანასკნელ კვირაში.

— როგორ მოხვედი შენ? მთლად ჩვენთან, თუ ისე, გზად შემოიარე სხვა ნაწილში წასვლისას? — კვითხა მან ბოლოს, როცა ისინი მაგიდასთან დასხდნენ.

ანიკანოვმა უპასუხა:
— ჩემი მიმართულება სხვა ნაწილშია, მაგრამ მე მატარებელს ჩამოვრჩი: მოდი, ვიფიქრე, ჩემს ოცეულსა და ჩემს ლეიტენანტს ვნახვ მეტქი. ჩვენი დივიზიის ერთმა გამველელმა ჯარისკაცმა მითხრა, რომ თქვენ ძველებურად აქავე ხართ. — ის გაჩუმდა და ღიმილით დააბოლოვა: — შემდეგ, ვნახოთ რა იქნება.

ანიკანოვს არაყი და საუზმე მოართვეს. და ტრავეინი სიამოვნებით უყურებდა, რა ნელა სჭამდა იგი — გრძნობით, მაგრამ არახარბად. ყოველი კერძის მოტანაზე სოფლური თავმდაბლობითა და ალალი გულით მადლობას უხდიდა მზარეულ ჟილინს. ასევე აუჩქარებლად უამბო მან ტრავეინს, თუ როგორ დამთავრა თესვა სათადარიგო პოლკის დამხმარე მეურნეობაში, რის შემდეგაც ითხოვა ფრონტზე გაგზავნა და აი გამომგზავნეს კიდეც სამარშო ასეულშიო.

— მაშასადამე, გერმანელების ზურგში მიდიხართ? — ზელახლა შეეკითხა ის ლეიტენანტს. — ვინ მოდის თქვენთან?

— უმცროსი ლეიტენანტი მეშჩერსკი, მამოჩინი, ბრაენიკოვი, ბიკოვი, სემიონოვი და გოლუბი.

— მარჩენკო, მარჩენკო სადღაა?
— მან ტუჩები მოიკენიდა როცა ირგვლივ დაღჭრემილი სახეები დაინა-

ბა. მიხედა რაშიაც იყო საქმე, თეფში ფრთხილად მისწია, პაპიროსი შეახვია და სთქვა:

— რა გაეწყობა... საუკუნო იყოს ხსენება მისი.

ყველა გაჩუმიდა და მაშინ ტრავკინმა წარბეჭქვეშ გახედა ანიკანოვს და პკითხა:

— შენ, როგორ ფიქრობ? — ჩემთან წამოხვალ, თუ შენი მიმართულებით გასწევ, ნაწილში?

ანიკანოვმა ერთბაშად არ უპასუხა. მას არავისთვის არ შეუხედნია, მაგრამ გრძნობდა, რომ იქ მყოფნი დაძაბული ყურადღებით ელოდებოდნენ მის პასუხს, და სთქვა:

— ეფიქრობ თქვენთან წამოხვლას, ამხანაგო ლეიტენანტო. მაშინ საჭირო იქნება ჩემს ნაწილში მიწერა, რომ სერჯანტი ანიკანოვი დეზერტირი არ არის. საერთოდ, ყველაფერი უნდა მიეწეროს რაც საჭიროა.

კარემში გაჩერებული მამოჩინი ალტაცებისა და შურნარევი გრძნობით ისმენდა ამ ლაპარაკს, მხოლოდ ანიკანოვს შეეძლო ასე მოქცეულიყო ეს აშკარა იყო. მთელ სიცოცხლეს მისცემდა პლა იმისათვის, რომ ამ წუთში ის ანიკანოვად გადაქცეულიყო.

ანიკანოვმა მიიხედ-მოიხედა, დაინახა ბრუნენტები ჩალაზე, მწვანე ნიღაბხალათები, ხელყუმბარების გროვა კუთხეში, ლურსმნებზე დაკიდებული ავტომატები, ჯარისკაცების წელზე დანები და ფილოსოფოსივითა და ცხოვრების მკოდნესავით ამოიოხრა და გაიფიქრა: „ესეც, უკვე შინა ვართ“.

გახალისებულმა და კეთილ ვუნებაზე დამდგარმა ტრავკინმა გაშალა რუკა, რომ აეხსნა ანიკანოვისათვის ამოცანის არსი და მოქმედების გეგმა. მაგრამ ამ დროს დარანის კარებში შტაბის შიკრიკი გამოჩნდა და ტრავკინს ბრძანება გადასცა, რომ დივიზიის მეთაურთან წასულიყო. ტრავკინმა მშეჩერების დააკა-ლა გაეცნო ანიკანოვისათვის საქმის ში-

ნაარსი და თვითონ კი პოლკოვნიკთან წავიდა.

დივიზიის მეთაურის ^{მარკუსულნი} ~~მარკუსულნი~~ მეთაურის მეთაურთან შეხვედრა პოლკოვნიკი სერბიჩენკო შეუძლოდ იყო და ფანჯარასთან საწოლზე წამოწოლილი ისმენდა შტაბის უფროსის მოხსენებას.

— შენ უკვე ქალამნებში ხარ! — ყველაზე უმაღლ ტრავკინის ამ არაჩვეულებრივ ფეხსაცმელს მიაქცია მან ყურადღება.

— ვეჩვევი, ამხანაგო პოლკოვნიკო! ჩვენი სემიონოვი რიზანელია. მან ამოასხა ქალამნები ჩემი ჯგუფისათვის. უხმაუროდაც დაედივართ და ფეხებიც მსუბუქადაა.

პოლკოვნიკმა მოწოდებით ჩაბუტბუტა რაღაც და ამაყად გადახედა პოლკოვნიკ ვალიევს, თითქოს ეუბნებოდა: ხედავ, რა კკეიანი ბიჭებია ეს მზურაეები!

პოლკოვნიკ სერბიჩენკოს ზეერჯერ ვაუგზავნია საფრთხეზე აღამიანები, მაგრამ დღეს თითქმის შეებრაღა ტრავკინი. მან გაიფიქრა, რომ, აი პოლკოვნიკი სემერკინი მართალი იყო, მაგრამ არშიელებისათვის დაწვერა — ეს უბრალო საშტატო სამსახურის ერთი სახეა ცნობებით, ამბებით, ვითარების რუკებითა და დიდი მასშტაბის ამოცანათა გადაწყვეტით; მისთვის კი რამეს კიდევ ნიშნავდა ეს ქალამნებიანი და მწვანე ნიღაბხალათიანი, ვაუპარსავი ახალგაზრდა კაცი, ლამაზ ქაჯს რომ დამსგავსებოდა.

მას სურდა ეთქვა ტრავკინისათვის ის, რასაც ეუბნება ჩვეულებრივად მამა ან დედა საბიფათო საქმეზე ვაგზავნილ შვილს.

„ვაუფრთხილდი თავს — უნდა ეთქვა მას ტრავკინისათვის, — საქმე საქმეა, მაგრამ სარს ნუ წამოგები. იყავე ფრთხილად. მალე ომიც დამთავრდება“.

მაგრამ ოდესღაც თითონვე იყო მზევრაგი და მშენევირად იცოდა, რომ ამგვარი დარიგება კარგ შედეგს არ იძლევა.



ამით ცივ წყალს ასხამენ საქმისათვის ყველაზე უფრო თავდადებულ, თავის მოვალეობისადმი ერთგულ ადამიანებსაც კი. ამოცანის შესრულების დროს ადამიანებს ბევრი რამ შეიძლება დააკვირდეთ, მაგრამ უფროსი მეთაურის მიერ ნათქვამ „გაუფრთხილდი თავს“ ადამიანი არასოდეს არ დაივიწყებს, და ეს კი თითქმის მთელი საქმის ნამდვილი დაღუპვაა. პოლკოვნიკმა მაგრად ჩამოართვა ხელი ტრაკინს და მხოლოდ ეს უთხრა:

— აბა, შენ იცი...

თავი მეშვიდე

ჩაიციქამს რა ნიღაბხალათს, მაგრად შეიკრავს რა ყველა ზონარს კოკებთან, მუცელზე, ნიკაბთან და კეფასთან, მზვერავი სწყდება წუთისოფლის ამოებას. მზვერავი უკვე აღარ გეუთენის არც საკუთარ თავს, არც თავის მოგონებებს. ის მიიკრავს ქაშარზე ხელუშმბარებს, დანას, ჩაიდებს უბეში დამბანას და ამიერიდან მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობა. ის გადასცემს ზემდეგს ყველა პირად საბუთს, წერილებს, ფოტოსურათებს, ორდენებსა და მედლებს. პარტორგს კი—თავის პარტიულ ან კომკავშირულ ბილეთს. ასე უარყოფს იგი თავის წარსულს და მხოლოდ გულის სიღრმეში იმარბავს ყოველივე ამას.

მას არა აქვს სახელი ისევე, როგორც ტყის ფრინველს. მას შეეძლო სრულიად უარყოფა ადამიანური მეტყველება და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ფრინველისებური სტენით ამხანაგებისათვის ნიშნის მისაცემად. ის შეეზრდება ხოლმე მინდორ-ველებს, ტყეებს, ხეებს, გადაიქცევა ამ სივრცეთა სულად, — საშის სულად, მზვერავ-მოდარაჯედ, რომელსაც საკუთარი ტვინის სიღრმეში ჩაქედილი აქვს მხოლოდ ერთი აზრი — თავისი ამოცანა.

ასე იწყება ძველისძველი თამაში, რომელშიაც მოქმედი პირი მხოლოდ ორია: ადამიანი და სიკვდილი.

ტრაკინმა წინ გაუშვა თავისი ხალხი და შემდეგ თვითონ წავიდა მეშჩერსკისა და ბუგორკოვის თანხლებით წინა ხაზისაკენ.

მეშჩერსკი საცოდავი შესახედავი იყო. საქმე იმაშია, რომ პოდპოლკოვნიკმა გალიევმა, გაიგო თუ არა ანიკა ნოვის ჩამოსვლა, სანმოკლე ფიქრებია შემდეგ გადასწყვიტა მეშჩერსკი დაეტოვებინა აქ ტრაკინის მოადგილედ.

— ვინ იცის რა მოხდება და მზვერავები კი უოფიცროდ რჩებიან, უთხრა მან დღეიწიის მეთაურს, და ისიც დაეთანხმა.

შობაიჯებდა რა ტყის ნაკაფ გზებზე, სამი ოფიცერი დაბალი ხმით საუბრობდა. უკეთ რომ ესტყვით, ლაპარაკობდა მარტო ბუგორკოვი, დაღონებული მეშჩერსკი კი უსმენდა, ხოლო ტრაკინი უაზროდ იცქირებოდა წინ.

— მალე მაინც გათავდებოდეს ომი! — მიულოდნელად დააბოლოვა ბუგორკოვმა, რომელიც გვერდიდან შეჰყურებდა ტრაკინის სერიოზულ პროფილს.

ტრაკინი დუმდა. როცა დავალების შესასრულებლად მიდიოდა, ის განსაკუთრებულ დუმილს მიეცემოდა ხოლმე. ეს ხელოვნური სიმშვიდე, თითქმის მთელმარე მდგომარეობაში ყოფნა, მას ღოდ ენერჯიას ართმევდა. იგი თითქოს მთელი თავისი გამოიმეტყველებით ამბობდა: რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, გაკეთებულია, და რაც მოხდება-მოხდება.

აშაღნაყარი ნაქვნარით დაფარულ ფართო თხემზე საარტილერიო პოლკის ერთერთი ბატარიის საცეცხლო პოზიცია განლაგებულიყო.

არტილერისტები მიწაში ჩაფლულ ქვეშეთან ტრიალებდნენ. დაინახეს თუ არა ტრაკინი, ხელი დაუქნიეს და დაუძახეს:

— ისევ სამუშაოზე?

— ისევ, — ძუნწად უპასუხა ტრავკინმა.

სანგარში მას უკვე ელოდებოდნენ. იქ იყვნენ კაპიტანი მუშტაკოვი, კაპიტანი გურვეიჩი და ორი სანალმტყორცნო ასეულის მეთაურები. ანიკანოვი და სხვა მზვერავები სანგარში ჩაცუცქებულნი იყვნენ და ჩუმად ლაპარაკობდნენ. კაპიტანმა გურვეიჩმა დააზუსტა ურთიერთ მოქმედება.

— მამსადაძე, გერმანელების ყურადღების ასაცილებლად მე ექვს ნომერ საშიზნოზე საარტილერიო შეტევას ვაწარმოებ. იცოდეთ, ტრავკინ, მარცხნივ არ გადაღვივით, თორემ ჩემს აფეთქებაში მოპყვებით. შემდეგ ნალმტყორცნელებთან ერთად ვურტყამ, ოთხ ნომერ მიზანში. თქვენს მიერ წითელი შუშუნის ამეგების შემთხვევაში ვურტყამ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე მიზნებს და ვფარავ თქვენს წამოსვლას.

— ნალმტყორცნელებს ნიშანი გამომიზნებელი აქვთ? — იკითხა ტრავკინმა.

— დიახ, ყველაფერი მზადაა, — დაადასტურეს ნალმტყორცნელებმა.

— ჩემი ტყვიამფრქვევებიც მზადაა ყოველი შემთხვევისათვის. — სთქვა მუშტაკოვმა.

ყველას ძლიერი აღელვება ემჩნეოდა.

ტრავკინი მიწაყრილიდან ამოცოცდა და ყური მიუვლო გერმანელების წინა ხაზს. იქ, სადღაც შორს, პატეფონი ფოქსტროტს უკრავდა. უფრო მარცხნივ ხშირ-ხშირად მისრიალებდნენ ცისკენ თეთრად მაშუქებული შუშუნები.

ის უკანვე ჩაბტა სანგარში, მიუბრუნდა თავის მზვერავებსა და მესანგრეებს და უთხრა:

— ისმინეთ საბრძოლო ბრძანება!

მზვერავები ნელა წამოდგნენ.

— მოწინააღმდეგე ამ უბანს იცავს ასოცდამეთერთმეტე ქვეითი დივიზიის ძალებით. ჩვენს ხელთ არსებულ ცნობა-

თა მიხედვით მისი დაცვის სიღრმეა გადაჯგუფება ხდება. დივიზიის მეთაურმა გვიბრძანა: დაზვერვის მოწინააღმდეგის ზურგში, გამოყარვით ამ გადაჯგუფების წასიათი, მოწინააღმდეგის ტანკებისა და რეზერვების როდენობა და რადიოთი ვაცნობოთ სარდლობას ყველაფერი.

ტრავკინმა აუხსნა მზვერავებს მოქმედების წესი და აცნობა მათ, რომ მის მოადგილედ ანიკანოვს ნიშნავს. მან უხმოდ დაუქნია თავი სანგარში დარჩენილ ოფიცრებს, გადაცოცდა მიწაყრილზე და ჩუმად გასწია წინ — მდინარის ნაპირისაკენ. მას ზედიზედ მიყვნიენ ბრაციკოვი, მამოჩინი, გოლუბი, სემიონოვი, ბიკოვი და სამი მესანგრე, რომლებიც მათი ჯგუფის გამყოლებად იყვნენ გამოყოფილი. უკანასკნელად მოეფარა თვალს ანიკანოვი.

სანგარში დარჩენილები უძრავად იდგნენ რამდენსამე წუთს. შემდეგ გურვეიჩმა გაჰიანურებით და ოსტატურად წეიგინა და მუშტაკოვს არაყი სოსოვა. მან მართლაც გადაჰკრა საესე ჭიქა, სახის საზიზღარი მანკვით. გურვეიჩი არასოდეს არ იგინებოდა და არც არაყს სვამდა და სწორედ ამიტომ გაუკვირდა მუშტაკოვს, მაგრამ გაჩუმდა.

ამასობაში, ტრავკინი დაბალ ბუჩქნარში შეჩერდა, ნაპირთან. მზვერავები უცდიდნენ, მაგრამ ტრავკინი რატომღაც აყოვნებდა. ასე იდგნენ ისინი სამი ოღე წუთის განმავლობაში. უეცრად გერმანელთა თეთრმა შუშუნამ გაჰკვეთა სიბნელე, წიშინით დაიშალა თვალის მომჭრელი ნამსხვრევები, რძისფერად გადაანათა მდინარე და შემდეგ კი ისევ უეცრად ჩაქრა. აღზათ, ამას ელოდა ტრავკინი. ის ბნელსა და ცივ მდინარეში შევიდა. მის კვალს მიჰყვნიენ დანარჩენებიც. მდინარე ჩქარა განვლეს, დასავლეთი ნაპირის სიბნელეში შეჩერდნენ და მორიგი შუშუნის აფეთქებას დაელოდნენ. შემდეგ ტრავკინმა მესანგრეები წინ გაუწვა და თქი-

თონ მზვერავებთან ერთად უკან გაჰყვა მათ.

გადალახეს თუ არა ხევი, რომელიც გაცილებით უფრო ფართო აღმოჩნდა, ვიდრე ტრავეინს დაკვირვების დროს ვგონა, მესანგრეები შეჩერდნენ. აქ იწებებოდა დანაღმული ველები.

გრძელი ლატენებით მიწის მოსინჯვითა და იმ ნაღმძებნელისადმი ყურადღების მიპყრობით, რომელიც შვერდზე ეკიდა ერთ მათგანს, მესანგრეებმა ნელა გასწიეს წინ.

ისევ იფეთქა შუშხუნამ. ინსტინქტური შიშისაგან მზვერავეები მიწას გაეკრნენ. ისინი მაღალ, სწორ ადგილას იწვნენ, და მათ ვგონათ, რომ შუშხუნის ამ საშინელ, უსიცოცხლო შექმნე მათ მთელი ქვეყანა ხედავდა. მაგრამ შუშხუნა ჩაქრა, და ირგვლივ მღუმარება ჩამოვარდა.

სიბნელეში ფრთხილად მოქმედებდა მესანგრეთა ხელები. მათ ამოხრახნეს ამფეთქებლები რამდენიმე ნაღმიდან. ტყვიამფრქვევის მოტრასირე ტყვიების გრძელმა რიგმა გადაუქროლა მზვერავეებს თავზე და შორს გაქანდა. მზვერავეები გაირინდნენ. მარცხნივაც გადაიქროლა აგრეთვე ასეთმა რიგმა, რომელსაც თან ახლდა მშრალი ტყაცანი. ჩვენი პოზიციებიდანაც კენტად აკაცანდა „მაკსიმკა“ და მისმა ტყვიებმა—უკანასკნელმა სალამმა თავისიანებისაგან — სადღაც მარჯვნივ გაიზუზუნა.

წინა მესანგრემ სიბნელეში მათული დაინახა და მიუბრუნდა ტრავეინს, რომელიც მის უკან მიცოცავდა. გადაჰყერი! — წასწორი ხელა ტრავეინმა. მესანგრეები შეუდგნენ მათულის გადაჭრას დიდი მაკრატლებით, და იქ ისევ აერთო რაკეტი, რასაც კვლავ მოჰყვა საშინელ წყვილიადში მოტრასირე და სწრაფ მოკიფე ტყვიების ტალღა.

რაკეტის სინათლეზე ტრავეინმა თვალი მოჰკრა გერმანელთა მიწაყრილს, მახლობლად დახეავებულ რაღაც მო-

რებს, მეორე სანგარს გაღმა არსებულ ტყის პირს და ჭურვებისაგან გაფრქვნილ-დაგლეჯილ სამ ხეს — მის ჩვეულებრივ ორიენტირს დაკვირვების დროს. მან ცოტა მარჯვნივ გადაუხვია. ჩამოწოლილ სიბნელეში კომპასი მწვანე ფოსფორით აზიომტს უჩვენებდა. ირგვლივ ღამის მყუდროება სუფევდა. მაგრამ ტრავეინმა იცოდა რა მატყუარაა ეს სიჩუმე და ვინ იცის რამდენი თვალი გდარაჯობს ამ სიბნელეში. ის ოდნავ შეკრთა კიდეც, როცა მესანგრის ხელი შეეხო მის მხარს. აჰა, მათული გადაჭრილი! მესანგრეები აქ დარჩებიან რომ გასასვლელი დაიცვან, თუ ვინიცობაა ტრავეინსა და მის კაცებს უკან დახევა დაჭირდებათ. ზოლო თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მათ შეუძლიათ ნახევარი საათის შემდეგ „შინისაკენ“ წაეცოდნენ.

გამოშვებლობებისას ერთმა მესანგრემ ტრავეინს მაგრად ჩამოართვა ხელი. უკვე სიბნელეს შეჩვეულმა ტრავეინის თვალებმა დაკვირვებით შეხედა ამ მესანგრეს და დიდი უღვაშები და კეთილი თვალების ჩაშავებული უბეები დაინახა. „მეჯიდოვი, — იცნო ტრავეინმა, — დივიზიის საუკეთესო მესანგრე. ბუგორკოვს არ უძუნუნია“.

მზვერავეები გაძვრნენ გადაჭრილ მათულში და თითქმის გერმანელთა მიწაყრილთან გაირინდნენ: მარცხნივ აფეთქების ხმები გაისმა. მიწა მძიმედ შეირხა. ერთი წამის შემდეგ აფეთქება მარჯვნივაც გაისმა. „გურევიჩი ურტყამს“, — გაიფიქრა ტრავეინმა.

მარცხენა მხრიდან მას გერმანული ლაპარაკი მოესმა. ანიკანოვი და ბრენიკოვი უკვე სანგარში იყვნენ. ლაპარაკი ახლოვდებოდა. ტრავეინმა სული გაანახა. სანგრის ბილიკით ორი გერმანელი მოდიოდა, ისინი ახლოვდებოდნენ. ერთი მათგანი რაღაცას სჭამდა ხმაძალი ზრამუნი ისმოდა — მათ მეორე მხარეს გაუხვიეს. მიწაყრილზე ანიკანოვი გამოჩნდა. ის დაეხმარა ტრავეინს ქვევით ჩამბტარიყო.

შეიძვე გერმანელთა სანგარში იღ-
გა მწყრივად.

ტრავიკინმა ყური მიუგღო. შემდეგ
წავიდა იმ სანგარში, საიდანაც ეს-
ეს იყო ის ორი გერმანელი გამოვიდა. სანგ-
რები განშტოებული იყო. მოსახვევში
ტრავიკინმა წინ მიმავალი ანიკანოვის გა-
მაფრთხილებელი ხელი იგრძნო. მიწა-
ყრილის გასწვრივ გერმანელი მოდიო-
და. მწვერავები სანგარის კედელს გაეკრ-
ნენ. გერმანელი სიბნელეში გაქპრა.
ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მი-
დიოდა. ოღონდ კი როგორმე ტყეს მი-
აღწიონ!

ტრავიკინი სანგრიდან გამოვიდა და
მიმოიხედა. მან მეტყვევის სახლის ბნე-
ლი კონტურები იცნო, რომელსაც ხში-
რად ზედავდა სტერეომილით დაკვირ-
ვების დროს. სახლის ახლოს გერმანელ-
თა ტყვიამფრქვევის ძელმიწურის სა-
ცეცხლე წურტია, საიდანაც გერმანელე-
ბის ხმები ისმოდა; ისინი რაღაცაზე
გაცხარებული დაეობდნენ. ტყისაკენ მი-
მავალი გზა პირდაპირ უნდა იყოს. გზის
მარცხნივ კი — ბორცვი ორი ფიჭვის
ხით, ხოლო ბორცვიდან მარცხნივ —
კაობიანი დაბლობი, აი, სწორედ ამ და-
ბლობითაა საჭირო წასვლა.

ერთი საათის შემდეგ მწვერავები
ტყეში შთაინთქნენ.

მეშჩერსკი და ბუგორკოვი სანგარში
იდგნენ და თვალმოუშორებლივ ვას-
ცქეროდნენ ღამის სიბნელეს. ხშირად
მიდიოდა მათთან მუშტაკოვი ან გურე-
ვიჩი, რომლებიც დაბალი ხმით კითხუ-
ლობდნენ: „როგორ არის საქმე?“

წითელი შუშუნა — ნიშანი: „აღმო-
გვაჩინეს, ვიხეეთ“ — არა სჩანდა. სამი-
ოდეჯერ ამუშავდა გერმანელთა ტყვი-
ამფრქვევი. მაგრამ ეს, ალბათ, ჩვეულებ-
რივ „ღმერთს“ ესროდნენ. მეშჩერსკი,
ბუგორკოვი, ორივე კაპიტანი და სან-
გარში მორაგებელ დარჩენილი მღუპა-
რე ჯარისკაცები მთელი გულსყურით
მისჩერებოდნენ მდინარეს, მის დასავ-

ლეთ მაღალ ნაპირს, ღელისს, ბუჩქ-
ნარს, გერმანელთა ძაბატულსადაც,
გერმანელთა მიწაყრილსა და მუშტაკოვი-
კუთრებული არაფერი უნდა იქნებო-
ლიდ არაფერი.

— ეშმაკმა დალახეროს! — აღტაცე-
ბით სთქვა მუშტაკოვმა. — როგორც
ქაჯები...

— მგონი, გააღწიეს, — შევებით ამო-
ისუნთქა მეშჩერსკიმ და უცებ იგრძ-
ნო, რომ ოფლში იყო გაწურული.

კაპიტანი მუშტაკოვი დივიზიის შტაბ-
მა ტელეფონთან მიიწვია. ტელეფო-
ნისტმა მღელვარედ უთხრა:

— თქვენთან ილაპარაკებს ექვსასი.
ღამის სიწორიდან გაისმა მთელ დივი-
ზიაში ნაცნობი პოლკოვნიკ სერბიჩენ-
კოს ბოხი ხმა.

— როგორაა ტრავიკინის საქმე?

— მგონი ყველაფერი რიგზეა, ამხა-
ნაგო ექვსასო.

— მამასადამე, შენთან სიწყნარეა?

— სიწყნარეა, ამხანაგო ექვსასო.

— ბუგორკოვის კაცები ჯერ კიდევ
არ დაბრუნებულან?

— ჯერ კიდევ არა, ამხანაგო ექვ-
სასო.

— დივიზიის მეთაურმა წუთით შეა-
ყოვნა. შემდეგ სთქვა:

— მამ, კარგი. წალი და დაიძინე,
მუშტაკოვ.

— არის წავიდე დასაძინებლად!
რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ
ისევ:

— მამასადამე, გერმანელი მშვი-
დადაა?

— სიწყნარეა.

— შუშუნებში?

— არის, მაგრამ არც თუ ისე ხში-
რად.

— ისერის?

— დროგამოშვებით.

— მაგრამ ისე არა, რომ...

— არა, არა, ამხანაგო ექვსასო. ნორ-
მალურად, როგორც ყოველთვის.

ტელეფონის მილაკის დადების შემდეგ მუშტაკოვმა სთქვა:
— ფრთხილობს მოხუცი.

თავი მერვე

მცივანა ფრინველთა ქიკიციით აღსავსე ცივი და ნისლიანი განთიადი იყო.

მიუხედავად დივიზიანი არსებული ცნობებისა, ტყეები გერმანელებით იყო გაჭედილი: საითყენაც გაიხედავდი — უზარმაზარი საბარგულები, კიდევ უფრო უზარმაზარი ავტობუსები, წყვილცხენიანი და მალაქქიმიანი მძიმე ოთხთვალეები მოსჩანდნენ. და გერმანელებს ყველგან ეძინათ. ტყის ნაკაფ გზებზე ხორხისმიერი ლაპარაკით დადიოდნენ დაწყვილებული პატრულები. მშვერავების ერთადერთი მცველი განუპერტელი წყვილი იყო. მაგრამ ამ წყვილ-აღსაც შეეძლო გაეცა ისინი ყოველ წუთს. ბნელი ღამე წამით გაშუქდებოდა ხან ასანთით, ხან ჯიბის ფარნით, და ტრავკინი, მშვერავებთან ერთად, უმალ-მე ეკვროდა მიწას, რომელიც მათ ფეხქვეშ იწვოდა. დაახლოებით საათნახევარი გაატარეს წამიერი ხეების გროვებსა და ნაძვის მჩხვლეტავ წიწვებს შორის. რომელიღაც გერმანელი, რომელიც ფეხშიშველი მოტყაპუნობდა, და ჯიბის ფარნით გზას იშუქებდა. მიუხედავად ტრავკინს. ფარნის შუქი მან თითქმის პირდაპირ ტრავკინის სახეს მიანათა, მაგრამ ნამძინარევა გერმანელმა ვერაფერი შეამჩნია.

მამოჩინმა ხელი წაავლო დანას ტრავკინს ეს არ დაუნახავს, მაგრამ იგრძნო მამოჩინის ელვისებური მოძრაობა და მყისვე ხელი სტაცა ხელში.

გერმანელი წავიდა. წასვლისას მან ფარნით გააშუქა ტყის ერთი ნაწილი. ტრავკინმა ისარგებლა ამით, წამოიწია და მოასწრო ხეებს შორის გზის გარბევა, სადაც თითქოს გერმანელები უფრო ცოტანი იყვნენ.

საკირო იყო ჩქარა გასვლა მანამ ტყეს.

კლომეტრნახევარი სანთით გასვლას თითქმის მძინარე გერმანელთა შორის. სვლისას განსაზღვრული ტაქტიკა გამოუშუშავდათ. როგორც კი პატრული, ან თავის საქმეზე მოხეტიალე ჯარისკაცები გამოჩნდებოდნენ ახლოს, მშვერავები მყისვე მიწაზე წვებოდნენ. ისინი ორჯერაც კი გააშუქეს ფარნებით. მაგრამ, როგორც ტრავკინი ვარაუდობდა, მათ ისინი თავისიანებად ღებულდებოდნენ. ამგვარი ხოხვით, მძინარე გერმანელებად თავის მოჩვენებითა და ისევე ხოხვით, დააღწიეს თავი ტყეს, და ტყის პირას მოუსწრო მათ ამ ნისლიანმა განთიადმა.

აქ კი საშინელი რამ მოხდა. ისინი პირდაპირ წააწყდნენ სამ გერმანელს. სამ მღვიძარე გერმანელს. სამივე საბანში გახვეული წამოწოლილიყო საბარგო მანქანაზე და ლაპარაკობდნენ. ერთმა მათგანმა შემთხვევით გაიხედა მახლობელი ტყის პირისაკენ და გაშეშდა: ბილიცზე სრულიად უხმაუროდ და მიუხედავად მიდიოდა რადეცნაირ უცნაურ ნაღვლიან მწყრივად შვიდი არჩვეულებრივად ჩაცმული ადამიანი, შვიდი ადამიანი კი არა, მწვანე ხალათებით გამოწყობილი, უაღრესად სერიოზული, საშინლად ფერმკრთალი, თითქმის მწვანე სახის მკრანე შვიდი აჩრდილი.

ამ მწვანე აჩრდილების არაამქვეყნურმა შეხედულებამ. ან, იქნებ, ამ ნისლიან დილით მათი ფიგურების ბუნდოვანმა გამოსახულებამ, გერმანელზე რადაც არარეალური, ჯადოსნური შთაბეჭდილება მოახდინა. მან ერთბაშად ვერც კი მოიგონა რუსები, ეს მოჩვენება ვერ დაუტყავშირა აზრს მოწინააღმდეგის შესახებ.

— Grüne gespensfer! — მიმით წაილულულა მან.

1 მწვანე მოჩვენებანი.

ტრავკინს ან რომელიმე მის მზღუ-
ბელს რომ ოდნავი გაოცების ან შიშის
გამომხატველი მოძრაობა თავდასხმის
ან თავდაცვის ოდნავი ცდა გამოემტკიცე-
ნებინა, გერმანელები, ცხადია, ატეხ-
დნენ განგაშს და ეს ნისლიანი ტყის პი-
რი გადაიქცეოდა მოკლე, მაგრამ სისხ-
ლიანი შეტაკების ასპარეზად, სადაც
ყოველგვარი უპირატესობა მრავალ-
რიცხოვანი მტრის მხარეზე იყო. ტრავ-
კინს მისმა გულგრილობამ უშველა. მან
სწრაფად განსაჯა: სანამ მას მხოლოდ
სამი, გერმანელი ხედავს, მისთვის არა-
ვითარ სარგებლობას არ წარმოადგენს
პირველმა დაიწყოს ჩხუბი, ხოლო თუ
უახლოეს კალას მიაღწევს, სადაც,
შეიძლება გერმანელები არც კი იყვნენ,
მაშინ მას თავის გადარჩენის შესაძლბ-
ლობა ექნება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ
ეს სამი გერმანელი დაგვიანებულ გან-
გაშს ატეხენ. გაქცევაც ვერ გადასწყვი-
ტა. მან უფრო ინსტინქტით იგრძნო,
ვიდრე გონებით განსჯიდა, რომ გაქცე-
ვა არ შეიძლება, როგორც არ შეიძლე-
ბა გაქცევა ძალს: ის მაშინვე მიხვდე-
ბა შენს შიშს და გამაყრუებელ ყეფას
ატეხს.

მზევრავებმა სწორი, აუჩქარებელი
ნაბიჯით გაიარეს გაოგნებულ გერმა-
ნელთა გვერდით.

შევიდა თუ არა კალაში, ტრავკინმა
ფიცხლად თვალი მოავლო იქაურობას,
უკან მოხედა და გაიქცა. მათ სწრაფად
გადაიბრინეს კალა, გაჩნდნენ მდელაზე,
დააფრთხეს კაობის ფრინველები და
მეორე კალაში შეიჭრნენ. აქ მოითქვეს
სული. ანიკანოვმა მიმოიბრინა ირგვ-
ლივ მიდამო და დარწმუნდა, რომ გერ-
მანელები არსად სჩანდნენ. ისინი ძალა-
გამოლუფლები დასხდნენ ბალახზე და
პაპიროსი გააბოლეს. ტრავკინმა მხო-
ლოდ ახლა აოილო ხმა პირველად გუ-
შინდელ საღაოსს აქეთ.

— კინლამ მახეში გავებით — სთქვა
მან და გაიღიმა.

მას ლაპარაკი ეძნელებოდა, ენას ვერ

აბრუნებდა. გადაეჩქვა ლაპარაკს ამერ-
თი ლამის განმავლობაში.

მათ ბედნიერება ქონდათ მხოლოდ
გორ ფრთხილად ცხრბლვლს მამი გერ-
მანელი, მზევრავების მიერ დატოვებულ
კალას, და, ტყის დასავლეთ ნაპირზე გა-
მოსვლისას, საკმაოდ კარგა ხანს გასც-
ქეროდნენ კაობიან მდელს, რომელიც
ახლახან გადაიბრინეს მზევრავებმა.
შემდეგ გერმანელები შექუჩდნენ, მოი-
ლაპარაკეს, ალბათ დასცინეს იმ სამს,
რომელთაც მწეანე აჩრდილები მოეჩვენ-
ნათ, პაპიროსი გააბოლეს და წავიდნენ.

ახლები — სემიონოვი და გოლუბი —
უპატივევებულს გაოცებით შესცქე-
როდნენ გერმანელებს. მათ პირველად
ნახეს მტერი ასე ახლოს. თავის მხრივ
ტრავკინი გულდასმით ადევნებდა თვალ-
ყურს ამ ახლებს. მათ კარგად ეპირათ
თავი და იმასვე აკეთებდნენ, რასაც
სხვები. სემიონოვი თუმცა ახალგაზრდა
მზევრავეია, მაგრამ ის გამოცდილი ჯა-
რისკაცი იყო, ორჯერ დაიჭრა და ომის
განმავლობაში ჯარისკაცის ჩვეულებ-
რივი სიმტკიცე შეიძინა. კურსკელი,
ჩვიდმეტი წლის, პატარა ცქვიტი ყმაწ-
ვილი გოლუბი, გერმანელების მიერ ჩა-
მოხრჩობილი საბჭოთა მუშაკის შვილი,
მულამ მხიარულ ხასიათზე იყო. მისი
კაბუჭური სული საოცრად ათავსებდა
თავის გულში მამის მკვლელთა რეალურ
სიძულვილსა და კვალმძიებელთა, ინ-
ლოელთა და შეუპოვარ მოგზაურთა რო-
მანტიულ ისტორიას და ახლა, მოხედა
თუ არა ამ უჩვეულო პირობებში, აღ-
ტაცებისაგან თრთოდა.

მამოჩკინს არ შეეძლო არ დაეფასე-
ბინა ტრავკინის რკინისებური გამძლეო-
ბა და უეცრად, ამ უკანასკნელი დღეე-
ბის განმავლობაში, პირველად აღივსო
რწმენით ამ სახიფათო წამოწყების
წარმატებისადმი. მან მოიგონა გუშინ-
დელი გამოთხოვება კატასთან, რომელ-
მაც სთხოვა მამოჩკინს მოფრთხილებო-
და ლეიტენანტს. თვითონ კი კმაყო-
ფილი ღიმილით დამამწვიდებლად უტ-

ყაუნებდა ხელს კატის ზურგზე და ეუბნებოდა:

— ეჭვი არ შეგეპაროს, კატუშა! შენი ლეიტენანტი ისე იქნება მამოჩინთან, როგორც სახელმწიფო ბანკში.

„შეიძლება პირიქით იყოს: ამ ლეიტენანტთან მამოჩინი არ დიკარგება“, — აღიარა ახლა თავის სინიდისის წინაშე მამოჩინმა და გახალისებული და ოდნავ თავხედური თვალებით შეხედა ტრაკინს. მან ყველას ჩამოურიგა ძეხვის ნაჭრები, შემდეგ ტრაკინს მისცა ყველაზე დიდი ნაჭერი და მათარიდანაც არაფერი დაუსხა.

რაკი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჰალაში გერმანელები არ არიან, ტრაკინმა მაინც დააყენა გუშაგი ყოველი შემთხვევისათვის, მოხსნა ბრაუნიკოვს ზურგზე რაცია და გადასცა პირველი რადიოგრაფია.

მან დიდხანს ვერ შესძლო პასუხის მიღება. ეთერში ტყაცანი და ბუნდოვანი გუგუნის გაისმოდა. მის სმენას ლაპარაკისა და მუსიკის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმები სწვდებოდა, ხოლო თავის ტალღის მეზობლად მან ყური მოჰკრა მტკიცე და მბრძანებლურ გერმანულ სიტყვას, რომლის გაგონებისას ტრაკინი უნებლიედ შეკრთა: ტალღების ასეთი ახლო მეზობლობით, თითქოს, გერმანელები ვარსკვლავის საიდუმლოებას გაიგებდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, მან გაიგონა ბუნდოვანი საპასუხო ხმა, რომელიც ერთდროულად სიტყვას იმეორებდა:

— ვარსკვლავო, ვარსკვლავო, ვარსკვლავო, ვარსკვლავო...

ტრაკინმა და „მიწამ“ შორეულმა რადისტმა სისხარულით შეჰყვირეს.

— გადმოგვემო, — სიტყვა ტრაკინმა, — ოცდაერთი კოტი ორი. ოცდაერთი კოტი ორი.

შორეულმა „მიწამ“ დუმისის შემდეგ აცნობა, რომ მან გაიგო, კარგად გაიგო.

— ბევრია, ძალიან ბევრია ოცდაერთი. — იმეორებდა ტრაკინი, — ახლახან მოსული ოცდაერთი. ვარსკვლავო

„მიწამ“ ესეც გაიგო და „განმეორება“ როგორც გამოძახილმა: „ბევრია, ძალიან ბევრია ოცდაერთი“.

ყველა გამხიარულდა. გადალახო ასეთი წინა ხაზი, გერმანელებით სავსე ტყე, მერე დაუქავშირდნენ რადიოთი შენთან და გადასცე ცნობა ამ გერმანელების შესახებ, — არა, ასე ღირს ცხოვრება!

ტრაკინი კვლავ და კვლავ ჩასტყუროდა ამხანაგებს სახეში. ესენი ყუენენ უკვე არა ხელქვეითი, არამედ ამხანაგები. თვითეულ მათგანზე დამოკიდებული იყო დანარჩენების სიცოცხლე. და ის, მეთაური, მათ უკვე სთვლიდა არა უცხოებად, თავისაგან განსხვავებულ ადამიანებად, არამედ საკუთარი სხეულის ნაწილებად. თუ მას შეეძლო უფლება მიეცა მათთვის თავისი საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრნათ „მიწაზე“, ჰქონოდათ თავიანთი სისუსტე, მით უფრო, აქ, ამ განმარტოებულ „ვარსკვლავზე“, ისინი და თვითონ ერთ მთელს შეადგენდნენ.

ტრაკინი კმაყოფილი იყო საკუთარი თავით — შეიძვეტრ გადაღებული საკუთარი თავით.

მოეთათბირა ანიკანოვს და გადასწყვიტეს წასულიყვენ წინ, გეგმით ნაჩვენები იმ დასახლებული პუნქტისაკენ, სადაც რკინიგზა და გზატკეცილი ერთმანეთს ეჯვარედინება. მართალია, მოძრაობა დღისით საშიშია, მაგრამ შეიძლება ჰაობებსა და ტყეებზე დაურდობა შარავნებისა და სოფლებისაგან შორებით. გერმანელები კი ჩვეულებრივად ასეთ ადგილებს გაურბიან.

მაგრამ, როგორც კი მოხვდნენ ჰალის დასავლეთ ნაპირს, მშვერავებმა მყისვე დაინახეს გერმანელთა რაზმი, რომელიც ჰაობიანი სასოფლო გზით მოდიოდა. გერმანელებს არა შეუქმვანენ, არამედ შავი მუნდირები ეცვათ. წინ მომავალ

ოფიცერის სათვალე მკაცრად უბრწყინავდა.

— ესესელები, — წაიხურჩულა ანიკანოვმა.

ესესელთა რაზმს მოჰყვებოდა ოცო უზარმაზარი ოთხთვალისაგან შემდგარი თავამდე დატვირთული ალალი.

შეიმაღლნენ რა უახლოეს ტყეში, მშვერაგებმა შენიშნეს მუხლუხების ახალი ველი. რომელსაც ისინი ფრთხილად მიჰყვებოდნენ და ტყიან ველს მიუახლოვდნენ. ამ ველის განაპირა ადგილებში თორმეტი შენიღბული ჯავშანტრამსპორტერი იდგა. მუხლუხებზე დაცვენილი ახალი მტკერი იმას ამტკიცებდა, რომ ისინი ახალმოსული იყვნენ. ეს იქიდანაც სჩანდა, თუ როგორ იქცევოდნენ გერმანელები, რომლებიც ხმაურით დარბოდნენ ტყეში, ხერხავდნენ ხეებს, სკრიდნენ ტოტებს სათბობად და შლიდნენ კარებს. ერთი სიტყვით, აკეთებდნენ ყველაფერს, რაც შეიძლება აკეთონ ახალ ადგილზე მისულმა ადამიანებმა.

მშვერაგები ამ საზიფათო მინდვრიდან გადოცდნენ და მარჯვნივ შემოუთაოეს მან შორიდან: მაგრამ აქაც წააწყდნენ გერმანელთა ბანაკს, რომელიც სავსე იყო ჭურვიანი სატვირთო ავტომანქანებით.

ტყეში ქორდა ბალახზე ეყარა სიგარეტის ცარიელი კოლოფები, კონსერვის ქილები, გოთური წრიფტით ნაბეჭდი ვახუთის ქუჭყიანი ნახევები და ცარიელი ბოთლები, რაც სხვისი, საზიზღარი ცხოვრების კვალს წარმოადგენდა. ტყუ საესე იყო მარქენებლებით, რომლებზედაც უფრო ხშირად ეწერა ციფრი „5“ და ასო „W“. ყველგან იდგა გერმანელის, ფრიცის, ჰანსის, ფანისტის სუნნი — საზარელი და საძულველი სუნი. უნდა მოეცადნათ დაბნელებამდე: დღისით მოძრაობა შეუძლებელი იყო, მთელი მიდამო სავსე იყო მოღრიალე, მძინარე, ქვეითად და ტრანსპორტით მიმავალ-მიმავალი გერმანელებით. სავსე იყო გერმანული ჯარების დაჯგუფებებით.

ტრავკინი და მასთან ერთად ყველა მშვერაგი გრძობდა, რომ გერმანელები რალაციისათვის ემზადებიან. მშვერან ახალ ჯარს აქაური ვეებებულ ტყეების სიბნელეში. შეიძლება ისინი პირველად მიხვდნენ თავიანთ ამოცანის მთელს მნიშვნელობასა და საკუთარი პასუხისმგებლობის სიღრმეს.

დღისით პატარა ფლატეში ცოტა წათელემის შემდეგ, მშვერაგებმა ღამით გასწიეს წინ.

მალე მათ ლამაზ ტბიან მიდამოს მიადწიეს. ამ გაქიმული იყო არყის ხის ტყით გარშემორტყმული ბაყაყების ყიყინით გაყრუებული დიდი და მცირე ცივი ტბები.

ტბის მახლობლად, ხშირი თხილნარით დაფარულ ხევში მშვერაგებმა შეისვენეს. მეორე ნაპირზე დიდი ორსართულიანი ქვის სახლი იდგა. სახლიდან გერმანული ლაპარაკი ისმოდა. მარჯვნივ სოფლის ვიწრო გზა გადიოდა, ხოლო პირიზონტზე, ტელეგრაფის ბოძებს შუა, გზატკეცილი მოსჩანდა.

ამ გზატკეცილის მახლობლად ტრავკინმა მორიგეობა დააწესა. ამ მანქანები თითქმის განუწყვეტელ ნაკადად დადიოდნენ. ღირდა ამათი თვალთვალი. ხანდახან მოძრაობა ერთი საათით შეჩერდებოდა, რომ შემდეგ ისევ წინანდელი ინტენსივობით განახლებულიყო. ავტომანქანები სავსე იყო გერმანელებითა და ბრუნენტის ქვეშ დამალული რაღაც საიდუმლო ტვირთით. ორჯერ გაატარეს მძლავრი საწევით ქვემეხები. რომელთა საერთო რიცხვიც ოცდაათს ლულას უდრიდა.

ტრავკინი განუწყვეტლივ უთვალთვალებდა ამ ნაკადს. დანარჩენი მშვერაგები რიგრიგობით მორიგეობდნენ: ზოგს ეძინა, ზოგი კი ტრავკინთან ერთად აწარმოებდა მათ ახლოს მიმავალი გერმანელთა ძალების აღრიცხვას.

— ამხანაგო ლეიტენანტო, — უცებ გამოძვრა სიბნელიდან მამოჩინი, — იქ სასოფლო გზაზე გერმანელთა საზიდა-

რია სულ მხოლოდ ორი გერმანელით. საზიბარში კი სასუსნავია. მოგვეცით ნება და ჩვენ მათ გაუსროლელად მოეუღებთ ბოლოს.

ტრავეკინი ფრთხილად გაჰყვა მათ და მართლაც დაინახა სასოფლო გზაზე ნელა მომავალი ოთხთვალა. რომელსაც ორი გერმანელი მოჰყვებოდა ზანტი ლაპარაკითა და პაპიროსის წვეით. საზიბარში ღორი ღრუტუნებდა. მართლაც სახარბიელო იყო ამ ფრიცების მოსპობა. ისინი თვითონ ვარდებოდნენ ჩვენს ხელში. ტრავეკინმა სინანულით ჩაიჭნია ხელი.

— დაე, წაივინენ.

მამოჩკინს ოდნე ეწყინა კიდევ. ასე ხელსაყრელად შექმნილი გარემოების გამო ის ძლიერ საომარ გუნებაზე იყო და უნდოდა თავისი სიყოფად ეჩვენებინა მშვერავებისათვის და განსაკუთრებით კი ანიკანოვისათვის. „ნეტაე რატომ დავდივართ და რას ვუყურებთ, როცა ჩვენს ირგვლივ ასე დაწრიალობენ „უნები“.

ნელა იწყებოდა განთიადი, და გზატკეცილზე მოძრაობა შეწყდა.

— მხოლოდ ღამით მოძრაობენ — შენიშნა ანიკანოვმა, — ჩვენს ავიაციას ემალებიან. ამზადებენ რაღაცას არამზადები.

ტრავეკინმა თავისი ხალხი ისევ ხშირ თხილნარში წაიყვანა. მშვერავები განთიადის სიცივისაგან იმშუშნებოდნენ, და ჩასთვლიმეს. უეცრად ტბასთან მდებარე სახლის მხრიდან გაბმული კენესა, თუ ყვირილი მოისმა.

თვითონაც არ იცოდა რატომ. ტრავეკინს ანაზღად მარჩენკო გაახსენდა. ყვირილი ისევ გაისმა, შემდეგ ყველაფერი მიუყჩოა.

— წავალ და ვნახავ, რა ამბავია იქ. — უთხრა პრაენიკოვმა.

— საჭირო არ არის, — სთქვა ტრავეკინმა, — თენდება.

მართლაც, უკვე თენდებოდა. ტბაზე მოწითანო შექმა გაიელვა. იმ ორიცხო-

ბილისა და ძეხვის ნელა ჩაუკობს შემდეგ, რომელიც მამოჩკინმა თავისი უძირო ჯიბეებიდან ამოაძრე. შემდეგ ისევ ჩასთვლიმეს.

ტრავეკინს არ ეძინებოდა. ის უფრო ახლოს მიცოცდა ტბასთან და თითქმის ტბის ნაპირთან, ბუჩქებში გაირიხდა. ტბასთან მდებარე სახლი იღვიძებდა. ეზოში ხალხი ფუსფუსებდა.

მალე კიშკრიდან სამინი გამოვიდნენ. ერთმა მათგანმა, ყველაზე მაღალმა, ხელი ქუდის წინაფარზე მიიღო და აუჩქარებლად გაშორდა სახლს. ბორცვაკზე ასვლისთანავე ის მოუბრუნდა კიშკართან დარჩენილებს, ხელი დაუქნია მათ და მარღად გაემართა სასოფლო გზით. ტრავეკინმა მყისვე შენიშნა, რომ მიმავალ გერმანელს ზურგზე ჩანთა ეკიდა და მარცხენა ხელი შეხვეული ჭონდა.

ტრავეკინს ანაზღად გაუელვა თავში აზრმა, რომ საჭირო იყო ამ გერმანელის შეპყრობა. ეს იყო არა აზრი, არამედ ნების იმპულსი, რომელიც ყოველი გერმანელის დანახვისას აღძრება ხოლმე ყოველ მშვერავს. შემდეგ კი მოულოდნელად მიხვდა ტრავეკინი, თუ რა კავშირი არსებობს ამ გერმანელის შეხვეულ ხელსა და ღამით გაგონილ კენესას შორის, რომელმაც მშვერავები შეაკართო. ტბასთან მდებარე სახლში გერმანელებს პოსპიტალი გაეხსნათ. მაღალი გერმანელი კი, რომელიც სასოფლო გზაზე მოაბიჯებდა. პოსპიტლიდან გაეწერა და თავის ნაწილში მიემგზავრება. ამ გერმანელს ძებნას არავინ დაუწყებს.

ანიკანოვსა და მამოჩკინს არ ეძინათ. ტრავეკინი მივიდა მათთან, მიუთითა მჩხერ ხეებს შორის მიმავალ აყლაყულა ფიგურაზე და უთხრა მათ:

— ეს ფრიცი უნდა შევიპყროთ.

ორივეს გაუყვიროდა. მორამ ისოდენ ფრთხილი ლეიტენანტი უბრძანებს მათ ამ ღლის სინათლეზე შეიპყრონ გერმანელი! მაშინ ტრავეკინმა უჩვენა სახლი და განუმარტა:

— იქ პოსპიტალია.

მათ შენიშნეს მზის სინათლეზე მოკიაფე თეთრი სახვევი გერმანელის ხელზე და მაშინ ყველაფერს მიხვდნენ.

გააღვიძეს მძინარე მზვერავეები და წავიდნენ ტყეში გერმანელისათვის გზის ნოსაპრელად. ის რაღაც სიმღერის სტეენით მიაბიჯებდა და ეტყობოდა გაზაფხულის დილით სტკბებოდა. ყველაფერი სულ უბრალოდ მოხდა. პატარა ვოლუბს, რომელიც „მოენეს“ პირველად იჭერდა, ხალისიც კი დაეკარგა. თვითონ მან თითის შეხებაც კი ვერ მოასწრო ფრიცისათვის და, ვიდრე ძალზე ადევნებულ იქნა ვოლუბი გონს მოვიდოდა, გერმანელი უკვე მოგრიხეს. პირში პილოტურა ჩასხარეს და წამოათრიეს.

თხილნარიან ხეებში გერმანელი პირალმა იწეა. ამოუღეს თუ არა პირიდან პილოტურა, გერმანელმა დაიკვნესა. ტრავკინმა რუსული, მაგარი გამოთქმით კეთხა:

— Zu Welchem Truppenteil gehören sie¹.

— 131 Infanterie — Division Pionier Companie² — უპასუხა გერმანელმა.

მზვერავეებისათვის ცნობილი იყო ეს ქვეითი დივიზია, რომელიც წინა ხაზზე იდგა.

ტრავკინი დააკვირდა ტყვეს. ის იყო დაახლოებით ოცდახუთი წლის ახალგაზრდა კაცი მოთეთრო, გერმანული სახეებისათვის ტიპური ცისფერი წყალწყალა თვალებით.

ტრავკინი დაეინებოთ მიაჩერდა მის წყალწყალა თვალებს და შემდეგი შეკითხვა მისცა:

— Haben Sie hier SS — leute gesehen?³

— O, ja, — უპასუხა გერმანელმა, თითქოს გახარებულმა თავისი მცოდ-

¹ თქვენ რომელ სამხედრო ნაწილში ირიცხებით?

² 131-ე ქვეითი დივიზიის მესანგრეთა ასეულში.

³ თქვენ აქ ესხველები ნახეთ?

ნეობით და უკვე უფრო გაბედულად შეხებდა გარშემორტყმულ რუსებს eine ganze Menge, überall.

— Was sind das für Truppenteile?⁴ — კეთხა ტრავკინმა.

— Die Panzerdivision „Wiking. Eine sehr berühmte starke Division. Auserwählte Himmler Truppenteile.“

— აჰა... — წარმოსთქვა ტრავკინმა.

მზვერავეები მიხვდნენ, რომ ლეიტენანტმა რაღაც მეტად მნიშვნელოვანი რამ გაიგო თუმცა „ვიკინგის“ დივიზიის შემადგენლობა და მისი თავმოყრის მიზანი გერმანელმა არ იცოდა, მაგრამ ტრავკინი მაინც მიხვდა მის მიერ მიღებულ ცნობათა მნიშვნელობას. ის თითქმის სიმპათიით უყურებდა ახლა ამ აყლაყულა გერმანელს და სინჯავდა მის ქაღალდებს. გერმანელი კი შეჰყურებდა ახალგაზრდა კაცს, რუსს ოდნავ ნაღვლიან თვალებში და მან უცებ იმედი იგრძნო: ნუთუ ეს მშვენიერი კაბუჯი ჩემს მოკვლას უბრძანებსო.

ტრავკინმა თვალი მოაშორა გერმანელი ჯარისკაცის წიგნაკს და მოაგონდა, რომ ამ გერმანელს ბოლო უნდა მოუღონ. ტყვემ თითქოს იგრძნო მისი აზრი, უცებ აცანცანდა და მთელი თავისი დამაჯერებლობით წარმოსთქვა:

— Herr Kommunist Kamrad ich bin Arbeiter. Schauen Sie meine Hände an. Glauben sie mir. ich schwöre: bin kein Nazi Bin selbst Arbeiter und Arbeitersohn⁵.

ანიკანოვმა დაახლოებით გაიგო გერ-

⁴ ო, დიამ ისინი აქ ძალიან ბევრია. ყველგან არიან.

⁵ შერე და ეს რა ნაწილებია?

⁶ ეს არის ესხველთა სატანკო დივიზია „ვიკინგი“. ცნობილი ძლიერა დივიზია. პილოტრის რჩეული ნაწილები.

⁷ ბატონო კომუნისტო, ამხანაგო, მე მუშა ვარ შეხედეთ ჩემს ხელებს. დამიჯერეთ მე ნაციონალ-სოციალისტი არა ვარ. მე მუშა და პუშის შვილი ვარ.

მანელის ნათქვამი. მან იცოდა სიტყვა „არბაიტერი“.

— აი, ის გვიჩვენებს თავის დაკოვრებულ ხელებს და ამბობს: მე მუშა ვარო, — თქვა ჩაფიქრებულმა ანიკანოვმა. — მაშასადამე, იცის, რომ ჩვენთან მუშაკაცს პატივს სცემენ, იცის, ვის წინააღმდეგ იბრძვის, და მაინც იბრძვის...

ტრავკინი ბავშვობიდანვე იყო აღზრდილი მუშა-ადამიანებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით. მაგრამ ამ ლაიპცეგელი ასოთამწყობის მოკვლა მაინც საჭირო იყო.

ტრავკინის თვალეში გერმანელმა ეს სიბრალულიცა და ეს შეუდრეკლობაც ამოიკითხა. ის სულელი გერმანელი როდი იყო: ასოთამწყობად მუშაობისას მას ბევრი კვიანური წიგნი ჰქონდა წაკითხული და მან იცოდა, რა ადამიანები იდგნენ მის წინაშე. და იგი აქვითინდა, როცა დაინახა სიკვდილი ამ ფართო თვალების, შემბრალე და შეუდრეკელი თვალების პატრონი ახლავარდა ლამაზი აღქაჯის სახით.



თავი მცხრამე

რა ხდებოდა მათ გულში? საეჭვოა, რომ თვით მათ შესძლებოდათ პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. ყველაფერი ვარეშე, მთელი წარსული გაქრა მესხიერებიდან, ხოლო თუ ეს წარსული დროგამოშვებით მაინც იჩენდა თავს მასში, ეს მხოლოდ რაღაც უფორმო ნაწყვეტებად. ისინი ამოცანით ცხოვრობდნენ და მხოლოდ მასზე ფიქრობდნენ.

წინ მიდიოდა ანიკანოვი გოლების თანხლებით, უკან, ორმოცი მეტრის დაშორებით — ტრავკინი და სემიონოვი რადიოსადგურით. მარცხნივ, თითქმის მწვერავების მოძრაობის პარალელური გზატკეცილის განაპირას — მამოჩკინი და ბიკოვი, ხოლო მარჯვნივ — ბრაუნინ.

კოვი, რომელიც იცავდა ჯგუფს ტყის მხრიდან. ეს იყო ტოლფერდენიან სამკუთხედი, რომლის ფარგლებშიც წარმოადგენდა ტრავკინის მუშაობას — ანიკანოვი. ზოგჯერ, როცა სამკუთხედი გერმანელების სიახლოეს, იგრძნობდა, იგი მიიჯრებოდა და უფრო ნელა მიიწეოდა წინ, ადამიანები შეჩერდებოდნენ და ყურს უგდებდნენ ლამის ფაქუნს. ანიკანოვი ფრინველისებრ დასტვენდა და ყველანი გაირინდებოდნენ. გზატკეცილზე მარცხნივ მანქანები და მუხლუხა საწევრები მიდიოდნენ. ისმოდა გერმანული სიმღერები, გერმანული გინება, გერმანული ბრძანების სიტყვები. ზოგჯერ ქვეითი ჯარი გაივლიდა და ჯარისკაცთა საუბარი ისე ახლოს მოისმოდა, რომ გეგონებოდათ საკმარისია ხელი გაიშვირო და გერმანელს დაიქერ, გერმანელის სახეს დაეჯახები, გერმანული სიგარეტის ცეცხლი გაგტრუსავსო.

ტრავკინმა მტკიცედ გადაწყვიტა არ შეეპყრო მეტი „მოენე“. ის გრძნობდა რომ ღრმად შეაღწია მტრის ნაწილთა განლაგების ცენტრში. ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა, ნახევრადგაუღელული წამოძახილი — და უეცრად დაგესხმება თავს ესეესელთა მთელი ეს ხროვა. მან იცოდა, რომ აქ სატანკო დივიზია „ვიკინგის“ თავმოყრის ადგილი იყო, მაგრამ მან არ იცოდა ამ დივიზიის შემადგენლობა და მისი ზრახვები. შემადგენლობის დაახლოებით გამორკვევა შესაძლებელია, თუ აწარმოებ ნაწილების. ტანკებისა და არტილერიის აღრიცხვას. მაგრამ სარდლობის განზრახვა შეიძლება იცოდეს მხოლოდ კარგად გათვითცნობიერებულმა გერმანელმა, ასეთი გერმანელის შეპყრობა აუცილებელი იქნება რკინიგზის სადგურის დაზვერვის შემდეგ.

მაგრამ ტრავკინის ეს ფრთხილი გეგმა მოულოდნელად დაირღვა. ტრავკინმა უცებ რაღაც ხმაური გაიგონა მარცხნივ.

შემდეგ სიბნელეში მამოჩინი გამოჩნდა და დაბალის ხმით აცნობა:

— აქ, გზის ახლოს უგრძობლად მთვრალი გერმანელი წევს.

„მთვრალი“ გერმანელის დანახვისთანავე, ტრაკინი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. გერმანელი გაუფრთხილებლობით შევიდა დაბურულ ტყეში. მამოჩინმა ის გააბრუა, ძირს დასცა და განაიარაღა.

დარცხვენილი მამოჩინი თავს იმართლებდა:

— ის პირდაპირ ჩემზე მოიწვედა. მამ რა უნდა მექნა?

დიდი სჯა არ დასჭირვებიათ. სტაცის ხელი ტყვე გერმანელს და ტყეში შთაინთქნენ. უკვე ისმობდა რუსული ყურისათვის უცხო ყვირილი გერმანელებისა, რომლებიც დაკარგულ ამხანაგს ეძახოდნენ:

— უ-უხ! უ-უხ!..

— ვილიბალდ! ვილიბალდ!

— ჰერ ბენეკე!..

ტყვე ბალახზე დააწვინეს ტბასთან. მამოჩინმა წყალი მიასხურა და არ დაიშურა ცოტა არაყიც ჩაესხა მათართ პირში.

მამოჩინს სახე უბრწყინავდა, იგი ფუსფუსებდა „თავისი“ გერმანელის ახლოს და ყოველნაირად აქებდა მას:

— აი, ეს ნამდვილი ესესელია, ამას ყველაფერი ეცოდინება... შეხედეთ, ამხანაგო ლეიტენანტო, ოფიცერია, ღმერთმანი, ოფიცერია!

იურა ვოლუბი ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა გერმანელს, ის ნაღვლიანად ჯღუწავდა პატარა ცხვირს და შეშფოთებით ოხრავდა:

— ყველა იჭერს „მოენეს“ და მე კი არსად მხედება!

არა უშავს, ვოლუბოკ, — ეუბნებოდა ანიკანოვი, რომელიც მღელვარედ უგდებდა ყურს შორეულ მინელბულ შეძახილებს, — ასეთი დოვლათი აქ ბევრია, მოესწრები.

ესესელთა ჰაუბტშარფიურერი¹ მტკრწუნებული თვალები ტრაკინს მისჩერებოდა. ენის ბორძიკით დასახტახტახით განუცხადა მას ესესელმა, რომ იგი მსახურობს ესესელთა მეხუთე სატანკო დივიზია „ვიკინგის“ მეცხრე მოტოპოლკ „ვესტლანდში“, — ესე იგი უთხრა ის, რაც ეწერა ჯარისკაცის იმ წიგნაკში, რომელიც მამოჩინმა ამოიღო მისი ჯიბიდან. შემდეგ ის მოუყვა მათ, რომ პოლკი „ვესტლანდი“ შესდგება სამი ბატალიონისაგან, თითო ბატალიონი კი — ოთხი ასეულისაგან, ხოლო თვითვე „მიმომე იარალის ასეულს“ აქვს ექვს-ღულიანი და ათღულიანი ნაღმტყორცნები. პოლკში ტანკები არ არის, ხოლო სხვა პოლკებს აქვს თუ არა — ეს მან არ იცის. დივიზია იუგოსლავიიდან ჩამოვიდა. შტაბი დგას სოფელში, რომელიც აქედან არც ისე შორსაა, მაგრამ სოფლის სახელი მას არ ახსოვს, რადგან არ შეუძლია დაიმახსოვროს რუსული და პოლონური სახელები. მას ახსოვს მხოლოდ „მოსკოა“ და „ვარშაუ“, — განაცხადა გერმანელმა რაღაც უცნაური გამოწყვევით.

გერმანელმა მიიღო ერთი მაგარი სილა სახეში მის „მფარველ“ მამოჩინისაგან და მაშინვე დაჰკარგა ის სიმშვიდე, რომელიც აქამდე ჰქონდა, და მხეცივით აბღავდა. საერთოდ მას მამოჩინის ისე ეშინოდა, როგორც სიკვდილის: დაიბრებოდა თუ არა მამოჩინი მისკენ, გერმანელი ცახცახს იწყებდა და მუდართ შეჰყურებდა ტრაკინს. როცა ჰაუბტშარფიურერი ტბაში ჩააგდეს, ტრაკინი „მიწას“ დაუკავშირდა. ამჯერად საუკეთესო სმენადობა იყო და ტრაკინმა ყველაფერი გადასცა მის მიერ გამოკვეული ფაქტების შესახებ.

„მიწისაგან“ გაგონილი ხმებით ტრაკინი მიხვდა, რომ მისი ცნობა იქ მიღე-

¹ ესესელთა ჯარის ობერფელდშეზელი.

ბულია ისე, როგორც ძლიერ მოულოდ-
ნელი და მნიშვნელოვანი. ბოლოს ქალის
ხმა გამოვლავარაყა, და ტრავკინმა კატია
იცნო. ქალმა ტრავკინს წარმატება და
მალე დაბრუნება უსურვა.

— მხურვალედ გეხვევით, — დაამთავ-
რა კატიამ ტრავკინის მიღწევებით გა-
მოწვეული მღელვარებისა და სიამაყე-
საგან ათრთოლებული ხმით და თითქოს
ისეთი რამ ეთქვას მისთვის, რასაც პირ-
დაპირი დამოკიდებულება ჰქონდა ნამ-
სახურებრივ საქმეებთან, ჰკითხა: გაიგეთ
თუ არა, რაც გითხარით? როგორ გაი-
გეთ ჩემი სიტყვები?

— გაიგეთ, გაიგეთ, — უპასუხა
ტრავკინმა.

განთიადისას მხვერავეები მცირე სად-
გურთან გაჩნდნენ — შეიდი კილომეტ-
რის დაშორებით იმ სადგურიდან, რომე-
ლიც მათ სჭირდებოდათ. ეს მცირე სად-
გური — ერთსართულიანი, ყვითელფე-
რად შეღებული აგურის ჯიხური —
შემოსანგრული იყო ორმაგი მიწაყრილი-
თა და მსხვილი ფიჭვის მორებით. ასე-
თივე სიმაგრე იცავდა ორივე მხრიდან
მცირე სადგურთან არსებულ რკინი-
გზის ხის ხიდს. ასე იცავდნენ გერ-
მანელები თავიანთ კომუნკაციებს
პარტიზანების თავდასხმისაგან.

მცირე სადგურთან მისასვლელ გზაზე
იღვა აეტომანქანების გრძელი მწკრივი,
რომლის კუდიც იმ ტყეს სწვდებოდა,
საიდანაც დილაადრიან მხვერავეები გა-
მოცოცდნენ. ამ ღრმა სიჩუმეში სადგუ-
რის შენობიდან ტელეფონის აპარატის
ზარისა და გერმანელების უხეში ხმა ის-
მოდა. ტყეში ორი დღის თრევის შემდეგ
სასიამოვნო იყო ნისლიან სიშორეში გა-
წოლილი სარელსო გზის, სემაფორისა
და რკინიგზის ისრის შავი მუხლის და-
ნახვა.

ანიკანოვმა, მხვერავეები თავისი პირო-
ბითი სანიშნო ფრინველისებრი სტვენით
შეაჩერა, თვითონ ბოლო საბარგო მან-
ქანასთან მიცოცდა და შოფერის კაბინა-
ში შეიხედა. ის ცარიელი იყო. ცარიე-

ლი აღმოჩნდა აგრეთვე მცოცხე და მე-
სამე საბარგო მანქანებიც. ისინი თით-
ქმის ზედაპირამდე დატვირთულნი
ნენ ფქვილის ცარიელი ტომარებისა

თავისიანებთან მიბრუნებისას, ანიკა-
ნოვმა ტრავკინს აცნობა ამის შესახებ.

— დასატვრითავად მოვიდნენ, — უთ-
ხრა ანიკანოვმა, — მატარებელს ელო-
დებიან.

ტრავკინმაც გადასწყვიტა დალოდე-
ბოდა მატარებელს, მაგრამ მატარებელი
არა სჩანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ
სასადგურო ჯიხურიდან ნამძინარევი
შოფრები გამოცვივდნენ და თავიანთი
მანქანებისაყენ გაემართნენ ზანტი ყა-
ყანით.

ამ დილის სიწყნარეში გარკვეულად
ისმოდა ლაპარაკის ნაწყვეტები, რო-
მელთაგანაც ტრავკინმა გაიგო, რომ მან
ქანები დაიტვირთება არა აქ, არამედ
სადგურზე და ისინი ახლავე დაიძვრიან
წასასვლელად. ტრავკინი წუთით ჩა-
ფიქრდა და გადაწყვიტა, სადგურზე
მხოლოდ ორი მხვერავეი გაეგზავნა, ხო-
ლო დანარჩენები აქ დალოდებოდნენ.
სადგურზე გერმანელები ბლომად და
რა საჭიროა ყველა ადამიანის განწირ-
ვაო.

ამ მიზნით მან ანიკანოვი და ბიკოვი
გამოჰყო, ხოლო იური გოლუბის უსა-
ზღვრო მუდარის შემდეგ, ისიც გააყო-
ლა მესამედ.

— იქით მიმავალ მანქანებს ხომ არ
გაცვეთ? — საქმიანად იკითხა ანიკა-
ნოვმა.

ანიკანოვი, ბიკოვი და გოლუბი მიცო-
ცდნენ ბოლო მანქანასთან და სწრა-
ფად აცოცდნენ ზედ. ანიკანოვმა მხრუნ-
ველად მიაფარა ბიკოვსა და გოლუბს
ტომრები და თვითონაც ტომრებში ჩაი-
მარხა ისე, რომ მხოლოდ ქუქურუტანა
დაიტოვა გამოსახედავად და აეტომატი
მოიმარჯვა. მალე საბარგო მანქანასთან
ნელი ნაბიჯით მივიდა გერმანელი შო-
ფერი, ჩაჯდა მანქანაში და დაელოდა
სანამ წინა მანქანები დაიძვროდნენ. ჩარ-

თო ამგზნები და დააქირა ფეხი სტარტერს. მოტორი არახრახდა.

კოლონა ტყიანი გზით დაიძრა. მანქანები ხტოდნენ ოღრო-ხოღროებზე. ასე მიდიოდნენ თხუთმეტობდე წუთის განმავლობაში. უცებ მოფერმა მანქანა დაამუხრტა.

ანიკანოვმა გერმანული ლაბარაკი გაიგონა და დაინახა ქიმზე ჩაბლაუქებული ორი გერმანელი, რომლებიც შემდეგ ძარაში ჩახტნენ. მშვერაეთა საბედნიეროდ გერმანელებს, ეტყობოდა, ტომრებზე დაჯდომა არ სურდათ, რომ ესესელთა შავი მუნღირები არ გასეროდათ ფქვილის მტვერში. ისინი უკანა ქიმზე ისხდნენ და ცდილობდნენ არ გაკარებოდნენ ტომრებს, მაგრამ ასეთი მეზობლობა მაინც არ იყო სასიამოვნო. მანქანა ხშირად ხტოდა და მაშინ ტომრებქვეშ ადამიანის სხეულის მოყვანილობა ისახებოდა. ანიკანოვმა უკვე შეფოთვა დაიწყო. ვაი თუ დაუპატივებელი თანამგზავრები სადგურამდე ჩასვლას აპირებდნენ ეს კი სერიოზულ გართულებებს უქადდა მათ.

მაგრამ აი, საშინელი ხმაური გაისმა. მანქანა შეჩერდა. ირგვლივ ფუსფუსი ატყდა და ქიმზე მსხდომი გერმანელები სწრაფად ჩამოხტნენ ძირს.

ანიკანოვმა უმაღლე გაიგონა მოტორების თანაბარი გუგუნის. მაინც ინსტიქტურად ჩაღუნა თავი, მაგრამ მალე მიხვდა და გაელიმა: ესენი ხომ ჩვენები არიან!

და მან, — თითქოს საბჭოთა ყუმბარას არ შეეძლო თავისიანები დაეზიანებინა, — მხიარულად უთხრა ტომრებიდან გამოქვრეტილ ამხანაგებს:

— ბიჭებო, ჩვენები დაფრენენ.

— ექვსი თვითმფრინავი იყო. ისინი ტყის თავზე დაბალ წრეს აკეთებდნენ მუქარის გრავინით.

ანიკანოვმა მიმოიხედა. გერმანელები უღრან ტყეში შემალულაყენენ მკაფიოდ ისმოდა ორთქლმავალთა საგანგაშო საყვირის ხმა. სადგური ახლოს იყო.

— მომყევით! — გასცა განკარგულე-

ბა ანიკანოვმა, და ყველაში ჩამოხტნენ.

მანქანებს შორის გაძრომის შემდეგ, მშვერაეები კიუვეტში მარჯვენა მხარე როცა მას თავი დააღწესეს წყლის ნაბიჯით გასწიეს შუა ტყისაკენ. მაგრამ იმ წაშში, როცა მშვერაეები კიუვეტში იმყოფებოდნენ, ისინი შენიშნა იქ მწოლარე გერმანელმა. ის ჯერ შეშინდა და გაშეშდა, მაგრამ შემდეგ თავი ასწია და განწირული ხმით დაიყვირა:

— Fallschirmjäger!

— ატყდა უწყესრიგო სროლა. მშვერაეებმა ავტომატების რამდენიმე ჯერი უპასუხეს. ფართო განაკავთზე გადახტომისას ანიკანოვმა დაინახა გოლუბის განაცრისფერებული სახე. გოლუბოცი პატარა ცხვირის ჯღუნვით ეცემოდა მიწას.

— იმ გერმანელის შეპყრობა შეიძლებოდა... — სთქვა ანიკანოვის ფართო ზურგზე მწოლარე გოლუბოცმა.

ეს იყო დაკრის შემდეგ ბირველი დამისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე — უკანასკნელი სიტყვები. სასკდომი ტყვია მას მკერდში მოხვდა გულს ქვევით. საბრალო გული ჯერ კიდევ ფეთქდა, მაგრამ თანდათან უფრო სუსტდებოდა. კარგა ხნის ვასვლის შემდეგ ის ერთხელ კიდევ გამოფხიზლდა და დაინახა მასზე დახრილი ლეიტენანტის სახე, რომელიც თვალმოუშორებლივ დაცქეროდა მას, და მამოჩინის დიდრონი თვალები, რომლებიც შეუწყვეტლივ აფრქვევდნენ ცრემლებს...

ტყეში შექა-ქუხილი იწყებოდა. ქორფა ფოთლებით ამწვანებული მუხები ქარისაგან გუგუნებდნენ, ნაკადულები ათასობით მოჩუხჩუხებდნენ ფეხქვეშ თავგების ხროვის მსგავსად.

ტრავკინი გაუნძრევლად იჯდა მამაკედავ გოლუბთან და ანიკანოვის დაბრუნებას ელოდა, რომელიც მეორეჯერ წავიდა სადგურზე, ამჯერად მამოჩინთან ერთად. არა, ტრავკინს ამ სამწუხარ-



რო შემთხვევის შემდეგ არ უნდოდა ჯგუფი ორ ნაწილად გაეყო, მაგრამ არ შეიძლებოდა მართო დაეტოვებია აქ ჯერ კიდევ ცოცხალი გოლები, საქმის ვაკეთება კი საჭირო იყო.

მან სცადა „მიწის“ დაკავშირებოდა, მაგრამ ამაოდ. შეიძლება კეკა-ქუხილი უშლიდა, ეთერი შემზარავად გაჰყოფდა მილაკში და დროგამოშვებით მშრალი ტკაცუნის გაჰქონდა. ფეხქვეშ ნაკადულები ჩუხჩუხებდნენ, მხრებზე მძიმე წვეთები ეცემოდა. ყმაწვილის გაშეშებულ სახეზე თქვეშა მტერისა და შიშის ნასახიცი კი წარეცხა და იგი სიბნელეში ბრწყინავდა.

ანიკანოვი და მამოჩინი სულ ახლოს მიცოცავდნენ სადგურის ნაგებობებთან. ელვის სშირ შუქზე მათ დატვირთული ორი შემადგენლობა დაინახეს. ერთი მათგანის ვაგონ-ბაქნებზე შავად მოსჩანდა მძლავრი და უზარმაზარი ტანები.

ორთქლმავლები კშენდნენ; ისინი ბოლქვებად უშვებდნენ ორთქლს და ნაპერწკლებს აყრიდნენ რელსებს. ეკლიანი მავთულით შემოღობილი საწყობების მახლობლად ადამიანები დაფუსფუსებდნენ და თავმომბეზრებულ გერმანულ ენაზე ლაპარაკობდნენ. შემდეგ გუშაგთა ყვირილი გაისმა. ისინი რკინიგზის ვაკისიდან ერეკებოდნენ ზურგზე ტომარმოკიდებულ გლეხ დედაკაცებს. ასმოდა ამათი წამომახილები და ხმაივალადი ვოდება:

— ეს ჯოჯოხეთის მამხალეები, ეს ქაჯები არსად არ უშვებენ...

ანიკანოვი თავისთავის უკმაყოფილო იყო. რისთვის აძერა იმ დაწყვეტილ მანქანაზე? რომ არ ამძვრალიყო, ვინ იცის, გოლები იქნებ ცოცხალი ყოფილიყო. ის ტიავას მიჩვეული ციმიბრელია და რატომ აცოცდა იმ მანქანაზე?..

გერმანელები ტანების გადმოტვირთვას იწყებენ, ეტყობა დიდი შეტევისათვის ემზადებიან, მაგრამ სად აპირებენ შეტევას — გამოურკვეველია. ერთი კიდევ რომ ჩაგვეგდო ხელში, შეიძლებო-

და გაგვეგო ესეცელთა დივიზიის ამოცანა.

„აი, ესეც ისინი, გერმანელები და დიან, — ფიქრობდა ანიკანოვი, — მაგრამ, რომელმა მათგანმა იცის თავისი დივიზიის ამოცანა? — შეიძურობ რომელიმე წუნკალს და კვლავ ვერაფერს შეიტყობ მისგან რიგიანად“.

ანიკანოვის ყურადღება შავად მშხინავი განიერი საწვიმრით გამოწყობილმა ორმა გამხდარმა გერმანელმა მიიპყრო. ელვის შუქზე მათ ხან ერთად ხედავდა, ხან ცალცალკე. ისინი ხმამალა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით იძლეოდნენ განკარგულებებს. ეს ოფიცრები, ალბათ, იმ მსუბუქი მანქანიდან გადმოვიდნენ, რომელიც მახლობელი საწყობის უკან გაჩერდა კედელთან.

წვიმის თქვეშის ქვეშ მოკუნტულ ანიკანოვს გოლები გაახსენდა. „ცოცხალი თუ არა?“ — გაიფიქრა მან. — საწყალი, წვიმაში წვეს. კარგი იქნებოდა გვეშოვნა მისთვის ისეთი საწვიმარი, როგორიც ამ ფრიცებს აცვიათ...

— შევიპყროთ ოფიცერი? — ჰკითხა ანიკანოვმა მამოჩინს.

მან უბასუხა:

— ლეიტენანტი? მას არ უთქვამს „მოენე“ მოიყვანეთო.

ანიკანოვმა დაკვირვებით შეხედა ამხანაგს სახეში.

— ჩვენ ამას ერთ წამში გავწანავთ, — აღერსით უთხრა მან, — და შემდეგ ერთბაშად შინისაყენ.

მამოჩინი შეერთა. ესენი ორნი იყვნენ ასობით საქმიანად მოფუსფუსე გერმანელების წინააღმდეგ. და ამ ასობით გერმანელთა შორის ორმა მოიტაცოს ოფიცერი?.. მას გააჩრეოლა, ანიკანოვი კი ისევ ისეთივე ყურადღებით მისჩერებოდა ამხანაგს და იმეორებდა:

— დიან, ჩვენ ამას ერთ წამს...

მამოჩინმა მძაფრად ჩაიქნია ხელი. ფილტვებში ჰაერი მოიკრიბა და უცებ წამოდგა. საკუთარი თავით აღტაცებულმა სახე მალა ასწია, წვიმის თქვეშ შე-

უშვირა და ცივებ-ცხელებიანივით იწყოს სხაპა-სხუპით ლაპარაკი:

— მოდი, ვანია... მოდი კეთილი. ვანია გაგაკეთოთ. ნუთუ ვერ გაგაკეთებთ?

ისინი მანქანასთან მიფორთხდნენ, შავთულის ქვეშ გაძვრნენ და მიიშალნენ. წვიმა შეუჩერებლივ ასხამდა და მანქანის გაკრიალემულ ძარაზე ღვარად ჩამოდოდა.

— ერთი ამ ფრიცთავანი გენერალია, ჩემის აზრით, — ჩურჩულებდა ნერვებდაქიშული მამოჩინი.

— ცხადია, გენერალია, — დამაშვილებელი ტონით ბუტბუტებდა ანიკანოვი.

ვიდრე ფეხის ხმას გაიგონებდნენ, თითქმის ერთი საათი გავიდა და შემდეგ ერთმა ოფიცერთავანმა სთქვა:

— Win fahre sofort¹.

ის იქვე გაიშხლართა, იგემა რა ანიკანოვის ხელით მკერდში დანის ძლიერი ჩარტყმა. მეორემ კი, მამოჩინის მიერ გაბრუებულმა და მის მღელვარე მკერდს სახით მიყრდნობილმა, უკვე გრძობა დაჰკარგა. გერმანელები კი ირგვლივ ფუსფუსებდნენ, საწყობიდან ვაგონებისაკენ მიდიოდნენ, შემდეგ უკანვე ბრუნდებოდნენ და წვიმის თქემის ქვეშ იყუნებოდნენ.

თავი მათი

ესეგელთა მესხეთე სატანკო დივიზია „ვიკინგი“ ესეგელთა რჩეული ჯარების ერთერთი რჩეული დივიზია იყო.

დივიზია „ვიკინგი“, რომელსაც გრუპენფიურერი (სს ჯარების გენერალ-ლეიტენანტი) ჰერბერტ ჰილლე მეთაურობდა, მე-9 მოტოპოლკ „ვესტლანდისა“, მე-10 მოტოპოლკ „გერმანიისა“, მე-5 სატანკო პოლკისა, თვითმავალი არტილერიის მე-5 დივიზიონისა და მე-5

საველე საარტილერიო პოლკისაკენ შესდგებოდა და აღჭურვილად იქცეოდა. ვალე, პირველხარისხის ტექნიკურ და დივიზიას საიდუმლოდ მოეყარა თავი ამ უზარმაზარ ტყეებში, რათა მოულოდნელი დარტყმით გაერღვია ქალაქ კოველისათვის რუსების მიერ შემორტყმული ალყა, დაენაწილებინა რუსები იზოლირებულ ჯგუფებად, მერე ვენადგურებინა და უკუეგდო ისინი ორი სახელგანთქმული მდინარის — სტოხოლისა და სტირისაკენ.

უკანასკნელ ხანებში დივიზია თავისი ჩვეული მძევინვარებით ურჩ იუგოსლავიას ამშვიდებდა.

დივიზიამ მიიღო ადამიანთა დიდი შეესება და ახალი ტიპის სამოცი ტანკი — „ვეფხვი“, რომელსაც ბატონმა რაიხსმინისტრმა შპეერმა „ტანკთა მეფე“ უწოდა. დივიზია უკვე თხუთმეტ ათას კაცს ითვლიდა. პოლკებს მეთაურობდნენ ფიურერის მიერ არაერთხელ აღნიშნული: შტანდარტენფიურერი მიულენკამპი, პიტლერის ყოფილი პირადი აღიუტანტი შტანდარტენფიურერი გარვაისი და ჰიმლერის სხვა მგლები — ეს სეზბედნიერი და უღმობელი ინტრიგანები, რომლებიც ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და სამხედრო იერარქიის კიბის ზედა საფეხურებზე იდგნენ.

დივიზია „ვიკინგის“ შემდეგ საფრანგეთიდან ფრონტის ამ უბანზე ჩამოსასვლელად ემზადებოდა, თუმცა არც ისე ბრწყინვალე, მაგრამ მაინც რჩეული 342-ე გრენადერთა დივიზია, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი ნიკელი მეთაურობდა და რომელსაც ესეგელთა მიღწევები უნდა განეგითარებინა.

მთელი ეს ოპერაცია ღრმა საიდუმლოებით ტარდებოდა.

— რუსები, ძლიერ ახლოს მოიჭრნენ საგენერალგუბერნატოროსთან, — უთხრა გრუპენფიურერ ჰილეს მისმა მფარველმა, ესეგელთა კორპუსის მეთაურმა ფონ-დემ-ბახმა, რომელმაც მიიღო იგი თავის განცალკევებულ სასახლეში კუნ-

¹ ახლავ დავიძობათ.

ძულ პფაუნენიზელზე, ბერლინის მახლობლად. — შედეგები, პარტიკულარულად, თქვენთვის გასაგებია: ეს იქნება ანტიგერმანული ძალების აქტივიზაცია მთელს ევროპაში და შესაძლოა მან იძულებულაპყოს ინგლისელები და ამერიკელები ამოქმედდნენ... ფიურერი თქვენს ოპერაციას პირველი ხარისხის მნიშვნელობას ანიჭებს. მთავარი ბანაკი დანიტერესებულია ამ გადაჯგუფების ღრმა საიდუმლოების დაცვით. დაიცავით სიფრთხილის ყველა ზომა.

ახლა, თავი მოუყარა რა თავის დივიზიას ქალაქ კოველის დასავლეთით შდებარე დაბურულ ტყეებში, ჰილე, სრულიად დარწმუნებული მისთვის დაკისრებული ოპერაციის წარმატებაში, შემდგომს განკარგულებებს ელოდებოდა.

ცხადია, მან იცოდა, რომ მისი დივიზია ახლა უკვე აღარ არის ისეთი, როგორც 1940 წელს, ან თუნდაც 1943 წელს იყო. იძულებული გახდა უარყო რასული სიწმინდის პრინციპი. თუმცა ეს დიდად სამწუხაროა, მაგრამ დივიზიაში მსახურებდნენ ჰოლანდიელებიცა და უნგრელებიც, თვით პოლონელებიცა და ხორვატებიც კი. მართალია, ეს უცხოელები ახალი წესის შემოწმებული მომხრეები იყვნენ, მაგრამ ისინი მაინც უცხო სისხლისა და იმპერიის ინტერესებისათვის გულგრილ ადამიანებს წარმოადგენდნენ.

გარდა ამისა, იძულებული გახდა უარყო სასტიკი ფიზიკური შერჩევის პრინციპი. დივიზიის ჯარისკაცები, შავი კორპუსის მეთაურები, უკვე აღარ იყვნენ ის ორმეტრიანი გოლიათები, რომლებსაც მთელს გერმანიაში არჩევდნენ. ახლა მათ შორის ისეთი ავთვალადებიც ერიათ, რომელთა შეხედვაც გულის ამრევი იყო.

მოტოპოლკ „გერმანიის“ დათვლიერებისას გრუბენფიურერს ელდა ეცა, რომ შენიშნა რამდენიმე ცალთვალა, კოჭლი და ერთი კუზიანიც. ხოლო პატარები, უსუსური ჯარისკაცები — პოლ-

კის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ. დიას, ესენი უკვე აღარ იყვნენ სისხლით და იოლი გამდიდრებით შედიარებული ჰიტლერელი ლანდსკნფტენს, მისამლებმაც ცეცხლითა და მახვილით გადაიარეს ჰოლანდია, საფრანგეთი და კავკასიონის ქედს მოაღწიეს.

ჰერბერტ ჰილე კმაყოფილებით იგონებდა იმ დროს, რომელიც ახლა ასე შორეულად ეჩვენებოდა. ყველაზე მეტად მას კავკასია მოეწონა. ეს სამხრეთის მშვენიერი მხარე შევიცარიანზე გაცილებით უფრო ლამაზი და დიადი იყო. ბატონი გრუბენფიურერი ერთ დროს კიდევაც ოცნებობდა ამ ნაყოფიერი მთიანი ოლქების გუბერნატორის ან შტატპალატერის მშვიდობიან ადგილზე და ნიადაგს სინჯავდა ფიურერის პირად შტამში, თავის მფარველის შემწეობით. ასეთი ხელსაყრელი დანიშვნის მიღებისათვის. სამწუხაროდ, მთელი ქვეყნისათვის ცნობილი ვითარების გამო, იძულებული გახდა ეს ოცნება მალე მიეტოვებინა.

უცნაურია, მაგრამ ამ გაზაფხულის დღეს ის გარიერაიდან რალაც მდღევარებამ შეიპყრო. ყველაზე უმაღლ მოწინააღმდეგის ავიაცია გამოჩნდა. არა, მას ბომბები არ ჩამოუყრია, მაგრამ დაზვერვის კი აწარმოებდა. რუსების თვითმფრინავები ტყეებს ათვალეერებდნენ, ბევრჯერ გადაიფრინეს რკინიგზის ლინდაგის გასწვრივ და დიდხანს ტრიალებდნენ გადმოტვირთვის მთავარი სადგურის თავზე. მართალია, ჯარი კარგად შენიღბული იყო, მაგრამ მღელვარებას იწვევდა რუსების მიერ ამ ადგილების გაძლიერებული დაზვერვის თვით ფაქტი.

მღელვარება კიდევ უფრო საგრძნობი შეიქნა, როცა გაიგეს, რომ ლამით, ტბების რაიონში სვლის დროს, გზიდან მოტაცებულ იქნა მაკლენბურგელი ჰაუპტშარფიურერი ბენეკე — მოტოპოლკ „ვესტლანდის“ ვეტერანი და მებრძოლთა შორის ერთი უმამაცესთა-

განი. დიდი ხნის ძებნის შემდეგ მისი გვამი პატარა ტბაში იპოვეს. დივიზიის შტაბის ადგილსამყოფლიდან რვა კილომეტრის დაშორებით. ბატონი ჰაუპტმარფიურერი გულში დანით იყო დაჭრილი, ხოლო თავი მძიმე საგნის დარტყმით ჰქონდა დაზიანებული.

საკვირველი არ არის, რომ ამ ნაპოვნის შემდეგ საბჭოთა ბომბდაშენების თავდასხმა, იმ სოფელზე, სადაც შტაბი იყო მოთავსებული, გრუპენფიურერმა ბენეკეს მკვლელობას დაუკავშირა. ამიტომ თავისი შტაბი მან სწრაფად გადაიტანა ტყეში და ბრძანა სამწყებელ შემოეველო მის გარშემო ეკლიანი მავთულხლართი.

საღამოხანს, როცა შტაბს-არტილინდემანი ჰაუპტმარფიურერის გვამის გაკვეთის შედეგებზე მოხსენებას უკეთებდა, გრუპენფიურერს მოტოპოლკ „ვესტლანდიდან“ მოახსენეს, რომ ჰაუპტმარფიურერი ვილიბალდ ერნესტ ბენეკეს სამწყუხარო შემთხვევის ადგილის მახლობლად ჯარისკაცებმა ტყის ვაცხრილვისას ხშირ თხილნარში, დაგროვილი ტოტების ქვეშ, გვამი ნახეს, რომელიც აღმოჩნდა 131-ე ქვეითი დივიზიის ეფრეიტორი, კარლ ჰილე (დივიზია „ვიკინგის“ მეთაურის მოგვარე, რამაც შეტად შეაშფოთა ბატონი გრუპენფიურერი).

ცოტა უფრო გვიან ტელეფონით დარეკა მოტოპოლკ „გერმანიის“ მეთაურმა, პირადად შტანდარტენფიურერ მიულენკამპმა, რომელმაც მოახსენა, რომ ადგილი ჰქონდა სროლას მის ჯარისკაცებსა და საიდუმლო, მწვეანი შემოსილ უცნობ ადამიანებს შორის, რომლის დროსაც დაჭრილია ორი ჯარისკაცი — გესნერი და მეისნერი, ამასთან, პირველი, როგორცა სჩანს, სასიკვდილოდ. შტანდარტენფიურერმა კუროზის სახით აცნობა, ჯარისკაცები ერთხმად ამტკიცებენ უცნობები თოვლში იყვნენ ამოსვრილიო.

გრუპენფიურერმა ბრძანა — გულდასმით გამოიკვლიონ ეს შემთხვევა და გადაჭრით შეუდგნენ უცნობებს ძებნას, რისთვისაც ყოველი ბატალიონიდან გამოიყოს ასეული და აგრეთვე ამოქმედდენ დივიზიის მთელი დამხვერავე რაზმი. გრუპენფიურერმა უკმაყოფილებით გაიგო ისიც, რომ ჯარისკაცებს შორის გავრცელდა პანიკური ხმები რადაც „მწვეანე აჩრდილებისა“ (grüne Gespenster) თუ „მწვეანე ქაჯების“ შესახებ (grüne Teufel), რომლებიც აქაურ ადგილებში გამოჩნდნენ.

გრუპენფიურერი ჰილეს არ სწამდა აჩრდილების არსებობა. ის უჩიჩინებდა მის მიერ გამოძახებულ დახვერვისა და კონტრდახვერვის უფროსს კაპიტან ვერნერს, რომ ომში აჩრდილები კი არ არიან, არამედ არიან მტრები, და წინადადება მისცა ვერნერს პირადად უმეთაუროს ოპერაციას „აჩრდილების“ შესაპყრობად.

ღამით, თვით საღვურზე, სადაც სატანკო პოლკის მატარებელი იცლებოდა, გრუპენფიურერის იქიდან წასვლის ორი საათის შემდეგ მოკლულ იქნა შტურმბანფიურერი¹ დილე (საკუთარ გვართან თანხმოვანებამ კვლავ შეაშფოთა ბატონი ჰილე) და მოტაცებული იქნა ობერ-შტურმფიურერი² არტურ ვენდელი. დივიზიის საკვარტირმეისტრო განყოფილების ერთერთი ხელმძღვანელი, საბრალო ბატონი დილე მოკლულია დანის დარტყმით. დანა დარტყმულია ისეთი სიძლიერით რომ იგი გასულია შეორე მხარეს. ეს მოხდა საღვურზე მყოფ დიდი რაოდენობის ოფიცერთა და ჯარისკაცთა თვალწინ.

გრუპენფიურერმა ბრძანა ჩაესვათ კარცერში ყარაულის უფროსი და გულშეგები თხუთმეტი დღეღამით, ხოლო კაპიტანი ვერნერი გამოიძახა თავისთან

¹ სს ჯარების მაიორი.

² სს ჯარების ობერ-ლეიტენანტი

და შეახურა არასაკმაო თავგამოდები-
ათვის ბოროტგამზრახველთა ძეხვის
საქმეში.

საომარი მასალებით დატვირთული მა-
ტარებლის მარცხი, რაც უფრო მეტად
რკინიგზის ვაკისის სიძველის გამო მოხ-
და, პოლკ „გერმანიის“ სამი ჯარისკა-
ცის მოწამლეა უფარვისი საქმლით, ამა-
ვე პოლკის ორი ჯარისკაცის გაქრობა,
რომლებიც წავიდნენ არმიიდან დეზერ-
ტირების სახით, — ყველა ეს შემთხვევა
ხმებმა აგრეთვე „მწვანე აირდილების“
პოქმედებას მიაწერა, და უკვე ძნელი
იყო სიმართლის გარჩევა მოჩამხული
ქორისაგან და უსაქმო მითქმა-მოთქმის
რეალური ფაქტებისაგან.

მოსალოდნელი შედეგებით შემფო-
თებულმა გრუპენფიურერმა ბრძანა ინ-
ფორმაცია გაეკეთებინათ კორპუსის
შტაბისათვის და არმიების ცენტრალუ-
რი ჯგუფის სარდლის გენერალფელდ-
შარშალ ბუშისათვის იმაზე, რომ რუსებ-
მა გერმანელთა ჯარების ზურგში შე-
მოგზავნენ მხვერავ-დივერსანტთა შენა-
ერთი, რომელმაც 131-ე ქვეითი დივი-
ზიის გულგრილი სამსახურის გამო მოა-
ხერხა შემოელწია დივიზია „ვიკინგის“
ვანლაგების ცენტრში და, სრულიად შე-
საძლოა, გაეგო ზოგი რამ ჯაღჯგუფე-
ბის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

დაფიქრების შემდეგ გრუპენფიურერ-
მა კერძო წერილი მისწერა აგრეთვე
ობერგრუპენფიურერ ფონ-დემ-ბახს
ბერლინში, რათა გაერთო თავისი მფარ-
ველი და ამავე დროს უზრუნველყო
თავისთვის მხარდაჭერა ოპერაციის ჩაშ-
ლის შემთხვევაში. ბერლინის რეზერვში
თავმოყრილი იყო ბევრი გენერალი,
რომლებიც სიამოვნებით დაიკავებდნენ
პატონ ჰილეს ადგილს.

მეორე დღის ბოლოს, როცა გრუპენ-
ფიურერი სადილის შემდეგ მოსასვენებ-
ლად დაწვა, ის ტელეფონის ძლიერმა
ზარმა გააღვიძა.

კაპიტანი ვერნერი ატყობინებდა მას
ჯარისკაცთა ოცულის მიერ „მწვანე

აირდილებთან“ ახლახნ ჩატარებულ
ბრძოლის შესახებ. უნტერშტურმფიურ-
ერ ალტენბერგის მეთაურობით, ოცეუ-
ლი, ცხრილავდა რა დივიზიის მეთაურის
ბრძანების თანახმად მიდამოებს, წააწყ-
და ტყის პირას განცალკევებულ ფარ-
დულს. ფარდულში რამდენიმე კაცი შე-
ვიდა, მაგრამ იქ არავინ იყო მიუხედავად
ამისა, უნტერშტურმფიურერის¹ სიფ-
ხიზლის მეოხებით „მწვანე აირდილები“
ფარდულის სხვენზე აღმოჩენილ იქნენ.
დიახ, ისინი იქ იმყოფებოდნენ. სამუხ-
ხაროდ, მათ მოახერხეს გაქცევა ალტენ-
ბერგის ოცულისათვის ხელყუმბარების
დაშენითა და თვით უნტერშტურმფიურ-
ერისა და შვიდი ჯარისკაცის მოსპო-
ბით. მაგრამ, ჯერ-ერთი, იმ რაიონში
მყოფი ყველა ნაწილი ფეხზეა დაყენე-
ბული განგაშით და დაიწყო „მწვანე აი-
რდილების“ ნამღვლი ღვეწა, რასაც,
იმედი უნდა ექონიოთ, მათი შეპყრო-
ბით ან განადგურებით დაეამთავრებთ
მეორე, ის, რომ ერთი იმ ბანდიტთაგან
ხელში ჩაუვარდა ჩვენს ჯარისკაცებს.
მაგრამ, სამწუხაროდ ცოცხალი კი
არა, — მკვდარი.

ჰილემ, ჩაფიქრების შემდეგ, ბრძანება
გაცა მანქანა მოერთმიით და მობადრა-
გე ტანკის თანხლებით შემთხვევის აღ-
გილას გაემგზავრა.

ტყის პირას, დამწვარი ფარდულის ახ-
ლოს, გრუპენფიურერს კაპიტანი ვერნ-
ერი და დამწვერავი რაზმის ესესელები
შეეგებნენ.

ჰილე მათ მისალმებაზე პასუხის გაუ-
ცემლად და სხამაოულებლიე მივიდ-
მოკლულ მტერთან. ეს იყო ახალგაზრდა
რუსი, არა უმეტეს ოცდასამი წლისა,
სწორი, სელისებური თმითა და დიდი,
ფართოდგაღებული მკვდარი თვალებით.
რომლებიც მშვიდად შესცქეროდნენ ბა-
ტონ გრუპენფიურერს. მწვანე ტანსაცმ-

¹ ესესელთა ჯარების ლეიტენანტი

ლის ქვეშ („საბჭოთა მშვერავების სა-
ზაფხულო საბრძოლო ფორმა,“ — დას-
კვნა გრუპენფიურერმა), ეცვა წითელ
არმიული გახუნებული გიმნასტურა საბ-
ჭოთა უმცროსი სერუანტის სამხრეებით.

იქვე ახლოს, ჩამწკრივებული იწვა,
როგორც მწყობრში, გულზეხელებდაკ-
რეფილი რვა ესესელი. ბატონმა გრუ-
პენფიურერმა წარბები შეიკუმუნა და
გაიფიქრა: ამ რვიდან — ხუთი დაბალი
ტანისაა, უსუსური... და ესენი ესესელ-
თა შვიი კორპუსის ჯარისკაცები არიან..

ტრავეინმა არ იცოდა, რომ მან ამდენი
საზრუნავი საქმე გაუჩინა გერმანიის
არმიის ესოდენ მრავალ მაღალ თანამდე-
ბობის პირს. მართალია, სამკუთხედად
უკან მომავალი მშვერავები ჩანდახან ხე-
დადენენ მოწრიალე ესესელთა ჯგუფს
და ესოდით მათი ძახილი, მაგრამ ისინი
არ თვლიდნენ თავს ამის მიზეზად და
ფიქრობდნენ, რომ ესესელები ტაქტი-
კურ შეცდამებობას აწარმოებდნენ.

გერმანელთა ზურგში ყოფნის მეოთხე
დღის საღამოხანს მშვერავები განმარ-
ტებულ ფარდულს წააწყდნენ. ტრაე-
კინმა გადაწყვიტა ერთი საათის დასვენ-
ება მიეცა თავისი ხალხისათვის და თა-
ნაც რადიოთი დაკავშირებოდა „მიწას“. სიფრთხილისა და მიდამოების უკეთ
დათვალიერების მიზნით ისინი ფარდუ-
ლის სხვენიზე ავიდნენ დაბალი კიბით,
რომელიც ანიკანოვის სიმძიმის გამო კი-
ნადამ ჩაიმტვრა.

ტრავეინმა როგორც კი მოაწყო რაცია
და უკვე მოასწრო „მიწის“ გამოძახე-
ბაც, სახურავში ამოტეხილ ქუქურტა-
ნასთან მოგუშაგე ბრაენიკოვის შეძახი-
ლი გაიგონა. ტრავეინი მივიდა მასთან
და დაინახა ფარდულისაკენ გაშლილი
მწყობრით მომავალი ოცი ესესელი ჯა-
რისკაცი.

ტრავეინმა გააღვიძა ახალჩაძინებულ
ამხანაგები, მაგრამ ქვევით ჩახტომა და
ტყეში გაქცევა ახლა უკვე მეტად გვიან
იყო. ესესელები უახლოვდებოდნენ მათ.
ოთხი მათგანი ფარდულში შევიდა. მათ

გადაქექეს ნაგავი და გარეთ გაგდნენ.
მაგრამ მყისვე დაბრუნდნენ. ერთმა მათ-
განმა ხმადაბალი ბუზღუნით დაიწყო
ბით იწყო ასევე დაბალი კიბეზე.

ტრავეინმა მაგრად ჩასკიდა ორთავე
ხელი დაბნაჩას და ამოისუნთქა. სხვენი
მოლად განათებული იყო სახურავის
მრავალი ნახვრეტითა და ახლა ის გაცი-
ლებით უფრო ყურადღებით დააკვირდა
თავის ხალხს, ვიდრე ოდესმე. მშვერა-
ვები საშინელი შესახედავები, გაბურ-
ძვნილები, გამხდრები, ჩაკვენილი თვა-
ლებით იღვნენ და მზად იყვნენ სამკველ-
რო-სასიციოცხლო ბრძოლისათვის. დაბ-
ალი კიბე ჰრავუნებდა, გერმანელი და-
ბალი ხმით იგინებოდა.

გაისმა საშინელი გრუხუნი. ეს ანიკა-
ნოვმა ესროლა ფარდულთან შექუჩე-
ბულ ესესელებს ხვრელიდან ტანკსაწი-
ნააღმდეგო ხელყუმბარა. იმავე დროს
ბრაენიკოვმა თავი გაუჩიქა თავისი აე-
ტომატით სხვენიზე თავამოყოფილ ესე-
სელს და ძირს ჩახტა, მას სხვენიც მიჰყ-
ვნენ მტვერსა და ღორღში გახვეულნი.

ტრავეინმა წუთიერი კმაყოფილებით
გაიფიქრა და მოიწონა მშვერავის თვალ-
საზრისით გენიალური განზრახვა ანიკა-
ნოვისა. რომელმაც თავისი ხელყუმბა-
რით გაფანტა გარედან შემოსეული მტე-
რი და ამით გასასვლელი გზა გახსნა.
ფარდულში მყოფი სამი ესესელის გამკ-
ლაეება ადვილი იყო. მათ, აფეთქებით
დაშინებულეებმა, სიბნელეში საერთოდ
ვერ გააჩიეს, საქმე რანი იყო.

წუთის შემდეგ მშვერავები, რომელ-
თაც თან მისდევდა გერმანელთა ტყვიე-
ბი, კენესა და გერმანელთა ყუმბარების
დაგვიანებული აფეთქებები, ხშირ ნაძე-
ნარში გარბოდნენ. პირველად ტრავეინ-
მა ვერ შეამჩნია ბრაენიკოვის იქ არყოფ-
ნა. ვერ შეამჩნია აგრეთვე, რომ ანიკანო-
ვი და სემიონოვი დაკრძალვები იყვნენ.
ბრაენიკოვის შესახებ აცნობა ანიკანოვ-
მა, რომელიც ქოშინობდა სწრაფი სირ-
ბილისაგან, რომ მან დაინახა, თუ როგორ



დაეცა ბრატნიკოვი, როცა ფარდულიდან გამორბოდა.

დევნა არ წყნარდებოდა. ის, თითქოს, ყველა მხრიდან იყო გაჩაღებული. სროლა და ყვირილი ხმამაღალ გამოძახილად ისმოდა მთელს ტყეში. შემდეგ გაისმა ძაღლების ყეფა. ხოლო შემდეგ მოტოცკლების გუგუნე — სადღაც მარჯვნივ. ზურგში დაჭრილ ანიკანოვს სუნთქვა ეკვროდა. სემიონოვი თანდათან უფრო მეტად კოჭლობდა.

წვიმით გადარეცხილ ტყეში საამო სუნი იდგა. წყლით გამძდარმა ფოთლებმა და ბალახებმა მოიცილეს ბოლოსდაბოლოს აბრისის ზამთრისებური სიცივე. ნამდვილი გაზაფხული დგებოდა. მსუბუქი, თითქოს კოკისპირული წვიმისაგან განზანდილი ქარი არხვედა გაზაფხულის მოშრიალე მწვანეულობას.

დევნის ხმაური მიწყნარდა. დაჭრილებს საჩქაროდ შეუხვევს კრილობა. მამოჩენმა ამოიღო უბიდან თავისი უკანასკნელი მათარა და მაგრად დაანჯორია იგი. შიგ სულ მცირეოდენი არაყი დარჩენილიყო. მათარა მან ანიკანოვს მიაწოდა.

აქვე გამოირკვა, რომ რადიოსადგური, რომელიც ბიკოვს ზურგზე ეკიდა, ათეული ტყვიით დაჰყლეტილიყო. ამან გადაარჩინა ბიკოვი. მაგრამ აპარატი სამუშაოდ აღარ ვარგოდა. ბიკოვმა ბოლო მოუღო თავის გადამრჩენს ავტომატის კონდახით და ნამსხვრევები ბუჩქებში მიმოფანტა.

ისინი წელა მიდიოდნენ და მთვრალეობით ბარბაცებდნენ.

ტრაკვინის უკან მიმავალმა მამოჩენმა მოულოდნელად მიმართა ტრაკვინს და შეევედრა:

— გთხოვთ პატიებას, ამხანაგო ლეიტენანტო!

სინანულით გულ-მკერდში მუშტის ცემითა და, შესაძლოა ტირილითაც, — ეს სიბნელეში არა სჩანდა, — მან ჩახრისწიანებული დაბალი ხმით დაილაპარაკა:

— ჩემი მიზეზით, ყველაფერი ჩემი მიზეზით მოხდა... ჩვენი მეთევზეები ტყუილად კი არ უჯერებენ ჩემს ტყუილად კი არ უჯერებენ ჩემს ყოველთვის სწორად ცხადდება. მე ის ორი ცხენი სოფელში კი არ წაიყვანე, არამედ პროდუქტებზე გავაჭირავე... ტრაკვინი სდუმდა.

— მაპატიეთ, ამხანაგო ლეიტენანტო! თუ მშვიდობით დაებრუნდი...

— მშვიდობითაც დაბრუნდება და საჯარიმო ასეულშიაც შეხვალ. — უთხრა ტრაკვინმა.

— წავალ, სიამოვნებით წავალ! მე ვიცოდი, რომ თქვენ ასე მეტყობდით! ვიცოდი, რომ თქვენ, სულერთია, ასე მეტყობდით! — ალტაცებით შესძახა მამოჩენმა. და მან ჩასვიდა ხელი ტრაკვინს გაურკვეველი მადლობისა და თავდავიწყებული სიყვარულის თითქმის ისტერიული გრძნობით.

მდევართა ხმები სულ ახლოს გაისმა. ისინი გაინაბნენ. გრძალით ჩაიქროლა ახლოს ორმა ჯაეშოსანმა. შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა და მშვევრებმა გზა განაგრძეს; წინ მუქად მოსჩანდა ანიკანოვის ახოვანი ფიგურა. ის თავისი ძლიერი ბეჭებით ხის ტოტებს აქეთ-იქით შლიდა და წელი ნაბიჯით მიდიოდა წინ. უდიდესი ნებისყოფით იცილებდა თავიდან თავდავიწყების ბურუსს, რომელსაც მოეცვა იგი.

თავისი ცხოვრების გამოცდილებით სრულად აღტურვილ, შესაძლოა, მხოლოდ ანიკანოვს შეეძლო მიმხედარიყო, რომ ირგვლივ ჩამოვარდნილი მყუდროება მატყუარაა. მართალია, მან არ იცოდა, რომ ესეველთა დივიზია „ვიკინგის“ მთელი მშვერავი რაზმი, ჩქარი მარშით მომავალი 342-ე გრენადერთა დივიზიის მეწინავე ასეულები და 131-ე ქვეითი დივიზიის ზურგის ნაწილები ფეხზე იყვნენ დაყენებული მათს გამოსადგენებლად, მან არ იცოდა, რომ ტელეფონები განუწყვეტლივ რეკდნენ, რომ რაციები განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ მკაცრი შიფრული ენით, მაგრამ ის ვერძობდა,

რომ მათს გარშემო თანდათან უფრო მჭიდროდ ინასკვებოდა ვეებერთელა ალყის მარყუჭი.

ისინი ქანცგაწყვეტილები მიდიოდნენ და არ იცოდნენ მიადწეოდნენ თუ არა მიზანს. მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მნიშვნელოვანი ის იყო, რომ საბჭოთა ჯარებზე მოულოდნელი დარტყმისათვის, ამ ტყეებში თავმოყრილი მრისხანე სახელწოდების რჩეული დივიზია „ვიკინგი“ განწირულიყო დასალუპავად. მანქანებიცა და ტანკებიც, ჯავშნიანი ტრანსპორტერებიცა და ის ესესელიც, სათვალე რომ მკაცრად უციმციმებდა, ის გერმანელებიც, ცოცხალი ღორი რომ მიჰყავდათ საშიდრით და საერთოდ ყველა ეს გერმანელები, ველაფერს რომ თქვლევდნენ, ყაყანებენ, ტყეს რომ აბინძურებენ, ყველა ეს ზილეები, მიუღწეველები, გარგისები, ყველა ეს კარიერისტი და დამსჯელი, ჩამომხრჩობი და მკვლელები მიდიან პირდაპირ საკუთარი დაღუპვისაკენ მიდიან სატყეო გზით, და სიკვდილი უკვე უჭერს თავის მსახვრელ ხელს ყველა ამ ზუთმეტი ათას კაცს.

—:—

თავი მეთერთმეტი

„ვარსკვლავთან“ მომუშავე რაცია, განმარტობულ მყუდრო ბლინდაეში იდგა. უმცროსი ლეიტენანტი მეშჩერსკი მთელ დღელამეებს ატარებდა აქ, მას არც კი ეძინა, რულმორეული თუ იშვიათად დახრიდა დამძიმებულ თავს, მაშინვე ეთერის დამახასიათებელი ტლამა-ტლუში ელანდებოდა და მყისვე ფხიზლდებოდა, გრძელი წამწამების ხამხამით, და გაშმაგებით ეკითხებოდა მორიგე რადისტს:

— მგონი ლაპარაკობს?

სამი რადისტი მუშაობდა. მაგრამ კატა თავის მორიგეობის დამთავრების შემდეგაც არსად მიდიოდა. ის მეშჩერსკის გვერდით იჯდა ვიწრო ტახტზე,

ქერათმიანი თავით თავის „მაკგერმან ხელებს ეყრდნობოდა და უცდიდა. ხანდახან იგი ქირვეულად ენთხებოდა მორიგეს, რომ მან თითქოს დაჰკარგა „ვარსკვლავის“ ტალღა. გამოსტაცებდა მილაკს და დაბალპერიან ბლინდაეში ისმოდა მისი წყნარი მუდარის ხმა:

— ვარსკვლავო, ვარსკვლავო, ვარსკვლავო, ვარსკვლავო...

„ვარსკვლავის“ ტალღის მახლობლად ვილაც განუწყვეტლევ ლაქლაქებდა გერმანულად, ხოლო ცოტა უფრო მოშორებით ლაპარაკობდა, მღეროდა და ეიოლინოზე უკრავდა მუდამ მხნე, ძლიერი და უვნებადი მოსკოვი.

დღეში რამდენჯერმე შემოდის და ბლინდაეში დივიზიის მეთაური. მზვერავები დარანსა და ბლინდაეს შორის დაფუსფუსებდნენ და უკანვე ბრუნდებოდნენ. ყოველდღე მოდიოდა ლეიტენანტი ბუგორკოვი, რომელსაც ზოგჯერ შემდეგი მეჯილოვიც მოჰყვებოდა. ის თითქმის საათობით დგებოდა კედელთან, მღუმარედ ადევნებდა თვალს მორიგე რადისტის მუშაობას და კვლავ მიდიოდა.

ხშირად მაიორი ლიხაჩევი მილაკს ართმევდა მორიგეს და ბლინდაეში იჯდა. სან კაპიტანი ბარაშკინიც შემოდის რამდენიმე წუთით. ის პატარა სარკმელთან დგებოდა, უკაცუნებდა სარკმლის მინას და მღეროდა რალაკას თავისი განთქმული რვეულიდან. ერთხელ ამბის გასაგებად შემოიარეს წინა ხაზიდან განუწყვეტელმა კაპიტნებმა — მუშტაკოვმა და გურევიჩმა.

ბლანდაეში შემოვიდა მშვიდი, შეუმშინეველი, ოდნავ ნაცვაელიარი, გამობურცულ შუბლს ქვემოთ ყურადღებით აღსავსე თვალების მქონე პროკურატურის გამომძიებელი ესკინი. მან მეშჩერსკის სკითხა:

— თქვენ მზვერავების მეთაური ხართ?

— დროებით ვცვლი მას.

გამომძიებელმა უთრხა, რომ მან უნდა მოახდინოს რამდენიმე პირის დაკითხვა გლეხებისაგან უკანონოდ წაყვანილი ცხენების შესახებ. მან მოკლედ გადასცა საქმის შინაარსი მეშჩერსკის და კითხა — ესმის თუ არა მას, ამ მცდარი მოქმედების მთელი მნიშვნელობა, რაც სცემს წითელი არმიის ავტორიტეტს ადგილობრივი მოსახლეობის თვალში.

— მაშასადამე, — განაგრძო გამომძიებელმა მეშჩერსკის პასუხის დაულოდნელად, — საჭიროა იმ მშვერავების დაკითხვა, რომლებიც დაესწრნენ ამ უკანონო მოქმედებას, განსაკუთრებით ლეტენანტ ტრავეკინისა და სერჟანტ მამოკინის მოქმედებას.

— ისინი ამჟამად აქ არ არიან. — უკვე მოუთმენლად შეესიტყვა მეშჩერსკი.

— არც ერთი მათგანი?

— არც ერთი.

გამომძიებელი წუთით ჩაფიქრდა.

— შე კი მათ უნდა მოველაპარაკო, — სთქვა მან, — ისინი მალე დაბრუნდებიან?

— არ ვიცი, — აუჩქარებლად უპასუხა მეშჩერსკიმ.

უცებ კატია წამოდგა ადგილიდან და უთხრა:

— თქვენ, ამხანაგო კაპიტანო, სჯობს წახვიდეთ იქ, სადაც ისინი იმყოფებიან, და დაკითხოთ მათ.

— სად იმყოფებიან? — ჰკითხა გამომძიებელმა.

გერმანელთა ზურგში.

გამომძიებელი დაკვირვებით მიანიერდა კატიას, მშვიდი და ჰუმორმოკლებული თვალებით.

კატიამ ღვარძლიანი, ზეიმური ღიმილით გაუძლო ამ გამოხედვას.

მეშჩერსკიმაც გაიღიმა. მაგრამ უცებ გაიფიქრა, უფროსებმა რომ უბრძანოს ამ კაცს გერმანელების ზურგში წადი დასაკითხავადო — წავა.

სამი დღელამის შემდეგ „ვარსკვლავი“ აღაპარაკდა. ეს მეორედ მას შემდეგ,

რაც ტრავეკინმა ფრონტი გადელახა. ტრავეკინი დაჟინებით იმეორებდა შრიფტის გამოუყენებლად: *ვარსკვლავი*

— აქ თავს იყრის ესეგელთა მესხეთე სატანკო დივიზია „ვიკინგი“. მეცხრე მოტოპოლკ „ვესტლანდის“ შეპარობილმა ტყვემ ჩვენების ჩამორთმევის დროს გვითხრა, რომ აქ თავს იყრის ესეგელთა მესხეთე სატანკო დივიზია „ვიკინგი“.

შემდეგ მან გადმოსცა პოლკ „ვესტლანდის“ შემადგენლობა, დივიზიის შტაბის ადგილსამყოფელი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯარის ნაწილები სტოკებენ ტრანსპორტს და ქვეითად მოძრაობენ მხოლოდ ლამლამობით. ეს კიდევ გაიმეორა, გაიმეორა უთვალავჯერ.

— აქ იყრის თავს საიდუმლოდ მესხეთე სატანკო დივიზია „ვიკინგი“.

ტრავეკინის მიერ მოწოდებულმა ცნობამ დივიზიაში ხმაური ატეხა, ხოლო როცა პოლკოვნიკმა სერბინენკომ პირადად დაურეკა მეთაურს და პოლკოვნიკ სემერკინს ამ ცნობათა შესახებ, არმიის შტაბშიაც აღელდნენ.

პოდპოლკოვნიკ გალიევს ძილი სრულიადაც დაავიწყდა, რადგან იგი ვანუწყებულე უპასუხებდა იმ შეკითხვებს, რომლებსაც იძლეოდნენ ტელეფონებით კორპუსიდან, არმიიდან და მეზობელი დივიზიებიდან. მას უცებ მოშორდა სიცივე და სადღაც მიაგდო თავისი ნაბადი, გახდა მყვირალა, მომთხოვნი, მზიარული. „გალიევმა უკვე იგრძნო გერმანელები“, — ამბობდნენ მის შესახებ.

ამავე დროს, ათასობით რუკებზე აღინიშნა ლურჯი ფანქრით დივიზია „ვიკინგის“ თავმოყრის რაიონი. არმიის შტაბიდან ეს მონაცემები რიგგარეშე ცნობად გაგზავნეს ფრონტის შტაბში, ხოლო იქიდან — უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში — მოსკოვში.

თუ დივიზიასა და კორპუსში ტრავეკინის ცნობები მიღებულ იქნა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ამბავი, არმიის შტაბისათვის მათ

თუმცა სპატიო, მაგრამ სრულიადაც არა გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. არმიის სარდალმა ბრძანება გასცა — მოსული შეესება სწორედ იმ დივიზიებისათვის მიეცათ, რომლებიც შეიძლება ესეგელთა დარტყმის ქვეშ მოხვედრილიყვნენ. ასევე გადაისროლა მან თავისი რეზერვი იმ უბანზე, რომელსაც საფრთხე მოელოდა.

ფრონტის შტაბმა ეს ცნობები აღნიშნა, როგორც საყურადღებო მოვლენა, რომელიც ერთხელ კიდევ ამტკიცებდა გერმანელთა ინტერესს კოველის კენძისაღმი. ფრონტის შტაბმაც წინადადება მისცა ავიაციას დაეზვერა და დაეხმება აღნიშნული რაიონები და მიუმატა № არმიას რამდენიმე სატანკო და საარტილერიო ნაწილები.

უმალესი მთავარსარდლობა, რომლისათვისაც მხოლოდ მუმლს წარმოადგენდა დივიზია „ვიკინგი“ და, საბოლოო ანგარიშში, — თვით ეს დიდი ტყიანი რაიონიც, მყისვე მიხვდა, რომ აქ იფარება სხვა უფრო სერიოზული რამ: გერმანელები შეეცდებიან კონტრდარტყმით აიცილონ თავიდან ჩვენი ჯარების გაჭრა პოლონეთისაკენ. გაცემულ იქნა განკარგულება გააძლიერონ ფრონტის მარცხენა ფლანგი და სწორედ აქეთვე გადაისროლონ სატანკო არმია, ცხენოსანი კორპუსი და მთავარსარდლობის რეზერვის რამდენიმე საარტილერიო დივიზია. ასე ფართოვდებოდა ტრაეკინის ირგვლივ წრეები, რომლებიც ტალღებად იშლებოდა მიწაზე — თვით ბერლინამდე და თვით მოსკოვამდე.

ამ მოვლენების უახლოეს შედეგად დივიზიამ მიიღო სატანკო პოლკი, გვარდიის ნაღმტყორცნელთა პოლკი და ადამიანებისა და ტექნიკის დიდი შევსება. შეესება მიიღეს მზევარაებმაც.

მეშინერსკი შეუდგა გაძლიერებული მეცადინეობის ჩატარებას და ნახევარდღეობით იკარგებოდა წინა ხაზზე მოწინააღმდეგის სათვალთვალოდ. ბუგორკოვი თავის მესანგრეებით ნაღმავდა

ადგილებს წინა ხაზის წინ. მაიორი ლიხაჩევი მთელი დღეობით ფუსტყვებდა და განუწყვეტლივ იღებდა რეზერვაციებს, ტელეფონის ხმაურსაც და სადენებს. პოლკოვნიკი სერბიჩენკო თავის სამეთვალყურო პუნქტზე წავიდა და იქედან ხელმძღვანელობდა ნაწილების მოქმედებას. ის როგორღაც გაახალგაზრდავდა და გამკაცრდა, როგორც ყოველთვის დიდი ომების წინ. სერიოზულად და დიდხანს ეცნობოდა ის ახლახან მიღებულ ახალ რუკებს, რომლებიც თითქმის მთელს პოლონეთს მოიცავდნენ ვისლამდე. ამ შორეულ მხარეებში პოლკოვნიკი მხოლოდ ერთხელ იყო 1920 წელს ბუდიონის პირველი ცხენოსანი არმიის შემადგენლობაში ყოფნის დროს.

განმარტოებულ ბლინდაჟში მარტო კატია რჩებოდა.

რას ნიშნავდა ტრაეკინის პასუხი რადიოთი გადაცემულ მის საბოლოო სიტყვებზე? სთქვა თუ არა მან სიტყვა „გავიგეთ“ საერთოდ, როგორც მიღებულია რადიოთი მოსმენილის დადასტურება, თუ ის რაიმე განსაზღვრულ საიდუმლო აზრს აძლევდა თავის სიტყვას? ეს აზრი აღელვებდა მას ყველაზე მეტად. მას ეგონა, რომ სასიკვდილო საფრთხით გარემოცული ტრაეკინი უფრო შორჩილი და უფრო მისაწვდომი გახდა უბრალო ადამიანური გრძობებისათვის და რომ მისი უკანასკნელი სიტყვა რადიოთი ამ ცვლილების შედეგია. კატას გაეღიმა თავის აზრებზე. მან სარკე სთხოვა სამხედრო ექთან ულიბიშევას. ის იცქირებოდა სარკეში და ცდილობდა მიეცა თავისი სახისათვის საზეიმო სერიოზულობის გამომეტყველება, როგორც ეს (ამ სიტყვას ის ხმამაღლად კი წარმოსთქვამდა) გმირის საცოლეს შეჰფერის. შემდეგ კი შორს გადაისკრიდა სარკეს და კვლავ განაგრძობდა მორიალურ ეთერში თავისი სულიერი განწყობილების მიხედვით ნაზ, მზიარულ თუ ნადვლიან ძახილს:

— ვარსკველავე, ვარსკველავე, ვარსკველავე, ვარსკველავე.

იმ ლაბარაკიდან ორი დღის შემდეგ „ვარსკველავე“ უცებ ისევ გამოეხმაურა:

— მიწა, მიწა. მე ვარსკველავე ვარ. ვესმის თუ არა ჩემი ლაბარაკი? მე ვარსკველავე ვარ.

— ვარსკველავე, ვარსკველავე! — ხმა-მალღა დაიძახა კატიამ. — მე მიწა ვარ. ვისმენ შენ, ვისმენ, ვისმენ!

მან ხელი ჰკრა და ფართოდ გააღო ბლინდაყვის კარები, რათა დაეძახნა ვის-მესათვის და თავისი სიზარული გაე-ზიარებინა. მაგრამ ირგვლივ არავინ იყო. მან ხელი სტაცა ფანქარს და ჩა-საწერად მოეშადა. მაგრამ, ვარსკველავე“ ნახევარ სიტყვაზე გაჩუმდა და უკვე აღარ ლაბარაკობდა. კატიას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, მაგრამ „ვარსკველავე“ სდუმდა.

სდუმდა „ვარსკველავე“ მეორე დღე-საც და შემდეგაც. ბლინდაყვი ხანგა-მოსშვებით შემოვიდოდნენ: ხან მეშჩერ-სკი, ხან ბუგორკოვი, ხან მაიორი ლი-ხაჩევი და ხან კი კაპიტანი იარკევიჩი — დაზვერვის ახალი უფროსი, რომელმაც მოხსნა ბარაშკინი შესცვალა. მაგ-რამ „ვარსკველავე“ სდუმდა.

ნახევრად მთელმარე კატია მთელი დღეობით არ ეშვებოდა მილაცს. მას ელანდებოდა რაღაც უცნაური სიზმ-რები და მოჩვენებანი: მეტად ფერ-მკრთალი ტრაკინი, მწვანე ნიღაბხა-ლათში; მამოჩკინი, გაორებული, სა-ზეზე გაყინული ღიმილით; თავისი ძმა ლიონია, რატომღაც ისიც ნიღაბხა-ლათში. ის გონს მოდიოდა შიშით აცახ-ცახებული — ვაი თუ ტრაკინის ძახი-ლი გამოემპარაო, და ისევ გამოძახებას იწყებდა:

— ვარსკველავე, ვარსკველავე, ვარსკველავე...

კატიამდე შორიდან აღწევდა არტი-ლერიის ზალბის ხმები, შეტყვის გუ-ფუნი. ამ დამბულ დღეებში მაიორ ლი-ხაჩევს მეტად ესაპიროებოდა რადის-

ტები, მაგრამ კატიას მდინა რაკის მორიგეობიდან ვერ გადაეწყვიტა. ისე იჯდა კატია, თითქმის მიკრწეხული, განმარტოებულ ბლინდაყვიში.

ერთხელ გვიან საღამოს ბლინდაყვი ბუგორკოვი შემოვიდა. მან მოიტანა დედის წერილი ტრაკინისადმი, რომელიც ახლახან მიიღო ფოსტიო. დედა იწერებოდა, რომ მან იბოვა მისი საყვარელი საგნის, ფიზიკის წითელი საერთო რვეული. ის შეუნახავს ამ რვეულს. როცა ის უმალღეს სასწავლებელში შესვლას დააპირებს, რვეული მას ძლიერ გამოადგება. მართლაც, ეს რვეული სანიმუშოა. სწორედ რომ ვთქვათ, მისი გამოცემა შეიძლებოდა როგორც სახელმძღვანელოსი, რადგან ყველაფერი სრული სიზუსტითა და ზომიერად არის ჩაწერილი ელექტრობისა და სითბოს შესახებ. აშკარა მიდრეკილება აქვს მეცნიერული მუშაობისადმი, რაც მას ძალიან სიამოვნებს. მართლა, ახსოვს თუ არა მას იმ მოხერხებულ წყლის ძრავზე, რომელიც მან, თორმეტი წლის ბიჭუნამ გამოიგონა? მან ნახა ეს ნახაზები და ბევრი იტინა მათზე დეიდა კლავასთან ერთად.

ბუგორკოვმა წაიკითხა ეს წერილი, დაიხარა რაკიაზე, ატირდა და სთქვა:

— ნეტავ მალე გათავდებოდეს ომი... არა, კი არ დავლიღვარ. მე იმას არ ვამბობ, რომ დავიღალე, მაგრამ დროა, შესწყდეს ადამიანთა ზოცვა-ქლევა.

და შეშფოთებულმა კატიამ უცებ გაიფიქრა. იქნებ უსარგებლოა მისი აქჯელობა, ამ აპარატთან და „ვარსკველავეს“ გაუთავებელი გამოძახება მის მიერ. ვარსკველავე ჩაესვენა და ჩაქრა.

მაგრამ მას როგორ შეუძლია წაეიდეს აქედან? მერე, რომ დაილაბარაკოს? იქნებ ის სადმე დაბურულ ტყეში იმალება? და ის იმედითა და რკინისებური ნებისყოფით აოსავსე ელოდა. მას აღარავინ ელოდა მაგრამ კატია კი ელოდა. და ვერავინ ვერ ბედავდა მოეხსნა რაკია, ვიდრე შეტყვა არ დაიწყო.

დასკვნა

1944 წლის ზაფხულში ჩვენი ჯარები ანადგურებდნენ გერმანიის შესუსტებული არმიის წინააღმდეგობას და წინ მიდიოდნენ პოლონეთის მიწაზე.

გენერალ-მაიორი სერბიჩენკო თავისი „ვილისით“ მშვერავთა ჯგუფს წამოეწია. მწვანე ნილაბხალათებით გამოწყობილი მიდიოდნენ ისინი გზის ანაპირებზე მარდნი, ფრთხილნი, მზადყოფნით ყოველ წუთს გაჰქრნენ, გაითქვიფონ მინდვრებისა და ტყეების მღუმარებაში, ნიადაგის ნაოჭებსა და დაისის მოციაზე ჩრდილებში.

წინ მიმავალ მშვერავთა შორის გენერალმა ლეიტენანტი მეშჩერსკი იცნო.

მანქანა შეაჩერა და, როგორც გენერალის მშვერავების დანახვისას, სხვაგაბრწყინებულმა გენერალმა ეცნო:

— როგორაა საქმე, ზამთრისთვის? — შავა უკვე მოსჩანს, იცით, ბერლინამდე ხუთასი კილომეტრი დარჩა. არაფერი, მალე იქ ვიქნებით.

მან ყურადღებით შეათვალიერა მშვერავები. უცებ რაღაც ნაღვლიანმა მოგონებამ შეიპყრო და თითქოს სურდა კიდევ ეთქვა რაიმე მშვერავებისათვის. მაგრამ ტუჩები მოიკვნითა და ხელი ჩაიქნია.

— აბა, ბედნიერად, მშვერავებო!

მანქანა დაიძრა. მშვერავებმა, ცოტახანს დგომის შემდეგ, კვლავ განაგრძეს გზა.

თარგმანი კეთო ალაშიასი

ნაოგარ უარაჯას

★

ვახლავს მეგობრის გულგამლილობა,
დღე გამახსენე მტერთან კვეთების, —
შენც დაგჩენია ჩემი კრილობა
და ჩემი თბილი სისხლის წვეთები...

შორეულ ცის ქვეშ, როცა არ სჩანდა
ქართლის ველების მწვანე ზავერდი, —
სასთუმლად მჭონდა საველე ჩანთა,
თავზე შენს კალთას წავიდარებდი.

ასე გავიდა ოთხი ზაფხული
და ჩემს ხსოვნაში დარჩა მარადის,
შენს ჯიბეში მაქვს შემონახული
ფრონტზე მოსული დედის ბარათიც.

მთაში, ბარში თუ ვრცელი ზღვის პირას,
შენ მაგონდები სადაც არ წავალ,
და შენს კალთებზე ვკითხულობ ხშირად
ჩემი ბრძოლების თავგადასავალს.

და მწამს, მშვიდობის დღეთა დინებას
თუ მტერი ისევ კვამლით შებურავს, —
უნდა სიკვდილთან შესარკინებლად
გავეშურებით კვლავინდებურად.

შეხვედრა დნეპრთან

★

დნეპრის პირად ვარ გამარჯვებული,
 კვლავ შევხვდით, როგორც დაეთქვით პირობა.
 ქერათმიანი ქალი ერთგული,
 ჩვენ აქ გვიხვევდა მკერდზე კრილობას.

სადაც ნიავი ნანას უგალობს
 სამშო საფლავებს კადრის შრიალით.
 მე თუ აქ ველეტდი მტარვალს უწყალოდ,
 თქვენც დაიცავით ქართლი მზიანი.

დღეს მეც ბანს ვაძლევ დნეპრის მოძახილს.
 მეც შენთან გავშლი ლხენით მხარამკლავებს,
 ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ერთ დიდ ოჯახში
 და თვალს ვუსწორებთ კრემლის ვარსკვლავებს.

ასე მგონია აქა ჭშობილვარ,
 თაუზე მელვრება სხივთა ნაკადი.
 ეხედავ ყელიყელ გადაკდობილან
 თქვენი შეეჩენყო, ჩვენი აკაკი.

ეხედავ ფერფლიდან დგება ყოველი,
 თითქოს დაღლილ თავს აღწევს ოცნებას.
 ავეირტებიან ისევ რტოები,
 დამწვარი მიწა ისევ ცოცხლდება.

ხედავ თავთუხებს რარივ პყვაიან.
 ხედავ ყვაილებს რარივ ხარობენ.
 გაგვიმარჯვნია, გაგვიხარია,
 ავმღერებულვართ, როგორც აროდეს.

მტკვარი ბანს აძლევს დნეპრის მოძახილს.
 ისიც ცისფერად, ლურჯად კამკამებს.
 ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ერთ დიდ ოჯახში
 და თვალს ვუსწორებთ კრემლის ვარსკვლავებს.

ჩემო თბილისო



მზე რომ აღგება, ჯერ ამ მხარეზე
კლდეში ჩაყირულ ციხეს ეხება, —
მკერდზე ემთხვევა, მიუალერსებს
და სხივნათელით შემოეხვევა.

მერე მთელ ქალაქს ააკაშკაშებს.
თითქოს უმართავს სიტყვას კაცურად
— სალამი შენ და მაგ შენს ვაჟაკებს,
ამ სიმაღლეზე როგორ ასულან.

დილა მშვიდობის, ჩემო თბილისო.
შენთან შეხედრა მუდამ მიყვარდა,
მუდამ მიყვარხარ, არ დაინისლოს
შენი მეტეხი და ნარიყალა.

მიტომ სათუთად თავზე გველებით,
რომ გაქვს მშვენიება ჯერ არ ნახული,
რომ დღეგრძელია შენი მწველელი
შენს სუფთა გულში გამოსახული.

მადლით ნათელი დაუშრეტელი
და ფუძედ მიწა გაქვს მადლიანი,
მუდამ უტეხი გერტყა კედელი, —
გორგასლიანი, ნაბერწყლიანი.

როგორ იმშვენებ ლალს და სანფირონს,
გმოსავს დიდება ახალ დღეების, —
აყვავებული მტკვრის სანაბირო,
ჩუქურთმიანი სასახლეები.

შენ გფიცულობდი, შენ ცაშ მადლნან
ეწირებოდნენ პირზე ნათელით, —
ქართველისათვის ყველგან ქართლია,
სადაც ანთია შენი სახელი.

აღმშენებელი გყავს შენ უკვდავი,
 შენი მთაწმინდა არ დაიხისლოს,
 აღსდგეს სამგორი, აღსდგეს რუსთავი.
 გვერდს გიმშვენებდნენ, ჩემო თბილისო.



შენი მაღალი შაირი მესმის
 და არ გამეწყო ისე ხსენება, —
 იმერეთიდან ეს მცირე ლექსი
 გამომყვა ხელის დასამშვენებლად.

შოთა შიქაშავიძე

სწავრაბი სქართველოში

*

ქახეთის ნახეა ისურვეს, — ამბოხებუღი მაჭარის,
ზღაპრულ სიტურფის მფლობელის, მონახულება აჭარის.

ბაღად ქეეული ქართლის და ამწვანებუღი ტყე-ვეღის,
ქართვეღი მეშახტეების, მიწის წიაღთა მნგრევეღის.

ხალხთა მშვიღობის საქმეში, მარად შეფიცულ ძმობიღის,
ღიადი აღმშენებლობის, ქართული ავტომობიღის.

ჩვენი მტკვრისა და არაგვის, ჩვენი ზეამღის და ვომბორის,
სურვიღი ჰკლავღათ ნახვისა რუსთავისა და სამგორის.

იმ აყენის ნახეა ისურვეს, ხალხმა ტბიღან რომ ასწია,
საღაც ბელადი დეღამა იავ-ნინინით არწია.

იმ მხარის ნახეა მოუნღათ, საღაც თამარის ვანძია,
არმაზის ქვათა ღაღადი, ვასაოცარი ვარძია.
საღ ხეღოვნება ქართვეღთა კელეპტარიღით ანთია.

საკვირვეღება ამღენი თეაღაღაც არა სჯეროღათ,
უცხო ენახე ქართვეღებს ვაბაასება შეენოღათ.

ქახეთის ნახეა ისურვეს, ამბოხებუღი მაჭარის,
ზღაპრულ სიტურფის მფლობელის, მონახულება აჭარის.

„გაღღეთ ყვეღა კარები, გულღია ქართვეღს სჩვეღია.
თქვენ აქ ღაბრძანღით, სტუმარო, თამაღობა კი ჩვეღია.“

ეს ზომ ქართული სუფრაა, ეს ზომ ქართული ყანწია“,
გულზეიღად სტუმარს მიართვეს, ჯიხვის რქა ველარ დასძღია.

სიტყვას წარმოსთქვამს თამაღა, ახალ მიღწევეღს გვპირღება,
„მომავალ წელსაღც გვესტუმრეთ და უფრო ვაგვიკვირღებათ“.

ვადმოვღეს ცბრამთა-ცხრაბარი, ტოღნი ზეამღის და ვომბორის,
სურვიღი ჰკლავღათ ნახვისა, რუსთავისა და სამგორის.

ჩქანიტული მოლდავეთში



კახეთის ცის ქვეშ შაქრდები,
მზის შუქი თავზე გველეზა,
სახელგანთქმულო, ნაქებო,
შენ, საქართველოს მშვენებავ!
შობელ მიწაზე გაფურჩქენილს,
უკვდავი ფესვით ნახარებს
ახალი კერა გაგინდა,
ახალ მიწაში ჩაგყარეს...
გაგლადებოდეს ტოტები,
რქებივით ამონაყარი.
ფესვი ქართული გექნება,
მოლდავეურ მიწით ნახარი.
მანდაც გიხილავს შრომელი
ქარვის მტევენებით შემოსილს,
შენი ახალი სამშობლო
ძმა არის საქართველოსი.
დაგვილოცნიხარ, იხარე,
იმ მხარეს, სადაც წახველი,
არ შეარცხენო მომესთან
ქართული ბაღის სახელი...
და, თუ ვეწვიე მოლდაველს,
თასს შენი ღვინით ამივსებს,
მაშინ, ვით საქართველოში,
გულს ისე გამიხალისებ...

გიორგი ნაკათალი

ბარდაცვალებიდან 50 წლის უმცროსების გამო



გიორგი წერეთელი დაიბადა 1842 წელს ზემოიმერეთის სოფელ გორისაში, საკმაოდ შეძლებულ აზნაურის ოჯახში. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დასრულების შემდეგ უმაღლესი სწავლის მისაღებად მამამ იგი პეტერბურგს გაგზავნა. საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლასთან ერთად ახალგაზრდა გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა ბელინსკისა, გერცენისა და ჩერნიშევსკის იდეების ზეგავლენით ვითარდებოდა.

რუსული მოწინავე ინტელიგენციისა და საუკეთესო სტუდენტობის შუაგულში მოქცეული ცხრაშვილი წლის ახალგაზრდა ახალ იდეათა მძლავრმა ქროლვამ ისე გაიტაცა, რომ თავის თანამემამულეებთან ერთად მაშინდელ სტუდენტთა მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, რის გამოც ამხანაგებთან ერთად ჯერ პეტროპავლოვსკისა და შემდეგ კრონშტადტის ციხეებში იჯდა.

ამ მოძრაობამ შესძრა მაშინ მთელი რუსეთი და მას მხურვალედ გამოეხმაურა ლონდონიდან გერცენის „კოლოკოლი“.

„მაგრამ სად უნდა წახვიდეთ თქვენ, ახალგაზრდებო, რომლებსაც მეცნიერების გზა დაგიზღვის? — ეკითხებოდა იგი დაპატიმრებულ სტუდენტებს. კითხვაზე პასუხს თვითონვე იძლეოდა:

„ხალხში! ხალხისაკენ!“

გიორგი წერეთელი ასეც მოიქცა. საპატიმროდან განთავისუფლებულმა და მეცნიერების შესწავლისაგან გამოთიშულმა ახალგაზრდამ დასტოვა მაშინდელი პეტერბურგი და, სანამ სწავლის განსაგრძობად უცხოეთში გაემგზავრებოდა, ჩამოვიდა საქართველოში. სამშობლოში მას ისევ ბატონყმობის უღელში შებმული, სიღარიბით წელში გაწყვეტილი მშობლიური ხალხი დახვდა. ერთ ზაფხულში მან ცხენით მოიარა მთელი ლეჩხუმ-სვანეთი და დასწერა გესლით საცხე შთაბეჭდილების წიგნი „მგზავრის წერილები, ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. ამ პამფლეტურ ნაწარმოებში გიორგი წერეთელმა ახალგაზრდული გულის კეთილშობილი მრისხანებით გაამათრახა, მიწასთან გაასწორა მაშინდელი წესწყობილება და ცხოვრების მცონარე მმართველნი.

ეს შესანიშნავი წიგნი ერთსა და იმავე დროს აღსაცხეა ღრმა ლირიზმითა და შხამიანი სარკაზმით, სიყვარულით მშრომელი ხალხისადმი და მძულვარებით მჩაგვრელთა მიმართ, პოეზიითა და პუბლიცისტიკით, უსაზღვრო თანაგრძნობით გაპარტახებული გლეხობისა და ზიზღით მუქთახორა თავად-აზნაურობისადმი.

მოიგონეთ ის წარმტაცი სურათები საქართველოს ბუნებისა, რომელსაც გიორგი წერეთელი ეგეთის ოსტატობით, შთაგონებითა და ღირსებით ხატავს და თქვენ მართლაც სამოთხე წარმოგიდგებათ. ამა თვალის მხოლოდ ერთი გადავლებით დახედეთ ამ სამოთხეში მცხოვრებ ხალხს, — და თქვენ მართლაც ჯოჯოხეთი წარმოგიდგებათ, ჯოჯოხეთი, აღსავსე ბოროტებით, უსამართლობითა და გონებრივი სიბნელით.

წარმოიდგინეთ თვალის მიმტაცებელ ბუნების წილში ჩახატული ოთხი ცხენოსანი: კიკოლიკი, საღათა, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა. გულზეიადი კიკოლიკი, თერგდალეულთა ერთი ნაწილის ტიპური წარმომადგენელია. იგი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში არიდებდა თავს ყოველგვარ ცოცხალ აზრსა და მოძრაობას, რომ მაშინდელი შავბნელი ცხოვრებით გალაღებულთა გულისწყრომა არ დაემსახურებინა. ახალგაზრდა საღათა კი ერთი მონანიებული აზნაურთაგანია, იგი გარიბალდსა და ვაშინგტონს შეტრფის, მას თავისი მშობლიური ხალხის უკიდურესი სიბეჩავე გულს უკლავს. მათ შორის წარმოიდგინეთ შუბლზე კაკარდიანი და გულზე სისხლის ჯვრიანი ჩიკოლიკი, რომელიც გაბერილ ტიკს უფრო გავს, ტიკს, რომლისთვისაც სერთუკ-მარვალი ჩაუცმევიათ და ზედ კაცის თავი დაუდგამთ, მაგრამ როგორი კაცისა? წარმოიდგინეთ ქერა, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, ფეთიანი და თან მეტიჩარა კუდაბზიკა თავისი იმერული როსინანტით, რომელიც ისეთი გამვალტყავებული არსება არის, რომ საცრის რგოლში გაძვრება; ამათ ზედ დაუმატეთ ცხენზე ძარივით შემოდგმული ოდიშელი მებატონე, რომელსაც ორი ფეხშიშველი ჩამოკონკილი მსახური ძუნძულით ადევნებია, რათა ამ რუმზივით ვასიებულ ვაგბატონს ცხენზე ამხედრებისა და ჩამოხტომისას უზანგი მარჯვედ დაეჭვირონ. ნუ დაივიწყებთ ნურც ვლა-

ხათუნელ იმერელს, რომელიც ტანთნარინჯისფერი დაკონკილე შუღლს, ქონხა აცვია და მისი ნაფიქრული ცხენზე თეთრი სელის ძაფით აუკინძავს. გაიბსენეთ შემდეგი სურათი:

„ბოლოს ერთს დაბლუნძულს და კარგადებულ ქობს მივადექი. შიგ ახალგაზრდა ქალი, პერანგის ამარა იჯდა და გაინის ჩაქები იღლიებამდე შეხეული ჰქონდა, ასე რომ გულმკერდი სულ ერთიანად მოტიტვლებული უჩანდა. აკვანში სრულიად ტიტველი ბავშვი ეგდო და არტამუნების მაგივრად ბადლის ჩითის ნახევებით იყო ჩაქრული“. ნუ დაივიწყებთ ნურც საღადაც მთის ორწოხებში ჩაკარგულ მელტქნე ჩიგუნისას, რომელიც იმ დროს, როდესაც ბატონყმობა ეს არის უნდა გადაეარდეს, თავისას მაინც არ იშლის, აზნაურობის ძებნაშია. მოიგონეთ მთელი გალერეა მაშინდელი ტიპებისა, მშრომელი გლეხობისა, უზომო ჯაფითა და სიღარიბით წელში გაწყვეტილი ხალხისა, რომელნიც ეგზომ ტურფა და ეგზომ მდიდარ ბუნების წილში ცხოვრობენ და ამ ფონზე შემზარავ სიბეჩავეს კიდევ უფრო თვალნათლივ დაინახავთ. აღაშინის ღირსების ეგრე დამცირებით, სიბნელითა და სილატაკით შეძრწუნებული ახალგაზრდა ავტორი ერთ გლეხს აღშფოთებული ეკითხება:

„— ესეთი სისაწყლევ რისგან არის სოფელშიო“.

პასუხის ნიშნად გლეხმა ხელი უწიათოდ ჩაიქნია და არა უთხრა რა. ან რა უნდა ეთქვა, როცა პასუხი თავისთავად ნათელი იყო?

„ამ დროს მოეტრიალდი, — აშობს გაწილებული ავტორი, — და ჰალის ყელში ცალი მხრით დადიანის სასახლე და მეორე მხრით მონასტერი, მდინარის იქით-აქეთ კუთხეში მთების ძირს, ორ კუპრით შავ ღებად მომეჩვენენ“.

და ამ კომპარულ ჩვენებას ავტორი შემდეგი შეგონებით ასრულებს:

„თითქოს ეს სასახლე და მონასტერი იყო ორი ზღაპრული ვეშაპი, რომელიც თითქოს ქალის ყელში იმ განზრახვით დაბინავებულიყვნენ, რომ მთელი ეს მიდამო კლანჭებში ყოლოდათ გაძაგრული და გაუქითხავათ ელოთ ხარჯი თავის სარჩენად“.

აი, როგორი მდგომარეობა დახვდა სამშობლოში პეტერბურგიდან ჩამოსულ ახალგაზრდა გიორგი წერეთელს. ამ შევხველ ცხოვრებას იგი წინათაც იცნობდა, მაგრამ მას თვალი ყოველივე ამის ნამდვილად დასანახავად მხოლოდ პეტერბურგში ახსილა.

ამ ნახულის ჰეშმარიტებით ასახვას გულისხმობდა იგი, როცა კიტა აბაშიძეს ეკამათებოდა გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან, სადაც თავისი ლიტერატურული მრწამსი შემდეგი სიტყვებით განმარტა: ხელოვნურ ანუ კანონულ ლიტერატურაში მე ეალიარებ ნამდვილ, შეუფერავ, შეუკეთებელ რეალიზმსო.

რა თქმა უნდა, გიორგი წერეთლის ენა თანამედროვე თვალსაზრისით საკმაოდ ვერ არის გამართული, მის ნაწერს ხშირად ნახტარეობა ეტყობა, რაც ჯერ კიდევ აკაკი წერეთელმა შენიშნა თავის დროს, მაგრამ გიორგი წერეთელს გაანჩნია იმდენად დიდი ღირსებები, რომ ეს ნაკლი უნებლიედ გაიწყდება.

გიორგი წერეთელმა სამოციანი წლების ლიტერატურაში ერთმა პირველთაგანმა განამტკიცა კრიტიკული რეალიზმის პრინციპები და მით სახელოვანად განაგრძო ზნა დასახული ლავრენტი არდაზიანისა და გიორგი ერისთავისაგან. გიორგი წერეთელმა თავის თანამებრძოლ თერგდალეულებთან ერთად ლიტერატურა დაუახლოვა ხალხს არა მხოლოდ იდეურად, არამედ ენობრივადც. მან პირველმა დაიწყო დიდი ეპიკური ტილოების ფართოდ ხატვა, დაიწყო მაშინ, როცა ის ენა, ენა რომლითაც დღეს ჩვენ ეგრე ვამაყობთ, ჯერ კიდევ მტკიცედ არ იყო დადგენილი და ქართულ

ლიტერატურაში ყურნალ „ცისკისა“ და ანტონ კათალიკოზის სხოლასტიკური, მკვდარი ენობრივი ნერწყუყუყუვა გაბატონებული. მისი სპაბტუ: მცრეფეფე მდგომარეობდა იმაში, რომ მან ორგანულად დაუკავშირა მხატვრულს ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, კანონულ მწერლობას მზაფრი პუბლიცისტიზმი და პოლემიზმი. ეს თავისი ლიტერატურული შეხედულება, რომელიც მან ჩერნიშევსკისა და პისარევისაგან შეითვისა, თავის შემდეგ მოთხრობაში — „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“ — კიდევ უფრო გააღრმავა. რა გამანადგურებელი ძალისაა მისი კალამი ამ მოთხრობაში და თან რა ნაზი და რა ინტიმურია იგი, როცა ამას საქიროება მოითხოვს. გიორგი წერეთელმა ამ მოთხრობით დაუნდობლად გაამათრახა არამცთუ მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სიღუბტირე, არამედ მაშინდელი ყოვლად გაუნათლებელი და ბნელი, უკულტურო პედაგოგი-ჩინოვნიკები, რომელთაც ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმე ჰქონდათ ჩაბარებული.

ხორცასხული თხრობის ქსოვილში ორგანიულად ჩახლართული, სიცოცხლით სავსე ნოველით იწყება მოთხრობა „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“. ამ კალამის ერთი გაბედული მოსმით არის მოხაზული ბატონისა და ყმის საზარელი ურთიერთობა. ვისაც გაუგონია, თუ რა სიწმინდეს წარმოადგენდა ვაქაკისათვის ულვაში ძველად, მისთვის მეტად ნათელია ის მეტყველი შინაარსი ამ ნოველა-ეტიუდისა, რომელშიც ბატონები ყმებს თავის შესაქცევად ულვაშებს აწიწნიან. აი ბატონისშვილი, ცხრა წლის დიტო, მუხლებზე უზის გლვხ თონიკეს და შეუბრალებლად აწიწნის მას ულვაშებს, ტკივილით შეწუხებულს თონიკეს კი სიტყვაც ვერ შეუბედავს მისთვის საწყენად. თონიკეს ხელი აქვს აღებული თავის ვაქაკურ ღირსებაზე და, მონობაში გარყვნილი, ძალლივით ელაჭუტება თავის ბატონისშვილს, ელა-

ცეცხბა მას, რა თქმა უნდა, იგი გლეხობის უმცირესი ნაწილის წარმომადგენელია. იგი საწინააღმდეგო ტიპია ამაყი არსენასი და კაცო ყაჩაღებისა. თონიკე მაშინდელი ცხოვრების ის გმირია, რომელიც გაიძვერულად ითმენს ყოველივეს, ითმენს, რომ ბატონყმობის უღლას ჩამოგდების შემდეგ მოულოდნელად შემოუტრიალდეს ცხოვრებას, იქცეს მის ბატონ-პატრონად და სისხლი სწოვოს არა მხოლოდ თავისი უღვაშების მწიფევენელ ყოფილ ბატონებს, არამედ თვით თავის სისხლსა და ხორცს, მასავით გლეხებს. იგი ბახვა ფულავასა და პიოტრ ივანის გაწერილებების ღირსეული წინაპარია. ასეთივე რეალისტურადამჯერებლობითა და შხამიანი ირონიით აქვს აღწერილი გიორგი წერეთელს თონიკეს გაიძვერული გარდაქმნობა რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლაში მდინარე ჩოლოქთან. ავტორის სარკაზმი უმაღლეს მწვერვალს აღწევს იმ ადგილას, სადაც მას ქერივი სიდონია ღორთქიფანძე ჰყავს აღწერილი; დიდის ოსტატობით და მართლაც იმერული ჰუმორით არის დახატული ის სცენები, სადაც თონიკე მოხერხებულად ატყუებს ბნელსა და გაუნათლებელ კნენას თავისი ვითომდა ექიმბაზობით. როგორც ვარი, ისეთი ბერიო, სწორედ სიდონიასა და თონიკეზეა მოჭრილი, ორივე, — კნენაცა და გლეხიც სიბნელეში, გონებრივ ჩამორჩენილობაში არიან ჩაფლულნი. დაუფიქრარია და თან ტიპიური დიტოს ნათესავის, მრისხანე ევერიას პორტრეტი. ტრაგიკულია და შემადარწუნებელი ბედი ერთადერთი მოწინავე პედაგოგის უმანსკისა, რომელიც განმარტობებულია ამ საერთო სიბნელეში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გიორგი წერეთელს ისევე ეძარჯვება ღირიკული და ინტიმური პასაჟები, როგორც დაცინვა იმისა, ვინც ამის ღირსად მიაჩნია. ინტიმურ ეპიზოდებში მისი შემოქმედება მართლაც რომ უმაღლეს პოეზიამდე აღის. სწორედ ასეთი

პოეტური აღმადრენით აქვს მას აღწერილი პირველი უმანკო სიყვარული ყმაწვილ დიტოსი და მანბალია მარინესი.

გიორგი წერეთლის მხატვრული პალიტრა მდიდარია არა მხოლოდ ტიპების მრავალფეროვნებით, იგი მდიდარია აგრეთვე ფსიქოლოგიური ნიუანსებითაც. მისი კალამი ხან მრისხანეა და გესლიანი, ხან ნაზი და გულში ჩამწვდომი.

გიორგი წერეთელმა ზედმიწევნით იცის საქართველოს ყოველივე კუნჭული. მას გმირთა მეტად ფართო გაღერია გააჩნია. მისი შემოქმედებითი დაპაზონი ამ მხრივ მართლაც რომ თვალგაღუწვდენელია. იგი ზედმიწევნით იცნობს მაშინდელი ცხოვრების ყველა კლასთა და ყველა საზოგადოებრივ ფენათა წარმომადგენლებს.

ორი დიდი მოთხრობით „ნიკოლიკი, ნიკოლიკი და კუდაბზიკათი“ და „ჩვენი ცხოვრების ყვავილით“ დაასრულა მან ბატონყმობის დროინდელი საქართველოს მხატვრული ასახვა.

მისი შემოქმედების ეს პირველი პერიოდი ხასიათდება ნარკვევის ფოტოგრაფიულობით, რეპორტაჟითა და ავტობიოგრაფიზმით. ეს ნაწარმოებნილიტერატურული ნარკვევებია და ამიტომაც არ ახასიათებს მათ ფაბულა; ეს ნარკვევები დაწერილია პირველი პერიოდით. ახალგაზრდა მწერალმა ამ ნარკვევებით პირველად მოსინჯა თავისი ნიჭი და ახალგაზრდული მშფოთვარებით გამოხატა თავისი გულისწყრომა იმ საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც ბატონყმობა ეწოდებოდა. გ. წერეთელი ერთი პირველთაგანი ამოუდგა გვერდით ილია ჭავჭავაძეს. როცა მან ამ უსამართლობის დამცველთა — ეგრეთ წოდებულ „მამათა“ წინააღმდეგ გაბედულად აღიმაღლა ხმა. გიორგი წერეთლისათვის ეს ბრძოლა იყო ბრძოლა არა მარტო საერთოდ მამათა წინააღმდეგ, არამედ საკუთარი მამის—

ექვთიმე წერეთლის წინააღმდეგაც, რომელიც შეიღის საბირისპირო ბანაკში, „ცისკრის“ თანამშრომლების რიგებში აღმოჩნდა და მით შეიღს იდეურად დაუპირისპირდა. გიორგი წერეთელი ღრმად პრინციპული მოღვაწე იყო და მან ასეთივე პრინციპულობა გამოიჩინა მაშინ, როცა თერგდალეულების ერთმა ნაწილმა თავისი მისია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გათავებულად ჩასთვალა. გიორგი წერეთელი ისეთი მოაზროვნე როდი იყო, რომ მხოლოდ გლეხურ რეფორმას დასჯერებოდა. ისევე, როგორც მაშინ, როცა თერგდალეულები მებრძოლ ჯგუფს წარმოადგენდნენ და გიორგი წერეთელმა მათ მხარი სწორედ ამიტომ დაუჭირა, ახლაც მან, ასევე ერთმა პირველთაგანმა, ზურგი მოურიდებლად შეაქცია თერგდალეულთა იმ ჯგუფს, რომელიც დამშვიდებისა და კმაყოფილების წუმბეში ჩაეშვა და როცა ეს ჯგუფი უქნარა, უვიც და ჩამორჩენილ თავადაზნაურობას მხარში ამოუდგა.

ამხანაგმა ლავერენტი ბერიამ თავის ისტორიულ შრომაში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გიორგი წერეთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ინტელიგენციის ლიბერალურ-ბურჟუაზიულ მიმართულების მეთაურად აღიარა. სამოცდაათიან წლებში გიორგი წერეთელი ლიბერალურ-ბურჟუაზიულ „ახალ ახალგაზრდობას“ ჩაუდგა სათავეში და მით საბოლოოდ გამოეთიშა თერგდალეულებს. იგი მოითხოვდა საგლეხო რეფორმის კიდევ მეტ გაღრმავებას და თავადაზნაურობის პოლიტიკური როლის კიდევ უფრო შეზღუდვას.

თავადაზნაურული კლასის უნიადგობისა და უმაქნისობის საჩვენებლად დასწერა მან სხვა მოთხრობებთან ერთად ორი შედეგური ქართული ლიტერატურისა: „მამიდა ასმათი“ და „რუხი მგელი“.

ამ მოთხრობებში გიორგი წერეთელმა მართლაც რომ „შეუფერავად“ შეუქცებულად, დაგვიხატა „სწავლასა და აზნაურების — მამიდა ასმათისა და ავთანდილ კვიციანიის დაკნინებული ფიგურები. ერთის მხრივ, მამიდა ასმათისა და მის ძმას, მაზრის უფროსის ყოფილ მწერალსა და „გაიმასქნებულ“ როსაფს თავისი ობოლი ძმისწული, ცხრა წლის ნათელა, თავისი ანგარების მსხვერპლად უქცევიათ იმ მიზნით, რომ მისი ქონებით ხელი მოითბონ; მეორე მხრივ, აზნაური ავთანდილ კვიციანე იმდენად გალათაკებულა, რომ სოფლის ტყის — საწიოკის მეოთხსადედი ნაწილი-ლა დარჩენია და ცხოვრებაში თავის გატანას ამითი ფიქრობს. ავთანდილ კვიციანე პირდაპირი წინაპარია ეგრეთწოდებულ „შემოდგომის აზნაურებისა“, ხოლო კანცელარიის ყოფილი მწერალი როსაფი და ადვოკატი ჯიბიაშვილი იმ პარაზიტებს წარმოადგენენ, რომლებიც სისხლს სწოვდნენ ბატონყმობის შემდეგდროინდელ სოფელს. როგორც ავთანდილ კვიციანეს გააჩნია თავისი აზნაურული კბილჩამტერეული ხმალი და მტრის რაინდულად ჩეხვის მაგიერ საწიოკე ტყეში ხეებს გაიძვერულად თარჯავს, ასევე ამშვენებს მამიდა ასმათის უქნარა და დეგრადირებულ მეზობელს, აზნაურ ოთარს ის მამაპაპური ხმალი, რომელსაც ფრანგის რკინა ეწოდება და არაფრის მოსახმარი იგი არ არის. ამ ხმალს შემდეგ სულ სხვა ხმით უმღერა ვეა-ფშაველამ თავისი განთქმული ლექსით „ჩივილი ხმლისა“.

გიორგი წერეთელმა ჩანასახშივე შესძლო დანახვა ამ „შემოდგომის აზნაურებისა“ და მისი დიდი დამსახურება ჩვენი საზოგადოებრივობის წინაშე სწორედ ამაში მდგომარეობს. ლუარსაბ თათქარიძე, რევან ბაკურიძე, ავთანდილ კვიციანე, სამანიშვილი — აი ის ევოლუცია, რომელიც ამ გმირმა განიცადა ფეოდალიზმის დაცემის პერიოდში. თუ ბატონყმობის დროინდელ ლუარსაბ

თათქარბის საღარდელს მისი უშვილო-
ბა წარმოადგენს, რათა მის ქონებას მი-
სი სიყვდილის შემდეგ სხვა არ დაეპატ-
რონოს, საგლესო რეფორმის შემდეგ
აზნაური სამანიშვილი იმდენად გაღატა-
კებულია, რომ მამისთვის ისეთ საცოლეს
ეტებს, რომელიც უსათუოდ ორნაქმარე-
ვი უნდა იყოს და თან უსათუოდვე უშ-
ვილო, რათა მას, ისედაც უმიწაწყლოსა
და გაღატაკებულ აზნაურს, ახალი მემ-
კვიდრე და მონაწილე არ გაუჩნდეს მამის
ისედაც მცირე მამულის გაყოფაში.

ნოველისტის ის ბრწყინვალე ნიჭი,
რომელიც გიორგი წერეთელმა თავის
წინა ნაწარმოებებში გამოამჟღავნა, „მა-
მიდა ასმათისა“ და „რუხი მგელის“ შე-
ქმნით საბოლოოდ ცხადჰყო. ეს ორი
მოთხრობა შედეგებს წარმოადგენს
ჩვენს ლიტერატურაში. აბა მოიგონეთ
რა შესანიშნავად იწყება მათი თხრობა
და რა ლოგიკურად სრულდება მათი
სუფეტები.

„— ვიშ, რა უშვენიერად მოჩანს ჩვე-
ნი საწიოვე მთა!“ — წამოიძახა ერთი
ზაფხულის დილით აივანზე პერანგის
ამარა გამოსულმა სამსონ ჯიბიაშვილმა
და უკვე მოთხრობის დასაწყისშივე ჩანს
კონფლიქტის ის საგანი, რითაც ავტორი
რეფორმის შემდეგდროინდელი გაღატა-
კებული აზნაურობის უკიდურეს მდგო-
მარეობის ასახვას აბირებს.

ასევე ჩნდება მთელი თავისი აღნა-
გობითა და სულისკვეთებით მოთხრობა
„მამიდა ასმათის“ მთავარი მოქმედნი
პირნი პირველ სტრიქონებშივე. აბა მო-
იგონეთ ენერგიული მამიდა ასმათი და
მისი ცხრა წლის დისწული, რომელსაც
მუხლის თავზე ძველი ზოკითხვის ბარა-
თი გაუშლია და სიტყვები ასო-ასო ამო-
აქვს. მოიგონეთ მათი საუბარი ცოლ-
ქმრობის გამო და მიახიტი გოგონას ში-
ში მამაკაცისადმი, რადგან ჰგონია რომ
მისი ჩოხის კალთის გაკარებისთანავე
შეიძლება ქალი დაორსულდეს და გაუ-
პედურდეს.

მამიდა ასმათი რთული და ძალზე სა-
ინტერესო პიროვნებაა, მაგრამ ცხოვ-
რების სიღუბსირეს მისი უშვილო-
ბის ხინჯებია.

რამდენადაც მამიდა ასმათი გორო-
ზია, იმდენად მისი ძმისწული — შეე-
თვალწარბა, ეშხიანი ნათელა, ნაზია და
მეოცნებე. გიორგი წერეთელმა ამ შემ-
თხვევაშიც გამოამჟღავნა თავისი ნიჭი
ბავშვთა პორტრეტების ხატვისა. საერ-
თოდ უნდა ითქვას, რომ გიორგი წერე-
თელს განსაკუთრებით ეხერხება ქალ-
ებისა და ბავშვთა პორტრეტების ხატვა.
ერთი ასეთი პორტრეტთაგანი, მამიდა
ასმათს გარდა, ამ მოთხრობაში ნათე-
ლას სახეა. ამ რომანტიულ გოგონას ბავ-
შვური სირთულით უყვარს თავისი ქარ-
თლელი საქმრო იოთამ თანდილაძე, რო-
მელსაც იგი ხეირიანად არც იცნობს და
ვერც წარმოუდგენია რას ნიშნავს ქმა-
რი. როდესაც იგი მამიდისა და ბიძის
ანგარებით აღსავსე ქიშპობის გამო მის-
და მოულოდნელად ცოლად იოთამს კი
არა, სულ სხვა ვინმეს გაჰყვება, ეს ბავ-
შვობითგანვე ნალოლიავები და ნაოც-
ნებარი სიყვარული მას მაინც არ ავი-
წყდება, არ ავიწყდება მამინაც, როცა
იგი დედა არის.

„მამიდა ასმათით“ გიორგი წერეთელ-
მა დაასრულა მეცხრამეტე საუკუნის
მეორე ნახევრის სოფლის საზოგადოებ-
რივი ცხოვრების მეორე ეტაპის ასახვა.
თავისი ლიტერატურული ნარკვევებითა
და მოთხრობებით მან გაბედულად გაყ-
ვალა გზა, როგორც შემოქმედმა, რო-
მანისაკენ. ცხოვრების ცოდნითა და გა-
მოცდილებით აღჭურვილმა მწერალმა
დასწერა ისეთი ეპიური ნაწარმოებნი,
როგორიც „პირველი ნაბიჯი“ და
„გულქანია“.

„იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავთ-
სადგურში პირველად იწივლა ცეცხლის
ვეშმა. მისმა წივილმა პირველად განუ-
ფრთხო ძილი მტრისაგან მოუძღურე-
ბულ საქართველოს ერს. ეს იყო, ახალი

დროის მამლის ყივილი დასავლეთ საქართველოში“.

ასეთი შესავლით იწყება რომანი „პირველი ნაბიჯი“, რომელშიც კაპიტალიზმის მართლაც რომ პირველი ნაბიჯია აღწერილი არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ეს რომანი თავისი სუბექტური აღნაგობით მართლაც რომ გრანდიოზულია. აუ ჩვენი მწერლობის შემოქმედებითი არე აქამდე უფრო ადგილობრივი იყო, უკეთ რომ ეთქვათ, უფრო კუთხური იყო, გიორგი წერეთელმა ერთბაშად გააზრდია ეს კუთხური ზღუდეები და ამ მხრივ იგი, არამცთუ განმგრძობი, არამედ განმავითარებელიცაა დანიელ ჭონჭაძის, ლავრენტი არღანიანისა და გიორგი ერისთავის ლიტერატურული ტრადიციებისა.

გიორგი წერეთლის ეს შემოქმედებითი დიპაზონი რამდენიმედ დამოკიდებულია თვით რომანის თემის სივრცისაგან. კაპიტალიზმის მთავარ ძალას — ახალგაზრდა ბურჟუაზიას თავისი ხასიათით, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მოთავსებულყო ვიწრო ფეოდალურ-პატრიკულარისტულ ჩარჩოებში. კაპიტალიზმმა ძირფესვიანად მოარღვია არამცთუ კუთხური, არამედ ნაციონალური ზღუდეებიც და თავის სამოქმედო ასპარეზად მთელი მსოფლიო აქცია. მთელი რეალისტური ძალა გიორგი წერეთლისა, როგორც შემოქმედის, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ამ რომანში კაპიტალიზმის ეს დამახასიათებელი თვისება ვრცლად გაშალა. ანტიკომაც არის, რომ ამ რომანში ასახული არის, არა მხოლოდ საქართველო, არამედ მისი სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობა, არამცთუ რუსეთის კაპიტალის წარმომადგენლებთან, არამედ უცხოელებთანაც. რომანში მოქმედებენ არა მხოლოდ თავადაზნაურობისა და გლეხობის წარ-

მომადგენლები, არამედ კაპიტალიზმის მოხელეები, ვაჭრები, მოიჯარაღრეები, ინჟინრები, ადვოკატები, მწერლები, დაბალი წოდების ხალხი და უბრალოების მათ. გიორგი წერეთელი სწვდება გლეხის ქოხს, მუშათა ბარაკებს, თავადის დოხორესა, მაღალი წრის სალონებსა და კაბინეტებს. იგი ისეთივე შთაგონებით აგვიწერს სამეგრელოს სოფლის ცხოვრებას, როგორც პორტის მუშების ცხოვრებას. მისი რომანის გმირები დიან როგორც სოფლის იდილიურ ორბობებში, ისე რკინიგზებითა და საზღვაო რეისებით.

ეს რომანი ასახავს სავაჭო კაპიტალის ისტორიას. რომანის ძირითადი გმირი ბახვა ფულავა სავაჭრო-სავაზხო კაპიტალის წარმომადგენელია. იგი ნადგურდება ფეოდალიზმის ნაბოლარა წარმომადგენლის ერემია წარბას ხელით. ერემია წარბა პროდუქტია დარღვეული ფეოდალური წყობილებისა. ერემია წარბას ორეულია ტარიელ მკლავაძე, რომელიც პირდაპირი შთამომავალია გიორგი წერეთლის გმირისა. მართალია, კაპიტალიზმი საქართველოში ფაქტად იქცა, მდგომარეობა უკვე შეიქმნა, მაგრამ გარკვეული სოციალური ფენების შეგნება ჯერ კიდევ უკან რჩებოდა ამ მდგომარეობას. ერემია წარბას სუბიექტური სამყარო ამ წინააღმდეგობის შედეგია. ფეოდალიზმი მოისპო, მაგრამ მისი გადანაშთები ერემია წარბას, ტარიელ მკლავაძისა და ფირალ დავლაძეების სახით ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბოვინებდნენ. გიორგი წერეთლის დამსახურება ამ შემთხვევაშიაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ტიპი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში პირველად მან შენიშნა და მანვე ასახა. არ არის მართალი ის, რომ თითქოს გ. წერეთელი ერთგვარ წინააღმდეგობაში ექცევა მით, რომ ერემია წარბა, მომავლადეი კლასის წარმომადგენელი, ანადგურებს ბახვა

ფულავას — სასიცოცხლო კლასის წარმომადგენელს.

თუ ჩვენ თვალს გადავაქვით გიორგი წერეთლის შემოქმედებითს გზას „მგზავრის წერილებიდან“ „გულქანამდე“, დავინახავთ, რომ იგი დიდი დინამიკის მწერალია. გიორგი წერეთლის შემოქმედებაში ასახულია საქართველოს სოციალური ცხოვრება დაწყებული ბატონყმობის დროიდან კაპიტალიზმის განვითარებამდე. მან ერთერთმა პირველმა თერგდალეულმა ზურგი შეაქცია თავისივე დასს, როცა ეს დასი უზადრეუ საგლეხო რეფორმას დასჯერდა. გიორგი წერეთელი ამის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ევრეთლოდებულ „ახალ ახალგაზრდობას“, მაგრამ ცხოვრება წინ მიდიოდა და იგი სულ ახალს და ახალ მოთხოვნილებებს აყენებდა. გიორგი წერეთელმა დაინახა, რომ „ახალი ახალგაზრდობის“ პროგრამა ჩამორჩა ცხოვრებას და იგი ვეღარ პასუხობდა მაშინდელი სოციალური ვითარების ახალ მოთხოვნილებებს. მაგრამ მიუხედავად მისი გამჭრიახობისა, იგი მაინც პირშე იყო თავისი კლასისა და მან ვერ შესძლო თავისი კლასობრივი შეზღუდულობის გადალახვა, მან ვერ იგრძნო პროლეტარიატის დიდი ისტორიული მისია.

რომან „გულქანით“ მან თითქოს შეაჯამა მთელი თავისი შემოქმედება და საზოგადო მოღვაწეობა. ამ რომანში მან მხატვრულად ასახა ის დიდი გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმამდე განვლო. მთავარმა გმირმა რომანისა, აზნაურის ქალმა გულქანმა განვლო ყველა ეტაპი მეცხრამეტე საუკუნის სოციალური ცხოვრებისა, უშუალოდ განიცადა მისი გამხრწნელი ზეგავლენა და იმედგაცრელებული, გულგატეხილი — ცოლად მიჰყვება ბურჟუაზიის ტიპურ წარმომადგენელს, ყოფილ შვიპერს, ვიღაც უკვარო ნიკოლაი ნიკიფოროვიჩს.

საგულისხმოა, რომ გიორგი წერეთლის მეორე გმირიც ამ რომანში პეტრიელა გაწერილია ისევე, როგორც ბაზვა ფულავა. ტიტოშვილის საკითხი. იმით, რომ ბაზვა ფულავაც და პეტრიელაც ჩარჩული კაპიტალის წარმომადგენლები, სოლომონ ისაკინ მეჯღანუაშვილის შთამომავალი არიან და მათ, გიორგი წერეთლის აზრით, ადგილი არა აქვთ სამრეწველო კაპიტალიზმის ვითარებაში. ისინი არავითარი ღირებულების შემქმნელი არ არიან, პირიქით, პარაზიტები არიან ცხოვრებისა. ღირებულებას ქმნიან ნიკოლაი ნიკიფოროვიჩები და ამიტომაც ბაქურიძეების ქონებას გაწერილიები კი არა, ნიკოლაი ნიკიფოროვიჩები უნდა დაეპატრონონ, მათი ნამდვილი მემკვიდრენი ისინი არიან და არა ფულავა-გაწერილები, დიდი ბაქურიძეების შთამომავალიც გულქან ცოლად შეეფერება არა გრაფ ლიზობლიუდოვებს ან აზნაურს ენუქიძეებს, არამედ ნიკოლაი ნიკიფოროვიჩებს.

რომანი „გულქანი“ არის ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი მოვლენა თავისი სიღრმითა და სიგანითაც. ამ რომანში დახატულია მთელი იმდროინდელი საქართველო თავისი ახალი ტიპის ჩინოვიციებით, თავადაზნაურობით, ინტელიგენციით, ბურჟუაზიის წარმომადგენლებით და ამ მხრივ მას ჩვენს ლიტერატურაში თითქმის ბადალი არ მოეპოვება.

გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთელი გარდაიცვალა 1900 წელს, ამ დროს კაპიტალიზმი შედის ისეთ სტადიაში, როდესაც იგი საზოგადოებრივი პროგრესის შემფერხებელ ძალად იქცევა და ლპობას იწყებს. პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა მრისხანე ხასიათს იღებს საქართველოშიც. მეოცე საუკუნის გარიყრაჟზე, 1901 წელს, ჯერ კიდევ ქაბუქმა სტალინმა საპირველმაისო

წითელი დროშა პირველად ააფრიალა შუა თბილისში, ამას მოჰყვა საქართველოში პირველი დიდი შეტაკება პოლიციასთან.

ამ ისტორიული დემონსტრაციის გამო ლენინური „ისკრა“ ამავე წელს წერდა:

„ის ამბავი, რომელიც კვირას 22 აპრილს (ძველი სტილით) მოხდა თბილის-

ში, ისტორიულად შესანიშნავი მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“.

გიორგი წერეთელი მიჯნაა ამ ორი ეპოქისა, მისი შემოქმედება ამ მიჯნამდე აღწევს.

ნიკო მარი და საბჭოთა ენათმეცნიერება

★

ნ. მარის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მეცნიერულ-შემოქმედებითი გზა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. მისი კვლევის ობიექტი იყო არა მარტო ენის პრობლემები, არამედ ლიტერატურის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის პრობლემებიც. ლიტერატურის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებზე მუშაობამ ნ. მარს განსაკუთრებით შეუწყო ხელი ენის პრობლემების ახლებურად დასმისა და გაღაწყვეტის საქმეში.

ნ. მარი, უპირველეს ყოვლისა, დიდი ენათმეცნიერია. ის წერს: „ერთი პრობლემა, რომელიც წითელ ზოლივით ჩანს ყველა შრომაში და რჩება დღემდე, ეს არის პრობლემა ენის შესახებ“ (ტ. I, გვ. 11).

ნ. მარის შემოქმედებითი გზა ხასიათდებოდა სულ ახალისა და ახლის ძიებით. შეიძლება ითქვას, რომ ნ. მარის ცხოვრება და შემოქმედება კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდის მეცნიერებაში გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. ნ. მარის დიდი დამსახურება მასშია, რომ იგი ენობრივი მასალები და თვალსაზრისის სიახლის საფუძველზე ძირითად საკითხებში დაუპირისპირდა ინდოევროპულ ენათმეცნიერებას და თანამიმდევრულად ამხილა ამ მეცნიერების ბურჟუაზიული რეაქციული ბუნება.

ბუნებრივია, თუ თავიდანვე ნ. მარის ახალი თვალსაზრისი ენის პრობლემებზე განსაზღვრა ახალმა ენობრივმა სამყარომ, რომლის აღმოჩენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, და დამცველი ენათმეცნიერებაში ნ. მარი იყო. ის წერდა: «Яфетическое языкознание есть теория прежде всего живых языков, доселе гонимых в науке, в лучшем случае терпимых на ее задворках, как на задворках просвещения, а часто и в полном мраке, держали до Октябрьской революции все говорящие на этих языках народы» (ტ. I, გვ. 4). ნიკო მარის მთავარი დევიზი იყო: „Дорогу живым и сочным фактам живой речи, их массовому движению!“ ეს სიტყვები ყველაზე უფრო სუსტ ადგილზე ურტყამდა ინდოევროპულ ენათმეცნიერებას.

ინდოევროპული ენათმეცნიერება შეზღუდული იყო როგორც მასალის, ისე თვალსაზრისის მხრით. ამიტომ შეუძლებელი იყო შეექმნა მას სრულყოფილი ზოგადი მეცნიერება ენის შესახებ. როგორც ნ. მარი შენიშნავს: „ზოგადი მეცნიერება ენის შესახებ არ არსებობდა“ (ტ. I, გვ. 201). ნ. მარი ინდოევროპული ენათმეცნიერების ცალმხრივობას მასალისა და თვალსაზრისის მხრით ასე ახასიათებს: „აქ გასაფრთხილებელი მარტო მასალის ერთმხრივობა არ გახლავს, უფრო გასა-

ფრთხილებელია ჩვენს ქუქუსთან თან-
შეზრდილი ან ნაანდერძევი ადგილობ-
რივი თვალსაზრისის ერთმხრივობა“
(ქართველი ერის კულტურული შუბ-
ლო, გვ. 8).

ნ. მარის ახალ-ახალი ენათმეცნიე-
რული შეხედულებანი იბადებოდა ყო-
ველთვის ახალი ენობრივი მასალების
გაცნობის შედეგად. მისი მეცნიერულ-
შემოქმედებითი გზა მიმართული იყო
ფაქტებიდან თეორიისაკენ. ნ. მარი
ახალი მასალის მოპოვებას ყოველთვის
დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი ამ-
ბობდა, ახალი მასალის მოპოვება იგი-
ვე აღმოჩენაა, რომელიც ისევე ფასე-
ულია, როგორც რომელიმე მეცნიერის
ლაბორატორიაში თეორიული კვლევის
საფუძველზე წარმოებული მეცნიერუ-
ლი აღმოჩენაო.

ნ. მარი ენათმეცნიერებაში წინ მი-
დიოდა გაბატონებულ შეხედულებათა
კრიტიკის გზით. მისი პირველივე სტა-
ტია: „ბუნება და თვისება ქართველი
ენისა“, რომელიც დაიბეჭდა გზ. „ივე-
რიის“ 1888 წ. 86 ნომერში, გაბედული
კრიტიკა იყო ქართული და მისი მონა-
თესავე ენების წარმომავლობის შესა-
ხებ არსებული შეხედულებებისა. შემ-
დგომში დოკუმენტისა და ყოველგვარი
რუტინის წინააღმდეგ ბრძოლა ნ. მა-
რის მეცნიერულ შემოქმედებას წითელ
ზოლივით მიჰყვება. ნ. მარის მკაცრი
კრიტიკის ობიექტი გახდა პრაენის, რა-
სიული, მიგრაციული და სესხების
თეორიები.

ნ. მარი, როგორც ეს მას არაერთხელ
განუცხადებია, იბრძოდა ნ ა ც ი ო ნ ა -
ლ უ რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, მაგრამ სასტი-
კად ებრძოდა ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ს.
ამავე დროს მისი კრიტიკის ცეცხლი
მიმართული იყო უთვისტომო კოსმო-
პოლიტიზმის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ
რევოლუციამდე ნ. მარი წერდა: „На
очереднi стоит вопрос о признании
за Россией мирового значения и в
3. „მნათობი“, № 2.

науке“. ხოლო მეცნიერების ზოგი-
ერთ დარგში ჩვენი ჩამორჩენის მიზე-
ზად იგი თვლიდა: „Доселе не изжи-
тое раболепие перед иностранной мы-
сле-боязнь, худшее и наиболее зло-
качественное наследие прошлого“.

აგრეთვე ნ. მარის დიდი დამსახურე-
ბა მასშია, რომ მან ღრმად და საფუძე-
ლიანად შეისწავლა ქართული ენა და
კულტურა. არა ერთი და ორი კაპიტუ-
ლური შრომა შექმნა მან ამ დარგში.
ნ. მარის საზრუნავ საგანს ყოველთვის
შეადგენდა ქართული ენის და ქართუ-
ლი კულტურის მსოფლიოს მოწინავე
ხალხებისათვის გაცნობა. თამამად შე-
იძლება ითქვას, რომ ის, რაც ნ. მარმა
გააკეთა ამ მხრივ, დღემდე არაა სათა-
ნადოდ შესწავლილი და დაფასებული.
ნ. მარი ყოველთვის მაღალ შეფასებას
აძლევდა შოთა რუსთაველის გენია-
ლურ ქმნილებას: „ვეფხისტყაოსანს“. მისი
სიტყვებით „Всякая попытка
возвести эту поэму к иностран-
ному источнику отпадает“.

ნ. მარი როგორც მეცნიერი მუ-
დამ ხელმძღვანელობდა თვითკრიტიკის
პრინციპით. იგი უმალ ზედავდა თავის
შეცდომას. თავის შეხედულებათა ყვე-
ლაზე მკაცრი კრიტიკოსი თვით ნ. მარი
იყო. ამ გზით შეძლო მან განათვისუფ-
ლებულიყო მის მიერ გამოთქმულ ზო-
გიერთ მცდარ შეხედულებათაგან და
ამავე დროს ახალ-ახალი ენათმეცნიე-
რული შეხედულებანი გამოემუშავე-
ბინა.

ნ. მარი, თანახმად მისი სიტყვებისა,
„უკანასკნელ წლებში გაჭირვებით თა-
ვისუფლებობდა ბურჟუაზიული აზ-
როვნების ტყვეობისაგან“. „იდეტური
ენათმეცნიერება არ ამოფრენილა ათი-
ნა-პალადის მსგავსად ზევსის თავიდან:
1. იგი დაიბადა იმავე ბურჟუაზიულ
წრეში, კიდევ უფრო მეტი — იგი ჩაი-
საბა, იგულისხმება, როგორც ანტითე-
ზა, ინდოევროპული ლინგვისტიკის

ნორმებში, ურომლისოდაც იგი არც იქნებოდა, და 2. უკანასკნელ წლებში ვაჭირვებით თავისუფლდება ბურჟუაზიული აზროვნების ტყვეობისაგან მეთოდოლოგიურად აგებულ მეცნიერულ მუშაობასთან დაკავშირებით“ (ტ. I, გვ. 222).

ეს სიტყვები ნათლად ახასიათებენ ნ. მარის შემოქმედებით შემკვიდრებას და ამვე დროს იგი წარმოადგენს გაბედულ თვითკრიტიკას.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად კრიტიკულად ეპურობოდა ნ. მარი მის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს, მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი:

1925 წ. ნ. მარი მის მიერ 1922 წ. წაკითხული ლექციის შესახებ წერდა: „1922 წ. მაისში პარიზში ქართველების კრებაზე წაკითხულს დღეს, რასაკვირველია, სიძველის ხასიათი აქვს. უკვე ბერლინში რომ განმეორებით (ორი თვის შემდეგ ს. ვ.) წაუყვითხე იქ მცხოვრებ ქართველებს, თან მაშინაც ვგრძნობდი ზოგან თქმულის ხანშესულობას. მას აქეთ კი მთელი მსოფლიო გადაგვეშალა წინ ამ ლექციაში მოსახსენებლად...“ (ქართველი ერის კულტურული შუბლი, გვ. 1.).

აი, რა სწრაფი ტემპით მიდიოდა წინ ნ. მარი და როგორ არაჩვეულებრივად იზრდებოდა იგი როგორც მეცნიერი.

ნ. მარმა მის მიერ შედგენილი იაფეტილოლოგიური ანბანის ბედი წინასწარვე განსაზღვრა:

„შეიძლება, ჩვენი სამეცნიერო იაფეტური ანბანი უკუივდოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ სანიმუშოდ მაინც ვარგა, მითაც ადვილად დასანახია, თუ რამდენად გაუადვილდება მთელ კულტურასან მსოფლიოს, მაგალითად, ქართულის შესწავლაც მისი ხმარებით“ (ტ. I, გვ. 158).

ჩვენ საკვებით ბუნებრივად მიგვაჩინია, თუ ნიკო მარი მისმა რევოლუციურმა ბუნებამ და შეხედულებებმა კრიტიკისა და თვითკრიტიკის შესახებ

მოიყვანა მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად შეთვისების აუცილებლობის.

ნ. მარი პირველი იყო ქართველთა შორის, რომელიც საფუძვლიანად დაეუფლა მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი ენის პრობლემების შესახებ დანერგა ენათმეცნიერებაში. როგორც ცნობილია ნ. მარი იყო ინიციატორი და ხელმძღვანელი იმ კოლექტივისა, რომელმაც შეადგინა კრებული: „Маркс-Энгельс-Ленин-Сталин о проблемах языка и мышления“. ეს კრებული ნ. მარის წინასიტყვაობითა და რედაქციით გამოვიდა და მან უთუოდ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ენათმეცნიერების მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ენის პრობლემების შესახებ შეხედულებათა შეიარაღების საქმეში. ნ. მარი ყოველთვის აფრთხილებდა ენათმეცნიერებს იმის შესახებ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეხედულებათა მხოლოდ ციტატების დაზეპირებას არ შეუძლია მოიტანოს სასურველი შედეგი. ეს შეხედულებანი მთელი ჩვენი დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობისათვის სახელმძღვანელო უნდა იყოს.

აი, რას წერს იგი ამის შესახებ: მარქსისტული მეთოდის გამოყენება „საჭიროა დამოუკიდებელ მუშაობაში, ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ ისტორია თვით მარქსიზმისა, მისი შექმნისა და განვითარებისა...“

საჭიროა ფილოსოფიას კარგად ვიცნობდეთ. მე ახლა მიხდება მისი დაუფლება და ვწუხვარ, რომ წინათ არ გამოიღრმავებია ცოდნა ამ მიმართულებით... ოღონდ არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება ვთქვათ: ჯერ მასალას გავეცნობი, მოვამარტებ და შემდეგ თეორიასაო, ფილოსოფიასო... (В. А. Миханкова, Н. Я. Марр, 1948 წ. გვ. 391).

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ლენინისა და სტალინის შეხედულებებში ნაციისა და ნაციონალური ენების შესახებ და ს.კ. პ. (ბ) ნაციონალურმა პოლიტიკამ დიდი შთაბეჭებითი ძალა იქონია ნ. მარის შემოქმედებაზე. ნ. მარი როგორც ბოლშევიკ-მეცნიერი ჩადგა სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის მოწინავეთა რიგებში.

ამ პერიოდში მის მთავარ საზრუნავს საგანს შეადგენდა ენათმეცნიერულ პრაქტიკაში ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპის დანერგვა.

ნ. მარი ყოველთვის აღფრთოვანებული იყო ნაციონალური საკითხის ლენინურ-სტალინური გადაწყვეტით. ამის შესახებ მას არა ერთხელ განუცხადებია, როგორც ზეპირად, ისე წერილობითაც.

ნ. მარზე თუ რა დიდი გავლენა იქონია ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ დამახასიათებელ ადგილს მისი ერთი შრომიდან: „ერთმა ჩემმა ნაცნობთაგანმა შემომჩივლა, — საკვირველი ადამიანები არიან ევკართეელები, რაღაც უსაზღვრო გაზვიადებით სჯიან თავის სარჩელს, სომხებიც იმავე ხასიათს იჩენენო, თითქოს მათ ჩვეულებრივ ხელწასაკრავს შეუპოვრად ეტანებიან მსოფლიო საქმეებს და თავისი წილის მიჩნევაში წყლულ-მგრძნობიარებით ეპყრობიან სხვა ერის, დიდიც იყოს, თვალსაჩინო სივრცეს და ბუნებრივ მოთხოვნილებას, თითქოს ქვეყანამ არ იცოდეს, ვის რა სიდიდე შესწევსო, და, ერთი სიტყვით, აგრე გამოდიოდა „შ უ ა უ ზ ი ს დ ი დ ე ზ ღ ვ ა რ ი“ პ ა ტ ა რ ა და დ ი დ ე რ ს ო“ (ქართული ერის კულტურული შუბლი, გვ. 7 ხაზი ჩვენია, ხ. 5).

კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის შთაგონების შედეგად ნ. მარმა ბევრი ახალი პრობლემა დააყენა ენათმეცნიერების წინაშე:

„სოციალისტურმა მშენებლობამ, — წერს იგი, — ჩვენი საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში წინ წაშლისა და უკუკლენის, როგორც პროპაგანდის იარაღის მნიშვნელობა, როგორც მასობრივ საზოგადოებრივი მუშაობის საშუალებისა...

ცხადია, რომ კულტურული რევოლუციის ჩასატარებლად აუცილებელია არა მარტო იცნობდე ენას იმ სახით, რა სახით იგი დღესაა მოცემული, არამედ საჭიროა იმისი ცოდნაც, თუ როგორ გახდა იგი ამ სახის ენად. როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს იგი, საჭიროა იმისი ცოდნა, თუ როგორ წარმოიშვა და განვითარდა და, მამასადამე, როგორ უნდა გახდეს ის იმ სახის ენად, როგორიც უნდა იყოს იგი საზოგადოებრივად“ (ტ. მე-5, გვ. 422):

ნ. მარმა ამ პერიოდში განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ახალგაზრდა მეცნიერთა გამოზრდაზე. მისთვის ცხადი შეიქნა, რომ იმ დიდი პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც ცხოვრებამ ენათმეცნიერების წინაშე დააყენა, საჭირო იყო მუშაობის კოლექტიურად მოწყობა:

„ძველი გზა აღარ კმარა, დაგვიანებით აღმოჩენილს ვრცელ, უზარმაზარი ვრცელი ჰორიზონტების გამშლელ მოძღვრებას ერთი ადამიანის ან ერთეულების შრომა აღარ ყოფნის, ვერას უშველის, მუშაობა უნდა მოერთოს მთელ კრებულის, კოლექტიური“ (ტ. I, გვ. 181).

ამასთან ერთად ნ. მარი აუცილებელ საჭიროებად თვლიდა ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა ერთად თანამშრომლობასა და მუშაობის კოლექტიურად მოწყობას. ნ. მარის მუშაობის ეს პრინციპი კარგადაა ასახული საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1949 წ. 21 ივლისის დადგენილებაში: თანამედროვე მდგომარეობა საბჭოთა ენათმეცნიერებაში და საკავშირო მეცნიერებათა

აკადემიის სისტემაში ენათმეცნიერული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“. ამ დადგენილების პირველ მუხლში, სხვათა შორის, ნათქვამია: „წინადადება მიეცეს ლიტერატურისა და ენის განყოფილებას ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებასთან ერთად დამუშავოს ძირითადი პრობლემები, რომლებიც ენათმეცნიერთა, ლიტერატორთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ფილოსოფოსთა ძალებით ერთად დამუშავებას მოითხოვენ და გაითვალისწინოს აუცილებელი ორგანიზაციული ბაზა ამ საკითხთა გადასაწყვეტად“ (Известия Отделения литературы и языка АН СССР, 1949 წ. № 6).

ასევე ნ. მარისათვის ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპის დანერგვა საენათმეცნიერო მუშაობაში მთავარ საზღურნავ საგანს შეადგენდა.

ნ. მარის მიერ ორი ათეული წლის წინ წარმოთქმული სიტყვები დღესაც ისე ეღერენ, თითქოს ისინი იდეოლოგიური მუშაობის დღევანდელი მომენტისათვის იყოს ნათქვამი.

„...ამგვარ მომენტში მეცნიერისათვის ნიეტრალურად ყოფნა — ეს თვითმკვლელობაა, დანაშაული“ (ტ. მე-3, გვ. 90).

როგორც ცნობილია, მე-16 პარტიულ ყრილობაზე ნ. მარი მეცნიერთა დღეგაციას მეთაურობდა და მან სიტყვით მიმართა ყრილობის დღეგატებს. მან თქვა: „მე შევიგნე რა აბოლიტიკურობის ფიქციურობა, ბუნებრივია, უკუ ვაგდე ის და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის დღევანდელ მომენტში, მე მტკიცედ ვდგავარ ჩემს პოსტზე, როგორც მებრძოლი მეცნიერი კულტურული ფრონტისა — ნამდვილი გენერალური ხაზისათვის პროლეტარიატის მეცნიერული თეორიისა და კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზისათვის“ (Стенографический отчет XVI съезда ВКП(б), 1930, გვ. 98).

ნ. მარის უდიდეს დამსახურებას შეადგენს ის, რომ მან ჩვენი სოციალისტური მშენებლობის თეორიულ-მეცნიერულ ენათმეცნიერებას დაუსაბამალი მეტად მიმზიდველი პერსპექტივები სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. ნ. მარის განმარტებით: „ენა ყოველთვის იყო და არის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი იარაღი იმის ზეღში, ვინც მას ოსტატურად ფლობს“ (ტ. I, გვ. 277).

ნ. მარი ენათმეცნიერების ძირითადი საკითხების შესახებ შემუშავებულ თავის შეხედულებებს არ თვლიდა დამთავრებულად. ის თვითონ კარგად გრძნობდა და ამბობდა კიდევ, რომ მისი ზოგიერთი დებულება მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან შესწორებასა და გასწორებას მოითხოვს. ის პირდაპირ წერს: „ჩვენ ვაღიარებთ, რომ მარქსისტულის მხრით იაფეტურ ენათმეცნიერებაში არის ისეთი, რომელიც უნდა შესწორდეს და გასწორდეს“.

ზოგიერთი კრიტიკოსი ნ. მარს უსაყვედურებს, რომ მას არ დაუწერია შემაჯამებელი შრომა, სახელმძღვანელო სადაც მოცემული იქნებოდა ყველა მისი შეხედულება ენის შესახებ. ნ. მარის ასეთი შრომები დღეს ინახება მის არქივში: „ენათმეცნიერების შესავალი“, „მეტყველების პალეონტოლოგია“, სხვადასხვა ენათა „შედარებითი გრამატიკები“ და სხვ. მაგრამ, როგორც ამას ამ არქივის გამგე და ნ. მარის ბიოგრაფი ვ. მიხანკოვა წერს, ამ სახელმძღვანელოების თავის დროზე გამოცემის წინააღმდეგი იყო თვით ნ. მარი. იგი ამბობდა: „ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო ახალ მოძღვრებას ენის შესახებ მიეცეთ დამთავრებული სახე, ვინაიდან ახალი მეტოლოლოგიისა და ახალი ენობრივი მასალების გამოყენების საფუძველზე იგი ჯერ კიდევ გადამუშავების პროცესშია. ჩვენც ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ და ავითვისოთ ნ. მარის

მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

ენის შესახებ ახალი მოძღვრების მიღწევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მატერიალისტურად დასაბუთება ისეთი საკითხებისა, როგორცაა: ენის სოციალურობა, ენის ზედნაშენურობა, ენის კლასობრიობა, ენისა და აზროვნების ურთიერთობა და ენისა და საზოგადოებრივი ფორმაციების განვითარების ურთიერთობის საკითხები. ნ. მარმა მოგვცა ენის ბუნების, მისი რაობის ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური გაგება: „ენა ადამიანის საზოგადოებრივი მოქმედებისა და მისგან ჩასახული შინაგანი ცხოვრების გამოცხადება არის“ რომ „ენა მძლავრი ბერკეტია კულტურული აღმავლობისა“ და „შეუწავლებელი იარაღია კლასობრივი ბრძოლისა“.

ნ. მარი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებთან ერთად გვასწავლის, რომ „ენა, ბგერითი ენა, თავისი განვითარების არც ერთ სტადიაზე, არ წარმოადგენს ბუნების უბრალო საჩუქარს. ბგერითი ენა შექმნა კაცობრიობამ. კაცობრიობამ შექმნა თავისი ენა შრომის პროცესში განსაზღვრულს საზოგადოებრივ პირობებში“... (ტ. მე-2, გვ. 25).

ნ. მარი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას მეტყველების განვითარების შინაგან მიზეზებსა და ძალებზე, ის ამბობდა, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ეს მიზეზები და ძალები მოვაქციოთ თვით ენის ფარგლებში, ვინაიდან ენა არის ზედნაშენური კატეგორია, რომელიც თავისი წარმოშობით და კანონზომიერი განვითარებით მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივ ცხოვრებას.

რამდენადაც ენა „ადამიანის საზოგადოებრივი მოქმედებისა და მისგან ჩასახული შინაგანი ცხოვრების გამოცხადება“, ამდენად ნ. მარმა ენობრივი მასა-

ლები წარსული ისტორიული პროცესის გასაშუქებელ შესანიშნავ წყაროდ მიიჩნია. მისი აზრით, ენათმეცნიერების ისტორიკოსი უნდა იყოს „ამავე დროს, ნ. მარი იბრძოდა ენათმეცნიერებაში ნამდვილი კემშიარტი ისტორიზმის პრინციპის დანერგვისათვის. მან ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხი ისტორიულს ასპექტში განიხილა და დაამტკიცა, რომ არ არსებობს აზროვნება მეტყველების გარკვეული ფორმის გარეშე და, პირიქით, არ არსებობს მეტყველების არც ერთი ფორმა აზროვნების გარეშე. ნ. მარის დიდ დამსახურებას ამ საკითხში ისიც შეადგენს, რომ მან განსაკუთრებით გაახმა ენის აქტიური როლი აზროვნების მიმართ. მისი აზრით, ენის გარეშე აზროვნების განვითარების დღევანდელ მაღალ ფორმას ვერ მივიღებდით.

ნ. მარისათვის უცნობი იყო ამხანაგ სტალინის აზრი ამ პრობლემის შესახებ. ი. სტალინის აზრით: „მაიმუნი რომ მუღამ ოთხ ფეხზე მდგარიყო, ის რომ წელში არ გამართულიყო, მისი ჩამომავალი — ადამიანი — თავისუფლად ვერ ისარგებლებდა ფილტვებითა და ყელის ძაფებით და, ამგვარად, ლაპარაკს ვერ შესძლებდა. რაც ძირიანად შეაფერხებდა მისი შეგნების განვითარებას“ (ტ. I, გვ. 294) (ხაზი ჩვენია. ს. გ.).

ნ. მარმა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ენათმეცნიერებისა, განსაკუთრებით აქტუალურად აქცია ენის წარმოშობისა და კანონზომიერი განვითარების კვლევა: „ენის გაჩენისა და ზრდის კანონები დღეს თუ ხვალ ჩვენ წინ ნათლად უნდა ვაღიშალონ“ — წერს ის.

ნ. მარმა მოგვცა პრინციპულად ახალი გაგება ადამიანის სამეტყველო ბგერებისა. მისი აზრით, სამეტყველო ბგერა ანუ ფონემა არის „საზოგადოებრივად დამუშავებული ბგერა“. ნ. მარის ფონემის ეს განმარტება უშუალოდ გამომდი-

ნარეობს მის მიერ მოცემული ენის ბუნების განმარტებისაგან.

ფონემის ასეთ განმარტებით ნ. მარმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ადამიანის სამეტყველო ბგერების ცხოველთა უბრალო ბგერებისაგან წყალგამყოფ განსხვავებას.

ასევე პრინციპულად ახალი გაგება მოგვცა ნ. მარმა ლექსიკისა, სემასიოლოგიისა და გრამატიკული კატეგორიებისა. ნ. მარმა ამ დარგებს სრულიად ახალი პერსპექტივები დაუსახა.

ნ. მარმა ენათა გლოტოგონიური პროცესისა და მისი კანონზომიერი განვითარების საკითხების დამუშავების საფუძველზე მომავალი საერთაშორისო ენის სტალინური განსაზღვრება მოგვცა.

ნ. მარს აზრი მომავალი საერთო ენის შესახებ აღრევე ჰქონდა გამოთქმული, მაგრამ ი. სტალინის მიერ მე-16 პარტიკრილობაზე გამოთქმულ შეხედულებათა გავლენით ნ. მარმა თავისი შეხედულება ამ საკითხის შესახებ კიდევ უფრო ვააღრმავა და განავითარა.

ამ საკითხების დამუშავების საფუძველზე ნ. მარმა გამანადგურებელი ლას-ვარი ჩასცა პრაენისა და რასობრივ თეორიებს.

ნ. მარმა არა მარტო ენის ბუნებისა და მისი კანონზომიერი განვითარების გენიალური განმარტება მოგვცა, მან ამავე დროს ენის შესახებ მეცნიერებას — ლინგვისტიკას სათანადო ადგილი მიუჩინა სხვა მეცნიერებათა შორის: „Ведь лингвистика громадный и чудный мир великолепнейших творений. Какая архитектура, какая история искусств может сравниться с ее архитектурой и с ее историей, со значением как конструктивных, так декоративных ее частей и подробностей!“

აი, როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ნ. მარს ლინგვისტიკის წარმტაცი შენობა.

ნ. მარის შემკვიდრების შემოქმედე-

ბითად ათვისება დღეს საბჭოთა ენათმეცნიერების მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ამ მოძღვრებას უნდა შევხედოთ, როგორც ნ. მარის უცხოურულ მას:

„რაც დასაძნობია, დადნეს, რაც სიმტკიცის მქონეა, რკინულივით ბრძმედში გამოვლილი კემშარიტებად უნდა გაიქედოს“.

რიგი საკითხებისა ენის შესახებ ახალ მოძღვრებაში მოითხოვს დაზუსტებას. გასწორებასა და შემდგომ განვითარებას. ასეთ საკითხთა რიგს ეკუთვნის ისეთი რთული და დღემდე სადაო საკითხები, როგორიცაა ენის წარმოშობისა და მეტყველების პალეონტოლოგიის საკითხები.

ნ. მარმა ენათმეცნიერება ხალხის მეცნიერებად აქცია. მან ენათმეცნიერებას პრაქტიკული ამოცანები დაუსახა და ამავე დროს იგი დაუდასტურა ეწეოდა ენათმეცნიერული ცოდნის პროპაგანდის ფართო მასებში. ნ. მარი მთელი ნახევარსაუკუნოვანი მუშაობით ხალხთან, ფართო მასებთან იყო დაკავშირებული. მათგან სწავლობდა და ამავე დროს მათთან მიჰქონდა ენათმეცნიერული ცოდნა. თუ ენათმეცნიერება დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამას უნდა ეუბნოდეთ ნ. მარს. იგი ვირტუოზულად ათავსებდა სავსე სამუშაოებსა და ენათმეცნიერულ ცოდნის ფართო მასებში პროპაგანდის საქმეს. იგი თავის „ავტობიოგრაფიაში“ ამის შესახებ შემდეგს წერს: „ქემშარიტი სინამდვილეა ის, რომ ყველა ჩემი შემოქმედებითი ენათმეცნიერების იდეები არიან შედეგი არა კაბინეტში მუშაობისა, არამედ ჩნდებოდნენ და ვითარდებოდნენ უშუალო კავშირში გარემო ბუნებასთან და ადამიანებთან, ქუჩებში, მოედნებზე, უდაბნოებში და ზღვაზე. მთებში და ტრამალებში, მინდვრებთან და წყაროებთან, ცხენზე და ეაგონში, ყველგან, მხოლოდ არა კაბინეტში“ (ტ. I, გვ. 11).

ნ. მარს ხშირად უხდებოდა ბოდისის მოხდა იმის გამო, რომ „მგზავრულად ვარ მოწყობილი მეცა და ჩემი ლექცია-ცო“. ყოველი მისი მგზნებარე ლექცია იყო შთამაგონებელი და სიყვარულის აღმძვრელი ენათმეცნიერული ცოდნისადმი.

იდეოლოგიური მუშაობის დღევანდელ ეტაპზე ნ. მარს, როგორც მოწინავე მეცნიერებისათვის მებრძოლის, სახელი განსაკუთრებით მიმზიდველია საბჭოთა ენათმეცნიერთა ძალების მობილიზაციისათვის ენათმეცნიერებაში ბურჟუაზიულ-რეაქციული გარდმონამთების აღმოსაფხვრელად და საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

ნ. მარს ბრძოლა ყოველთვის პრინციპულ ხასიათს ატარებდა. ეს კი ჩვენ, საბჭოთა ენათმეცნიერებს, გვაგალებს, მივბადით მას ბურჟუაზიულ ენათმეც-

ნიერებასთან დამოკიდებულების საკითხში:

„ახალი თეორიის ძველსა და უძველესსა პულ საკითხებში შეკავშირებისას შეუძლებელია ლაპარაკი, თუ რომ ინდოევროპეისტები არ უარყოფენ თავიანთ ძირითად დებულებებს. ისედაც მცირერიცხოვანი ჩემი მოწაფეებიდან ზოგიერთის ცდა ხიდი გასდოს მიმანია უფრო საზიანოდ, ვიდრე ინდოევროპეისტ-ლინგვისტთა დიდი უმრავლესობის მიერ იაფეტური ენათმეცნიერების აბსოლუტური იგნორირება“ (ტ. I, გვ. 219).

ჩვენი პარტიული პრესის მითითებებს და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებას ნ. მარს შემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისებისა და განვითარების შესახებ უღიღესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.

ა. ლაღიკაძე

ახალი ქართული ხელოვნება

წიგნილი პირველი

★

ახალი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორია არსებითად გასული საუკუნის 80-ნი წლებით იწყება. როგორც ცნობილია, ამ ეპოქისათვის ახალ ქართულ ლიტერატურას უკვე განვლილი ჰქონდა თავისი განვითარების მეტად მრავალფეროვანი და დიდი საზოგადოებრივ-ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატისა და მოწინავე იდეების მგზნებარე ტრიბუნის არა ერთი შესანიშნავი სახელით დადებამოსილი გზა. ამავე დროს, თუმცა უკანასკნელთან შედარებით განსაზღვრული, მაგრამ მაინც თვალსაჩინო განვითარებით ხასიათდებოდა ახალი ქართული თეატრიც, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 50-ან წლებში გამოვლინდა, როგორც ქართული ნაციონალური მხატვრული კულტურის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. რაც შეეხება ახალ ქართულ მუსიკას, მის მიმართ ძუნწი აღმოჩნდა გასული საუკუნე, რის გამო მისი განვითარების კლასიკური ხანა არსებითად მომდევნო პერიოდით ისაზღვრება.

ბუნებრივია, რომ ახალი ქართული მხატვრული კულტურის ეს არათანაბარი განვითარება არ წარმოადგენდა შემთხვევით ისტორიულ მოვლენას. პირიქით, მას საფუძვლად ედგა გარკვეულ ობიექტური სოციალური ვითარება — ქართველი ხალხის ეროვნული ბედი, — თავის მხრივ საქართველოს

რუსეთთან შეერთებით რომ იყო გამოწვეული.

საქართველოს რუსეთთან შეერთება, როგორც ცნობილია, ისტორიული პირობებით იყო ნაკარნახევი. „საქართველოს წინაშე მაშინ ალტერნატივი ედგა — მას შაჰის სპარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო... მეორე პერსპექტივი მაინც უმცირესი ბოროტება იყო.“¹ გარდა ამისა, ამ ფაქტმა საერთოდ მეტად თვალსაჩინო პროგრესიული როლი ითამაშა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად, ერთი მხრივ, გავრთიანდა აქამდე დაქსაქსული საქართველოს მიწაწყალი და დაჩქარდა ქვეყნის შინაგანი სოციალური განვითარების პროცესი — ფეოდალური ურთიერთობის რღვევა და კაპიტალიზმის განვითარება, ზოლო მეორე მხრივ — ქართველი ხალხი უშუალოდ დაუკავშირდა დიდი რუსი ხალხის ცხოვრებას, კულტურასა და მოწინავე იდეებს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ცხოვრების, საზოგადოებრივი აზროვნებისა და მხატვრული კულტურის განვითარებისათვის.

აღნიშნულის მიუხედავად რუსეთთან შეერთება საქართველოს თავს დაატყდა, როგორც უღმობელი ეროვნ-

¹ „К изучению истории“, 1937 წ., გვ. 38.

ნული ჩაგვრა და განუსაზღვრელი ძალადობა, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის სახით, „რომელსაც ქართველი ხალხი დაუსდობლად ებრძოდა, ვიდრე მან დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად თავისუფლება არ მოიპოვა“.

„მეფის რუსეთი, — ვკითხულობთ „საჯ. კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიაში“, — ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არა რუსი ხალხები სრულიად უფლებობნი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამპირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვენდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს“, ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათადმი“.¹

„მეფის მთავრობა მიისწრაფვოდა ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არა რუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას. ცარიზმი არსებითად ხალხთა ჯალათად და შტანჯველად გამოდიოდა“.² ყველაფერი ეს იმდენად თვალსაჩინო გველენას ახდენდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაზე, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ახალი ქართული ლიტერატურის ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ ილია ქავჭავაძე და აკაკი წერეთელი, საქართველოში „საქართველოს დაეძებდნენ“. ეს ფაქტი თავის მხრივ წარმოადგენს ერთერთ ნათელ გამოხატულებას იმისა, რომ ქართველი ხალხი, თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის დამყ-

ვიდრების პირველ დღიდანვე საფრთხის წინაშე იდგა. ბუნებრივია, რომ ბრძოლა ამ საფრთხის წინააღმდეგ მთელი ერის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. ამავე დროს, თვით ეს ბრძოლა თავისებური ისტორიული ერთარების გამო, არ ატარებდა ტრადიციულ ხასიათს. ხალხს არ შეეძლო ფიზიკურად გამკლავებოდა რუსეთის ცარიზმს, რის გამო ხმლის ნაცვლად წიგნი, „სიტყვა მახვილი“ ამოქმედდა, ბრძოლის ველი და ციხე—სიმაგრეები მხატვრულმა ლიტერატურამ და ლიტერატურულმა პრესამ შესცვალა. ამიტომ, როგორც ეროვნულ გამანთავისუფლებელი მოძრაობის, ისე მთელი ქართული კულტურის განვითარების სათავეში დგომა, არსებითად ახალ ქართულ ლიტერატურას ხედა წილად: ისტორიამ მას დააკისრა შეესრულებია ის ეროვნული მისია, რასაც აქამდე სახელოვანი სახელმწიფო მოღვაწენი, დიდი მხედართმთავარნი და გმირი სახალხო მებრძოლები ასრულებდნენ. ამასთანავე ერთად, გასულ საუკუნეში საქართველოს ეროვნული ბედის უცვლელი მხელის ხასიათის გამო, ქართველი ხალხის შინაური სოციალური ცხოვრებაც არსებითად „უპატრონო იყო“. ახალი ქართული კლასიკური რეალისტური ლიტერატურა ამ მხრივაც ხალხის მოამაგეთ გვევლინება. იგი არა მარცო ხატავდა ხალხის დუსტორი ცხოვრების შესანიშნავ და ამაღლებებელ სურათებს, არამედ ამავე დროს ქადაგებდა ეპოქის მოწინავე დემოკრატიულ იდეებს, ასახიერებდა ხალხის ინტერესებსა და ტკივილებს, იღვწოდა უკეთესი მომავლისათვის, ბუნებრივია, რამდენადაც ამის განსაზღვრა მას შეეძლო არსებული სოციალური გარემოს პირობებში. და ამ დიდ ისტორიულ მისიას, არ გადავაპარებთ, თუ ვატყვიით— მთელი ერის მესვეურის როლს, ღირსეულად ასრულებდა იგი მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამ-

¹ „საჯ. კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია“, 1938 წ. გვ. 6.

² „საჯ. კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია“, 1938 წ. გვ. 7.

დე, სახელდობრ, იმ მიჯნამდე, როდესაც ქართველი ხალხის ბრძოლისა და ეროვნული ინტერესების ნამდვილი დროშა მუშათა კლასის რევოლუციონერმა მოძრაობამ აღმართა ამხანაგ ი. სტალინის ხელმძღვანელობით.

აღნიშნულის გამო, ქართულ ლიტერატურას თავისი განვითარების არცერთ ეტაპზე არ ახასიათებდა ისეთი დიდი საზოგადოებრივ-ეროვნული მოვალეობა და ასპარეზი, როგორც მას წილად ხვდა გასულ საუკუნეში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ხალხის შემოქმედებითი ინტერესი და შესაძლებლობა უპირველეს ყოვლისა ლიტერატურის სფეროში ვლინდებოდა. არსებითად, ეს ისტორიული ვითარება წარმოადგენდა იმ ობიექტურ საფუძველს, რომლის ნიადაგზე ახალი ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე განვითარების დიდ და მრავალფეროვან გზას დაუკავშირდა. ამ ისტორიულ გარემოში უნდა ვეძიოთ ახალი ქართული თეატრის, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების სხვადასხვაგვარი ბედის ახსნაც¹. კერძოდ, ქართული სახ-

ვითი ხელოვნების შესახებ საკითხა აღნიშნოს ის გარემოება, რომ ბრწყინვალე ისტორიული ტრადიციები შედარებით მის მიმართ მეცხრამეტე საუკუნე 80-იან წლებამდე განსაკუთრებით მკაცრი აღმოჩნდა: ქართველი ხალხის ცხოვრება ამ ეპოქაში უკვე აღნიშნულ მომენტთა გამო არ შეიცავდა სათანადო სოციალურ ნიადაგს სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის. მაგრამ ამავე დროს ყველაფერი ეს არ ნიშნავს თითქოს გასულ საუკუნეში ქართველი ხალხის სოციალურ ეროვნული მდგომარეობა 80-იან წლებამდე მთლიანად გამორიცხავდა ინტერესს მხატვრული კულტურის ამ დარგისადმი. ასეთი დასკვნა იქნებოდა შეცდომა, რადგან ჩვენ ხალხს უფრო კრიტიკულ მომენტებშიც კი არ დაუვიწყებია მთლიანად სახვითი ხელოვნება. ამიტომ ზემოთ აღნიშნული მხოლოდ იმ სხვაობის ხაზგასმას გულისხმობს, რომელიც გასულ საუკუნეში ქართულ სახვითი ხელოვნების განვითარებას ახასიათებდა, როგორც წინა საუკუნეებთან, ისე ახალ ქართული ლიტერატურისა და ნაწილობრივ თეატრის განვითარებასთან შედარებით. ეს სხვაობა თუმცა არსებითი ხასიათის იყო, მაგრამ არა აბსოლუტური: ქართული მხატვრობა მეცხრამეტე საუკუნეში 80-იან წლებამდე იკაფავდა გზას. ამ გზის ჩამოყალიბება არსებითად გვევლინება, როგორც გარკვეული ისტორიული პროცესი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და ამზადებდა ნიადაგს ახალი ქართული სახვითი ხელოვნების ფორმირებისა და განვითარებისათვის; აგრეთვე, იგი წარმოადგენდა ხალხის სოციალური ყოფისა და ნაციონალურ-მხატვრული კულტურის განვითარების ორგანიულ მხარეს. შინაგან ნაწილს. საილუსტრაციოდ საკმარისია დასახელებს ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ კოლექციაში დაცული წარჩინებული წოდების წარმომადგენელთა ოჯახური და ინდივიდუალუ-

¹ ი. ჭავჭავაძე ერთერთ თავის პირად წერაღიში ი. ოქრომწველიშვილს წერდა: „...ხოლო იგი თეატრი რა დიდს რამ არის ჩვენი ის თანა და დეკამული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალიზმის ნიშანწყალი ჯერ ჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა ეგერთი ადგილია, ხაცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს ესეც საკმაო, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხვა ბევრი სიყვით მოსდევს“ ი. ჭავჭავაძე. „წერილები“ 1949 წ. 33-62).

ეს სტრიქონები ნათლად ადასტურებს იქ წარმოდგენილ ახსნას იმ გარემოებისა, რომ ქართული თეატრის ზემოთ აღნიშნული ვაცობებით უფრო თვალსაჩინო განვითარება გასულ საუკუნეში, შედარებით ქართული სახვითი ხელოვნებასა და მუსიკასთან, გამოწვეული იყო ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობით.

რი პორტრეტები, შესრულებული უცნობი ოსტატების მიერ, დაახლოებით გასული საუკუნის 40-იან და 60-იან წლებში და მხატვარ გრიგოლ ივანესაჲე მაისურაძის მოღვაწეობა. მითითებულ პორტრეტთა უმეტესს ნაწილს (ბაგრატიონთა პორტრეტული კომპოზიცია და სხვ.) თვალსაჩინოდ ახასიათებს ისეთი თვისებები, რომლებიც იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ისინი ქართველი ოსტატების მიერ არის შესრულებული. ამავე დროს, ეს ტილოები თვალსაჩინო პროფესიული ოსტატებით ხასიათდებიან, რაც ამ ეპოქის ქართული მხატვრული კულტურის გარკვეულ დონეს მიუთითებს.

გ. მაისურაძემ (1788—1885), რომელიც ახლო მდგარა პოეტ ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან, 1843 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადემია. იგი „თავის ხელობაში დახელოვნებასა და ბუნებრივ ნიჭს მოკლებული არ იყო“.¹

გ. მაისურაძემ თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა ქ. ქუთაისში. აქ იგი გასული საუკუნის 50-იან წლებში იწყებს მუშაობას ხატვანაზვისა და სუფთა წერის მასწავლებლად. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობაც ძირითადად ამ ქალაქთან არის დაკავშირებული. „ქუთაისში კერძო სახლებშიც და სხვა დაწესებულებებშიც,—აკითხულობთ გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ ნეკროლოგში,—ხშირად შეხვდებით განსვენებულის ყალბით დახატულს სურათებს; ბევრი იკონოსტასი (ყანკელი) გ. ი. მაისურაძის ნახელოვნებია ქუთაისის და ამ მაზრის სოფლების ეკლესიებში. ამრიგად განსვენებულმა ცხოველსახსოვარი დაუტოვა იმ ქვეყანას, რომელსაც ღრმა მოხუცებულობადის შეძლებისამებრ ემსახურებოდა“.² სამწუხაროდ, გ.

მაისურაძის ამ მრავალრიცხოვანი ნამუშევრებიდან, ამჟამად ცნობილია ალ. ბაგრატიონის პორტრეტები (პორტრეტი (ორივე ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ კოლექცია). ეს ნაწარმოებები არ არიან დიდი ოსტატობით და მხატვრული წარმოსახვით შესრულებული. განსაკუთრებით ეს ითქმის ბაგრატიონის პორტრეტის შესახებ, რომელიც ნახატის მხრივაც საკმაოდ მკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამავე დროს, ისინი ძირითადად „გარეგნულის გადმოცემით“ ისაზღვრებიან. ცხადია, ამ ორი ნაწარმოების მიხედვით შეუძლებელია მსჯელობა საერთოდ მხატვრის შემოქმედებით ინდივიდუალობაზე, მით უმეტეს, რომ ეს ტილოები შეიძლება არც იყო ტიპური მაისურაძის შემოქმედებისათვის. მიუხედავად ამისა, გადაჭრით შეძლება ითქვას, რომ გ. მაისურაძის შემოქმედებითმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გასული საუკუნის ქართული მხატვრული კულტურის განვითარებაში.

ახალი ქართული სახვითი ხელოვნების ფორმირებასა და განვითარებას თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი, ე. წ. „უცხო მხატვრების“, განსაკუთრებით რუსული სახვითი ხელოვნების ოსტატების მოგზაურობამ და მოღვაწეობამ საქართველოში.

რუსი მხატვრების მოღვაწეობა საქართველოში ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის ბოლოდან იწყება. ამ დროიდან ქართველი მეფეებისა და ცალკეულ შემთხვევაში წარჩინებული თავადების მოწვევით რუსეთის მეფეები, ალბათ, თავიანთი მხრივ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების გამო, საქართველოში ვზავნიდნენ საეკლესიო მხატვრობის ოსტატებს. უმეტესი ნაწილი ამ

¹ „დროება“, 1885 წ. № 129.

² იქვე.

მხატვრებისა, როგორც ეს თეიმურაზ მეფის მიერ 1688 წელს დ. მიშეცვისთან მოწერილ წერილით ირკვევა¹ მთელ თავიანთ სიცოცხლეს აქ ატარებდნენ. დამახასიათებელია, რომ თვით ქართველი მეფეებიც ზედმიწევნით იყვნენ დაინტერესებულნი რუსი მხატვრების საქართველოში დარჩენით. კერძოდ, თვით თეიმურაზიც განსაკუთრებულ ღონისძიებებსაც კი მმართველი ამ მხრივ².

შეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, გარდა იმისა, რომ ეს ურთიერთობა არსებითად განსხვავებულ სახეს იღებს, აგრეთვე განსაკუთრებით ფართოვდება რუსული ხელოვნების კავშირი ქართველ ხალხთან. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს ცნობილი რუსი მხატვრებისა და მოქანდაკეების სისტემატური მოგზაურობა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობა საქართველოში. მათ შორის ერთერთი პირველთაგანია გაგარინი, რომელმაც თვალსაჩინო დეაწლი დასდო ქართულ მხატვრულ კულტურას: მის სახელთან დაკავშირებულია არა მარტო ოფიციალური შეკვეთების შესრულება და ქართული თემატიკის ამსახველი ნაწარმოებების, კერძოდ ცნობილ „ქართველი ქალების“ სერიის შექმნა, არამედ ამავე დროს იგი იყო ახალი ქართული თეატრის პირველი წარმოდგენების გამფორმებელიც; სახელდობრ, მის მიერ გაფორმებულ სცენაზე და მის მიერვე შესრულებული დეკორაციებში დაიდგა 1850 წლის 2 იანვარს გ. ერისთავის „გაყრა“; ხოლო 3 მაისს იმავე ავტორის „დავა.“ მასვე ეკუთვნოდა აგრეთვე ახლად-აგებული თეატრის მოხატულობა.³

50 წლებშივე (1849-და 1851) საქართველოში ხანგრძლივად მოგზაურობს ეანრისტი და პეტრუხინი, ი. სოკოლოვი, ხოლო უფრო გვიან ბატალიური მხატვრობის აკადემიკოსი კ. ნ. ფილიპოვი. უკანასკნელი რამდენიმე წელს მუშაობდა თბილისში 1864 წლიდან, როგორც ოფიციალური მხატვარი (მოვლინებული იყო კავკასიის მეფის ნაცვალთან).

1864 — 1865 წლებში საქართველოში ცხოვრობდა და ხატვას ასწავლიდა თბილისის ერთერთ სასწავლებელში ცნობილი ბატალისტი ვ. ვ. ვერეშჩაგინი.

80-ანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში მოგზაურობს მოქანდაკე ე. ა. ლანსერე, მეორე ნახევარში — კ. ო. მაკოვსკი, ი. რეპინი, ნ. ს. სამოკიში, რუბო და სხვები. მათი უმრავლესობა (თითქმის ყველა, გარდა რეპინისა), საკმაოდ ხანგრძლივად დარჩნენ და მუშაობდნენ თბილისში.

ყველა ეს ოსტატი მათი უშუალო დამოკიდებულებით უდავოდ უწყობდა ხელს ქართული მხატვრული კულტურის განვითარებასა და სახეითი ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერებას. მაგრამ ახალი ქართული ხელოვნების განვითარებისათვის რუსული ხელოვნების მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ აღნიშნული მომენტით. აქ საჭიროა ხაზი გაუსვათ კიდევ ერთ, უფრო არსებითი მნიშვნელობის გარემოებას. როგორც ცნობილია, 60—80-იანი წლების რუსული სახეითი ხელოვნება რუსი ხალხის ცხოვრების ორგანიულ და უადრესად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. ამ ეპოქის რუსული რეალისტური მხატვრობა, პერედევიჩნიკული მიმდი-

¹ М. Полневков, «Новые данные о московских художниках XVI-XVII в. в в. Грузини», 1941 г., Тбилиси, გვ. 13.

² ამ მხატვრების მიერ მოხატულია გრემი, ალავერდი და მთელი რიგი სხვა ძეგლებისა.

³ ამავე პერიოდში თბილისის რუსულ დრამატულ თეატრში მუშაობდა აგრეთვე მხატვარი ფროლოვი.

ნარეობის სახით, მეტად დიდი საზოგადოებრივი და მხატვრული ასპარეზით ხასიათდება. მისი მსოფლიო დიპლომატიური, ღრმად ხალხური, იდეური და ნაციონალური ბუნება, საფუძვლად დაედვა მის ფართო პოპულარობასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ყველაფერი ეს კი ფართო გამოაქიხის პოულობდა რუსეთის იმპერიაში გაერთიანებული ერების ცხოვრებაში და გარკვეულ გავლენას ახდენდა ამ ერების მხატვრული კულტურის განვითარებაზე. აღნიშნულ გავლენას განსაკუთრებით განიცდიდა ის ახალგაზრდობა, რომლებიც განათლებას რუსეთში იღებდნენ. ისინი ამ დიდსა და პროგრესულ მხატვრულ კულტურას ფართოდ წერგავდნენ თავიანთ ხალხში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

დასასრულ, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში თანდათან იზრდებოდა მუდმივად მცხოვრები, ე. წ. „მოსული მხატვრების“ რიცხვი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსები იყვნენ. მათმა მოღვაწეობამ აქ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ 1873 წელს „სამხატვრო საზოგადოებაც“ კი იქნა დაარსებული „თბილისელმა მხატვრებმა, — ვკითხულობთ მხატვარ დ. ა. პახომოვის წერილში „25 — летию Тифлисского Художественного общества“, — შემოქმედებს წესდება, რომელიც დამტკიცდა და შევიდა ძალაში 1873 წლის პირველ დეკემბრიდან. იდეა, რომელსაც დიდხანია ატარებდნენ ადგილობრივი მხატვრები, განხორციელდა...“¹ ერთი წლის შემდეგ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ხატვის სკოლაც. უკანასკნელისადმი იმდენად დიდი იყო ახალგაზრდობის რტოლეა, რომ იტულებული იყვნენ მსურველთა საგრძნობი ნაწილი-

სათვის უარი ეთქვათ სკოლაში მიღებაზე. მხატვართა საზოგადოებამ და მისმა სკოლამ გარკვეულწილად შექმნა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში. მაგრამ მხატვრული ხელმოკლეობის გამო მხატვართა საზოგადოებამ ვერ შესძლო დიდხანს დამოუკიდებლად არსებობა, რის გამო იგი 1876 წელს შეუერთდა სამუსიკო საზოგადოებას. დაარსებული იქნა „Кавказское Общество Поощрения Изящных Искусств“, რომლის წესდება 1877 წლის 31 მარტს იქნა დამტკიცებული კავკასიის მთავარმმართველობის მიერ. მიღწეული იქნა სამხატვრო სკოლის მხატვრული პირობების გაუმჯობესებაც. ამავე დროს, იმის გამო, რომ სკოლაში შემსუფთვლეთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, ხოლო ხატვის სკოლას მხოლოდ განსაზღვრული შესაძლებლობა ქონდა, საზოგადოებამ ნებადართო თავის წევრებს გაეხსნათ ხატვის, ფერწერისა და ქანდაკების კერძო კლასები თბილისში. 1881 წლიდან 1893 წლამდე თავისი სკოლა ჰქონდა თბილისში აგრეთვე პეტერბურგელ მხატვარს კ. კეპენს, რომელსაც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კონკურსზე თავისი მოწაფეების ნამუშევრების წარდგენის უფლება ქონდა მინიჭებული“.¹ „გარდა ამისა

¹ სამხატვრო განათლებას ამ პერიოდში თბილისში იმდენად ფართო ასპარეზი ჰქონდა მოკვეთული, რომ მხოლოდ საზოგადოების ხატვის სკოლის კერძო 1898 წლამდე გაველი დაახლოებით 500 მოწაფეს. აქედან თორმეტამდე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შესულა სწავლის გასაგრძელებლად. ეს რიცხვი თვალსაზრისით გაიზრდება, თუ მას დაუმოტკმებთ კერძო სკოლაში გაერთიანებულ მოსწავლეთა რიცხვს.

ამავე დროს, საზოგადოების სამხატვრო სკოლა არსებობდა თბილისში 1902 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ იქნა აღიარებული შეამდგომლობა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის წინაშე ამ სკოლის აკადემიის მიერ „მთარველობის ჭეშმარიტების შესახებ“ (პირველ

¹ „Искусство и художественная промышленность“, 1899 г. 6. გვ. 459.

როგორც თვით ადგილობრივი მხატვრები, ისე დროებით ჩამოსულნიც, მოყვარულნიც და უკეთესი მოწაფენი იკრიბებოდნენ თავისუფალ დროს, რომ ეხატათ ნატურიდან. 1882-83 წელს ეს საღამოები შეწყდა, მაგრამ ისევ განახლდა 1885 წელს პროფ. კ. ე. მაკოვსკის ინიციატივით. ამ სეანსებში მონაწილეობის მიღების მსურველნი იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ უბინობის გამო იძულებული იყვნენ ნახევარი-სათვის უარი ეთქვათ¹.

ყველაფერი ეს, წარმოადგენდა საქართველოში მხატვართა საზოგადოების დაარსებისა და სპეციალური სამხატვრო განათლების დამკვიდრების პირველ ცდას, რასაც უღაოდ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ქართული მხატვრობის განვითარებისათვის. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ცდას აკლდა სათანადო ნაციონალური ნიადაგი. როგორც საზოგადოების შემადგენლობა, ისე სკოლის ხელმძღვანელობა არსებითად არ იყვნენ დანიტერესებული ქართული ხელოვნების აღორძინებით. მათ ძირითადად პროფესიონალური მოწოდება ან საკუთარი შემოქმედებით-პედაგოგიური ასპარეზი ამოძრავებდათ. შემოქმედების მხრივაც ყველა ეს მხატვარი (კ. კოლიჩინი, ლონგო და სხვა) მეტად განსაზღვრული დიაპაზონით ხასიათდებოდნენ. ძირითადად ეთნოგრაფიზმი ან სინამდვილის პირდაპირი (გარეგანი) გამოსახვის

პრინციპი საზღვრავს მათ მხატვრულ მსოფლშეგარჩნებას. ამიტომ მათი კულტურები უმთავრესად ნატურისტიკურ ფერო წარმოდგენენ, ვიდრე დიდი შემოქმედებითი აღზნების, ნამდვილი მხატვრული განცდისა და განზოგადოების შემცველ ქმნილებას.

80-ან წლებში ქართული მხატვრული კულტურის განვითარების ასპარეზი, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად, თვალსაჩინოდ ფართოვდება. ეს გარემოება ძირითადად ორი ურთიერთთან ორგანიზულად დაკავშირებული მოვლენით იყო გამოწვეული. პირველ მათგანს ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების უფრო მძაფრი სახით გამოვლინება წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ამ დიდი ისტორიული შენაცვლების პროცესს ყოველთვის ახლდა თან კულტურის განვითარების მრავალფეროვნება. ეს ისტორიული ტრადიცია, ცხადია, არ შეიძლება არ გამეორებულყოფიყო საქართველოშიც. მეორე ფაქტორი ქართველი ხალხის ეროვნული მდგომარეობის გაძლიერებისა და ქართული კულტურის საერთო განვითარების სახით გვევლინება. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების შედეგად ერი ახლა უკვე აღარ იდგა ისეთი საფრთხის წინაშე, როგორც მას უფრო ადრე ემუქრებოდა. რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი შედარებით თვალსაჩინოდ განმტკიცდა. ამავ დროს, თვით ამ ბრძოლის ხასიათით შეიცვალა: ჯერ კიდევ 50—60-იანი წლებიდან ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთერთ ძირითად მომენტად ეროვნული კულტურის არა მარტო დაცვა, არამედ მისი ყოველმხრივი განვითარება იქცა. აღნიშნულს თან ერთოდა ახალი ქართუ-

ლად 1886 წელს, მეორედ 1894 წელს). მაგრამ ორივე შემთხვევაში უშედეგოდ. მხოლოდ 1902 წელს გადაწყდა ეს საკითხი და მაშინაც მხოლოდ დროებით. (ამის შესახებ ქვემოთ გვეყენება საუბარი).

¹ «Императорская Санктпетербургская Академия Художеств» 1764—1914г.

² «Искусство и художественная промышленность». 1889 წ. № 6, გვ. 466 თბილისის სკოლის შესახებ, ვარდა აქ მოთავსებულნი წერიათ, იხილეთ გვ. 252—254.

ლი ლიტერატურის განვითარების დი-
დი გზა, რომელიც ქართველი ხალხის
ცხოვრების ორგანიულ ნაწილს შეად-
გენდა და რომელმაც ღრმად გაანაყო-
ფიერა ნიადაგი მხატვრული კულტუ-
რის სხვა დარგების აღორძინებისათ-
ვის.

ძირითადად ამ მომენტთა მთლიანობის
ნიადაგზე აღმოცენებული ქართული
მხატვრული კულტურის განვითარების
ზემოთ აღნიშნული ახალი ასპარეზი
მომხსენებელში განსაკუთრებით მკვეთ-
რად გამოვლინდა სახვითი ხელოვნების
სფეროში. ამ მიჯნაზე ქართული ხე-
ლოვნების ისტორიაში იბადება ახალი
პერიოდი, რომელიც ახალი ქართული
სახვითი ხელოვნების სახელწოდებით
არის ცნობილი და რომლის ფორმირე-
ბასა და განვითარებაში, როგორც ვნა-
ხეთ, ნაციონალური სოციალურ-მხატვ-
რული ვითარების საფუძველზე, მნიშ-
ვნელოვანი როლი ითამაშა გასული
საუკუნის რუსულმა რეალისტურმა ხე-
ლოვნებამ.

გრიგოლ ტატიშვილის, რომანოზ
გველესიანისა და ალექსანდრე ბერი-
ძის სახელებთანაა დაკავშირებული ამ
უღარესად მნიშვნელოვანი გარდატე-
ხის დასაწყისი.

პირველი ქართული სილოგრაფ-გრა-
ვიორი გრ. ტატიშვილი შემოქმედები-
თი მოღვაწეობის ასპარეზზე ჯერ კი-
დეც 60-იანი წლებში გამოვიდა. ამი-
ტომ მისი შემოქმედების პირველმა პე-
რიოდმა გარკვეული როლი ითამაშა
ახალი ქართული მხატვრობისათვის
ნიადაგის მომზადებაშიც.

გრ. ტატიშვილი (1838—1911) გო-
რელი მხარეულის შვილი იყო; სილა-
რების გამო მას არც ზოგადი და არც
სპეციალური განათლება არ მიუღია.
გრაფიკული ხელოვნება მან მხოლოდ
პრაქტიკულად შეისწავლა. თბილისში
მომუშავე იტალიური საოპერო დასის
დეკორატორ მხატვრებთან მუშაობისას.
პირველად იგი ჩვეულებრივ დანიტ

სჭრიდა ხეზე აფიშებს. შემდეგ კი თან-
დათან ეუფლება სათანადო ტექნიკასა
და მხატვრულ ოსტატობას. 1866 წელს
თბილისში აარსებს საკუთარ ფირმას
ტიტულით: „Г. П. Татишвили первый
Тифлисский гравер по дереву, фир-
ма 1868 года.“ ეს ის დროა, როდესაც
მას უკვე დაწყებული აქვს ქართული
მხატვრული შრიფტისა და აგრეთვე
მდიდარი ქართული არქიტექტურული
ორნამენტების გრაფიკული დამუშავე-
ბა. მისი ეს ძიება განსაკუთრებულ ინ-
ტენსიურ ხასიათს იღებს 80-ანი წლებ-
ში. ამ პერიოდიდან იგი მთელ თავის
თავისუფალ დროს ანდომებდა ქართუ-
ლი ჩართული ანბანის (მონოგრამების)
შედგენა-ამოკრას, რომელიც 1894
წელს გამოსცა ალბომის სახით. „სრუ-
ლი თერთმეტი წელი ვიმუშავე,—წერ-
და მხატვარი,— ამ ჩართულს ანბანზე
(მონოგრამებზე) და ჩემი თავისუფალი
დრო მთლად მის შედგენა-ამოკრას
მოვანდომე. ეს ჩემი განზრახვა 1882
წელს განსვენებულმა დავით ერისთავ-
მა, რომელსაც ხელოვნება უყვარდა და
რომელიც მისი დიდი თაყვანისმცემე-
ლი იყო, ძალიან მომიწონა და უფრო
წამახალისა კიდევ იმით, რომ ზმირად
შემომიკვეთდა ზოლზე სხვადასხვა
ჩართულ ასოებს ზოგს თავისთვის და
ზოგსაც სხვისთვის. განსვენებულის
ერისთავისაგან წახალისებულმა, რაც
კი შემემლო ვიწრომე და დავამთავრე
კიდევ.“¹ გრ. ტატიშვილმა შეადგინა
და გამოსცა აგრეთვე „ქართული ანბა-
ნის თავიული“ და სომხური ანბანის
ალბომი.

1888 წელს გამოვიდა შ. რუსთვე-
ლის გენიალური პოემა „ვეფხვის ტყა-
ოსანი“. — უნგრელი მხატვრის ზიჩის
ილუსტრაციებით. ამ წიგნის მორთუ-

1 ბ. გორდენიანი, „ქართული გრა-
ფიკული ხელოვნების ფუძემდებელი“, გაზ.
„ლიტერატურა და ხელოვნება“, 1926 წ., № 31
(127).

ლობა: არშიები, სათაური ასოები და საბოლოოები გრ. ტატიშვილს ეკუთვნოდა. მხატვარმა ისინი ქართული ხელნაწერების მორთულობისა და ქართული არქიტექტურის ცნობილი ძეგლების ორნამენტების საფუძველზე შექმნა. „არშიები, სათაური ასოები და საბოლოოები, — ვკითხულობთ გამოცემულს ბოლოსიტყვაობაში, — შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოსურეს პეტერბურგში ლიკანმა და მეიემ. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულია ძველი მწერლობიდან და საქართველოს ციხე-ველესიებიდან, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს, — მცხეთას, უფლისციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, გელათის, საფარას, კბენს: აბტალას, ფიტარეთს, სამთავროს, ატენს — თავისი ნაწილი უღვეს ამ წიგნში, თავისი კვალი აქვს აღბეჭდილი“¹.

უმთავრესად პროპორციისა და ხაზის შესანიშნავი მხატვრული შეგრძნობით და ოსტატობით არის შესრულებული გრ. ტატიშვილის მიერ ქართული ბეჭდვითი გრაფიკული ხელოვნების ეს პირველი შესანიშნავი ძეგლი. მართალია, მასში არ არის ამეცყველებული მხოლოდ დამოუყვებლად შექმნილი ფორმები, მაგრამ ამავე დროს იგი არც ისტორიული მასალის პირდაპირი ვადალებით ხასიათდება. გრ. ტატიშვილმა თავის ამ პირველ მონუმენტალურ ნაშრომში აღნიშნული მდიდარი ორნამენტული მასალა, გარდა მხატვრული ინდივიდუალიზირებისა, „გრაფიკულად ვადაამუშავა, შეუღდა ახალ მასალას — ქაღალდსა და

წიგნის გაფორმების პრინციპებს დაქვემდებარა“¹.

დიდია გრ. ტატიშვილის ფუძემდებლობა, როგორც ქართული ისე საერთოდ მთელი ამიერ-კავკასიის პერიოდული პრესის წინამძღვ. მისი ნამუშევრები თბილისის თითქმის ყოველ პერიოდულ გამოცემას ამშვენებდა, განსაკუთრებით ცირკოვრადიის დაარსებამდე. ამავე დროს, მისი ეს მოღვაწეობა არ იფარგლებოდა მხოლოდ გაფორმებით. მის სახელთან დაკავშირებულია სურათებისა და ილუსტრაციების მთელი სერიის შექმნაც. ამ ხასიათის მისი ნაწარმოებები, გარდა ქართული და სომხური საბავშვო და სხვა ჟურნალებისა („ჯეჯილი“, „ნაკადული“ და სხვ.), გვხვდება მრავალ ცალკეულ გამოცემაშიც. მათგან აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“, აგრეთვე „რუსკოე სლოვოსა“ და სხვადასხვა საბავშვო მოთხრობების დასურათება. როგორც საერთოდ, ისე ამ ნაწარმოებშიც მხატვარი რეალიზმის თვალსაზრისზე დგას. მხატვრული ოსტატობის მხრივ კი, შედარებით, ყველა ეს სურათი და ილუსტრაცია, უმთავრეს შემთხვევაში, განსაზღვრული ხასიათისაა.

გრ. ტატიშვილი იყო არა მარტო ქართული ბეჭდვითი გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი, არამედ ახალი ქართული რეალისტური სახვითი ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელიც ამ დარგში. მისი მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა რომე-

¹ ბ. გორდენიანი, „ქართული გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი“, ვახუშტის და ხელოვნება“ 1946 წ. № 31 (127). გრ. ტატიშვილმა ამ გამოცემისათვის დამუშავებული ორნამენტების ალბომი გამოსცა 1900 წ. პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის. გამოფენაზე გრ. ტატიშვილის ეს ალბომი დაჯილდოებული იქნა.

¹ „ვეფხისტყაოსანი“, 1886 წ. გვ. 359.

ლიც ორგანულად იყო დაკავშირებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, ათეული წლების განმავლობაში ამდიდრებდა ქართულ მხატვრულ კულტურასა და ნერგავდა მშობლიურ ხალხში სიყვარულს გრაფიკული ხელოვნებისადმი.

რ. გველესიანის შემოქმედებითი გზა, შედარებით მეტად ხანმოკლე იყო, — იგი არსებითად მხოლოდ სამ წელს გრძელდებოდა. ამავე დროს, ეს პერიოდიც ძირითადად მხატვრის სტუდენტობის (მეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლის) წლებს ემთხვევა. მიუხედავად ამისა, ამ კეშმარტივად დიდი ტალანტით დაჯილდოვებულმა ხელოვანმა მაინც მოასწრო თვალსაჩინო როლი ეთამაშა ახალი ქართული მხატვრობის ისტორიაში.

რ. გველესიანი დაიბადა 1859 წელს, შალაურაში (თელავის მაზრა). 1875 წელს მან დაამთავრა ს. ციხე-საცხენოს სამხედრო სკოლა და მუშაობა დაიწყო თბილისში მეფის ნაცვლის კანცელარიასთან არსებულ ტექნიკურ კანტორაში. აქ მომუშავე არქიტექტორები, განსაკუთრებით კი მხატვრის უფროსი ძმა ალექსანდრე, რომელიც თბილისის კადეტთა კორპუსში სწავლობდა და მხატვრობით იყო გატაცებული, კიდევ უფრო აძლიერებენ რომანოზში სამხედრო სკოლაში აღძრულ სიყვარულს ხელოვნებისადმი.

1879 წელს რ. გველესიანი შედის თბილისის ზატვის სკოლაში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1881 წელს. იმავე წელს იგი აბარებს საშუალო სასწავლებლის კურსს და იქერს მისაღებ გამოცდებს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

სამხატვრო აკადემიაში რ. გველესიანი თვალსაჩინო წარმატებას იჩენდა სპეციალურ საგნებში, რაც არა ერთხელ არის აღნიშნული აკადემიის საბჭოს ოქმებში. ამავე დროს, 1882 წლი-

დან იგი სისტემატურად თანამშრომლობს კურსალ „Нор“¹ (აფერძნებს სხვადასხვა წერილებს მხატვრულ ტექსტებს და ბეჭდავს თავის ნაწარმოებებსაც), ასურათებს საბავშვო მოთხრობებს და ასრულებს ცნობილი ნაწარმოებების პირებს.² აგრეთვე საზაფხულო არდადეგებს უმთავრესად საქართველოში ატარებს, სადაც ქმნის მშობლიური ქვეყნის (ძირითადად კახეთისა და თბილისის) პეიზაჟებსა და ტიპების ამსახველ მრავალრიცხოვან ჩანახატებს, ესკიზებს, ეტიუდებსა და ქანრულ პორტრეტებს.

1884 წელს რ. გველესიანი ამთავრებს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სრულ (ე. წ. მეცნიერულ) კურსს და სამშობლოში ბრუნდება (დაახლოებით შემოდგომაზე). მას განზრახული ჰქონდა აქედან, ჯანმრთელობის გაუმჯობესების შემდეგ (დასნეულებული იყო ტუბერკულოზით), იტალიაში გამგზავრება. მაგრამ ავადმყოფობა თანდათან უფრო გაუართულდა. 6 ნოემბერს იგი უკანასკნელად იღვა მოლბერტის წინ. რამდენიმე დღის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ — 1884 წელს 30 ნოემბერს კი სამუდამოთ შეწყდა ახალგაზრდა მხატვრის მაჯის-ცემა. თავისი პროფესიისადმი ფანტიკური სიყვარულით აღზნებულ კაბუქს არ დაცალდა შემოქმედებითი ძიებისა და სიხარულის დიდ გზაზე გასვლა; — მან ვერ მოასწრო ვერც ერთი დიდი ტილოს (სურათის) შექმნა. მიუხედავად ამისა, რ. გველესიანის შემოქმედება გარკვეული ინდივიდუალობის შემცველ მეტად კოლორიტულ, თვალსაჩინო დიაბაზონისა და მხატვრულ-ისტო-

¹ რ. გველესიანის მიერ შესრულებულ პირებიდან ამჟამად ცნობილია ბულოვის „მობანავე ქალი“. რომელიც ვადალვის ბრწყინვალე ინტატივით ხასიათდება. (მხატვარ რ. გველესიანის საკუთრება)

რიული მნიშვნელობის მქონე შემკვიდრეობას წარმოადგენს.

რ. გველესიანის შემოქმედებითი კრეატივის ფორმირებას მხატვრის დროის ქართული ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება და ქართული მხატვრული კულტურის საერთო დონე ედგა საფუძვლად. ამავე დროს, ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე გასული საუკუნის რუსული რეალისტური მხატვრობის პრინციპებმა. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში დამკვიდრებულმა ტრადიციებმა „კლასიკური ხელოვნების მარადიული პრინციპების“ პროპაგანდის სახით, ვერ წაშალა ახალგაზრდა ხელოვნებაში ეპოქის მოწინავე მხატვრულ იდეებით გატაცება და შშობლიურ ნაციონალურ ნიადაგთან ორგანული კავშირი. ამიტომ რეალიზმი, რომელიც მას ჯერ კიდევ აკადემიაში შესვლამდე იტაცებდა, აკადემიაში სწავლის პერიოდში მის შემოქმედებით სტიქიად იქცა, განსაკუთრებით ე. წ. თავისუფალ (აკადემიის პროგრამის გარეშე შესრულებულ) ნამუშევრებში. ეს მხარე რ. გველესიანის შემოქმედებისა იმ ნათელ დასაწყისს წარმოადგენდა, რომელმაც შემდეგ ჩამოყალიბებული და უფრო მკვეთრი ნაციონალური სახე მიიღო და ქართული ხელოვნების განვითარების ძირითად გზად, შინაგან სასიცოცხლო ფაქტორად იქცა.

რ. გველესიანის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „კახელი დოქით“, ე. მაღალაშვილის პორტრეტი (1884 წ. 22 ოქტომბერი), უცნობის პორტრეტი (1883 წლის 1 მაისი). „ქართული მანდილოსანი“ (1883 წ. აპრილი), მხატვარ ალ. ბერიძის პორტრეტი (ეტრუდი) და სხვა (დაცულია „მეტეხში“). ეს ფართო (თავისუფალი) მონასმით და დიდი მხატვრული განცდით შესრულებული ნაწარმოებები ნატურის გადმოცემისა და ფერწერის მეტად საინტერესო ოსტა-

ტობით ხასიათდებიან. ისინი მკვეთრად ავლენენ ახალგაზრდა მხატვრის დედ ტალანტსა და პროფესიულ კულტურას. იგივე ითქმის ისეთი ნახატების შესახებაც, როგორცაა: „ალავერდის ხიდი“, „დახურული ბაზზლიანა“, „მოდელი“ და სხვა.¹

რ. გველესიანის შემოქმედებით იწყება ახალი ქართული მხატვრობის ისტორია. ალ. ბერიძე უფრო გვიან გამოდის შემოქმედების ასპარეზზე, თუმცა სპეციალური განათლების მიღებამან რ. გველესიანზე ადრე დაიწყო.

ალ. ბერიძე დაიბადა 1858 წლის 1 ოქტომბერს. 1871 წ. მან დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი. 1875 წლიდან სწავლობს თბილისის ხატვის სკოლაში, რომელიც 1877 წელს დაამთავრა პრემიით. იმავე წელს იგი შედის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში (მიღებული იქნა თავისუფალ მსმენელად), სადაც ერთ წელს მეცადინეობდა.² შემდეგ კი ავადმყოფობის გამო სამშობლოში დაბრუნდა.

1879 წელს ალ. ბერიძე ნეაპოლის სამეფო სამხატვრო ინსტიტუტში შედის. 1881 წელს ისევ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის უბრუნდება (მეცადინეობს ნატურის კლასში), ხოლო 1882 წელს კვლავ ნეაპოლში მიემგზავრება.

1885 წელს ახალგაზრდა მხატვარი სამშობლოში ჩამოდის და პქმნის შ. რუსთაველის, ალ. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის გრაფიკულ პორტრეტებს, რომლებიც

¹ აღნიშნული ნახატები მოთავსებულია ალ. ბომში, რომელიც შესრულებულია 1883 წლის ზაფხულში საქართველოში, მასში უმოთაგრესად ასახულია კახეთისა და თბილისის პეიზაჟი და ტიპები. აგრეთვე ხელოვნების მეტეხის „მეტეხის“ კოლექციონში დაცულია მხატვრის სხვა ორი ალბომი, რომლებიც შეიცავს ჩანახატებსა და აკვარელს, შესრულებულს 1879 — 1880 წლებში.

² პირველად ჩარცხული იქნა ე. წ. „თამაშის თავის კლასში“, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ „ფიგურის კლასში“ გადავიდა.

ეურნალ „თეატრში“ იბეჭდებოდა 1885—1886 წლებში. ამავე დროს, იგი მუშაობას იწყებს თეატრალურ-დეკორატიულ მხატვრობაში, რაც იმითაც აიხსნება, რომ მხატვარი საერთოდ ახლოს იდგა თეატრთან და „ქართული დრამატიული საზოგადოების“ ერთერთი დამფუძნებელი წევრიც იყო (1879 წ.). ამ მხრივ მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია 1886 — 1887 წლებში ქართული (ბანკის) და რუსული „(კრუცოკის“) თეატრებისათვის მხატვრული ფარდების შექმნა. „მაშინვე (იგულისხმება 1886 წ.),—წერდა მხატვარი 1888 წლის ოქტომბერში ი. ოქრომჭედლის შვილს, — მივიღე „კრუცოკის“ თეატრისათვის ფარდის ხატვა: შარშან ამ დროს გავათავე მეორე ფარდა ბანკის თეატრისათვის“¹. (ამ უკანასკნელი ფარდის ესკიზი ამჟამად დაცულია საქ. თეატრალურ მუზეუმში). ამავე დროს მას ქართული თეატრისათვის დაუხატავს დეკორატიული ხასიათის დიდი სურათები დეკორაციების მიჯნურ.² ამ ნამუშევართა სახით ალ. ბერიძემ საფუძველი ჩაუყარა ქართულ თეატრალურ მხატვრობას.³

ყველა ის დაკვეთა, რომლებსაც ამ პერიოდში ასრულებდა მხატვარი თბილისში, ნაწილობრივდაც ვერ აკმაყოფილებდა მის მინიმალურ მოთხოვნებს. ამიტომ 1887 წელს მას სურ-

და ხატვის გაკვეთილების აღება თბილისის წმინდა ნინოს ქვეყნის მხატვრულ-სკოლაში, მაგრამ უარისცხადებას უკმაყოფილებლობის დიპლომის უქონლობის გამო“. იძულებული გახდა 1888 წლის მაისში იტალიაში გამგზავრება გადაეწყვიტა იმ მიზნით, რომ „ან რომში, ან ნეაპოლში და ან მილანში“ სამუშაო ეშოვნა, ამით მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებია და აგრეთვე მიეღო „სწავლა და განვითარება ფერადებით ხატვაში“.¹ უსახსრობის გამო მხატვარმა შესძლო მხოლოდ ვენეციამდის მიღწევა. იქ მისი ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ ი. ოქრომჭედლის შვილისადმი მიწერილ წერილში შემდეგს ვკითხულობთ: „ზოგს დეკორაციებს ვუხატავ, ზოგს წიგნებისათვის სურათებსა და ზოგს მეტად იაფ ფასად პორტრეტებს და მით გავდივარ დღიურად. ხან ლუკმა პური მაკლია და ხან ფერები“.² იმდგაცრუებული მხატვარი ახლა მოსკოვში მუშაობაზე იცნებობს აქ „ერთ-ორ ხატვის გაკვეთილს ვიშოვნე, რომ თავი ვირჩინო, ზაფხულამდის მოვემზადები (დღე-ღამე ვიმუშავე) თეორიულად (პრაქტიკულად მხატვრობაში საკმაოდ განვითარებული ვარ) და მაისში მასწავლებლობაზე გამოცდას დავიჭერ და დიპლომით დავბრუნდები საქართველოში, რომელსაც მსურს თავი შეეწირო და სადაც მსურს ძვალი და რბილი დავსტოვო“.³ ისევ მატერიალური დაბრკოლების მიზეზით ალ. ბერიძემ ამ განზრახვის განხორციელებაც ვერ შესძლო და ჩქარა სამშობლოში დაბრუნდა. ვერც თავისი შემოქმედებით, ვერც მცხეთაში კერამიკული ქარხნის გახსნით, აქ მან ვერ გადალახა თავისი მატერიალური ხელმოკლეობა, რის გა-

¹ ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1927 წ. № 5, გვ. 178.

² დეკორაციების მიჯნურ. — ვკითხულობთ ი. ოქრომჭედლისადმი მიწერილ იმავე წერილში, — მეორევე საზოგადოებას (იგულისხმება ქართული დრამატიული საზოგადოება) უშველებელი სურათები დაუხატე“.

³ ალ. ბერიძის ქართულ თეატრთან დამოკიდებულებას (სიახლოვას) მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე ერთი დეტალი ე. გუნიას მოგონებებიდან: „იტალიიდან ახლად ჩამოსული მხატვარი საშა ბერიძე ისეთი ილტყეული დარჩა შარშან საფაროვას მიერ ოფელიას როლის შესრულებით, რომ მან ზეპირად ფერადით დახატა მისი სურათი ოფელიას როლში“.

¹ ციტირებულია იმავე პირად წერილიდან „ქართ. მწერლობა“, 1927 წ. № 5, გვ. 179.

² იქვე გვ. 179.

³ იქვე, გვ. 179.

მო დაახლოვებით 900-ანი წლების მიჯნაზე ქ. კავკაეში (ძალეიკაუ) გადასახლდა, სადაც სიკვდილამდე დარჩა ხატვის მასწავლებლად (გარდაიცვალა 1917 წ.). ცხოვრებისა და მხატვრული განათლების აღნიშნული ხასიათის გამო მხატვარმა ვერ შესძლო გარკვეული შემოქმედებითი ინდივიდუალობის შექმნა და აგრეთვე შედარებით მეტად განსაზღვრული რაოდენობის ნაწარმოებები შექმნა. სამწუხაროთ ეს მცირერიცხოვანი ნაწარმოებებიც არ არის ცნობილი ამჟამად მთლიანად. ის რამდენიმე პორტრეტი კი (ალ. ბერიძის ძირითად ეპარს პორტრეტი წარმოადგენდა), რომლებიც ცნობილია, გარკვევით მიუთითებს მხატვრის სტილის, განსაკუთრებით კოლორიტის ხასიათის არსებით ნაირობას, თუმცა ამავე დროს ფერწერის ოსტატობის თვალსაზრისით ისინი თვალსაჩინო სიძლიერით ხასიათდებიან.

ალ. ბერიძის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებს წარმოადგენს „მოხუცი“, რომელიც დაწერილია 1881 წელს ნეაპოლში. შესრულების ხასიათის მხრივ დაახლოვებით ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს უფრო ძლიერი ეტიუდი „მოხუცის თავი“. ორივე ეს აღრინდელი ნაწარმოები, თუმცა არ ხასიათდებიან დამოუკიდებელი მხატვრული ინდივიდუალობით, მაგრამ მაინც მკვეთრად ავლენენ ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებითი წინსვლას. მკვეთრად განსხვავებული ხასიათისაა 1892 წელს შექმნილი ტილოები: „სალამურზე დამკვრელი ბიჭი“ და „პატარა გოგონა წინდას ქსოვს“. ამ ნაწარმოებთა თავისებურების ძირითად მომენტს კოლორიტი — ფერების თავისებური და მეტად პირობითი შეგრძნობა წარმოადგენს. ამავე დროს, ისინი ქართული თემატიკის მიუხედავად მეტად განსაზღვრული სახით შეიცავენ ნაციონალური ხასიათს. რეალიზმისა და ნაციონალური კოლორიტის თვალსაზრი-

სით, ალ. ბერიძის ერთ-ერთ უკეთეს ძლიერ ტილოდ უნდა იქნებოდეს „მწყემსი“ (სხვა სახელწოდებაა — „მწყემსი ბიჭი სახრით“). ამ დაუთარილებელ ნაწარმოებში, რომელიც 900-იანი წლების მიჯნაზე უნდა იყოს შექმნილი, მხატვარი გვევლინება, როგორც ნამდვილ რეალისტი და ღრმა ნაციონალური შეგრძნობის გამომხატველი ხელოვანი. იგივე ითქმის ალ. ბერიძის ისეთი ნაწარმოებების შესახებ, როგორცაა: „მოხუცი ქალი აივანზე“, აგრეთვე 1897 წელს კვალში დაბეჭდილი ნახატები „ჩვენი ცხოვრებიდან“ და „ნილინდრები“ და სხვა.¹

ალ. ბერიძის შემოქმედებაში ვხვდებით ისეთ პორტრეტებსაც, რომელშიც უფრო გარკვეულის გადმოცემაა დამინირებული, ვიდრე სახის რეალისტური გახსნა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის დ. ყიფიანის პორტრეტი (დაცულია შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში).

ალ. ბერიძის შემოქმედებაში, მითითებულ მოტივთა შორის, უფრო თვალსაჩინოდ რეალობია წარმოდგენილი. ეს მხარე ალ. ბერიძის შემოქმედებისა, აგრეთვე ნაციონალური ხასიათიც, მეტი სიმკვეთრით 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ვლინდება. მაშასადამე, რაც უფრო ორგანიულად უკავშირდებოდა ხელოვანი თავისი დროის სოციალურ ვითარებასა და მოწინავე მხატვრულ იდეებს, მით უფრო იხვეწებოდა მისი შემოქმედებითი თვალსაზრისი. საერთოდ თუმცა ა. ბერიძე არ იყო დაჯილდოებული ისეთი სიძლიერის მხატვრული ტალანტით, როგორც ახასიათებდა რ. გველესიანს, მაგრამ მიუხე-

¹ ალ. ბერიძის ყველა დასახელებული ნაწარმოები გარდა ორი უკანასკნელისა (მათი ორიგინალები არ შენახულა) დაცულია ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ კოლექციაში

დავად ამისა, მან მაინც გარკვეული როლი ითამაშა ახალი ქართული მხატვრობის ისტორიაში, როგორც თავისი რეალისტური ნაწარმოებებით, ისე ფერწერის თვალსაჩინო ოსტატობით.

გ. ტატიშვილის, რ. გველსიანისა და ალ. ბერიძის შემოქმედებით მოღვაწეობას, აღნიშნული მნიშვნელობის მიუხედავად, ქართული ხელოვნების განვითარებაში არ მოუხდენია ისეთი არსებითი ხასიათის გარდატეხა, როგორც დაკავშირებულია დიდი ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის სახელთან. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გ. გაბაშვილის შემოქმედების ასპარეზზე გამოსვლამდე თბილისის მხატვრული ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორს მაინც „მოსული მხატვრების“ შემოქმედებითი პრაქტიკა წარმოადგენდა.

გიგო გაბაშვილი ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელია. მან ქართული ხელოვნების შესანიშნავი ტრადიციებისა და ახალი ქართული ლიტერატურის, ვასული საუკუნის რუსული კლასიკური ესთეტიკის პრინციპებისა და დიდ რუსი პერედევიჩი-კელი მხატვრებს შემოქმედების ათვისების საფუძველზე მთლიანი, ჩამოყალიბებული სახით გამოავლინა და დიდ შემოქმედებით ასპარეზს დაუკავშირა ახალი ქართული რეალისტური ხელოვნების განვითარების გზა. რეალიზმის დამკვიდრება, ახალი ქართული მხატვრობის აღორძინება, ფერისა და ხაზის დიდი ოსტატობა, მკვეთრი შემოქმედებითი ინდივიდუალობა — ძირითადად ასეთია ის მომენტები, რომლებიც საზღვრავენ გ. გაბაშვილის შემოქმედების ხასიათსა და ისტორიულ მნიშვნელობას. არ გადავამარბებთ თუ ვიტყვით, რომ გაბაშვილმა დაახლოებით იგივე როლი ითამაშა ახალ ქართულ მხატვრობაში, რაც დიდმა ქართველმა შწერ-

ლებმა ილია ქაგვივაძემ და აკაკი წერეთელმა ახალ ქართულ ლიტერატურის ისტორიაში, ხოლო მერსე ხალოს სიამაყედ რ. რეპინმა მეცნიერებათა კენის რუსულ მხატვრობაში.

გ. გაბაშვილი დაიბადა 1862 წლის 9 ნოემბერს ქ. თბილისში. საერთო განათლება მან მიიღო თბილისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც 1880 წელს დაამთავრა... იმავე წლის 11 დეკემბრიდან 1883 წლის 1-ლ სექტემბრამდე გ. გაბაშვილი მუშაობდა თბილისის სასამართლო პალატის სამიჯნო უწყებაში თავისუფალ (შეკვეთებით მომუშავე) მხაზველად. ამ პერიოდში იგი უკვე თავდაიწყებით იყო გატაცებული მხატვრობით, რის გამო აღნიშნულ უწყებაში მუშაობის პარალელურად სწავლობდა პეტერბურგელი მხატვრის კ. კეპენის სამხატვრო სკოლაში. მომდევნო წლებში გ. გაბაშვილი გაეცნო ბატალისტ მხატვარ ფრ. რუბოს, რომელიც თბილისის სამხატვრო ისტორიული მუზეუმის შეკვეთის შესასრულებლად 1883 წლიდან თითქმის 90-წლებამდე სისტემატურად ჩამოდიოდა თბილისში, ხოლო აქედან მოგზაურობდა კავკასიის სხვადასხვა მხარეებში. გ. გაბაშვილი პირველ გაცნობისთანავე დაუახლოვდა მას, ხოლო 1884 — 1885 წლებში მის ასისტენტადც, რი მუშაობდა ყარსში მოგზაურობისას.

ერთის მხრივ, დამოუკიდებელი მუშაობის, ხოლო მეორე მხრივ — კეპენსა და ფრ. რუბოსთან მეცადინეობის შედეგად, ახალგაზრდა მხატვარი პირველ თვალსაჩინო შემოქმედებით წარმატებას აღწევს, რაც გარკვევითაა ასახული სინამდვილის რეალისტური განცდისა და დიდი შემოქმედებითი უნარის გადმოცემ მის ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა: „დედის პორტრეტი“ (1883 წ.), მცხეთის პეიზაჟის ამსახველი ჩანახატები (1884—1885 წ.).

„თულუხნი“ (ზეთი 1885 წ.). „ცხენი“ (ზეთი 1885 წ.) „ქალიშვილის პორტრეტი“ (1883 წ.), „ყარსი“ (ეტიუდი. 1885 წ.) და სხვა.¹ ეს წარმატებანი კიდევ უფრო აძლიერებდა გ. გაბაშვილის ოცნებას პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლის შესახებ. 1884 წელს ავადმყოფობის გამო მან ვერ მოახერხა აკადემიაში შესასვლელი გამოცდების ჩაბარება. მომდევნო წლის სექტემბერში იგი კვლავ პეტერბურგშია, მაგრამ ისევ ავადმყოფობის გამო ვერ იღებს მონაწილეობას მისაღებ გამოცდებში, რის გამოც კვლავ აკადემიის გარეთ დარჩენილი ხატვაში აგრძელებს მეცადინეობას. რამდენიმე თვის შემდეგ კი, სახელდობრ 1886 წლის პირველ თებერვალს იგი ჩარიცხული იქნა აკადემიის თავისუფალ მსმენელად, ხატვაში ე. წ. „თაბაშირის თავის“ კლასში, ხოლო ფერწერაში — პროფ. ვილევალდეს ბატალურ კლასში.

ვანსაკუთრებული ეკონომიური ხელმოკლეობის მიუხედავად, გ. გაბაშვილმა აკადემიაში წარმატებით დაიწყო მეცადინეობა: თავისუფალ მსმენელად ჩარიცხვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, აკადემიური ნახატის კარგად შესრულებისათვის გადაყვანილი იქნა ე. წ. „თაბაშირის ფიგურების კლასში“, ხოლო 1886 წლის 5 აპრილს ბატალურ კლასში შესრულებულ „ცხენის ეტიუდისათვის“ აკადემიის საბჭომ იგი დაჯილდოვა ვერცხლის პატარა წამახალისებელი მედლით. აკადემიის საბჭოს მიერ გაბაშვილის ნამუშევრები დაჯილდოვებული იქნა მომდევნო წლებშიც. კერძოდ, 1888 წლის 4—5 მარტის სხდომაზე, ვერცხლის დიდი წამახალისებელი მედლით დაჯილდოვდა გ. გაბაშვილის მიერ ბატალური

კლასის საგამოცდო გამოფენაზე წარდგენილი სურათი „ცხენოსანი ქურთი“. ბატალური კლასის „ჩირბოცდო გამოფენაზე მან წარადგინა არა სავალდებულო სურათიც — „დატვირთული აქლემები ისვენებენ ველზე“, რომელიც აკადემიის საბჭოს იმავე სხდომის მიერ ვერცხლის პატარა წამახალისებელი მედლით იქნა დაჯილდოებული. იმავე დროს, 1888 წელს, გ. გაბაშვილმა სურათი „მაზარი ბაქოში“, მონაწილეობა მიიღო სამხატვრო აკადემიის საერთო (ე. წ. აკადემიური) გამოფენაშიც.

„ცხენოსანი ქურთით“ გ. გაბაშვილი ამთავრებს ბატალური კლასის კურსს. ამის შემდეგ აკადემიაში სწავლის გაგრძელებისა (აკადემიის მეცნიერულ კურსის მსმენელად ჩარიცხვისა) და გამოსაშვებ გამოცდებზე დაშვებისათვის აუცილებელი იყო საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატის წარდგენა. რადგან ამ მოთხოვნილებას თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრება ვერ აკმაყოფილებდა, მხატვარმა საშუალო სასწავლებლის კურსის ჩასაბარებლად ერთი წლის აკადემიური შვებულება აიღო. აკადემიის საბჭოს 1889 წლის 17 მაისის სხდომის ოქმში, აღნიშნულ შვებულების მიცემასთან დაკავშირებით გ. გაბაშვილი დახასიათებულია, როგორც მეტად ბეჯითი და „ქარგი სამხატვრო უნარის“ მქონე.

აკადემიური შვებულების მიღებისთანავე გ. გაბაშვილი ბრუნდება სამშობლოში. აქ მან ეკონომიური ხელმოკლეობის გამო ვერ მოახერხა თავისი განზრახვის შესრულება; ამიტომ აკადემიური შვებულების ვადის გასვლის შემდეგ იგი არც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიას დაბრუნებია. ახალგაზრდა მხატვარი დაუღალავი შემოქმედებითი შრომით შეეცადა ამ დანაკლისის ანაზღაურებას: იგი გატაცებით ქმნიდა ნაციონალური თემატიკის

¹ უკანასკნელი ორი დაცულია საქ. სახ. სურათების გალერეაში, „თულუხნი“ თბილისის მუზეუმში, ხოლო ყველა დანარჩენი ნაწარმოებში ხელმოწერების მუზეუმის „მეტეხის“ კოლექციაში.

ამსახველ მრავალრიცხოვან ეტიუდებს, მონასტებს, ნაბატებს, ესკიზებსა და სურათებს, რომელთა სახით 1890 წელს მონაწილეობას იღებს თბილისის სამხედრო ისტორიულ მუზეუმში გამართულ ე. წ. „თბილისის მხატვრებისა და მხატვრობის მოყვარულთა გამოფენაში“, ხოლო 1891 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მართავს თავის ნაწარმოებების გამოფენას. ეს უკანასკნელი, რომელზედაც დაახლოებით 70 სხვადასხვა ქანრის ნაწარმოები იყო წარმოდგენილი, ისტორიულად არა მარტო ქართველი მხატვრის მიერ ინდივიდუალური გამოფენის გამართვის პირველ შემთხვევას, არამედ საერთოდ ქართული მხატვრობის პირველ გამოფენას წარმოადგენდა. მან ახალგაზრდა ხელოვანს ფერწერის რეალისტი ოსტატისა და დიდი ტალანტით დაჯილდოებული მხატვრის სახელი დაუმკვიდრა. გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გ. ვაბაშვილის ეს გამოფენა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა იყო, როგორც თვით მხატვრის შემოქმედებითი ევოლუციის, ისე ახალი ქართული მხატვრობის განვითარების თვალსაზრისით. სამწუხაროდ გამოფენის კატალოგი არ შენახულა. აგრეთვე, გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა აბსოლუტური უმრავლესობაც გაფანტულია (არ არის ცნობილი), რის გამო გამოფენის ყოველმხრივი განხილვა შეუძლებელი ხდება.

სხვადასხვა წყაროების მიხედვით, ამჟამად ცნობილ ნაწარმოებიდან აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ კოლექციაში დაცული: „ცხენოსანი ქურთი“, ეტიუდები: „ქურთი“ და „ზანგი“, აკარელი: „ძველი თბილისის ქუთხე“, „მრეცხავები მდინარესთან“, „დუქანთან“ (1890 წ.). „მრეცხავები“ და სხვა.

დამახასიათებელია, რომ გ. ვაბაშვილის პირველმა ინდივიდუალურმა გა-

მოფენამ განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა ადგილობრივ, როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში. განსაკუთრებით აღინიშნა სტრასბურის „ნახარი ორთაქალაში“ (1890 წ.) „ურემი“, „ბოსტანი“, თავადი ს-ს პორტრეტი და სხვ., რომლებიც ამჟამად უგზო-უყვლოდ არის გაფანტული.

1891 — 1893 წლებში გ. ვაბაშვილი ახალ უარესად მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას აღწევს. იგი ამ პერიოდში ზედიზედ ქმნის უმთავრესად თბილისის ყოფისა და პეიზაჟის ამსახველ ისეთ საერთოდ აღიარებულ შესანიშნავ ნაწარმოებებს, როგორცაა: „წვიმის შემდეგ“ (1891 წ. დაცულია „მეტეხში“), „ჩაის გამყიდველი“ (1891 წ. დაცულია იქვე), „აღმოსავლური სიძველეების დუქანი“ (1891 წ. კერძო საკუთრება), „სამი მოქალაქე“ (1893 წ. დაცულია „მეტეხში“) „მოლა“ (დაცულია იქვე) და სხვ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „სამი მოქალაქე“. ეს ფერწერის ბრწყინვალე ოსტატობით და ღრმა მხატვრული განცდით შესრულებული დიდი რეალისტური ტილო მხატვრის პირველ შედეგს წარმოადგენს. მასში არ არის ასახული რაიმე მოქმედება, ან თხრობითი სიუჟეტი. ამავე დროს, იგი არც პორტრეტული კომპოზიციაა, რადგან თუმცა გარკვეული თბილისელი მოქალაქეების მიხედვითაა დაწერილი, მაგრამ არა პორტრეტული მიდგომით: მოქალაქეები ამ სურათში ამეტყველებულია არა როგორც დამოუკიდებელი სახეები, მკვეთრად გამოჩნული ურთიერთისაგან, არამედ ისინი არსებითად ერთ ტიპს, ერთ განწყობასა და ფსიქიკას ასახიერებენ; მათ თავისებურ, თითქოს მრისხანე გამოხედვასა და სახის მკვეთრ ნაკვეთებში ერთი „სული და ცხოვრება“ გადაშლილი, სხვადასხვა მხრივ. ეს არის ცხოვრება და სული ქალაქის მსხვილი ვაჭრებისა, მხატვრის მიერ მკვეთრი, აშკარა სარკაზმით და

ღრმა რეალისტური სიმართლით გადმოცემული. ყველაფერი ეს კი „სამ მოქალაქეში“ იმდენად მძაფრად და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი, რომ ამ ტილოს წინ ყოველმხრივ გრძნობთ მოქალაქეთა სოციალურ და ინტელექტუალურ „მეს“.

1894 წელს, დაახლოებით გაზაფხულზე, გ. გაბაშვილი, რამდენიმე თვით მოგზაურობს შუააზიაში, კერძოდ სამარყანდსა და ბუხარაში; აქედან ისევ სამშობლოში ბრუნდება, ხოლო იმავე წლის ნოემბერში მიდის მიუნხენს სამხატვრო აკადემიაში სწავლის გაგრძელების მიზნით. აქ მან ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები, რის გამო ჩარიცხული იქნა კომპოზიციის კლასში.

შუააზიაში მოგზაურობისას, ამ ქვეყნით მოხიბლული ხელოვანი, ადგილობრივი ყოფისა და პეიზაჟის ამსახველ შრავალიცხოვან ეტიუდებს, ესკიზებს, ნახატებსა და სურათებს ჰქმნის. ამ ციკლის ამჟამად ცნობილ ეტიუდებისა და ჩანახატებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „სამარყანდელი ბიჭი“ (დაცულია „მეტეხში“) „სამარყანდელი“ (დაცულია თბილისის სამხატვრო აკადემიაში), „რეგისტანის მოედანი“ (დაცულია „მეტეხში“), „რეგისტანის მოედანი“ (დაცულია იქვე), „ბუხარელი“ (დაცულია იქვე), „მედრესე შირ-დორი“ (დაცულია თბილისის სამხატვრო აკადემიაში), „სამი ბუხარელი“ („მეტეხში“) და სხვ., რომლებიც შესანიშნავად გადმოგვცემენ შუა აზიის ყოფას, ტიპებსა და პეიზაჟს. რაც შეეხებოდა იმავე ციკლის სურათებს, მათგან ცნობილია მხოლოდ ერთი „ბაზარი სამარყანდში“ (დაცულია იქვე). ეს ტილო ასახეირებს სამარყანდის ცენტრალური მოედნის (რეგისტანის) ერთ ნაწილს. მასში, როგორც ფერწერის, ისე გამოსახვის სიმკვეთრის თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევა შესანიშნავად შესრულებული წინა მხარე.

ეს თემა 1896 და 1897 წლებში კვლავ ეოცხლება გ. გაბაშვილის მოლბერტზე, ახალი ვარიანტით. ცნობილია აგრეთვე ამ სურათის ორი ვარიანტი, მათგან — ერთი უთარილო, ხოლო მეორე დაწერილი 1920 წელს (ოთხივე დაცულია „მეტეხში“).

ყველაზე ძლიერს აქ ჩამოთვლილ ვარიანტებს შორის, ამავე დროს ზემოდ განხილულ 1894 წლის ვარიანტთან შედარებითაც, წარმოდგენს 1896 წელს შესრულებული ვარიანტი. ამ ტილოზე განსახიერებელია ბაზრობა სამარყანდის ცენტრალურ მოედანზე (რეგისტანის მოედანზე), მედრესეს შირ-დორის წინ. გრანდიოზული შირ-დორი, შუა აზიის XVIII საუკუნის არქიტექტურის ეს ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი, ადგილობრივი ნარევი მოსახლეობა თვებიანთი ჩაცმულობით და საერთო ნაციონალური კოლორიტით, დასასრულ, თვით სამარყანდის ბაზრის ხასიათი და იქაური ზაფხულის შუადღის მკაცრი პაპანაქება, ამ სურათში ოსტატობით და მკვეთრი რეალისტური სიმართლით არის ასახული. აქ უშუალოდ გრძნობთ საგნებისა და ადამიანების იმ ელფერს, რომელიც მხოლოდ ამ ქვეყანასა და ამ ხალხს ახასიათებს.

შუააზიის თემით იყო გატაცებული გ. გაბაშვილი მიუნხენშიც. კერძოდ აქ იგი წერს სურათს „დივან-ბეგის აუზი ბუხარაში“ (1895 წ.), რომელიც ამჟამად არ არის ცნობილი. ცნობილია მხოლოდ ამ სურათის განმეორება — ვარიანტი დაწერილი 1897 წ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტილო არ ეკუთვნის მხატვრის უძლიერეს ნაწარმოებთა რიცხვს, იგი მაინც თვალსაჩინო ოსტატობითაა შესრულებული. კერძოდ, კარგად არის მასში გადმოცემული ბუნება და ცალკეული ტიპები.

გ. გაბაშვილის შუააზიის თემაზე შესრულებულ ნაწარმოებთაგან ყურადღებას იქცევს აგრეთვე ორი სურათი

„დასვენება“ (ერძო საკუთრება) და „დაბახანა“ (1896 წ. ერძო საკუთრება).¹

მიუნხენში მხატვარი მეტად ინტენსიურად მუშაობდა. „Я работаю как волк — так что даже надрываю здоровье“, — სწერდა იგი 1895 წ. დეკემბერში მხატვარ დ. გურამიშვილს. ამავე წერილის მიხედვით, იგი დილის 9 საათიდან 5 საათამდე მუშაობდა კომპოზიციის სახელოსნოში, ხოლო შემდეგ მიდიოდა ხატვის კლასში. აღსანიშნავია, რომ მიუნხენის აკადემიის ხატვის კლასით განსაკუთრებული უკმაყოფილო იყო გ. გაბაშვილი; კერძოდ მას არ მოსწონდა აქ გაბატონებული სისტემა: „это строгое рисование, — сწერდა იგი იმავე აღრესანტს, — ведет всегда к сухости и другим не малым недостаткам“. ამის გამო მას ხატვაში მეცადინეობის მიტოვებაც კი განუზრახავს, რაც მხოლოდ თავმოყვარეობის გამო გადაუფიქრია.²

გ. გაბაშვილს ვერ აკმაყოფილებდა მიუნხენის აკადემია ვერც ნატურის შესწავლის მხრივითაც. „здесь, — სწერდა იგი მხატვარ დ. გურამიშვილს 1895 წლის 5 იანვარს, — мало удобства

для того, чтобы систематически изучать натуру“. სხვა წერილებიდან კი ამჟღავნებს, რომ საკუთარ მოუხეხის სამხატვრო აკადემიას არ შეეძლო რაიმე მიეცა მხატვრისთვის. ამას კარგად გრძნობდნენ თვით აკადემიის წევრები. „Страшно меня ругают художники, — сწერდა იმავე აღრესანტს მხატვარი 1895 წლის 2—14 ივლისს, — за то что я поступил в Академию, в том числе и Айзенгут; ругают тот же Рубо за то, что посоветовал поступить. И Рубо когда был у меня в мастерской, то и он согласился, что он не мог думать что я так работаю. Он был поражен моими успехами. Но конечно он не видел моих работ 7 лет и он думал, что долгое время пока я жил в Тифлисе, ничего не делал, ввиду этого отстал и потому он посоветовал. Но он когда видел мои картины, то согласился, что мне не следовало поступать в Академию“.

დასასრულ დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ გ. გაბაშვილი ამ წერილებშივე უარყოფითად აფასებს ამ ეპოქის მთელ გერმანულ მხატვრობას, ამავე დროს, აღტაცებულია ი. რეპინისათვის მიუნხენის საერთაშორისო გამოფენაზე დიდი ოქროს მედალის მინიჭების გამო.³ იგი სწერს: „Полную победу на выставке одержал, как я заранее еще до выставки говорил, Решин — русский художник, которому присудили золотую медаль большую. Почти все единогласно признают картину Решина сильным и выдающим. К величайшему моему огорчению скажу

¹ არსებობს აზრი, თითქმის გ. გაბაშვილი შუაზიის ციკლის ნაწარმოებებში ცნობილი რუსი მხატვრის ვ. ვ. ვერეშაგინის მძლავრ გავლენას განიცდიდა. ამ შეხედულების უფრო მაკერი ვარიანტი გ. გაბაშვილს ვ. ვ. ვერეშაგინის პირდაპირ ეპიგონადაც კი სთვლის. ჩვენი აზრით, აღნიშნულ დსკვენს არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია, რადგან ის მსგავსება, რომელიც გ. გაბაშვილსა და ვ. ვერეშაგინს შორის არსებობს, არსებითად მხოლოდ თემატურით იგივეობით ისარღვერება.

² «Меня только самолюбие удерживало не бросать, а именно то, что меня ученики и профессор и даже рецензенты считают талантливым, и так, если я действительно талантлив, то я должен уметь рисовать не хуже других».

(ციტირებულია იმავე წერილიდან)

³ ამ ფაქტთან დაკავშირებით გ. გაბაშვილმა წერილი მისწერა ი. რეპინს. 1895 წელს 13 ივნისს ი. რეპინი გ. გაბაშვილს უგზავნის საპასუხო წერილს, ეს წერილი, რომელიც ამჟამად დატულია „მეტეზში“, გამოხატავს გენიალურად რუსი მხატვრის მეტად მგზნებარე და თბილ დამოყიდებულებას დიდი ქართველი მხატვრისადმი.

правду, что у немцев такой застой в искусстве, какого я не мог себе представить. Но зато испанцы, англичане и даже французы по картинам молодцы, но всетаки Репину они все же уступают».

ყველაფერი ეს, ცხადია, არ იყო შემთხვევითი. გ. გაბაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში უშუალოდ ეცნობოდა დიდ რუსულ რეალისტურ მხატვრობას და უკვე ჩამოყალიბებული შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე რეალისტი ოსტატი-კოლორისტი იყო, არ შეეძლო დაეკმაყოფილებია, როგორც მიუნხენის აკადემიას, ისე საერთოდ ევროპის ხელოვნებას. იგი აქ ბოლომდე თავისი რეალისტური პრინციპების ერთგული დარჩა. ამავე დროს, აქ მან კიდევ უფრო მეტად იგრძნო გასული საუკუნის მეორე ნახევრის რუსული რეალისტური ხელოვნების სიდიადე და უპირატესობა. ამ რეალისტური შემოქმედებითი თვალსაზრისით უნდა აიხსნას ის ინტერესიც, რომელსაც გ. გაბაშვილი იჩენდა მიუნხენის პერიოდში დიდი ფრანგი განმანათლებლის დენი დიდროს მატერიალისტური ესთეტიკური იდეების მიმართ. ეს ინტერესი მხატვარში იმდენად დიდი ყოფილა, რომ მას რუსულ ენაზე უთარგმნია ძირითადი თავები დიდროს სახელგანთქმულ ტრაქტატიდან — „ცდა მხატვრობის შესახებ“.

1897 წლის ზაფხულში გ. გაბაშვილი განსაკუთრებული წარმატებით ამთავრებს მიუნხენის სამხატვრო აკადემიას და მიემგზავრება იტალიასა და საბერძნეთში სახვითი ხელოვნების ძეგლების ვასაცნობად, ხოლო იქედან, დაახლოებით 1897 წლის შემოდგომაზე, სამშობლოში ბრუნდება. ამის შემდეგ გ. გაბაშვილის შემოქმედებითი ინტერესი ძირითადად კვლავ მხოლოდ საქართველოს პეიზაჟისა და ქართველი ხალხის ყოფის ამსახველი თემატიკით ისაზღვრება. მხატვარი სისტემატურად მოგ-

ზაურობს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, სწავლობს იქაურ ყოფაცხოვრებას, ტიპებს, გეგმებს და ჰქმნის მათ ამსახველ მრავალრიცხოვან ეტიუდებს, ესკიზებს, ნახატებსა და სურათებს.

პირველი ასეთი მოგზაურობა გ. გაბაშვილმა ჩაატარა ხევსურეთში, 1898 წლის ზაფხულში. იგი აქ სწერს მრავალ ეტიუდებსა და ესკიზებს, ხოლო თბილისში დაბრუნების შემდეგ ხევსურეთის ბუნებით და ყოფით მოხიბლული დიდი გატაცებით იწყებს ცნობილი ხევსურული ციკლის სურათების შექმნას შეგროვილი მასალების საფუძველზე.

ამ ციკლის პირველ დიდ ნაწარმოებებს წარმოადგენს „მძინარე ხევსური“ (1898 წ. დაცულია „მეტეხში“). ამ ტილოზე ხევსურის მზით განათებული სახისა და ტრადიციული ხევსურული ტანსაცმლის გადმოცემა ერთ მთლიან აკორდს ჰქმნის, ორგანიულად შეხამებულს სურათის ფონთან. აქ არ მეტყველებს ისეთი მკვეთრად ნათელი, ღია გამა, როგორც დამახასიათებელია შუა აზიის ციკლის ან უფრო ადრე შესრულებული ნაწარმოებებისათვის. მძინარის სახეზე დომინირებული წითელი ტონი, ტანსაცმელის ამსახველი ძირითადად მონაცრისფერო და მომწვანო ფერთა შემცველი ტონების ვარიაციული თამაში, დასასრულ მუჭი (მოშავო) ფონი, მკვეთრად თავისებურ ხასიათს აძლევს ამ სურათის კოლორიტს.

„მძინარე ხევსურში“ ამეტყველებულია არა მხოლოდ ფერწერის დიდი რეალისტური ოსტატობა, არამედ ხევსურთა ყოფის ღრმა შეგრძნობაც. ამავე დროს, „მძინარე ხევსური“ გ. გაბაშვილის ნაწარმოებთა იმ წყებას ეკუთვნის, რომელშიც განსაკუთრებული სიმკვეთრითაა გადმოცემული განწყობა: — მის წინ მთელი სისრულით გრძნობთ მოქანცული მოხუცის უნებლიე ჩამოძინებას.

განწყობის გადმოცემის მეტი სიმკვეთრით ხასიათდება მეორე „ხევსურული შედევრი“, შეიძლება ითქვას ხევსურული ციკლის ყველაზე ძლიერი ნაწარმოები „მთვრალი ხევსური“, დაწერილი 1899 წელს (დაცულია „მეტეხში“). ამ სურათში შესანიშნავი, არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით— მომხიბლავი რეალისტური ხელოვნებით არის ასახული სიმთვრალე ტიპური ხევსურისა. გ. გაბაშვილის შემოქმედების ეს ერთ-ერთი მწვერვალი შესრულებულია დიდი მხატვრული შეგრძნობით და ფუნჯის გაბედული (ფართო), თავისუფალი მოძრაობით. შას უფრო ნათელი გამა და ტონების მეტი მრავალფეროვნება ასახიათებს, ვიდრე „მძინარე ხევსურს“.

ამავე თემაზე გ. გაბაშვილს დაწერილი აქვს— „მთვრალი ხევსურები“ (დაცულია იქვე) და „ხევსურთა დღეობა“ (დაცულია თბილისის სამხატვრო აკადემიაში), რომლებიც თემცა თვალსაჩინო ოსტატობითაა შესრულებული, მაგრამ „მთვრალ ხევსურთან“ შედარებით სავარაუდოდ უფრო ნაკლები სიძლიერით ხასიათდება.

ხევსურეთის თემაზე შესრულებულ ძლიერ ნაწარმოებების ციკლს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე „ხევსურები სადარაჯოზე“ (დაცულია „მეტეხში“). ეს შედარებით პატარა სიდიდის სურათი, რომელიც ჩვენი აზრით, 1898—1901 წლების მანძილზე, ძირითადად 1898—1899 წლებში უნდა იყოს დაწერილი, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, როგორც ფერწერის ოსტატობის, ისე პატრიოტული შინაარსის მხრივ.

1899 წელს, გ. დაბაშვილი კახეთში მოგზაურობის შემდეგ კქმნის თავის ერთ-ერთი შესანიშნავ ნაციონალურ ტილოს, დიდი რეალისტური ოსტატობით შესრულებულ მრავალფეროვან კომპოზიციას— „ალავერდობას“ (1899 წ. დაცულია „მეტეხში“). ამ სურათში ალავერდობა განსახიერებულია, რო-

გორც წმინდა ხალხური დღესასწაული, არსებითად ყოველმხრივ დაყოფილებულ ტრადიციული რელიგიური წესისაგაი. ჯგუფ-ჯგუფად ჩამომჯდარი შექიფიფიანებული გლეხები, ხალიჩა გადაფარებული ურმები, ამწვანებული ბალახი და ვრცელი მინდორი, ალავერდის ტაძრის ერთი მხარე და ტოტემ-გაშლილი მრავალწლოვანი ხე, ქოლგასავით რომ გადაშლია თავზე დღესასწაულის მონაწილეთა ძირითად ჯგუფებს, ღრმა რეალისტური სიმართლით არის ასახული ამ ტილოზე.

„ალავერდობა“ გ. გაბაშვილის ერთადერთი მრავალფეროვანი, ნაციონალურ თემაზე შექმნილი სურათია, რომელშიც ადამიანების განსახიერება, კომპოზიცია და კოლორიტი შინაგანი თანამიმდევრული მთლიანობით და დიდი ოსტატობით არის ამტყველებული. საერთოდ მხატვრის არცერთ სხვა დიდ ქანრულ ტილოს არ ხვედრია წილად ამ სიმაღლესთან გათანასწორება.

900-იან წლებშია დაწერილი გ. გაბაშვილის პორტრეტული შედევრებიც. ესენია დე-როზასა და უცნობი ქართველი თავადის პორტრეტები (მირველი შესრულებულია 1902 წ., ხოლო მეორე დაახლოებით იმავე პერიოდში. ორივე დაცულია „მეტეხში“). ეს ბრწყინვალე ტილოები არა მარტო გ. გაბაშვილის პორტრეტული შემოქმედების მწვერვალებს, არამედ საერთოდ მთელი ქართული პორტრეტული მხატვრობის დაუჩრდილავ შედევრებს წარმოადგენენ. მათში დიდი, არ გადავაქარბებთ თუ ვიტყვით— ბრწყინვალე რეალისტური ოსტატობით, ფერების შესანიშნავი შეხამებით და განცდით არის განსახიერებული, ერთის მხრივ, მოხუცი მუსიკოსის, ხოლო მეორე მხრივ, ხანში შესული და თავისებურ ცხოვრების გამოშხატველი ქართველი თავადის სახეები. აღსანიშნავია, რომ ეს პორტრეტები, ერთსადიამავე პერიოდში შესრულების მიუხედავად,

კოლორიტის მხრივ მკვეთრად განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

1902 წელს გ. გაბაშვილი ჰქმნის შესანიშნავ აკვარელს „ტივეზზე“ დაცულია „მეტეხში“. იმავე წელს იგი მიემგზავრება საზღვარგარეთ, სახელდობრ: თურქეთს, საბერძნეთს, იტალიას, ესპანეთს, საფრანგეთს, შვეიცარიას, გერმანიას, პოლანდიასა და ინგლისს. ამ მოგზაურობის პერიოდში უნდა იყოს დაწერილი შესანიშნავი ოსტატობით შესრულებული პატარა სიდიდის სურათი „წმინდა მარკის ტაძარი“ (კერძო საკუთრება).

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ შექმნილ ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „განთიადზე სასაფლაოს ეკლესიასთან“ (1904 წ. დაცულია „მეტეხში“).

საერთოდ 1898—1904 წლები გ. გაბაშვილის შემოქმედებითი ევოლუციის არა მარტო უმაღლეს ეტაპს, არამედ განსაკუთრებული შემოქმედებითი ნაყოფიერების პერიოდსაც წარმოადგენს: ამ მიჯნაზე საკმაოდ მრავალრიცხოვან შედეგებთან ერთად („მთვრალი ხეესური“, „ალავერდობა“, „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტი“, დე-როზას პორტრეტი, „მძინარე ხეესური“, „ხეესურები სადარაჯოზე“. „განთიადზე სასაფლაოს ეკლესიასთან“, „ტივეზზე“ და სხვ.). რომლებშიც ბრწყინვალედ აისახა მხატვრის შემოქმედებითი აღმავლობის მწვერვალი.—გ. გაბაშვილმა შექმნა მრავალი ეტიუდი, ესკიზი, ნახატი და სურათი. ამავე დროს, გ. გაბაშვილი თავისი შემოქმედებითი განვითარების არც ერთ საფეხურზე არ ყოფილა ისეთი მრავალფეროვანი, როგორც თემატიკის, ისე, რაც მთავარია კოლორიტის ხასიათის მხრივ, როგორც იყო იგი ამ პერიოდში. კერძოდ კოლორიტის შესახებ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვი, რომ თითქმის თვითუფლები აქ განხილული შედეგრი, აგრეთვე ამ ციკლის სხვა რამდენიმე

ტილოც, გარკვეული მკვეთრი თავისებურების მატარებელია. ეხელწოდება „ტიქოს გრძნობდა“ რომელიც უკვე აღვნიშნავდით იდგა ასეთ დიდ შემოქმედებით სიმალეზე და ამიტომ ფერების შეხამების ყველა შესაძლებელ ფორმას ეძებდა: განუწყვეტლივ ებრძოდა პალიტრას, ფუნჯს და ცდილობდა თემატიკის ნაირობიდან ფერთა შთავონების სხვადასხვა წყარო მიეღო.

დასასრულ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გ. გაბაშვილი თავისი შემოქმედებითი ევოლუციის განხილულ პერიოდში, საერთო გამოფენებში მონაწილეობასთან ერთად, მართავეს ორი ინდივიდუალურ გამოფენასაც 1898 და 1901 წლებში.

მომდევნო პერიოდში უკვე მიღწეულ შემოქმედებით სიმალლეს ვერ ინარჩუნებს მხატვარი მთლიანი სახით. ამავე დროს, უმთავრესად პორტრეტის ვანრი იზიდავს მას. ამ სფეროში შექმნილ ნაწარმოებებიდან ყველაზე ძლიერად თვით ხელოვანი თვლიდა გენერალ ნ. ბ. ერისთავის პორტრეტს, რომელიც 1907 წ. დაიწერა (ამჟამად დაკარგულად ითვლება).

1907—1908 წლებში, გ. გაბაშვილი ჰქმნის ილია ჭავჭავაძის, ხოლო ცოტა უფრო გვიან აკაკი წერეთლის პორტრეტებს. ეს პორტრეტები თვალსაჩინო ოსტატობით ასახიერებენ დიდი ქართველი მწერლების სახეებს.

გ. გაბაშვილის 1904 წელს შემდეგ დაწერილი ცნობილი პორტრეტებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ესკიზი „სამი გენერალი“. რომელშიც განსახიერებულა: ი. ამილახვარი, ზ. ჭავჭავაძე და მ. ამირაჯიბი (აკვარელი. 1910 წ. დაცულია თბილისის სამხატვრო აკადემიაში). აკვარელის ფერების შესანიშნავი შეგრძნობა, ოსტატობით შესრულებული ნახატი, კომპოზიციის და თაქტურა, დასასრულ, გამოსახვის სიღრმე და მთლიანობა—ასეთია ამ პორტრეტულ კომპოზიციის მხატვრუ-



ლი ღირსება. „სამი გენერალი“ უღრესად საინტერესოა ტენდენციის თვალსაზრისითაც. სახელდობრ, მასში მკვეთრად არის გადმოცემული გენერლების შინაგანი სამყაროს განსაზღვრულობა და ხელოვანის უარყოფითი დამოკიდებულება მათ მიმართ. (1913 წელს გ. გაბაშვილი განხილული ესკიზის საფუძველზე ამთავრებს დიდ ტილოს, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება).

1910-იან წლებში გ. გაბაშვილი ქმნის რამდენიმე კარგ ნატურმორტს და აგრეთვე ეპიკურ ტილოებს. უკანასკნელთა შორის უფრო თვალსაჩინოს წარმოადგენს დიდი კომპოზიცია „ქიდაობა“ (დაცულია „მეტეხში“) და სხვ. ამავე დროს, 1910 და 1913 წლებში იგი მართავს მეოთხე და მეხუთე ინდივიდუალურ გამოფენებს, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება ჰპოვა.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში გ. გაბაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა მეტად ფერმკრთალად გამოიყურება. ამ პერიოდში შექმნილ საერთოდ მეტად მცირერიცხოვან ნაწარმოებებიდან, მხოლოდ გ. გაბაშვილის პორტრეტი იქცევა ყურადღებას (1918 — 1919 წ. დაცულია „მეტეხში“).

საბჭოთა საქართველო ახალი შთაგონების წყაროდ იქცა მხატვრისათვის. იგი კვლავ ახალგაზრდული გატაცებით იწყებს მუშაობას. თუმცა ამ პერიოდში შექმნილი მისი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები არ დგას უკვე განხილული შედეგების სიმაღლეზე; ხანდაზმული ხელოვანი მათში წინანდებურად ვერ ხედავს ფერებს, ვერ

გრძნობს კოლორიტს. მაგრამ ამის/დამოუხედავად მათი ერთობა, რწმუნული სახელდობრ ცნობილი შემოქმედებითი ციციტის ნ. ნიკოლაძის პორტრეტი, ავტომორტრეტი, გენიალური ქართული პოეტის შოთა რუსთაველის პორტრეტი და სხვა, მაინც თვალსაჩინო მხატვრული ღირსებით ხასიათდება. ამავე დროს, გ. გაბაშვილი, თავისი ხალხის აღორძინებით აღფრთოვანებული, ეზმაურობოდა საბჭოთა ცხოვრების ამსახველ თემატიკას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მან დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პორტრეტის შექმნაც სცადა.

გ. გაბაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებაში თავისი დიდი და მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის სახით. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გ. გაბაშვილი იყო ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი თბილისის სამხატვრო აკადემიისა (უკანასკნელი დაარსებული იქნა 1922 წ.) რომელშიც იგი 1930 წლამდე მუშაობდა განსაკუთრებული გატაცებით ფერწერის პროფესორის თანამდებობაზე. ამ ხნის განმავლობაში თბილისის აკადემიაში ქართული საბჭოთა მხატვრობის არა ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა აითვისა ფერწერის ოსტატობა გ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით.

გ. გაბაშვილის დიდი დამსახურება ქართული ხელოვნების წინაშე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ იქნა შესაფერად დაფასებული. საქართველოს ცაკის 1929 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით გ. გაბაშვილს მიენიჭა საქ. სსრ სახალხო მხატვრის

წოდება. რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1934 წელს საბჭოთა საზოგადოებრიობამ მცხოვან ხელოვანს მხატვრული მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე გადაუხადა. იუბილესთან დაკავშირებით მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში, 1934 წლის 5 იანვარს გაიხსნა გ. გაბაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა, ხოლო იმავე წლის 28 იანვარს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში შესდგა საიუბილეო საღამო. მის მინიკებულ ჰქონდა აგრეთვე საქ. სსრ დამსახურებული პროფესორის წოდება.

1936 წლის 12 ოქტომბერს გ. გაბაშვილი თავისი ერთ-ერთი მოწაფის თანხლებით გაემგზავრა ქ. ბათუმს, საკავშირო გამოფენის „სოციალიზმის ინდუსტრიის“ კომიტეტის მიერ საბჭოთა ციტრუსების თემაზე დაკვეთილი სურათის „მოსავლის დღესასწაულის“ შესასრულებლად. პირველ 9 დღეს მხატვარი ბათუმში მუშაობდა, ხოლო შემდეგ ციხისძირში. აქ იგი 28 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა გულის მანკით. დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მის სახელოსნოში საწერ მაგიდაზე იპოვეს „ანდერძი“, დაწერილი 1936 წელს 1 ოქტომბერს. ეს დოკუმენტი, რომელშიც მკვეთრად დასახული ის დიდი სიყვარული, რომელიც ხელოვანს თავის ხალხთან აკავშირებდა, შემდეგი სიტყვებით იწყება: „უსაზღვრო ერთგულებითა და სიყვარულით ვუძღვნი საჩუქრად ჩემს ხალხს ჩემს მრავალწლოვან შრომას“.

გ. გაბაშვილმა, თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე, ორი ათასზე მეტი ნაწარმოები შექმნა. ეს მეტად მრავალმხრივი თემატიკის ამსახველი შემკვიდრეობა განსაკუთრებული ენარული მრავალფეროვნებით ხასიათდება: მხატვრობის თითქმის ყველა სახეა მოცემული მასში. მაგრამ, ამავე დროს, ყველა ენარით ერთნაირი სიძლიერით არ გამო-

უხატავს ხელოვანს. მისი ფურცლები თავრესად მაშინ მეტყველებს კოლორიტის, კომპოზიციის, შინაარსის მხატვრობის ხელოვნების დიდი ოსტატობით, როდესაც იგი პორტრეტებს, ტიპებს, ენარულ ტილოებს, პეიზაჟებსა და აგრეთვე ნატურმორტებს ჰქმნის. სხვა ენარი მას მსგავსი სიძლიერით არ გამოუხატავს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი, კერძოდ ბატალიზმი, საკმაო რაოდენობის ნაწარმოებთა სახით გამოვლინდა მის შემოქმედებაში.

გ. გაბაშვილის შემოქმედების ყველაზე ძლიერ მხარეს, მხატვრული თვალსაზრისით, კოლორიტი წარმოადგენს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გაბაშვილის, როგორც კოლორიტის ასპარეზი და მნიშვნელობა გარკვევით სცილდება ნაციონალური ხელოვნების საზღვრებს. ეს ქეშმარიტად დიდი ხელოვანი ფერწერის ბრწყინვალე არტიტი და თავისებური პოეტი — ეპიკოსია, რომელიც თავის ძირითად ტილოებზე უაღრესად ღრმა შეგრძნობისა და დიდი ასახვითი პოეტურობის შემცველი ფერების ენით მეტყველებს.

ალსანიშნავია, რომ თემატიკურ-ენარულ მრავალფეროვნებასთან ერთად, გაბაშვილის შემოქმედებითი გზა, ფერთა შეხამების, საერთოდ კოლორიტის უაღრესად ცვალებადი ნაირობით ხასიათდება. ამ მხრივ გ. გაბაშვილი ფერწერის დიდ ოსტატთა იმ მცირერიცხოვან პლეადას ეკუთვნის, რომელთა ასპარეზი ფერთა შეგრძნობის ფართო პორიზონტს უკავშირდება. მხატვარი ვერ თავსდება ერთ ჩარჩოში, განუწყვეტლივ ცვლის თავის პალიტრას, გააფთრებით ებრძვის საღებავების ერთფეროვნებას, მუდამ ეძებს ახალ ტონებს, ფერთა ახალ შეწყობასა და მეტყველებას. მხატვრის ნაწარმოებთა 1910 წლის გამოფენის შესახებ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში, გარეგანი შეგრძნობის თვალსაზრისით, სა-

მართლიანადაა აღნიშნული ეს მომენტი. იქ ნათქვამია: „წერის ხასიათის ხხვადასხვაგვარობა განსაცვიფრებელია. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ გამოფენაზე თავმოყრილია ნამუშევრები არა ერთის, არამედ 10—15 მხატვრისა“. მაგრამ ეს შეხედულება სამართლიანია სწორედ მხოლოდ გარეგანი აღქმის, შთაბეჭდილების მიხედვით. შინაგანი არსის მხრივ კი გაბაშვილის ტილოებზე, არსებითად, მაინც ყოველთვის იცნობა ფერწერის ერთი ტექნიკა, ერთი მხატვრული მსოფლგანგება, შეგრძნობა, ერთი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, წარმოდგენილი ვარიაციული სახით.

გ. გაბაშვილის შემოქმედების აღნიშნული ხასიათი ძირითადად დაკავშირებულია ფერების გარკვეული შაბლონის უარყოფასთან. მხატვარი მხოლოდ თემის (გამოსახვის ობიექტის) ხასიათის ნიადაგზე ჰქმნიდა ფერთა პარმონიას. ნატურა ეს იყო მისი ფერწერითი შთაგონების წყარო, მისი მხატვრული წარმოსახვის სამშობლო. მისთვის ამოსავალს, შემოქმედებით დასაყრდენს ყოველთვის ცხოვრება და ბუნება, სათანადო მასალის შესწავლა და უშუალო აღქმა შეადგენდა. მას სინამდვილე მიაჩნდა ხელოვნების დედად და ამ პრინციპის გამო მხოლოდ სინამდვილეს, ნატურის სამყაროს უკავშირებდა თავისი ფუნჯის ბედს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ გ. გაბაშვილის შემოქმედებითი სტიქია, არსებითად, ნატურა იყო. მიუხედავად ამისა ხელოვანი არასოდეს არ რჩებოდა სინამდვილის ტყვეობაში, არ იფარგლებოდა მხოლოდ ნატურის სუნთქვით. მას ნატურა ხიბლავდა მხოლოდ, როგორც მასალა, შთაგონება, საფუძველი და არა როგორც შემოქმედებითი საპყრობილე. იგი ნამდვილი შეუფერავი რეალიზმის ენით მეტყველებდა, რის გამო მისი შემოქმედებითი ძიება ცხოვრებისა და ბუნების ტიპური თვისებე-

ბის მხატვრული განზოგადობებს, გვიკვე — მხატვრული სიმართლეების უკლებლას ნიშნავდა. ამით იყო განმარტებული გარემოებაც, რომ გ. გაბაშვილი მანერის, მხატვრობის წარსულისადმი მიბაძვის უსასტიკესი მტერი იყო. იგი უარყოფდა შემოქმედებას, სადაც დაეწყებულა ბუნების კეშმარტება. მეფობს გამოგონება, პოზა, ყალბი და უსულო მოქმედება, მდგომარეობა და ფიგურები. იგი მტერი იყო მხოლოდ ფერების შემცველ, წმინდა ფერწერითი ინტერესით შემოფარგლული მხატვრობისაც. და ამიტომ განსაკუთრებით აღელვებდა მას ის ფაქტი, რომ დეკადენტობის ზოგიერთი სახე, გარკვეულ პერიოდში, ქართულ მხატვრობაშიც შემოიჭრა. ფორმალისმი, საერთოდ ყოველი სახის დეკადენტობი, მისი აზრით, ამბინჯებდა ხელოვნებას და „მცდარ გზაზე აყენებდა მხატვრულ ახალგაზრდობას“.

დასასრულ, აღსანიშნავია აგრეთვე გ. გაბაშვილის შემოქმედების ერთი უაღრესად თვალსაჩინო თვისება — მკვეთრი ეპიურობაა. ეს უკანასკნელი იმდენად არსებითია გ. გაბაშვილის შემოქმედებისათვის, რომ იგი ზედმიწევნით იშვიათ შემთხვევაში იჩრდილება ლირიული უშუალობით და მძაფრი სუბიექტური ემოციურობით ამეტყველებული ხედვით. ამავე დროს, ეს გარემოება, სრულიად არ უშლიდა ხელს მხატვარს თავისი შესანიშნავი ტილოების ფერებში ღრმა მხატვრული განცდა და მგზნებარე შემოქმედებითი სიბო ჩაემარხა.

გ. გაბაშვილის აღნიშნულ შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირება ძირითადად 1881 — 1890 წლების მანძილზე ხდება. ამ ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი ვითარება შეადგენდა ამ პროცესის საფუძველს. ამავე დროს, ერთი მხრივ, ქართული მხატვრობის რეალისტური ტრადიციები და ქართული რეალისტური ლიტერატურა, გან-

საკუთრებით კი დიდი ქართველი თერგ-დალეული მწერლების ესთეტიკური იდეები და შემოქმედება, მეორე მხრივ რუსული კლასიკური რეალისტური ესთეტიკა და პერედვიენიკული მხატვრების „იდეური ნაციონალური რეალიზმი“, — აი ის მეტად მრავალფეროვანი მხატვრული სამყარო, რომელმაც მითითებულ ობიექტურ-სოციალური საფუძველის ნიადაგზე უშუალოდ განსაზღვრა გ. გაბაშვილის შემოქმედებითი გზა. ამ გარემოებიდან პირველად ახალგაზრდა მხატვარი, ბუნებრივია, მშობლიური ხალხის ცხოვრებასა და მხატვრული კულტურას ეცნობა. ეს უკანასკნელი, რომელნიც განსაკუთრებული სიმკვეთრით ასახავდა ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, არსებითად მთლიანად რეალიზმის სულით იყო გაჯენილი.

1886 წლიდან გ. გაბაშვილი რუსეთის უაღრესად მღელვარე სოციალური და მხატვრული ცხოვრების გავლენას განიცდის უშუალოდ. ეს იყო რუსული რეალისტური მხატვრობის განვითარების ის უშესანიშნავესი ეპოქა, რომელსაც რეპინის, სურტიკოვისა და სხვა დიდ პერედვიენიკელთა სახელები ამშვენებენ. ამ ფაქტმა მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გაბაშვილის ჯერ კიდევ პირველ ნამუშევრებში მკვეთრად გამოვლენილი რეალისტური ხედვის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. ამიტომ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში დამკვიდრებულ პრინციპებს, კერძოდ თავისი უშუალო მასწავლებლის პროფ. ვილევადეს აკადემიზმს, გაბაშვილი მხოლოდ ე. წ. აკადემიურ ნამუშევრებში ავლენს და იქაც მეტად განსაზღვრული სახით. სჩანს სამხატვრო აკადემია მას მხოლოდ მხატვრული განათლების მიღებისათვის აინტერესებდა. შემოქმედებითი გზა კი მხატვარს

საბოლოოდ ქონდა არჩეული რეალიზმის სახით, რის გამო თვეყნულ-წმველ შემოქმედებით მასწავლებლებს უნდა მერედვიენიკულ მხატვრობაში ხედავდა. მხოლოდ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აკადემიზმი არსებითად ან სრულიად არ არის მოცემული ან მეტად განსაზღვრული სახით გვხვდება გ. გაბაშვილის იმ ნაწარმოებებში, რომლებიც შექმნილია აკადემიის სავალდებულო პროგრამის გარეშე, ხოლო აკადემიიდან წასვლისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი მხატვარი ყოველმხრივ ემიჯნება ამ მიმდინარეობას. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ გ. გაბაშვილის დამოკიდებულება პერედვიენიკული მიმდინარეობისადმი არ ატარებდა ეპიგონიზმის ხასიათს. დიდი ქართველი მხატვრის შემოქმედებაში პერედვიენიკების, კერძოდ შემოქმედების გავლენა ელინდება არა პირდაპირ, არამედ მხოლოდ ნაციონალურ ასპექტში ათვისებული (გარდაქმნილი) და ინდივიდუალიზირებული სახით: გ. გაბაშვილი უპირველესყოვლისა ნაციონალურ ნიადაგზე ღვას და ამ გზით უკავშირდება თავისი ეპოქის მოწინავე მხატვრული იდეებს. ამიტომაც იგი გარკვეული შემოქმედებითი „მეს“ მქონე დიდი ქართველი ნაციონალური მხატვარი.

დასასრულ, საჭიროა მიეთითოს იმ გარემოებასაც, რომ გაბაშვილის შემოქმედებაში რეალიზმი ორგანიულადაა დაკავშირებული განსაზღვრულ სოციალურ განწყობილებასა და სიმპატიებთან, სახელდობრ, მებრძოლ პატრიოტულ იდეებსა და აგრეთვე არსებული სოციალური წყობის თავისებურ კრიტიკასთან. თუმცა, მართალია, გ. გაბაშვილის ტილოები არ ხასიათდებიან მკვეთრი იდეური სიცხადით, ე. წ. „აშკარა ტენდენციით“, მაგრამ ამისდა მი-

უხედავად ისინი მაინც გარკვევით გადმოცემენ აღნიშნულ არსებითად ბურჟუაზიულ-პროგრესული ბუნების შემცველ იდეურ კრედოს.¹

გ. გაბაშვილმა უაღრესად დიდი როლი ითამაშა ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაში, როგორც მისმა ფუძემდებელმა და უდიდესმა წარმოადგენელმა; მან თავისი შემოქმედებით ახალი ქართული ხელოვნება თავისი ეპოქის პროგრესული და უძლიერესი ხელოვნების — რუსული რეალისტური ხელოვნების დიდ ასპარეზს დაუკავშირა ნაციონალურ ნიადაგზე და მის დონემდე აამაღლა.

¹ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს გ. გაბაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. საბჭოთა პერიოდში კი, განსაკუთრებით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, მხატვარი საბჭოთა ხალხის ინტერესების გამოუმჯობესებლად გვევლინება.

ნების ისტორიაში, როგორც მისმა ფუძემდებელმა და უდიდესმა წარმოადგენელმა; მან თავისი შემოქმედებით ახალი ქართული ხელოვნება თავისი ეპოქის პროგრესული და უძლიერესი ხელოვნების — რუსული რეალისტური ხელოვნების დიდ ასპარეზს დაუკავშირა ნაციონალურ ნიადაგზე და მის დონემდე აამაღლა.

იგი დიდი დიაბაზონის, არ გადაეპარბებთ, თუ ვიტყვით-მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანია.

ჩაქვიის უღელქვეშ

ნაციონალური უმცირესობანი თურქეთში



თანამედროვე თურქეთი, რომელიც ამერიკული იმპერიალიზმის ერთგულ მონად იქცა, ნამდვილ პოლიციურ, ანტიხალხურ სახელმწიფოს წარმოადგენს, სადაც ბატონობენ აშკარა რეაქციონერები, შოვინისტები და ბნელეთის მოციქულები.

ქემალისტების პარტიამ, რომელმაც თურქეთში ახალი ბურჟუაზიულ-პარლამენტარული წყობილების შექმნის პერიოდში ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება, სრულიადაც ვერ შეამსუბუქა ვერც თურქი ხალხის, ვერც ნაციონალურ უმცირესობათა მდგომარეობა.

ჯერ კიდევ 1920 წლის დროის ქემალისტური მთავრობის შესახებ ამხანაგმა სტალინმა თქვა: „ქემალისტების მთავრობა — ეს არის მთავრობა მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლისა, მთავრობა, სადაც კომუნისტებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ადგილი“ (ი. სტალინი, ტ. 9, გვ. 315). თანამედროვე თურქეთის ერთ-ერთ მწვევე და გადაუქრელ პრობლემას წარმოადგენს ნაციონალური საკითხი. თუმცა პირველ მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის ნაციონალური შემადგენლობა მკვეთრად შეიცვალა და ახლა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას თურქები შეადგენენ, მაგრამ თურქეთი ნაციონალური შემადგენლობით დღევანდლამდე რჩება არა-

ერთგვაროვან სახელმწიფოდ. თურქეთის რეაქციულ მმართველებს კი არ სურთ ანგარიში გაუწიონ ამ უღელქვეშ.

თურქეთის მმართველები დემაგოგიურად იყენებენ სიტყვებს „დემოკრატია“, „ხალხი“, „სამართლიანობა“; ისინი მუდამ გაიძახიან, ჩვენს სახელმწიფოში „დემოკრატიული რეჟიმი“ სუფევსო, მაგრამ, „თურქული დემოკრატია“ ისევე შორსაა ნამდვილ დემოკრატიისაგან, როგორც დედამიწა ცისაგან. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია ნაციონალურ უმცირესობათა მდგომარეობას გავეცნოთ.

ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ თურქი მმართველები ატარებენ მკაცრ შოვინისტურ პოლიტიკას. თურქეთის ოფიციალური სტატისტიკა ცდილობს მიაფუჩეჩოს ნაციონალური შემადგენლობის საკითხი თურქეთში. აღწერის მასალებში ნაციონალური კუთვნილების მუხლი არ არსებობს, მის მაგიერ შეტანილია მუხლი „დედა ენის“ შესახებ. თუმცა ცხადია, რომ ეროვნული კუთვნილება და დედაენა ერთი და იგივე არ არის. მიუხედავად ამისა, თურქეთში არათურქი ეროვნების მნიშვნელოვანი პროცენტის არსებობის დამალვას ვერც თურქეთის სტატისტიკა ახერხებს.

1945 წლის აღწერის მიხედვით თურქეთის მოსახლეობა შეადგენდა 18 მილ. 872 ათას კაცს, რომელთაგან უმრავლესობა (დაახლოებით 15.300 ათასი კაცი) თურქებია. მაგრამ თურქეთში ცხოვრობს მრავალი სხვა ეროვნებაც, რომელთაც თურქული სტატისტიკა განზრახ თურქებად თვლის. მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი სომხების, ქართველებისა და ქურთების ძველისძველ მიწა-წყალს წარმოადგენს. უსამართლო, უაზალური ომების შემდეგ თურქებმა დაიპყრეს ამ ეროვნებათა ტერიტორია და დაიმორჩილეს იქ მცხოვრები მოსახლეობა. ეს მოსახლეობა არასდროს არ შერიგებია თურქი დამპყრობლების ბატონობას და იგი ახლაც იბრძვის თავისი ნაციონალური უფლებებისათვის.

საორიენტაციო მონაცემებით, თურქეთში ამჟამად 2.500 ათასამდე ქურთია; ლაზების რიცხვი მარტო აღმოსავლეთის ვილაიეტებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თურქეთის სხვა რაიონებს, 200 ათასამდე აღწევს; აჭარლები-დაახლოებით 180 ათასია; ასე, რომ ქართველების რიცხვი თურქეთში 380 ათასამდე აღწევს, სომხები — 80 ათასამდე, არაბები — 200 ათასამდე. გარდა ამისა, თურქეთში ცხოვრობს 500 ათასამდე სხვა ეროვნებაც: ჩერქეზები, ბერძნები, თურქმენები, ისორები და სხვა.

მიუხედავად ამისა, თურქულ ბურჟუაზიასა და მემამულეებს არ სურთ ნაციონალური უმცირესობათა არსებობის ფაქტის აღიარება. ისინი ცდილობენ ნაცუმციირესობათა იძულებით გათურქებას. თურქეთში ნაცუმციირესობანი მოკლებული არიან ელემენტარულ პოლიტიკურ და ნაციონალურ უფლებებს. მათ არა აქვთ ეროვნულ-კულტურული განვითარების არავითარი საშუალება, ისინი მოკლებული არიან სკოლებს, სახელმძღვანელოებსა და ლიტერატურას მშობლიურ ენაზე. თურქი ბნელების მოციქულები სასაცილოდ იგდებენ ნაცუმციირესობათა ისტორიულ

კულტურას და ზნე-ჩვეულებებს, ამადგურებენ მათი ნაციონალური კულტურის ძველის-ძველ ძეგლებს. მათი უპირაჩივ კი აქვთ აკრძალული თავიანთ მშობლიურ ენაზე. თურქეთის ახლანდელმა მმართველებმა აითვისეს სულთანის დროინდელი დესპოტური ტრადიციები და ცდილობენ ნაციონალური საკითხი „გადაწყვიტონ“ ფიზიკური განადგურების, იძულებითი გათურქების ან სხვა რაიონებში გადასახლების გზით. ისინი მტკიცედ იცავენ შოვინისტურ ლოზუნგს — „თურქეთი მხოლოდ თურქებისათვის“

თურქეთის რეაქციულ მოღვაწეებს არაერთხელ გამოუცხადებიათ თურქეთის ერთადერთ ბატონ-პატრონად „ჰემ-მარიტი“ თურქი, ყველა სხვა ეროვნება კი მის მონებად. ნაციონალური დისკრიმინაცია სწვდება არა მარტო ნაცუმციირესობათა შრომელ მასებს, არამედ ნაწილობრივ არათურქი მოსახლეობის ექსპლოატატორულ ზედა ფენებსაც. ასე, მაგალითად, არათურქი ვაჭრების მიღება თურქი კომერსანტების მონოპოლისტურ კავშირებში მეტად გაძნელებულია; ხელს უშლიან მათ აგრეთვე ბანკებიდან კრედიტების მიღებაში. 1942 წლის 11 ნოემბრის კანონის ძალით ნაცუმციირესობის პირთა ქონება და შემოსავალი უფრო მეტად იბეგრება. ვიდრე თურქებისა.

ნაცუმციირესობათა წარმომადგენლებს მეგლისის წევრობის უფლება არა აქვთ. მათ არ უშვებენ აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში. იმ რაიონებშიც კი, სადაც არათურქი მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენს, სახელმწიფო და ადმინისტრაციული თანამდებობა მხოლოდ თურქებს უჭირავთ. თურქი შოვინისტების აზრით, ნაცუმციირესობათა წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება იყვნენ სახელმწიფო მოხელეებად, ბანკის კლერკებად, დაზღვევის აგენტებად, სახელმწიფო სამრეწველო წარმოებების და ტრანსპორტის

ოსტატებად; არავითარ შემთხვევაში მათ არა აქვთ სასამართლოს წევრობის უფლება; ვეპილების წოდებაში ჩარიცხვაც დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა თურქული რეაქციის უღელქვეშ მცირე აზიის მკვიდრი მოსახლეობა — სომხები, ქურთები, ლაზები, აისორები. თურქი ჯალათები ამ ხალხებს უკრძალავენ თავიანთ ეროვნულობას. ასე, მაგალითად, სომხებს უწოდებენ „სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების თურქებს“, ქურთებს კი — „მთიელ თურქებს“.

აწარმოებენ რა, ერთი მხრით ნაცუმციურესობათა იძულებითი გათურქებას და უწოდებენ რა მათ „თურქებს“, მეორე მხრით, თურქი რასისტები თვითონ ფარდებიან წინააღმდეგობაში. ასე, მაგალითად, ისინი თავიანთ პრესაში ხშირად გამოდიან განმარტებებით, რომ ამ „თურქებს“ არა აქვთ „ნამდვილი თურქული სისხლი“ და რომ „არ შეიძლება მათი შერევა კენზარიტ თურქებთან“. ამ მხრივ დამახასიათებელია პანთურქისტ ნიხალ ატისის განცხადება, რომ „ყველამ, ვისაც სურს თურქი ეწოდოს, უნდა დაამტკიცოს თავის სისხლის სიწმინდე შესაბამედ“. 1941 წელს იგი შვილისადმი მიწერილ წერილში ასეთ ფაშისტურ ბოდვას აწვითარებდა: „ნაცია ნიშნავს სისხლს. ამიტომ არ ჩასთვალა თურქად არათურქი რასის ხალხი. თუნდაც ისინი დაბადებული ყოფილიყვნენ ამ მიწაზე, თუნდაც მათ არ სცოდნოდეთ არც ერთი სხვა ენა, გარდა თურქულისა, სულ ერთია, ნუ დაუჯერებ მათ... მოეპყარ მათ უფრო უარესად, ვიდრე უცხოელებს. მოსპე ისინი, თუნდაც ამისათვის შენი საკუთარი სიცოცხლის შეწირვა დაგვირდეს“.

თურქეთის ბურჟუაზიულ-მემამულური წრეების მხედური შოვინისტური პოლიტიკის სისხლიანი შედეგები აშკარად მოჩანს სომხების, ქურთების და ლაზების ტრაგიკულ ბედზე.

ლაზები ცხოვრობენ უმთავრესად ტრაპიზონის, რიზეს და ქორთოს ხეობის რაიონებში, ე. ი. იმ ტერიტორიაზე, რომელიც უხსოვარ დროიდან ქართული ტომებით იყო დასახლებული. აკადემიკოს ს. ჯანაშიას 1946 წლის ცნობილ გამოხვლაში საბჭოთა პრესის ფურცლებზე ამომწურავი და ვრცელი განმარტება იყო მოცემული ლაზების შესახებ. ერთ-ერთ თავის შრომაში — „ლაზისტანი“ ს. ჯანაშია წერს, რომ თურქების მიერ 1461 წელს ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ლაზები ერთი საუკუნის მანძილზე კიდევ ებრძოდნენ თურქებს თავისი ნაციონალური უფლებებისათვის. თურქმა ფეოდალებმა ძალით მოახვიეს ლაზებს მამამდიანობა. მიუხედავად ამისა, ლაზებმა დღევანდლამდე შეინარჩუნეს თავიანთი შრობილიური ენა და ზნე-ჩვეულებანი.

„ლაზებში შემონახულ ისტორიულ გადმოცემათა მიხედვით, — წერდა აკად. ჯანაშია, — ლაზისტანი საბოლოოდ დაპყრობილია თურქების მიერ სამი თვის განმავლობაში წარმოებულ ბრძოლების შედეგად — მხოლოდ სულთან სელიმ მეორის (1566 — 1574) დროს; გადმოცემამ შემოინახა აგრეთვე იმდროინდელი ლაზების თავისუფლებისა და შრობილური კულტურისათვის სახალხო ბრძოლის ერთ-ერთი ბელადის — პეტრე ხეციას სახელი“.

ამის შემდეგ ლაზები იძულებითი გათურქების მუხრატში მოექცნენ. თურქული ენა სასამართლოს, სკოლისა და მეჩეთის ოფიციალურ ენად იყო გამოცხადებული. ლაზებს აეკრძალათ შრობილური ენაზე ლაპარაკი თავიანთ ოჯახშიც კი. მიუხედავად ამისა, ლაზების გათურქების ცდებს ყოველთვის ელობოდა ხალხის ფართო მასების შეუპოვარი წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა არაერთხელ შეიარაღებულ აჯანყებად იქცეოდა, რასაც ხშირად მოყვებოდა აჯანყებული მხარიდან თურქული ადმინისტრაციის გაძევება. სამწუხა-

როდ, ლაზების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული თურქი დამპყრობელების, მათ შორის აგრეთვე ქემალისტების — წინააღმდეგ, აქამდე არ არის კარგად შესწავლილი. არსებობს მხოლოდ ცნობა იმის შესახებ, რომ 1924 — 26 წლებში მუშაობდა „ლაზისტანის განთავისუფლების კომიტეტი“, რომლის მოღვაწეობა მიმართული იყო თავისუფლების მოყვარული ლაზი ხალხის გათურქების წინააღმდეგ.

1934 წელს თურქეთის მთავრობა შეეცადა გადაესახლებია ლაზები თურქეთის სხვა რაიონებში. ამ ღონისძიებამ გამოიწვია სერიოზული მღელვარება ლაზებს შორის და მთავრობა იძულებული შეიქმნა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ „განსაკუთრებით საშიში ელემენტების“ იზოლიაციით, ლაზების ძირითადი მოსახლეობა კი ძველ ადგილზე დარჩა.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორ უუფლებო და დაჩაგრულ მღვთმარებაში იმყოფება ლაზების მოსახლეობა თურქეთში, საკმარისია ავიღოთ საბჭოთა საზღვრის მახლობლად მდებარე რომელიმე სოფელი და შევადაროთ იგი საბჭოთა სოფელს. მაგალითად, საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საზღვარზე ბათუმის სამხრეთით მდებარეობს ლაზების ორი სოფელი ერთი სახელწოდებით — სარფი. ოდესღაც ეს იყო ერთი სოფელი, მაგრამ საზღვრების გამოჯენის დროს იგი გაიყო ორ ნაწილად: საბჭოთა სარფი და თურქეთის სარფი. როგორი კოლოსალური განსხვავებაა ლაზებით დასახლებულ ამ ორ სოფელს შუა! საბჭოთა ხელისუფლების დროს სოფელი სარფი სრულიად გამოიცვალა. საბჭოთა სარფში არსებობს სკოლა, შვიდწლელი, კეთილმოწყობილი საავადმყოფო, დიდი უნივერსალი საქონლის მდიდარ ასორტიმენტით, ველოსიპედების და რადიო-მიწებების ჩათვლით; საბჭოთა სარფში კოლმეურნენი ცხოვრობენ ღიდ ნათელ სახლებში, მათ

აქვთ საკუთარი ელექტროსადგურები; მათ კოლმეურნეობაში გამოყენებულია ტრაქტორები და სხვა თანამედროვე სასაბჭო-სამეურნეო იარაღები. სოფლის ირგვლივ გადაშლილია მობიბინე ყანები, ბაღები და ჩაის პლანტაციები. ლაზ კოლმეურნეებს საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა ბედნიერი, კულტურული და შემსღებელი ცხოვრება.

სულ სხვას ვხედავთ თურქის სარფში. იქ მიწა ეკუთვნის მემამულეს; ლაზი გლეხები იძულებული არიან მემამულესთვის იმუშაონ, თვითონ კი იმშიშლიონ, სკოლის მაგიერ იქ არსებობს ნახევრად დანგრეული სახლი სამი ფანჯრით და შეუკეთებელ სახურავით, სადაც ბავშვებს ოთხწლიანი განათლების მიღების საშუალებაც კი არა აქვთ. ამ სოფლის ახალგაზრდობას არა აქვს უფლება წავიდეს ცენტრალურ ქალაქებში სპეციალური განათლების მისაღებად. უნივერსალის მაგიერ აქ არსებობს სპეკულიანტ-ვაჭრის დუქანი. მოკლედ, აქ ლაზები ცხოვრობენ საშინელ სიღარიბესა და სიღატაკურში. ბუნებრივია, რომ თურქეთის სარფის ლაზები მწვავედ განიცდიან სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უღელს, რასაც მათ ადგამს თურქი მმართველები.

თურქეთის მმართველი წრეების წინააღმდეგობა-რეაქციული ბუნების ამქარა გამოხატულება იყო ის ისტერიული ჩხაველი, რაც მათ ასტენეს პასუხად ქართული საბჭოთა მეცნიერების კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნებისა, რომ თურქების მიერ მიტაცებული ძველის-ძველი ქართული მიწა-წყალი დაბრუნებოდა საბჭოთა საქართველოს.

1882 წელს სომხეთის პატრიარქმა გამოაქვეყნა ცნობები, რომელთა მიხედვით თურქების ახლანდელ ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობდა 2.510 ათასი სომეხი. ამ რიცხვმა 1912 წელს 1.755 ათასამდე დაიწია. ახლა კი 80 ათასამდე ძლივს აღწევს. თურქეთში მცხოვრები სომხების რიცხვის ასეთი მკვეთრი შემ-

ცირება აიხსნება უმთავრესად მათი ფიზიკური განადგურებით. „ახალთურქების“ ხელისუფლების პერიოდში სომხების ამოწყვეტას ხელმძღვანელობდა ტალათ-ფაშა, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი, რომელიც შემდეგში უმაღლესი ვეზირი შეიქმნა. იმ ოლქებში, რომლებიც სამხედრო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, ამ ბოროტმოქმედებას ჩადიოდა ყოფილი სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა. ყველაზე უმოწყალოდ სომხები ამოსწყვეტეს შემდეგ ოლქებსა და ქალაქებში: ბითლისში, მუშში, სასუნში, არზრუმში და ვანში. თურქეთის სომხების მდგომარეობის გამოკვლევი საერთაშორისო კომიტეტის არასრული ცნობების მიხედვით, იმ წლებში ამოყვანილი იყო არანაკლებ 1.200 ათასი სომხისა. ასი ათასობით გადარჩენილმა სომხებმა თავს უშველეს სხვა ქვეყნებში გაქცევით.

1916 წელს, სომხების ამოყვანის შემდეგ, ტალათ-ფაშამ ცინიკურად განაცხადა: „სომხების საკითხი აღარ არსებობს, რადგან აღარ არსებობენ სომხები“. მაგრამ თურქმა „შოვინისტებმა“ ვერ შესძლეს მთელი ერის მოსპობა და სომხების საკითხი თურქეთში ისევ არსებობს როგორც მწვავე ნაციონალური საკითხი.

თურქი შოვინისტები აგრძელებდნენ სომხების ფიზიკურ განადგურებას 1918 — 1920 წლებშიაც, როდესაც თურქები დაშორდნენ ამიერ-კავკასიაში. სომხების ნაწილმა მაშინ თავს უშველა საბჭოთა რუსეთში გაქცევით. თურქეთის რეაქციული მმართველი წრეების მხედური პოლიტიკის შედეგად ახლა თურქეთში 80 ათასამდე სომეხი ძლივსღა მოიპოვება. დღეს თურქეთში დარჩენილი სომხები მოკლებული არიან ელემენტარულ უფლებებს; მათ საშუალება არ აქვთ ხელი მოჰკიდონ სოფლის მეურნეობას, რადგან მათი ძიწა-წყალი ახლა თურქი მემამულეების ხელშია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სომეხთა საზღვარგარეთულ მდგომარეობაშია გაერთიანებული უფრო მეტი სომეხი, ვიდრე ანტი-სომეხობის კონფერენციის წინაშე დასვეს საკითხი „თურქეთის სომხეთის“ პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტის შესახებ. სომხური საზოგადოებრივობის ამ მოთხოვნას მთელი მსოფლიოს პროგრესულმა წრეებმა დაუჭირეს მხარი. მაგრამ ინგლისურ-ამერიკულმა რეაქციამ უგულვებელყო ეს მოთხოვნა, ხოლო მხედური შოვინიზმით შეპყრობილმა თურქმა მმართველმა წრეებმა უარპყვეს იგი.

თურქეთის ქურთები, რომლებიც ყველაზე კომპაქტურ და მრავალრიცხოვან მასას წარმოადგენენ, ისეთივე ბარბაროსულ ჩაგვრას განიცდიან, როგორც სომხები და ლაზები.

თურქი შოვინისტი ჟურნალისტი აკრემ უზაკლიშლი, რომელიც გამოსთქვამს თურქეთის მმართველი წრეების აზრს, გაზეთ „სონპოსტაში“ პირდაპირ აცხადებს, რომ თურქეთში ვითომ არასდროს არ არსებობდა და არც არსებობს ქურთების მოსახლეობა, თითქოს სიტყვა ქურთისტანი უცხოელების გამოგონებაა და ქურთების სახელწოდებით ისინი ისეთ თურქებს აცხადებენ, რომელთაც თურქეთის „უკაცურ და მივიწყებულ კუთხეებში“ ცალკეული სიტყვებით ისესხეს არაბული და სპარსული ენებიდან და თურქულ ენასთან შერევით შექმნეს თავისი უცნაური კილო“.

თურქეთის ქურთების მილიონიან მასებს არც ერთი წარმომადგენელი არაპყავთ მეჯლისში. ისინი მოკლებული არიან ელემენტარულ პოლიტიკურ და ნაციონალურ უფლებებს. ბურჟუაზიული გაზეთის „სონ პოსტას“ კორესპონდენტი, რომელმაც 1948 წლის დამდეგს ქურთების ერთ-ერთი რაიონი ინახულა, იძულებული იყო დაეწერა: „მე ველაპარაკებოდი ქურთებს, რომელთაც მთელ თავის სიცოცხლეში არ უნახავთ სახელმწიფო ხელისუფლების არც ერთი წარ-

მომადგენელი, ქანდარმთა და გადასახადის ამკრეფთა გარდა. ამ რაიონში მოსახლეობა არ გაცხილებია შესაბამისობებრივ ცხოვრებას. არც სკოლა, არც ექიმი, არც წამლები, არც ზეხები, — სამაგიეროდ თითქმის ყველა მნიშვნელოვან პუნქტში უსათუოდ შეგნდებით ქანდარმების პოსტს. მოსახლეობა ჩაფლულია სიბნელეში“. ქურთების რაიონებში ტრადიციული ნაციონალური ტანსაცმელის ჩაცმაც კი აკრძალულია. ქურთებს აკრძალული აქვთ თამბაქოს მოყვანა, რაც გლეხების შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. თურქი მმართველები სხვადასხვა ზეგარის და გადასახადის სახით ყოველწლიურად ართმევენ ქურთებს უამრავ საქონელს.

ქურთი გლეხები არაერთხელ აჯანყებულან თურქი დამპყრობელების წინააღმდეგ სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის. უკანასკნელ წლებში, მეტადრე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თურქეთის მეზობელ ქვეყნებში — ირანსა და ერაყში საგრძნობლად გაიზარდა ქურთების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რამაც აგრეთვე თურქეთში გამოიწვია ქურთების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტივიზაცია. უცხოეთის პრესაში მოხსენებული იყო, რომ 1947 წლის ოქტომბერში ჯეზირეს რაიონში (თურქეთი) მოხდა ქურთების დიდი აჯანყება. ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი ისევე უგულვებელყოფს ქურთების სამართლიან მოთხოვნებს, როგორც სომხებისა და ლაზების მოთხოვნებს.

თურქეთის სოციალური წყობილება თავის ბუნებით წარმოადგენს შოვინიზმისა და პანთურქიზმის მასაზრობებელ ნიადაგს. პანთურქიზმი ფაშისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. თურქული ნაციონალიზმის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია თურქული ბურჟუაზიის ეკონომიურ ინტე-

რესებთან. პანთურქიზმი, რომელიც უპირველეს ყოვლისა თურქულ რაიონის „უპირატესობის“ და „სიღირსეულობის“ ინტერ პროპაგანდაში გამოიხატება, ჩამოყალიბდა თურქეთში კაპიტალიზმის აღმოცენებასთან ერთად. გარდა ამისა, იგი ლევიდებოდა და ახლაც ლევიდება, ერთის მხრივ, თურქული ბურჟუაზიისა და ფეოდალების აგრესიული ტენდენციების და, მეორეს მხრივ, — რელიგიური ფანატიზმის წყალობით.

პირველ ყოვლისა თურქების ნაციონალური რეპრესია თავს დაატყდა იმ ეროვნების წარმომადგენლებს, ვის ხელშიაც დიდხანია იმყოფებოდა თურქეთის ვაჭრობა. ნორჩი თურქული ბურჟუაზია შეეჯახა თავის კონკურენტებს პირველად ბაზრის საკითხში. მან დაიწყო ბრძოლა იმისათვის, რათა კაპიტალისტურ მოგებაში დაედო თავისი წილი. ამ ნიადაგზე იგი გაერთიანდა თურქ მემამულეებთან და გააჩაღა ნაციონალიზმის პროპაგანდა, რაც გამოიხატა პანთურქიზმში, ე. ი. თურქულ რასიზმში.

„ნორჩი ბურჟუაზიისათვის, — წერს ამხანაგი სტალინი, — ძირითადი საკითხია ბაზარი. თავისი საქონლის გასაღება და სხვა ეროვნების ბურჟუაზიასთან კონკურენციაში გამარჯვება — ასეთია მისი მიზანი. აქედან გამომდინარეობს მისი სურვილი — უზრუნველყოს თავისთვის „თავისი“, „შემოთავის“ ბაზარი. ბაზარი პირველი სკოლაა, სადაც ბურჟუაზია ნაციონალიზმს სწავლობს.

მაგრამ საქმე ჩვეულებრივად ბაზრით როდი შემოიფარგლება. ბრძოლაში ერევა გაბატონებული ერის ნახევრად-ფეოდალური, ნახევრად-ბურჟუაზიული ბიუროკრატია თავისი მეთოდებით — „დაიკი და არ გაუშვა“. მბრძანებელი ერის ბურჟუაზიას — სულ ერთია, წერილია იგი თუ მსხვილი — შესაძლებლობა ეძლევა „უფრო მალე“ და „უფრო გაბედულად“ გაუსწორდეს თავის კონკურენტს. „ძალები“ ერთიანდებიან, და იწყება მთელი რიგი შემზღულდელი ზომე-

ბი „უცხოტომელი“ ბურჯუაზიის წინააღმდეგ, რაც რეპრესიებში გადადის. ბრძოლა სამეურნეო სფეროდან პოლიტიკურში გადააქვთ. მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა, ენის შევიწროება, საარჩევნო უფლებათა შეზღუდვა, სკოლების შემცირება, რელიგიური შევიწროება და სხვა — ყოველივე ეს თავს ატყუდება „კონკურენტს“. რა თქმა უნდა, ასეთი ზომები ემსახურება არა მარტო მბრძანებელი ვრის ბურჯუაზიული კლასების ინტერესებს, არამედ მმართველი ბიუროკრატის სპეციფიკურ, ასე ვთქვათ, კასტურ მიზნებსაც“ (ი. სტალინი, ტ. 2. გვ. 328 — 329).

ამრიგად, თურქების ბურჯუაზიულ ნაციონალიზმს ანუ პანთურქიზმს საფუძველად უდევს მოგებაზე დახარბებული ბურჯუაზიის კლასობრივი ბუნება, რაც გამოიხატება მეტოქეების გაძევებაში, „უცხოტომელთა“ მიმართ ეკონომიური და პოლიტიკური რეპრესიების ჩატარებაში, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციაში, აგრესიული ომების წარმოებაში და სხვა ღონისძიებებში, რომელნიც მიმართულია იქითკენ, რათა უფრო განამტკიცონ ბურჯუაზიის ბატონობა.

თურქეთში გაბატონებულ კლასებს წარმოადგენენ ბურჯუაზია და მემამულეები. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თურქეთის ბურჯუაზიამ დიდი მოგება ნაბა ფაშისტური გერმანიისათვის სხვადასხვა საქონლის მიწოდებით და თავის ქვეყანაში სპეკულაციური ოპერაციების წარმოებით. ამის შედეგად თურქეთში გაიზარდა ახალი მილიონერები, რომლებმაც მკიდრო კავშირი გააბეს ამერიკულ და ინგლისელ საქმოსნებთან.

ბურჯუაზიის ასეთი ნაწილის შესახებ ამხანაგმა სტალინმა თქვა:

„ბურჯუაზიის ეს ნაწილი, რომელსაც რევოლუციისა უფრო ეშინია, ვიდრე იმპერიალიზმისა, და რომელიც თავისი ქიხის ინტერესებისათვის უფრო ზრუნავს, ვიდრე თავისი საკუთარი სამ-

შობლოს ინტერესებისათვის, რომელიც ყველაზე მდიდარი და გავლენიანია, ორივე ფეხით დგება რევოლუციურ-რეგებელი მტრების ბანაკში, იმპერიალიზმთან ჰკრავს ბლოკს თავისი საკუთარი ქვეყნის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.“ (ი. სტალინი, ტ. 7. გვ. 163).

თურქეთის ბურჯუაზიის ბრძოლას ფეოდალურ და ნახევრადფეოდალურ წესებთან ყოველთვის ჰქონდა ორჭოფი და არათანამიმდევარი ხასიათი. ზოგი რეფორმა, რომელიც ჩატარდა ქვეშაღების დროს სწავლა-განათლების, რელიგიისა და ყოფა-ცხოვრების დარგში, არსებითად შეეხო მხოლოდ ცხოვრების ზედაპირულ მხარეს, ფეოდალური გადანამთები კი ისევ ხელუხლებელი დარჩნენ.

თურქეთის სოფელში ჯერ ისევ ბატონობენ ექსპლოატაციის ფეოდალური და ნახევრადფეოდალური ფორმები. მეურნეობის კაპიტალისტურ წესებს ადგილი აქვთ მხოლოდ დასავლეთ ანატოლიის ცალკეულ რაიონებში, კილიკიაში, აღმოსავლეთ თრაკიაში და სხვა რაიონების ცალკეულ მამულებში.

თურქეთის მემამულეებსა და ბურჯუაზიას შორის როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკის საკითხებში არსებობს ერთსულოვნება. ვინაიდან თურქეთის ექსპორტის 85% შეადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა, თურქეთის ბურჯუაზია კაპიტალის ნაწილს ბანდავს სოფლის მეურნეობაში. ამიტომ თურქი ვაჭარი ზშირად ერთდამივე დროს მიწის მესაკუთრეცა და მსხვილი ვაჭარიც. ამის გამო თურქეთის ბურჯუაზიაც დაინტერესებულია მიწათმფლობელობის ძველებური წესების შენარჩუნებაში. თავის მხრივ, თურქი მემამულეები, რომელნიც თურქეთის სუსტი ბურჯუაზიის მხრივ ვერ გრძნობენ თავიანთი ინტერესების შელახვას, ერთიან ბლოკს ადგენენ სამრეწველო და სავაჭ-

რო ბურჟუაზიასთან და ეს ბლოკი გაბატონებულია მთელ თურქეთში.

ფორმალურად, არსებული კონსტიტუციის თანახმად, თურქეთი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს მეჯლისი, ერთპალატიანი პარლამენტი, რომელიც ირჩევა ოთხი წლის ვადით. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა საბჭო. პარლამენტის დელეგატთა რიცხვიდან იმავე ვადით ირჩევა რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და ამტკიცებს მინისტრთა შემადგენლობას.

ფაქტიურად თურქეთში ძალაუფლება არის კაპიტალისტების, მემამულეებისა და მოხელეების რეაქციული ბლოკის ხელში. ეს ბლოკი წარმოადგენს ამერიკის იმპერიალიზმის აგენტურას. თურქეთის კონსტიტუცია მხოლოდ ნიღაბია ამ ბლოკის ფაშისტური დიქტატურისა.

ავიღოთ, თუნდაც საარჩევნო კანონი. კონსტიტუციის თანახმად, მეჯლისში არჩევნების უფლება ეძლევათ მხოლოდ თურქებს 22 წლის ასაკიდან. მაგრამ, თურქებად თვლიან თურქეთის მხოლოდ იმ ქვეშევრდომებს, რომელნიც თურქულად ლაპარაკობენ. მეჯლისში არჩეული შეიძლება იყოს თურქი 30 წლის ასაკიდან. მაგრამ, კონსტიტუციის თანახმად, მეჯლისში არ შეიძლება არჩეულ იქნეს ის პირნი, რომლებმაც თურქული წერა-კითხვა არ იციან. ასეთები კი თურქეთში შეადგენენ მოსახლეობის 82%-ს.

გარდა ამისა, საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან ისინიც, ვისაც ბინადრობის ერთწლიანი ცენზი არა აქვთ. ამ კატეგორიაში კი შედის დიდი უმრავლესობა მუშებისა, რომელნიც სამუშაოს ძიების დროს იძულებული არიან ხშირად გამოიცვალონ საცხოვრებელი ადგილი.

საარჩევნო უფლება არ აქვთ აგრეთვე სამხედრო და შინამოსამსახურეებს.

ასეთი შეზღუდვა თურქეთის მოსახლეობის უმრავლესობას, საშუალებას უსპობს მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. მთავრობაში შედიან მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის, მემამულეებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები. გარდა ამისა, არჩევნების დროს თურქეთში ფართოდ იყენებენ ფალსიფიკაციას, ამომრჩეველთა მოსყიდვას, დაშინებასა და სხვ. ამომრჩეველთა ასეთ შეზღუდულ რიცხვიდანაც ყველა როდი ღებულობს მონაწილეობას ხმის მიცემაში. მაგალითად, 1948 წლის ოქტომბერში, მეჯლისში დეპუტატების ნაწილობრივი არჩევნების დროს, სტამბოლში ხმა მისცა მხოლოდ ამომრჩეველთა 20,9%-მა.

ამრიგად, თურქეთში ყველა ეროვნების მშრომელი მასები მოკლებული არიან ელემენტარულ პოლიტიკურ უფლებებს. თურქეთში არ არის გადაწყვეტილი არც მუშათა, არც გლეხთა და არც ნაციონალური საკითხი. თურქეთი ხალხთა საპყრობილეა, სადაც ასეულ წლობით დატანჯული არიან მცირე აზიის ძველისძველი და მკვიდრი თავისუფლების მოყვარე ხალხების წარმომადგენლები.

თურქეთის რეაქციული მმართველები ცდილობენ მოსახლეობაში გაადვიონ მტრობა საბჭოთა კავშირისადმი. თურქეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკა მიმართულია იმისაკენ, რომ განამტკიცოს ქვეყანაში რეაქციის პოლიტიკები, მოწახმოს მოსახლეობის შეგნება ფაშისტური, პანთურქისტული იდეოლოგიით, შეუქმნას ამერიკულ იმპერიალიზმს თურქეთის შემდგომი დამონების ყველა პირობა და ჩააქროს დემოკრატიული, ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ყოველგვარი გამოვლინება.

თურქეთის ბურჟუაზია ცდილობს მოატყუოს მშრომელი მასები „სუბატრვის“ ტიპის პარტიებისა და კავშირების

ჩამოყალიბებით („დემოკრატიული პარტია“, „ნაციონალური პარტია“, სახელმწიფო ცრუპროფკავშირები). ესენი მხოლოდ სიტყვით იცავენ ხალხისა და „დემოკრატიის“ ინტერესებს, საქმით კი აქტიურად ეხმარებიან მმართველ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას ჩაახშოს მუშათა და გლეხთა მოძრაობა. ეს პარტიები მხარს უჭერენ მთავრობის რეაქციულ საგარეო პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, რეაქციის თარეშს თურქეთში წინ ეღობება ქვეყნის დემოკრატიული ძალების გაზრდილი წინააღმდეგობა. თურქი კომუნისტები და დემოკრატიული სახალხო ფრონტი. ისინი მოუწოდებენ თურქეთის მშრომელებს ამერიკელი დამპყრობლებისა და მათი ლაქების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. დემოკრატიული ძალები მოითხოვენ ნამდვილი ხალხური მთავრობის შექმნას, საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. ისინი იბრძვიან ნაციონალიზმისა და პანთურქიზმის წინააღმდეგ და ეწევიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდას.

დემოკრატიული მოძრაობა თურქეთში გამოიხატება მუშების გამოსვლებში ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებით, გაფიცებებში, ხალხმრავალ მიტინგებსა და მშრომელთა დემონსტრაციებში, რომლებიც მიმართულია ცხოვრების გაძვირებისა და მთავრობის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ; პროგრესული მწერლების, ჟურნალისტების, მასწავლებლების და სტუდენტების გამოსვლებში. 1948 წლის თებერვალში ქიზიმირში გაიმართა ქიმიური ქარხნების მუშების დემონსტრაცია, რომელიც მიმართული იყო არსებული მთავრობის წინააღმდეგ.

1949 წელს ხელფასის გადიდება მოითხოვეს სტამბოლის ცემენტის ქარხნის „იუნუსის“, სახელმწიფო სტამბის, სკუ-

ტარის ტრამვაის პარკის და ბურსის წარმოებათა მუშებმა. ცნობილია აგრეთვე თურქი და ამერიკელი მუშათა ტაბორების წინააღმდეგ მებრძოლი მუშების საბოტაჟის რამდენიმე შემთხვევა თურქეთის მრეწველობაში.

უკანასკნელ დროს მუშებმა მოაწყვეს აფეთქება სამხედრო ქარხანაზე „ნური კილიგლი — ფაშა“ და ხანძარი გააჩინეს გემზე „ჩორუმი“, რომელსაც მოჰქონდა ამერიკული იარაღი. სტამბოლში „სუმერბანკის“ საფეიქრო ფაბრიკაში მუშებმა გააფუქეს მოწყობილობა, გამოიყვანეს მწყობრიდან სტამბოლის ელექტროსადგურის 30.000 კილოვატის სიძლიერის ტურბინი და სხვ. გემი „კასტამონუ“ — ს რაზმმა მოაწყო დემონსტრაცია „მარშალის გეგმის“ წინააღმდეგ გარდა ამისა, ქალაქ ედრებსა და ყარაბიუქში გააერცელეს ფურცლები „მარშალის გეგმის“ და ამერიკის მიერ თურქეთის მილიტარიზაციის წინააღმდეგ. ეს ფურცლები არალეგალურად იყო დაბეჭდილი მუშების მიერ.

1949 წლის ზაფხულში ბურსაში, სტამბოლში და ანკარაში მოეწყო მთავრობის საწინააღმდეგო ხალხმრავალი მიტინგები. 1949 წლის 8 მაისის მიტინგს, რომელიც სტამბოლში იყო მოწვეული ცხოვრების გაძვირების საწინააღმდეგოდ (1939 წლიდან თურქეთში ფასები საქონელზე აიწია 500-დან 800 პროცენტამდე), დაესწრო 10 ათასი კაცი. მიტინგის მონაწილეებს ხელში ეკავათ პლაკატები წარწერით: „ხელისუფლებაც გაახილე თვალები. შეხედე მშიერ ხალხს!“, „მთავრობა კლექთან ბრძოლას აწარმოებს ფასების გადიდებით!“. იყო აგრეთვე პლაკატები კარიკატურით, მაგალითად ერთ პლაკატზე დაბატული იყო საკანი, რომელშიაც ზის ბორკილგაყრილი კაცი წარწერით „ცხოვრების გაიფხება“, კარის ბოქლომზე კი გამოხატულია სახალხო რესპუბლიკური პარტიის ინიციალები. საერთო ყურადღება მიიქცია მიტინგზე კუბოს მაკეტმა. ამასაც ჰქონ-

და წარწერა „ცხოვრების გაიაფება“. კუბოს მიყვებოდა ხალხი იმპროვიზირებულ გვირგვინებით და სატირიკული წარწერებით. კუბოს მაკეტს მიყვებოდა აგრეთვე ორკესტრი, რომელიც სამგლოვიარო მარშს ასრულებდა.

1949 წლის 9 აგვისტოს ქ. იზმირში მშრომელმა მასებმა მოაწყეს ხალხმრავალი მიტინგი. 1949 წლის ივლისში ქ. კაისერში ჩატარდა მასობრივი მიტინგი ლოზუნგებით: „გაუმარჯოს დემოკრატია“, „ძირს ამერიკელი ოკუპანტები!“.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ დემოკრატიული მოძრაობა თურქეთში უკვე იკრებს. ნაციონალურ (ulusulus) სამწვევე უფრო მეტად აძლიერებს თურქეთის შინაპოლიტიკურ მდგომარეობის დაძაბულობას. მაგრამ თურქეთის რეაქციულ წრეებს, რომელნიც ამერიკელი იმპერიალისტების სრული გავლენის ქვეშ იმყოფებიან, არ სურთ ყური უგდონ თურქეთის მშრომელი მასებისა და ნაცემციერესობათა სამართლიან მოთხოვნებს.

ბიბლიოგრაფია

★

ლიბერალური პარტია

★

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აქარის განყოფილებამ გამოსცა თავისი პირველი მე-12 ლიტერატურული აღმანახი — „ლიტერატურული აქარა“. მასში წარმოდგენილია აქარის მომუშავე მწერალთა მიერ განვლილ წელს შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები და ამრიგად, იგი აქარის ლიტერატურული ძალეუბის ერთგვარ შემოქმედებითს ანგარიშს წარმოადგენს.

ცხოველყოფილი საბჭოთა პარტიოტიზმი, სიყვარული ზრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი — ით რას უმღერაინ აქარის პოეტები, უპირველეს ყოვლისა, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა მწერალი მთელს ჩვენს დიდ საშობლოში. ამასთან, უფრო გააღმუღალ და მკეთორად გამოსატავენ აქარელი მწერლები ქართველი ხალხისა და კერძოდ აქარელთა გულისწყრომას იმ ისტორიული უსამართლობისა და ბედუჯუღმართობის გამო, რომ ქართველთა მიწა-წყლის ნაწილს კერ კიდევ თურქი ბარბაროსი სთელავს, ხოლო მიჯნასგადაღმელი ჩვენი სისხლბორცი ძებები სინუნელსა და სიღატაკეში მიათრევენ თავის გაუხარებელ სიცოცხლეს.

„ერთი ძმა დღეს მე სარღში მუჯის, შორეუ სარღის გაღალმა...
ძმა ძმასთან ვეღარ მივსულვარ
ვერ მიიქვამს მისთვის სათქმელი,
გული ღონდება, ძმას ქოხში
რომ ჩაქრობია სანთელი“—ო,

მკოდებს პოეტ პარმენ რურუას პირით აქარელი და იქვე დასტუნს:

„ღროთა გამთელდეს იარა,
შეგ გულში ამოჭრილით,
ძმამ ძმა იხილოს და დღემად
მკერდში ჩაიკრას შევლით“.

ამ საყთხს მიუძღუნან თავიანთ ლექსებს პოეტები ნადიდე გვარამიშვილი („შარადიდის ხი-

ლი, რომლის ნახევარი მიტაცებულ მიწაზე დარჩა“) და ხემიდ ხალვაში („სიმღერები ღაზეთზე“ და „ამბავი ერთი შოფრისა“).

ლექსში „ამბავი ერთი შოფრისა“ პოეტი აგვეწერს ღაზე შოფრის თავგადანთავალს, რომლის მამა, შესანიშნავი მერუქერთმე, გამოქცევა ხოფიდან მზაგერელებს, მაგრამ იმედგაცრუებული ოსტატი შიშვილის მსხვერპლი გამხდარა.

„ეს ძველად იყო, მამინ სარღს
შუა არ ჰქონდა ზღუდე,
მერე გაღმურეს... მე ობოლს
ბედმა აქ მარგო მოცდა...
წამოვიზარდე, ოქტომბრის
დიადი შუქი მომწედა“.

ამბოხის ღაზე შოფერი ახლა, როცა გაბედვის რუხად გაღამილ ღაზეთის სიერცეს და გრძნობს, თუ ტანჯული სოფელი როგორი მკედის თვალთ უცქერის ღაზეთის ამ თავისუფალ შვილს.

თურქთა ბარბაროსობასა და მოძალადეობას აგვეწერს ახალგაზრდა პროზაიკოსი სულიკო ქლერტი თავის ისტორიულ მოთხრობაში „სისხლბინი ქორწილი“.

ქლერტისათვის ამ მოთხრობის გამოქვეყნება ლიტერატურული დებიუტია. ნაწარმოები დაწერილია კარგი ქართულით. ავტორი ამჟღავნებს თხრობის შესანიშნავ მანერას, ამასთან მის მიერ შექმნილი სიტუაციები და ტიპები დამაჯერებელი არიან. ავტორს ეხერხება პეიზაჟების მოხდენილად დახატვა, მაგრამ მწერალმა თავისი ლიტერატურული შესაძლებლობანი უნდა გვიჩვენოს თანამედროვე თემატიკაში.

მთავარია ჩვენი მდიდარი შინაარსით აღსავსე საბჭოთა სინამდვილის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების მშენებლობისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული, დაუღალავი შრომის მხატვრულ დასახვა.

უნდა ითქვას, რომ აპირებ პოეტთა ლექსების უმეტესი ნაწილი ჩვენი საბჭოთა სინამდვილისადმი, ჩვენი მჭევრარე, მრავალფეროვანი ცხოვრებისადმი არის მიძღვნილი.

კრებული იხსნება პოეტ ნესტორ მალაზონის ლექსით „მე შემოვიყარა ეს დეკემბერი“.

პოეტი ოსტატურად გადმოგვცემს საბჭოთა აღმართის განცდას დეკემბრისადმი, რომელიც უაღრესად სასიხარულო და ღირსსახსოვარი თვეა, როგორც ორი უდიდესი თარიღის შემდეგელი:

„მე ერთიორად შემოვიყარა ეს დეკემბერი, დე იყოს ყინვა, მოგრიალე ქარი და თოვა. მინდა ათასჯერ გულს ჩაეცრა და ვეამბორო: ვიცი, ეს თვე — და ორი დიდი თარიღი მოვა. დეკემბრის დილით გაიღმა პირველად ქიხმა, და ეს ღიმილი მზის მხურვალე სიცილად იქცა. მას შემდეგ დაშრა ყველა ქიხში ოხერა და ბოღმა, განათვისუფლდა მონობისგან შრომა და მიწა. შხინი ზელით მზემ დაწერა დეკემბრის თვეში სხივმოციმციმე და ნანატრი კანონი ხალხთა. აყვავდა მიწა და სიცოცხლეს მიეცა ეშვი, ყველა მშრომელის საწყევარი ოცნება ახლა. ამიტომ მიყვარს ერთიორად ეს დეკემბერი, დე იყოს ყინვა, მოგრიალე ქარი და თოვა. მინდა ათასჯერ გულს ჩაეცრა და ვეამბორო: ვიცი, ეს თვე — და ორი დიდი თარიღი მოვა“.

ყველაფერია იმ ნათქვამი პოეტის მიერ, მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც უნდა გავაკეთოთ: ლექსი ნამდვილად იმ რთული თავდება, სადაც ჩვენ დავამთავრეთ, მას კიდევ მისდევს 4 სტროფი, სადაც ავტორი ახდენს იმის დეტალზაცაას, თუ რატომ არის საყვარელი ეს თვე. ვფიქრობთ, ეს საჭირო აღარ იყო. უამსტრიქონებოდაც პოეტმა ყველაფერი თქვა და მკითხველმაც ყველაფერი გაიგო და იგულისხმა, ავტორსაც წერტილი სწორად იქ უნდა დაესვა.

ნესტორ მალაზონია წარმოდგენილია სხვა ლექსებითაც:

„ჩემზე ლომველთა“ — მიძღვნილია ალ. ყაზბეგისადმი. „შრომისა და ზეიმის შიში“ — ხოტბა თავისუფლად შრომისა, რომელიც სასწაულებს ახდენს ჩვენს ქვეყანაში.

ნ. მალაზონია აქტიურად ეხმარება ჩვენი ცხოვრების ყოველ ღირსშესანიშნავ მოვლენას და იმდენად მისი პოეტური შემოქმედებაც მრავალფეროვანი და ნაყოფიერი. განსაკუთრებით გამოირჩევა კომკავშირისადმი მიძღვნილი მისი ლექსი.

ჭაღარით მოსილ პოეტს კარგად ესმის კომკავშირის დანიშნულება:

„კომკავშირი!

ეს რწმენისა და ხალისის მჭევრარე და კარდისფერი წლებიაო“, — ამბობს ის და განაცხადობს:

ბიბლიოგრაფია

„მე ეს წლები უფრულად დავფურცელე: სინანულის ცრემლით საცხე თვალი მაქვს! დამაცადეთ, ჯერ არ მინდა მოეხუცდე: მე იმ წლების ვადუბდელი ვალი მაქვს!“

ლექსში „უკვდავი ძიობა ჩვენი“ გადმოცემულია თანამებრძოლის ფაქიზი გრძნობა სამშალო ომში დაღუპული სამი ძმისადმი. შინდარუნებულ მათს ამხანაგს არ ავიწყდება ისინი და მის განცდას შესანიშნავად გამოხატავს პოეტი.

„საბჭოთა ქალი“ მოხერხებულად არის დახატული სახე უფროდ სწამიერის ქალისა, რომელიც ახლა აშენებს, გმირი დედისა, რომელმაც სამშობლოს თერთმეტი შვილი გამოუზარდა.

ალმანახში წარმოდგენილია პარმენ რურტის სამი ლექსი „მიწა ხარობს ქართლისა“, „ლაზურის სიმღერები“ და „სამაია“.

შესანიშნევი წინსვლა ვეკობა პოეტს მამია ვარშანიძეს, ალმანახში მოთავსებულია მისი ლექსები:

„დიდი სტალინის წმინდა აყვანი“, „გუთნის დედა“, „ღვინოს წურავს შენი ქალი“, „მოღინახე“, „პირველი ყვავილი“.

ყველა ეს ლექსი გააღწეოლია სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულის გრძნობით.

ყოველი აქარელის გრძნობასა და განცდას გადმოსცემს პოეტი, როდესაც ამბობს:

„მე სიყვარულით ლექსი დაგჭარბე და მოგძღვენი შენ, საქართველო, ხმატკილიად მღერის შენი აქარა გულგამგმირავე სულთამხუთათო, სამას წელშიაღს ბნელში იარა, მაინც ქართული არ გაუთავდა. ქართული სიტყვა აბჯრად აისხა და უშიშარი ვეფხეს დაემგვანა ომში მღეროდა „მომლი მოხანა“ აყვანთან ისევ ტანბი იავნანას“ (ღიდი სტალინის წმინდა აყვანი“).

ვარშანიძის ლექსებში წითელ ზოლად გამოვყვება ის აზრი, რომ სამსწლოვანი მონობისაგან მიყენებულ ჭრილობას აქარა წარმატებით იშუშებს, სტალინური მზით ვამთხარი. და მღერის:

„კვლავ მესხურად ვვიძახი... გული ამიმღერებო; მოდი ნახე ჩემი სახლი, რა რიგ დამიშვენებია“.

ლექსში „ღვინოს წურავს შენი ქალი“ გადმოცემულია, თუ როგორ ითავისუფლებს თავს

აქარა აქა-იქ გერ კიდევ შემორჩენილი თურქული გავლენის ნაშთებისაგან, თურქული სახელებს შეეცვლა ქართულით, ჩადრის გადაღება, ღვინის დაყენება და სხვ.—ყველა ამის შესახებ ამბობს პოეტის:

„შენი ჭალი წერავს ღვინოს,
წინათ წვეთს არ იყარებდა,
შენი ჭალი ირქმევს ნინოს —
ქართულ სახელს —
წინათ ჩადრს რომ იფარებდა“

ეს ლექსი იდენტურად კარგად არის გააზრებული.

ახალგაზრდა პოეტმა გიორგი სალუქვაძემ თავიდანვე მიიქცია ყურადღება ნიჭიერად დაწერილი ლექსებით და ვითქვამს სახელი აქარის ვარჯიშად. მისი ლექსთა ორი კრებული, რომელიც გამოვიდა ამ მოკლე ხნის მანძილზე, აღიარებულ იყო კრიტიკის მიერ როგორც ღირს-შესანიშნავი მოვლენა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. პოეტს თავის ლექსთა მეორე კრებულში ჰქონდა კამერული ხასიათის გადახრები, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მიუღრივ პოლიტიკურად და იდენტურად გამართულ ნაწარმოებებთან ერთად გამოქვეყნდა უდიდო ლირიული ლექსები, რასედაც მას მართებულად მითითეს. ეს მითითება ახალგაზრდა კომპოზიტორმა პოეტმა მიიღო და მიუღი თავისი არსებით შეუდგა ნაკლის გამოსწორებას. მას შემდეგ ვეღარ ვხვდებით უდიდობის ნატამალსაც კი მის მიერ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში, პირიქით, ისინი შალღიდენტური და მინანქრავლური არიან. მისი ლირიკა სავსებით ჯანსაღია.

ალმანახში შეტანილი სალუქვაძის ხეთი ლექსი ამ აზრის ბრწყინვალე დადასტურებაა. ეს ლექსები უმეტესად ბელადის რევილუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის თემისადმი არიან მიძღვნილი და ამ ფონზე აქარის განახლებას, იქმართული კულტურის, ქართული სულის დაბრუნებას და ახალი სოციალისტური, საბჭოთარი ყოფის მტკიცედ დანერგვას ასახავენ.

პოეტურად კარგადაა გააზრებული ბელადის პირველი საღღვრბელო, წარმოთქმული 1901 წლის ახალწლის წინაღამეს მოწვეულ მუშათა არაღვალურ კრებაზე, სადაც საფუძველი ჩაეყარა ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ლექსში „შენ რომ ახალ წელს ასწვი კიკა“:

ლაშქვით ცვლიდა დილა სისხაში,
ახალ წელს მოსვლა ბევრჯელ ენება,
მგვრამ სხვა იყო მაინც ის ღამე,
სხვა იყო მაინც ის ვათენება“

ამბობს პოეტის და იქვე ვარჯიშობს:
„წამოღვა სოსო —
ხალხის იმედი, ერქმევს
წინამძღოლი და გზისგამაგებელი
„თქვა“

— მალე ჩვენაც ვაგვივთენდება
ეს მზე ჩვენთვისაც ამობრწყინდება!
ის მზის პირდაპირ იდგა მზისადარი,
პირამდე საეხეს ვახვდა კიკას,
ახალ ვანთიღს ვაუღო კარი

და ახალ ბრძოლის გაუძლეა ვრივალს!“
შემდეგ პოეტის მოგვიხსობს, თუ როგორ პევევის სტალინური მზის ქვეშ აქარა, რომლის ქართულ მიწაზე კვლავ ხარობს ვაზი, რომელიც სამს წელაწადს არ ახარებდა თურჭი. ახლა კი სტალინური ებოქაში კვლავ მიეცა აქარაში სიციცხლე ვენახს და ცხოვრება მაქარიციით მოჩქელს, და მიმართავს რა ასეთი ცხოვრების დიდ შემოქმედს, პოეტის ამბობს:

„შენ რომ ახალ წელს ასწვი კიკა,
იმ კიქით ვლაციეს მიელი აქარა“.

ამავე თემაზე დაწერილი ლექსი „ის ვათენება“, რომელიც აქარის შრომელთა ერთგვარი პატაკია თავის წარმატებებზე ბელადისადმი.

კარგია აგრეთვე ლექსი „ღროშა“, შთავონებული რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტის დროშისაგან, რომელიც ინახება რევილუციის მუზეუმში. კ. ბათუმში. აგრეთვე ლექსი „გორში ატეხი პევაოდნენ“, რომელიც დაწერილია იმ ღირსშესანიშნავი ფაქტის გამო, რომ 1902 წლის აპრილში შეიღის დაპატმირების გამო ბათუმში ჩაეღა ამხანავ სტალინის დედა. ეს ლექსი გაშლილია შეიღისადმი დედის თბილი გრძნობების ფონზე და გამაყურბებულ ღირბონით არის გამობარი.

და, ბოლოს, — „ევაზის ძირი დალიოცის!“. იქ უკვე პოეტური შესხმაა აქარის ნავენახარზე ევაზის ფუნხისადმისა, რომელ ფაქტშიაც აქარაში ახალ ქართული ყოფა-ცხოვრების დამკვიდრებას ვხვდებით.

აქარელი პოეტის ჭალი ნაღიდე გვარიშვილი წარმოღვენილია უკვე ნაცნობი ლექსებით, რომლებიც თავის დროზე დასტამბული იყო იდგომლობრივ პრესაში.

ამ ახალგაზრდა პოეტსაც ახასიათებს პოეტური აილო, სავნებისა და მოვლენების სწორად დანახვის უნარი. იგი საკმაოდ გრძნობს მოვლენათა აქტუალობას და დროულად ემზობრება მათ. არ იქნებოდა ურავო, რომ პოეტის ჭალი თავისი შემოქმედების ძირითად თემად აიღებდეს აქარელი ჭალის მინაწილეობას ახალი ქვეყნის მშენებლობაში.

უდავოდ კარგად მოფიქრებული და იდეური ლექსია „შრომამ შექმნა გმირობა და სილაშქარზე“ არჩილ რუგოშვილისა. აგრეთვე ლექსი „ვიმღერობ ჩვენი დიდება“.

კარგია ქსენია მყაეიას, ინეზა ბერიძის, ნიკოლოზ თალაქაიძის, გრიგოლ აფხაზეას, შოთა როგუას ლექსები.

პირველად ვხვდებით აღმანახში ოთარ ბობოხიძის, ჯემალ ჯაყელის, მამედ ანანიძის, ბიჭიკო ხაჩიშვილის, ამირან სახოყიას, გივი აიოშვიძის, დომენტი გოგატაძის სახელებს, რომლებიც ლითონ ლექსით არიან წარმოდგენილნი.

ლიტერატურული ძალების ზრდა აჭარაში უდავოდ დადებითი და ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ამ ახალი ძალების აღზრდას, მათთან მუშაობას.

აღმანახში წარმოდგენილია აგრეთვე კაცოტნ რუსთაძის მოთხრობა „გულნახ“ და პირმენ ლორიას 4-მკვლევებიანი პიესა „მეგობრობა“.

პიესა „მეგობრობა“ ვალშქრებია აჭარაში აჭაიქ ჯერ კიდევ შემორჩენილი თურქული მანენ ადათ-წესების წინააღმდეგ და ამდენად დიდი მნიშვნელობის შემცველი ნაწარმოებია. ავტორმა შესწლო დამაგერებელ მხატვრულ ფორმებში დაენახებინა სიზნელის ამ ნაშთთა მთელი სივალახე და ეთქვა, რაც მალე განთავისუფლებით მისგან, მით უკეთესიაჲ ამ პიესას დიდი აღმზრდელობით და საავტოტო მნიშვნელობა აქვს.

კ. რუსთაძის „გულნახ“ დაწერილია თანამედროვე თემაზე: აჭარელი ჩაის მკრეყავი კოლმურენე ქალი გულნახ ნაკაიძე შრომის გმირი ხდება და თბილისში მიდის გმირობის მედალისა და ორდენის მისაღებად. თან მიჰყავს თავისი პატარა გოგონა მზია. სასტუმროში, სადაც ის ჩერდება, მასთან მიდის შრომაში წარჩინებული ზუგდიდელი ცირა ლანდია. ჩაის მკრეყავები ერთმანეთს შორით იცნობენ, ახლა კი პირადად ეცნობიან. მათი პირველივე საუბრიდან ირკვევა, რომ გულნახს ქმარი პყოლია—მათივე კოლმურენების შოფერი—„ეკრბი და თავისებური ხასიათის მქონე კაცი“, რომლის „გულში ნამდვილი ძველი დროის ადამიანი ბუღობდა“ და რომელიც ამავე დროს მეტად ახირებული ხასიათისაც უფილია. „იმახად კი ვერ იტანდა,— ამბობს გულნახი,— მე რომ სამუშაოდ ვავდიოდი, კრებებზე სიტყვის ვამბობდი, ჩემზე რომ ლაპარაკობდნენ და მაქებდნენ, არც ის უნდოდა, უბრალო დიასახლისი ეყოფილიყავი, ვერც სასოგადოებაში ჩემს გამოხვლას ურიგდებოდა. ვითომ გულუკეთილიც იყო, ხანდახან თავის სატყველსაც მოინანიებდა, მაგრამ ბო-

ლოს ყველაფერს ერთბაშად უარიუფდა და გამხეცდებოდა“.

ესაღბია, ასეთ კაცთან ქალს ვერცხელოდა და განშორებულან, მხოლოდ ერთი ცდაცხადურად. კაცი თბილისში წასვლა. ნაქმარევი ნაციოლევს წერს წერილებს, უგზავნის ფულს, რომლითაც გულნახი ყიდულობს რაც საჭიროა ბავშვისათვის, დანარჩენი კი მზიას სახელზე შეაქვს შემანახველ სალაროში, წერილებზე გულნახი პასუხს არ აძლევს, მაგრამ გულნახის ველში მაინც დღევის თებამ ამ კაცისადმი სიყვარული, რადგან იგი მისი პირველი სიყვარულია. და ამბავიც თავისი ლოგიკური მიმდინარეობით მოაგრდება: გულნახი ქმარს შეურიგდება.

აქ თავიდან ბოლომდე ყველაფერი ბელოვნურადლა შეყოფიებული, დაუგერებელია და, რაც ყველაზე უარესია, საგნები და მოვლენები დანახულია ობიექტელის თვლით.

განა არ ხდება ასეთი ამბები მეშწანურ წრეებში? ახირებული ცალქმარი მატერიალურ ინსხვა რაიმე ობიექტელურ ნიადაგზე მიატოვებენ ერთმანეთს და შემდეგ თუ ერთი რომელიმე მხარის მდგომარეობა გამოეთილება, მეორე მხარე დაუწყებს ლაქუტსა და მონანიებას—შემიერიგდითა და იწყება თავიდან ნიადაგმერყეული ცხოვრება. ხდება, მაგრამ ეს ხომ ტიპური არ არის ჩვენი სისხლქარბი, ჯანსალი საბჭოთა ყოფისათვის?

სამუშახაროდ ავტორმა ასეთი თვისებებით შეამკო გმირი ქალი გულნახი, რომელიც ჩვენი ებოქის მოფინავე კოლმურენე ქალია და აბავითარ შემთბვევაში არ უნდა ახასიათებდეს მის ობიექტელისა და მეშწანის თვისებები. ასეთი რომ ყოფილიყო, ის შრომის გმირიც ვერ გახდებოდა.

ვაშოდის, რომ ვიდრე გულნახი საქვეყნოდ სახელგანთქმული არ იყო, ქმარს შეეჭლო მისი მიტოვება, ხოლო რაცა გმირი ვახდა, მისაღები შეიქნა ეკრბი ქმრისათვის და დაუბრუნდა.

ასე იოლად არ წყვეტენ ასეთ საკითხებს მალალი შორალის საბჭოთა ადამიანები.

კ. რუსთაძის ვიქნობთ რიგორც სამი წიგნის ავტორს, რომლებმაც თავის დროზე ძლიერი კრიტიკა განიცადეს და სწორედ ისეთივე ნაკლზე მეთითიბდნენ, რაც „გულნახს“ ახასიათებს: ცხოვრების უტოლნარობა და, მისასაღამე, მისი არასწორად, ყალბად წარმოდგენა.

ამბ. ედანოვი ამბობდა: „მწერალი უნდა ხელმძღვანელობდეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდიტ, კეთილზნდისიერად და ყურადღებით სწავლობდეს ჩვენს სინამდვილეს, ცდილობდეს უფრო ღრმად ჩასწვდეს ჩვენი ვანეითარების პრაიქციების არსს, ზრდიდეს ხალხს და იდეურად აიარალებდეს მას“.

საბჭოთა მწერლის დანიშნულებაა ავითარებდეს ხალხის გემოვნებას, ამოღებდეს მის მოთხოვნილებებს, ამოღებდეს მას ახალი იდეებით, წინ მიჰყავდეს ხალხი.

ალმანახში დაბეჭდილია ნესტორ პაიჭაძის შეტად საინტერესო მასალები გამოჩენილი ქართული ბელეტრისტიკის ეგნატე ნინოშვილის ბათუმში ცხოვრების შესახებ.

ავტორის ბევრი საინტერესო ფაქტი მოყავს უკუდავ ეგნატეს ბათუმში ცხოვრებიდან, რაც ფართო მკითხველსათვის აქამდე უცნობი იყო.

ალმანახში მოთავსებულია გვრდითი „ლექსანდრე ჩავლეიშვილის კრიტიკული გარჩევა ს. შანშიაშვილის პიესისა „იმერეთის ფაშები“-საქართველოს საბჭოთა მწერლები, ავტორის აქარის ვანყოფინების ალმანახი გვარწმუნებს იმაში, რომ აქარაში წვეწ ლიტერატურით სავაოდ თვალსაზრისით ძალები მოგვემოვება სავსურველია, მეტი ადგილი დაეთმოს მხატვრულ პროზას, რომელშიც გაშუქება უნდა შროვის აყვავებული აქარის საინტერესო ცხოვრებამ.

ა. კალმეჯანიძე.



მ. ლებანიძე — „ზაზა მესხი“, საბლიობრაზში, 1949 წ.

მ. ლებანიძის წიგნში ორი მოთხრობაა მოთავსებული — „ზაზა მესხი“ და „მარუხელი ბიჭი“. „ზაზა მესხი“ ონის რაიონის სოფელ ზვარეთის სამშალო სკოლის მოსწავლეთა უფროსების ამსახველი ნაწარმოებია. ამ მოთხრობის მთავარი გმირი ზაზა მესხი ზვარეთის სამშალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა. ამისთან კომკავშირის კომიტეტის მდივანი. როგორც მოთხრობის შინაარსიდან ვეებულობთ ზაზა ნიჭიერი და მეგობრული თვისებების მატარებელი ყმაწვილია. ზაზას უახლოეს მეგობრად ზვარეთის სკოლაში წინუ ითვლება. „წინუ და ზაზა კარგი მეგობრები არიან, ძლიერ კარგი მეგობრები. თექვსმეტი წლისანი არიან ორივენი — სწორედ ამ ზაფხულს შესრულდნენ თექვსმეტისანი... გაცვეთილებსაც ერთად ამზადებენ და ყინასაც ერთად თიხნიან. დღედაღამ ერთმანეთზე ფიქრობენ. ზაზას სიხარული წინუს სიხარულია, წინუმ გაიკაწრა წვივი ძეძვეში — სისხლი ზაზას ჩიფლავარა გულში, ზაზამ ვერ უპასუხა გაცვეთილი — წინუს აელანს ფერმკრთალი ლაწვიბი...“ (გვ. 16 — 17).

ავტორმა ზაზას ნოდარ დაუშვილი დაუბირისპირა, რომლის სახე მოთხრობაში მქვი ფერებით არის დაბატრული. იგი თექვსმეტი წლის ბიჭია, „სამიოდ თვის გადმოსული იყო ზვარეთის სკოლაში. ამობდნენ სკოლიდან გარიცხესო შქმერს, მიტომ დაიწყო სწავლა დედულასო“ (გვ. 17). დედულეთში ჩამოსვლის დღიდანვე ნოდარმა ზაზა აითვალისწუნა. ერთხელ წინუს სანახაიოდ მიმავალ ზაზას მისახვევში ნოდარი შეეფეთა, ზაზა ნოდარს მიესალმა, მაგრამ „დაუშვილმა წარბი შეკრა, გზა

აქცია და გაოგნებული ბიჭი უსალოდ დატოვა“ (გვ. 17). ნოდარის საქციელმა ჩააფიქრა ზაზა. არ უყვარს ნოდარს ზაზა. სალამსაც არ კადრულობს, რა ქნას ზაზამ, ნერც ეყვარება იღონდ... „ფრთხილად იყოს დაუშვილი, ფრთხილად! ზაზა კეთილია, თავმდაბალი, კიასაც არ დააბიჯებს ფეხს, მაგრამ არც ეინმეს დაჩაგვრინებს თავს“ (გვ. 18). მოთხრობა თანმიმდევრობით ვითარდება. ნოდარი უფრო და უფრო ზეუდება. ზაზასა და მის შორის ღრმა უფსკრული გაჩნდა. ნოდარს ყველა ცალი თვლით უყურებს. მოსწავლეები მას აბუნად იგდებენ. დასციინა, მასწავლებლებმა კი ამის შესახებ არაფერი იციან. „ერთ დღეს, დიდ დასვენებზე ხათუნამ ნოდარი დაიმარტოვა.

— რა გინდა, გოგო!

— არაფერი, ისე, ლაპარაკი მინდოდა შენთან...

— პო, თქვი ბარემ!

ხათუნამ გაბედა:

— ნოდარ, რათ არ შედიხარ კომკავშირში? დაუშვილი აიღრინა:

— რაღა?! — რა შენი საქმეა, გოგო, ვინ მოგაგზავნა?!

ხათუნა აენტო:

— მე არავის შუამავალი არა ვარ, გკითხვ ამხანაგურად, შენთან კი, თურმე, ლაპარაკიც არ შეიძლება!

ხმამალად ლაპარაკი რომ გაეგონეს, მოწუფებში მოგროვდნენ.

— გასწი მეთქი, გოგო, დამეკარგე აქედან! — გაქარხალებულმა ხათუნამ ამხანაგებს გადახე-



და და სხაასხეპით დაყოლა: — მე ვიცი რად არ შედისარ! — კომიტეტის მდივანი ზაზა — როგორ თუ მან უნდა მიგიღოს კომპაემირში თაკილობ კიდევ, კვდი ყავარზე გაქვს გადებუ-ლი..

სწორებმა სიცილი ვერ შეიკავეს, დაუშვალს გულზე ცეცხლი წაეკიდა, — მიუხედავად (გვ. 25—26).

როგორც ვხედავთ ზეარეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ნოდარისა და ზაზას დამოკიდებულების ამბავი. დავიანებით, შორს მანაც ავტორი ზაზასა და ნოდარის შიშის არსებულ ურთიერთობის საკითხს მასწავლებელს შალვას, ნოდარისა და ზაზას კლასის დამრიგებელს აცნობს. „დღეს პირველი მეთხედა დასრულდა. გავეთილებს შემდეგ ნიშნებს გამოაცხადებენ. შალვა — დამრიგებელი არასოდეს უნახავთ ასე აღუღებელი.. ფანჯარასთან შეჩერდა სენიძე და თვლი გაუშტერდა. მერვ, უცემ, რაღაც გადასწყვიტა და კლასს მიუბრუნდა: — დაუშვილო, ადექ ზეზე!..“

დაუშვილი შერთა, მერვ ზღაზენით წამოი-მართა და გაეკირებუელი თვალები დამრიგებელს მიაშტერა.

სენიძეს გულზე უბინეს უტიფარმა თვ-ლებმა; წარბა-წარბზე გადაბაძა, თვალებით ვას-ჭვალა და მინამდე არ მოეშვა, კიდრე დაუ-შვილმა თავი არ დახარა.

ახლა, მარცხნივ მიიღო პირი დამრიგებელმა. — ზაზა, მოდი, ჩამოართვი ხელი!“ (გვ. 28).

ახლა ყველასათვის ნათელი გახდა, თუ რათ იყო შალვა მასწავლებელი განრისხებული. მის ახლახან გუფგია, რომ სამი თვე ემდურიან ბიჭები ერთმანეთს. საქმეში მასწავლებელის ჩარევამ მოსწავლეები დაარწმუნა იმაში, რომ ნოდარი და ზაზა შერიგდებოდნენ, შეგობრები გახდებოდნენ. „მაგრამ მოხდა ის, რასაც არა-ვინ მოელოდა; დაუშვილმა საკოცნელად მიღე-რილ ტუნს ცაცია შეაშველა. მარჯვენა ხელი ზისლით გამოსტაცა და გორიხი თავი მკერდზე დააბჯინა“ (გვ. 29). ამრიგად ზაზასა და ნო-დარის შერიგების ცდა მარცხით თავდება. მათ შორის დამოკიდებულება კიდევ უფრო რთულ-დება, რაც ხუნუნათვის საბედისწერო ხდება. წყაროზე მისულ ნუნუს წინ ნოდარი ავსუვტი. ზაზა ამავე და წინადადება მისცა ზაზასთან მე-გობრობა შეეწყვიტა. ამის გამოგონე „გოგონას ღობის გული წაუთიდა; კაცა იქვე გაემსხვრა ქვაზე და ხილსიყენ გაიქცა. უცემ, მორბეზე ფეხი დაუცდა და გულმომ შეტრიალდა. კიდევ კარგი, პატარაა ზეორისწეალი. ნირშეცვლილმა დაუშვილმა თეთონივე შესტომა წყალში, ლუ-11. „მნათობა“, № 2.

კია მეწისქვილეც გამოეარდა ცვილივე/ და ცოცხალმკედარი გოგონა წისქვილში შეიტანეს“ (გვ. 37).

ამის შემდეგ მოთხრობაში ნოდარი კიდევ უფრო ემატება. ნოდარი ვაერბის სკოლას და სოფელს, ნუნუ ჰლექდება. მისი სიყვდილის წამი ახლოდება. ყველა მშუხარების განკიდის. ზაზა თავისი მეგობრის საწოლს არ ცილდება. იგი მოსკოვის მიონერთა და მოსწავლეთა სასახ-ლის მიწვევას არ ეხმარება. მას ახლი ნუნუს სიცოცხლის საკითხი უფრო აწუხებს, კიდრე მის მიერ შესრულებული სურათის — „ლახტა-ურის“ ბედი. სიტყვის პატრონი კაცია ზაზა, მაგრამ ვის საღამოს გიორგი ექიმის ერიმა სიტყვამ გასტება ზაზა. გიორგი ექიმის სიტყ-ვით აღფრთოვანებული ზაზა ნუნუას ახარებს, რომ მან ვადასწყვიტა მოსკოვში წასვლა.

ზაზა მოსკოვში გორში გაცნობილ ტანია სმისლოვას ოჯახს ესტუმბრა. აქ გამოირკვეა, რომ ტანიას მამა პროფესორი სმისლოვი ერთი მთავარი იყო, რომელიც ცხრამეტე წელიწადი მუშაობდა ჰლექის საწინააღმდეგო წამლის დამ-ზადებაზე. „ჭვი, სიყვდილო, ცხრამეტე წელი-წადი გებრძოდა პროფესორი სმისლოვი და ხომ მოგამტერია ცხრა ფეხი მეოცე წელს! მოკ-ვი, ჰლექო, მოკვილი! იცოცხლე ხალხო, იცოც-ხლე! მაგრამ...“

მაგრამ რა?!

მაგრამ ის, რომ ჯერ ხომ მასობრივი წარ-მოება არ დაწყებულა სმისლოვისა და ბოგო-ლიუბის მიერ დამზადებული პრეპარატისა“ (გვ. 57). აი, რა აწუხებს პროფესორი სმისლოვი, როგორ დაეხმაროს ზაზას ნუნუას ვანერ-ნებაში, როდესაც ჰლექის საწინააღმდეგო პრე-პარატის მასობრივი დამზადება ჯერ არ დაწყე-ბულა. მაგრამ, როგორ გაუძლოს პროფესორმა ზაზას ჩალრმევებული თვალების გამოხედვას, ან ნუნუას ფერმერთალ სახეს, რომელიც ზა-ზას დაუხატავს და მოსკოვში თან წამოიღია. ფიქრებით გარემოცულმა პროფესორმა უცხად არაღაც გადასწყვიტა! საჩქაროდ წამოღვა ზე-ზე, კვლევ გაიძრო სამუშაო ხალაით, კოსტეში გადაიცვა და ელსმენთან მივიდა.. ხუთიოდე წუთის შემდეგ მანქანა მოსრიალდა საპარადო შემოსასქულთან“ (გვ. 58). ამის შემდეგ ჩვენ ვგებულობთ, რომ სმისლოვემ ზაზას წამა-ლი უშოვნა და თბილისისაკენ გამოისტუმრა. ზაზა სოფელში გამარჯვებული ბრუნდება: „ლახტაურმა“ გამოფენაზე მალალი შეფასება მიიღო, ხოლო ნუნუა—ჰლექის საწინააღმდე-გო წამალი. მოთხრობა ეპილოგით მთავრდება. ეპილოგში ჩვენ ვხედავთ გოგონას, რომელიც ჯონქა ხარებს მიუძღვება და ლაღად იღიმება.

ეს ვაგონა ვაბლავთ ნუნუ ზეარელი. ამრდვად საბჭოთა მეცნიერებამ გაიმარჯვა. სიყვდილი დამარცხდა, სიცოცხლემ გაიმარჯვა.

ასეთია ჩვენ მიერ გარჩეული მოთხოვნის შინაარსი, რომელშიაც პირად განცდებს უფრო მეტი ადგილი უკავია, ვიდრე მოქმედებს. ავტორმა ზაზასა და ნუნუს მეგობრობის საკითხის განსაჯებელი ყურადღება შეიქცია და კარგად გამოხატა საბჭოთა ახალგაზრდობის ერთ-ერთი ძირითადი თვისება: მეგობრობის მაღალი გრძნობა. ამიტომაც, რომ მეიხველზე ზაზასა და ნუნუს მეგობრობა ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. ავტორმა მკაფიოდ მოახა ტანის სისილოვასა და მისი მამის სახე, მათ პიროვნების აღწერაში ბევრი მხატვრული სიმართლე შეიტანა. სიყვდილის დამარცხება და სიცოცხლის გამარჯვება მოთხოვნაში მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებული არ არის. მიუხედავად ამისა, მოთხოვნას სერიალული ნაყოფანებანი გააჩნია. მოთხოვნა გმირების ინდივიდუალურ თვისებათა შეჯახებაზე, კონფლიქტზეა აგებული. მოთხოვნის გმირები საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არიან ჩაბმული. ნოდარი და ზაზა მოწყვეტილი არიან საზოგადოებრივ ყოფას, სასკოლო ცხოვრებას. მათზე საზოგადოებრივი მოვლენების გავლენა მოთხოვნაში არ ჩანს. ამიტომ მხატვრულად დაუჯერებელია ნოდარის გარდაქმნა, შემობრუნება, რასაც ჩვენ ებილოგში ვხედავთ. ავტორის სრულიად დავიწყებული ყფის ზაზა, როგორც კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ამიტომაც, რომ ზაზასა და ნოდარის ურთიერთობა არა სწორ განვითარებას ღებულობს. ზაზას ერთხელაც არ მოუწევია კომკავშირის საერთო კრება და მიზნადაც არ დაუსახავს კომკავშირის საშუალებით ნოდარის გამოწერება. უფრო მეტიც, ზაზამ კომკავშირის რაიონის დაუმალა ნოდარის საქციელი, მისი და ნოდარის ურთიერთობის ამბავი. ამის გამო სრულიად მართებულ საყვედურს გამოისთქვამს ზაზაზე კომკავშირის რაიონის მდივანი. როგორც ავტორი გადმოგვცემს, რაიონის მდივანი ძლიერ იყო ნაწყენი კომკავშირის ზეარეთის ორგანიზაციაზე, რადგან ზეარეთის სკოლის ამბავი მან სრულიად შემთხვევით გაიგო იმ დროს, როდესაც ამის შესახებ მისთვის თვით ზაზას უნდა მოეხსენებია (იხ. გვ. 53). ავტორის კომკავშირის როლი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ფართოდ უნდა ეხვეწებინა. მოთხოვნის სიმამის ცენტრი აქ უნდა გადაეტარა. მოთხოვნაში მკრთალად მოჩანს ავტორზე პედაგოგიური საბჭო, კონსტრუქტივი. ავტორი დამკაყოფელა შალვა მასწავლებლის მიერ ნოდარის და ზაზას შერიგების განზრახვით, რომელიც მარცხით დამთავრდა. ამის გამო,

რომ ავტორი ამის შემდეგ უმოწყობელ სტოვებს პედაგოგიურ საბჭოს. წინააღმდეგობა ზაზასა და ნოდარის შორის *ტყევენი უმეტესად* უნდა აღდგას. სწორედ შალვა დაუჭრებდა *ტყევენი* მოწყობილ სცენის შემდეგ ჩვენ ვაბეულობით, თუ როგორ დახვდა ნოდარი შარა გზაზე ზაზას. ნოდარის მოთხოვნამ, რომ ზაზამ თავი ანებოს ვაგონებთან ლეხობას და მის კლუბს, ზაზა ძალზე აღელვდა. ნოდარის მუქარამ იძულებული გახადა ზაზა ცხენიდან ჩამოშტარაიყო და ნოდარის გამოწვევა მიეღო. ზაზამ ნოდარი ფიზიკურად დასძლია. მის ხელფები ქამრით შეუკრა და გზის პირას დააგდო, ოკითონ კი ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა (იხ. გვ. 31 — 32). ცხადია, კომკავშირის კომიტეტის მდივანს არ შეშვენიის ასეთი საქციელი. როგორი დამანაშავეც არ უნდა ყოფილიყო ნოდარი, საქმით იყო ზაზას მეტი თავდაპირველობა, ტაქტი გამოიჩინა. მის სხვა მხრივ უნდა მოეხდინა ნოდარზე გავლენა. ზაზას უტაქტობის შედეგია ნოდარის ზედმეტად გაბორცება, სწორედ გაკოკვის შემდეგ მოხდა ნოდარის თავდასხმა ნუნუსზე. ის მოთხოვნა, რაც ნოდარმა წუაროსთან ნუნუს წაუყვინა, შედეგია შარაგზაზე ნოდარის სასაკოლო მდგომარეობაში ჩაგდება. ამრდვად მოთხოვნაში არცაფ ფიქრობს ნოდარი გამოსწორებაზე.

არადამაჯერებელია და პედაგოგიურადც გაუმართლებელი სიყვარულის ნიდაგზე მეცხრე კლასის მოწოდის, თქვესმეტი წლის ნოდარის ისე გაბორცება, როგორც ავტორმა დაბატა. მეიხველი გრძნობს, რომ ნოდარს ნუნუ უყვარს და ამ სიყვარულის მოწოდებლ იგი ზაზას მიიჩნევს, რის გამოც კონფლიქტი იქმნება. აქ ავტორის მეტი დავიწყება და ალღო უნდა გამოიჩინა, მეტი გარკვეულობა უნდა შეეტანა მოთხოვნაში, თუ სურდა მას ამ ნაწარმოებისათვის მაღალი, აღმზრდელობითი ღირსება შეენარჩუნებია. მოთხოვნაში სრულიად ზედმეტად არის ჩართული ლ. ასათიანის ლექსი, რომელსაც ახალგაზრდა ვაგონა ნუნუს საწოლთან გიტარაზე ალერებს, მართალია ლ. ასათიანის ლექსი თავისთავად ოპტიმისტურია, მაგრამ მისი შესრულება ისეთ გარემოში ხდება, რომ იგი მეიხველზე მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს, სეველიან გაწყობილებას ქმნის. სურთოდ მწოლიარე ნუნუს ოთახს, მის ატმოსფეროს მოთხოვნის საერთო განვითარებისათვის მნიშვნელობა არ აქვს. იგი მოთხოვნის შინაგან მთლიანობას უფრო არღვევს, ვიდრე აყავშირებს.

მოთხოვნა „მართებული ბიჭი და გენერალ“ ლესელძემ“ პრეზერებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს

ა. ლ. კ. ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებულ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოების კონკურსზე 1949 წელს.

სამშელო ომის მძიმე დღეებში, როდესაც მტერი კავკასიის მთებს აწეებოდა მოთხრობის მთავარი გმირი მარუხელ ბიჭად წოდებული კახა ჯიმეკარიანი ცამეტა წლისა იყო. ცამეტა წლის ყმაწვილმა გერმანულ ფაშისტების სიმხეცე საყუთარი თვალთ ნახა. მის თვალწინ მოკლეს ოთხმოცი წლის მოხუცი მგელა ჯიმეკარიანი — კახას ბაბუა. ამ დღიდან მარუხელი ბიჭი მარტალიმარტო მთებში დაეხეტება და საშობლოს მტრებზე შურისძიების მომენტს ელის. ეს წამიც დადგა, კახას თოფმა ვერაგი მტერი მოკლა. კახას მიერ გასროლილ ტყვიის ხმამ საბჭოთა არმიელების ყურადღება მიიბყრო. კახა შეიპყრეს და შტაბში, საბჭოთა არმიის სახელგანთქმულ გენერალს კონსტანტინე ლესელიძეს წარუდგინეს. აქ გამოირკვა, თუ ვის ესროლა მარუხელმა ბიჭმა ტყვია და რა აწუხებდა მას. კახას ვეჟაკობამ, მისმა შინაგანმა და გარეგანმა სილაშაშემ გენერალი მოხიბლა. მათ შორის მტკიცე მეგობრობა დამყარდა. გენერალ ლესელიძის კახასადმი დამოკიდებულებამ ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ადამიანის მაღალ ადამიანურ თვისებებს. თუ ვაიბხენებთ თემურჯიდან კახას სახელზე გამოგზავნილ გენერალ ლესელიძის წერილების შინაარსს, ვიგრძნობთ, თუ რაოდენ მგრძობააზრე და მაღალი სულის მატარებელი ადამიანი დეკარგა ჩვენმა ქვეყანამ გენერალ ლესელიძის სახით. ავტორმა, ლ. პ. ბერიას მიერ გაზრდილი საბჭოთა არმიის გენერლის სახე შესანიშნავად გამოკვეთა, კონსტანტინე ლესელიძის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება მაღალ სი-

მაღლეზე აყვანა და მხატვრულად კარგად გამოხატა საშობლოს ერთგული შვილები არ კვდებიან, მათ ხსოვნას ხელს მისი მსოფლიო ინახავს, როგორც ძვირფასი მემკვიდრე.

მოთხრობის ყველა გმირი თავის მაღალ პატრიოტულ შეგნებას მოქმედებაში აძვლავნებს. სოფელ უღალდის სკოლის მასწავლებელი ვიორგი ერაძე, რომელმაც მარუხის ბრძოლაში თავი ისახელა, კი არ მსჯელობს, არამედ მოქმედებს. მარუხთან წარმოებულ ბრძოლის დროს ვიორგი სახალხო დაეცის რაზმს მეთაფრობდა. სარდლობის ბრძანებით მისი რაზმი მტერს ზურგში მოექცა. მტრის ზურგში მოქცეულმა ვიორგიმ და მისმა ბრძმელებმა მთები აფეთქეს, მტერს გაქცევის საშუალება მოუსპეს. მართალია ამ ბრძოლაში ვიორგიმ ზელი დეკარგა, მგერამ მისი ვეჟაკური სული ოდნავადაც არ შერხებულა. ვიორგი ერაძე საბჭოთა ადამიანის ტიპური სახეა, იგი ნამდვილი საბჭოთა პატრიოტია. მოთხრობაში კარგად არის დახატული აგრეთვე კაბიტან მაილენსკის სახე-ნათელი გონება და სული აზროვნება, გამბედაობა და სოციალისტური საშობლოს მიწა-წყალის უსაზღვრო სიყვარული, ე. ი. საბჭოთა ადამიანის ყველა თვისება, მაილენსკის პიროვნებაში დამაჯერებელადაა თავმოყრილი.

მოთხრობაში მასალა კარგად არის ვანლაგებულელი, სურათები და ეპიზოდები ერთი მეორესთან მჭიდრობა დაკავშირებული. ენობრივად მოთხრობა მოიკოტლებს. მოთხრობაში ხშირად გვხვდება ვაჭიანურებული წინადადებები, რომლებიც შეკვეცას მოითხოვენ. ალაგაზრდა მწერალმა მეტი ყურადღება უნდა მიექცოს მხატვრული თხრობის სისადავს.

ი. ნანიძე.



ბ. თაფნიშვილი — „სახალხო განათლებისა და კულტურის მინისტრის საბარათებო (1861—1871)“.

საქ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა გამოსცა მე-2 წიგნი პროფ. ბ. თაფნიშვილის ახალი ნაშრომისა — „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში“. წიგნი წარმოდგენილია 2 ნაწილად. პირველი ეხება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს, მეორე — 60-იან წლებს. ნაშრომს წინადადებული აქვს თემის ცალკე საკითხებზე არსებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა და აღნიშნული ეპოქის საზოგადოებრივ-ეკონომიური და კულტურული

ცხოვრების ვრცელი დახასიათება. პირველი ნაწილის დასაწყისში ავტორი არკვევს საკითხს — როგორ ესმოდათ მეფის რწმუნებულებს სიტყვა „განათლება“ და „განათლებული ადამიანი“, შემდეგ კი ვრცელად ეხება სასკოლო ქსელს, მასწავლებლობას, ბავშვთა აღზრდის ძველ წესებს, სწავლების მეთოდებს, სახელმძღვანელოებს, უმაღლესი განათლებისათვის ბრძოლის საკითხს მე-19 საუკ. პირველ ნახევარში და ამავე პერიოდის პედაგოგიკურ იდეებს.

თემის წყაროებისა და ლიტერატურის განხილვისას ავტორს კარგად აქვს მომარჯვებული კრიტიკული შეთქმა. ის იჩენს საკმაო სიფხიზესა და წინადახედულობას ამ წყაროებისა და ლიტერატურის წიბოსა და გამოყენების საზღვრის ვარკვევისათვის. აქ ნათელყოფილია ის წინააღმდეგობა და შეუსაბამობა, რომელიც ხშირად ხდება მკვლევარს ერთი მხრით თვით ოფიციალურ დოკუმენტებში და მეორე მხრით ამ ოფიციალურ დოკუმენტებსა და სხვა, არაოფიციალურ საბუთებს შორის, და მხოლოდ იმ შემთხვევაშია მინიშნული შესაძლებლად მათი გამოყენება, როდესაც ისინი ექვს არ იწვევენ. ეს უმოკრესად ეხება საქართველოს მოვარ-მართებელთა და კავკასიის მეფისნაცვალთა მიერ „უმადლეხად“ წარგზავნილ რაპორტებს და ცნობებს, კავკასიის სასწავლო ოლქის მსრუტეულის ანგარიშებს, რომელთა ტინდენციური ფაბრიკაცია, სწორ შემთხვევაში მართლაც ექვს ვარგვეს.

დამაჯერებელი არკვევს ავტორი იმ მცირე-ოდენი ლიტერატურის ხასიათსა და ღირებულებას, რომელიც მისი თემის ცალკეულ საკითხებზე არსებობს. საყვებით ნათელი ხდება, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ (შოაღვლესი, რომანიოვი, ესაძე და სხვ.) შედგენილი ნარკვევები საქართველოსა და კავკასიაში სასწავლო საქმის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ, ოფიციალური სკოლებითა და ღონისძიებათა მიხედვით აფასებენ ქართველი ხალხის განათლებას; ისინი სრულიად უგულვებელყოფენ ეკლესია-მონასტრებთან არსებული და საშინაო სკოლების როლს წიგნიერების ვაჭრელების საქმეში და ამით ქართველობა ძალიან ჩამორჩენილ ერად ყავთ წარმოდგენილი.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ცარიზმის ადენტებისათვის ერთი მეტად დამახასიათებელი ვარგვეთა. აღნიშნულ ოფიციალურ ცნობებსა და ანგარიშებში, ძალიან ხშირად მოწაფეთა სტატისტიკა ქართველებად გულისხმობს მხოლოდ ქართლ-კახელ მოწაფეებს, ხოლო იმერლები, გურულები, მცხრელები და სხვ. ქართველი ტომები ცალკე ერებად არის მინიშნული. ამით, რასაკვირველია, ოფიციალურ ცნობებში ძალიან მცირედად გამოაყურება ქართველ მოწაფეთა რიცხვი. იქ, სადაც ეს ცნობები ცალკე არიან მოხსენებული, ადვილი იჭნებოდა ავტორისათვის მივშატებინა მათი რიცხვი სტატისტიკაში აღნიშნულ „ქართულ მოწაფეთათვის“ და ამით აღდგინა ქართული ნაწიელი რაოდენობა, მაგრამ იმ ოფიციალურ ცნობებში, სადაც აღნიშნული ცნობები მოხსენებულია რუბრიკაში: „და სხვები“, მაშინ ავტორი აბრუნებს სხვა არაოფიციალურ, მაგრამ სანდო მასალათა მიხედვით ვაჭრების

ქართველ ტომთა რა რიცხვი და მოწაფეთა ნაგულისხმევი ამ „სხვებში“ და ამით აღდგენს ქართველ მოწაფეთა რეალურ ნაწილს. ამას საქართველოს სკოლებშიც აღნიშნა.

საქართველოს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-გონივრული და კულტურული ვითარება, რომელიც შესავალი წერილის სახითაა მოცემული ამ ნაშრომში — წარმოადგენს ამ ეპოქის ყოველმხრივ და სავსებით სწორ, მეცნიერული თელსაზრისით გაშუქებულ პრინციპებს, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული ამავე ეპოქის სახალხო განათლების ისტორიასთან და ვაკუუმებულია მხოლოდ იმისათვის, რომ შექვი მოგინოს ამავე პერიოდის სკოლისა და პედაგოგიური იდეების განვითარების საქმეს.

ავტორი, აღნიშნავს რა რუსეთთან საქართველოს შეერთების დიდ, პროგრესულ მნიშვნელობას, წერს, რომ არკველუციაშიდელი რუსეთის სახით ჩვენ საქმე გვექონდა არსებობდა ორ რუსეთთან; ერთი იყო რუსეთი ოფიციალური; რუსეთი მეფისა და რეაქციონერებისა, რუსეთი ხალხთა საპრობილენ“. მეორე კი — რუსეთი „ნათელი გონებისა“, რუსეთი „მოწინავე კულტურის, რუსეთი რევოლუციურ-დემოკრატიული“ (18). ამასთან დაკავშირებით ავტორი აშუქებს ერთი მხრით მეფის კოლონიალური პოლიტიკისა და მის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის საკითხებს და მეორე მხრით ქართველი ხალხისადმი მოწინავე რუსეთისა და მის სახელოვან შეილათ დიდ ყურადღებასა და რეალურ დახმარებას როგორც ცარიზმის სუსხთან რეგიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე ახალი კულტურისა და ყოფა-ცხოვრების დამკვიდრების საქმეში.

კარგად იქცევა ავტორი, როდესაც მე-19 ს. პირველი ნახევრის სახალხო განათლების ისტორიის დაწვებამდე არკვევს საკითხს — როგორ ესმოდათ „განათლება“ მეფის რწმუნებულებს. საქართველოს თითქმის განმანათლებლად მოვლენილი მეფის მშვილი და წყაროლი მოხელეები იდეალიზმითვე მყვიდრთ, რომლებმაც არ იცოდნენ რუსული ენა, გაუნათლებლად და უციცებად სთელიდენ. ამას ჩადიოდენ ეს მოხელეები მხოლოდ იმიტომ, რომ თავი გამოეჩინათ მეფის წინაშე ვითომდა უციც და გულურ ხალხთან მძიმე პირობებში მუშაობით და ამით დაეწასახერებიათ მაღალი ხარისხები და ჯილდოები. არსებობდა კი ეს მოხელეები, ავტორის სამართლიანი შენიშვნით არაფრით განსხვავდებოდნენ სკალტიკოვსჩიკერიის „ტაშკენტელ განმანათლებელთაგან“, რომელთაც არ აწუხებთ მეცნიერება, მაგრამ ამისი არა სცხენიით, ვინაიდან, მათი აზრით, მეცნიერება შექმნილია არა განათლების გასაერცელებლად.



არამედ მის შესავიწროებლად, სამაგვიროდ მათ „საოცრად აქვთ განვითარებული ჯამის მად და მტაცებლური ინსტიტუტები“.

ერტლად და საქაია დეტალებით არის გადმოცემული პროფ. გ. თავიშვილის ნაშრომში მე-19 ს. პირველი ნახევრის სასკოლო ქსელის მდგომარეობა. დიდძალი საარჩევო ოფიციალური და არაოფიციალური მასალის, მოგონებების, უცხოელი მოგზაურთა ცნობებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე ავტორს აღდგენილი აქვს აღნიშნული პერიოდის საქართველოს სასკოლო განათლების მთლიანი სურათი. აქ ვხვდებით ოფიციალურ სახელმწიფოთა და სასულიერო სასწავლებლებს, ცალკე საზოგადოებათა და კერძო სკოლებს, ეკლესია-მონასტრებთან არსებულ და საშინაო სკოლებს, მოძრავ და ზეპირ სკოლებს — მათ ტიპებს და საფუძვრებს, მათ მოსწავლეთა რიცხვს და ცალკეული მათგანისა თუ ჯგუფების საერთო როლს მე-19 ს. პირველი ნახევრის საქართველოს სახალხო განათლების ისტორიაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის, პირველი გიმნაზიის, სასულიერო სემინარიის და ქალთა სასწავლებლების ზედმიწევნით ზუსტად და მკაფიოდ შესრულებული ისტორიული ნარკვევები, რომელთადაც მე-19 ს. პირველი ნახევარში ძალიან მკვირვა სკოლების რიცხვი, იმდენად ავტორისათვის ძვირფასია ყოველი ცალკე სკოლის მიგნება, მისი დაარების პირობები და მოწყობა, ზ. ი. ლო 60-იან წლებიდან, რაცა სახალხო სკოლების რიცხვი მზავლდება, ის უკვე სკოლის ტიპებსა და საფუძვრებს არჩევს და შეჯამებულ რიცხვებს ვაჭყლდის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ „სასკოლო ქსელი“ ნაშრომადგენს ზემოაღნიშნულ წიგნის უმთავრეს და ამავე დროს ყოველშეიარეველ დაუმუშავებულ ნაწილს.

დეტალურად და გულისხმიერად აქვს ავტორს დამუშავებული თავი „მასწავლებლობა და პედაგოგიური შრომა“. მის არ უნდა გამოტოვო მე-19 საუკუნე პირველი ნახევრის სახალხო განათლების არც ერთი რამდენადმე მაინც გამოჩენილი მოღვაწე და მართლაც მრავალ ქართულ პედაგოგთა და განათლების უანგარო მუშაკთა შესანიშნავ ვალურებას შლის ის ჩვენს წინაშე. აქ არის ნახევრები მათი შრომა, მუშაობის მეთოდები, პროფესიული თვისებები და ხალხის განათლებისათვის თავდადება. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნში პირველად სიტყვა მეთოდების წინაშე ქართველ ქალთა დიდი როლი მოსახლეობის დემოკრატიული ფენებისათვის „წიგნის სწავლების“ საქმეში, — ის როლი, რომელსაც ისტორიულად ასრულებდა ქართველი ქალი საქართველოში სანამ ის სკოლაში და პროფესიულმა მასწავლებელმა არ შე-

ცვალა მე-19 ს. მეორე ნახევრში. ოფიციალურ სახელმწიფო და სასულიერო სასწავლებელთა მრავალ უხეშად დასწავლულ ბიუროკრატ მასწავლებელს, მასწავლებლის სახეობის ობიექტურად და სამართლიანად იხსენიებს ისეთ კეთილშობილ რუს მასწავლებლებს, როგორიც იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი დემენტოვი, დიმიტრი ყოფიანის მასწავლებელი მონასენი, აკაკი წერეთლის მასწავლებელი ტრიგ, გიორგი წერეთლის მასწავლებელი უმათსკი და სხვ.

საერთადაღებო ავტორის მიერ ცალკე თავად გამოყოფილი ხალხური სწავლა-აღზრდის ძველი წესები და მეთოდები. ის ვაძმოგვევს, რომ ეს ძველი წესები, ტრადიცია-ჩვეულებანი და მეთოდები არ იყვნენ ახალი წარმოშობისა და მხოლოდ შორეული თუ ახლი გადმოწამების სახით გვხვდებოდნენ მე-19 ს. პირველ ნახევარში როგორც ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის, ისე წერა-კითხვის სწავლების დარგში. ეს წესები, ტრადიცია-ჩვეულებანი და მეთოდები კარგა ხანია აღარ არსებობენ, მაგრამ თუ ისინი ისტორიაში მაინც არჩებიან — ეს პირველყოფისა პროფ. გ. თავიშვილის ამ ნაშრომით, რომელშიც დიდი მზრუნველობით არის მიგნებული ყოველი მათგანი და აკონკრეტო ქართული ხალხური პედაგოგიის ერთ მთლიან ფონზე. შეუძლებელი ინტერესით იკითხება ნაშრომში გადმოცემული ბავშვის დაზადებასთან დაკავშირებული რიტუალები, ძეგობა, გაბარება-ძიძობა, დაწინადა, ბავშვის მიზარება სასწავლოდ, ზეპირ სკოლებში სწავლა, კითხვა-წერის ხალხური მეთოდები და ფორმები, ხარის ბეჭე და ფიქარზე წერის ტექნიკა, ამოსაღები, სკენილი, სინატრები, ურთიერთ სწავლების წესი და მისი ტრადიცია მწევესებსა და ქალაქის ხელოსანთა შორის, მოწყობა და ოსტატთა ურთიერთდაშორებულება, ოსტატის შრომის ანაზღაურება და ხალხური პედაგოგიის სხვა მომენტები.

უნდა აღინიშნოს ავტორზე დაწეებითი სკოლის საგნების სწავლების მეთოდები, რომელთაც მიმართავენ მე-19 ს. პირველი ნახევრის საქართველოში: საღვთო სკოლის, ქართული ენის, ანგარიშის და რუსული ენის სწავლების მეთოდების აღწერა და ანალიზი, რაც მოკლედ, მაგრამ ამომწურავად არის ნაჩვენები ამ ნაშრომში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მონაკვეთი სახელმძღვანელოთა შესახებ, რომელიც დაწერილებით აქვს ავტორს გარჩეული. ეს თავი საგნის ცოდნასთან ერთად ამაღლებს ავტორის იშვიათ სინეჯიციის და უნერგიის, ვაჭყლს უმთავრესად არქივებსა და მუზეუმებში მონახულს ხელნაწერებზე მუშაობის დროს. მე-19 ს. პირ-

ველი ნახევრის დაწყებით და სამუალო სკოლის ძირითადი საგნები მრავალი ბეჭდვით თუ ხელნაწერით სახელმძღვანელო პირველად ზღვა ჩვენს ლიტერატურაში სპეციალური შესწავლის საგნად. ავტორი გვაძლევს ამ წიგნების იდეურ-შინაარსულ და მეთოდურ შეფასებას მათი დანიშნულებისა და მკითხველ მოსწავლეთა აღზრდა-განათლების მიზნებად შესატყვისობის მიხედვით. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს სახელმძღვანელოები სწავლების მეთოდებთან ერთად ამკაცნებენ მე-19 ს. პირველი ნახევრის პედაგოგიკური კულტურის შედარებით დბალ დონესა და განსაზღვრულბას, რაც განირობებელი იყო მეფის კოლონიური პოლიტიკის მარწყებში მოქცეული საქართველოს საერთო მდგომარეობით.

დიდი ინტერესით იკითხება საკითხის ღრმა ცოდნით გაშუქებული მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართული ინტელიგენციის ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის საქართველოში. ავტორი ნათლკყოფს იმ ფაქტს, რომ იოანე ბაკრატიონის (მატონიშვილის) 1799 წლის პროექტით გათვალისწინებული უმაღლესი სასწავლებლების რეალური საქარობა კიდევ უფრო ვიზარდა მე-19 ს. დამდეგიდან, რის გამო ქართველ ინტელიგენციას ცარიზმის სუსხიანი რეჟიმის პირობებშიც კი არ შეუწყვეტია მისთვის ბრძოლა რეალური თუ არალრეალური (1832 წ. შეტყმულება) მუშაობის გზით.

პირველი ნაწილი დასაბულებელი ნაშრომისა მოთარდება მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართული პედაგოგიკური იდეების გარჩევით. აქ იოანე ბაკრატიონის „კალმასობის“ მოკლე დახასიათების შემდეგ ვახილულია სილომონ დოდაშვილის პედაგოგიკური იდეები და ვარკვეულია მისი ადგილი ქართული პედაგოგიკური აზროვნება განვითარების ისტორიაში.

★

პროფ. ვ. თავიშვილის აღნიშნული წიგნის მეორე ნაწილი ეხება 60-იან წლებს. ავტორი პირველ ყოვლისა გვაძლევს ამ პერიოდის საზოგადოებრივ კულტურული ცხოვრების მოკლე, მაგრამ კომპაქტურ დახასიათებას. „მე-19 ს. 60-იანი წლები საქართველოს საზოგადოებრივ-კონომიური და კულტურული ცხოვრების ძირითადი გარდატეხის წლებია. ხანგრძლივი ბრძოლა გარდამავალ ფეოდალურ წყობასა დ აღმავალ კაპიტალისტურ წყობის შორის უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა“ (345). ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ეტაპზე ავიდა. ავტორის მოკავს ლენინის პერიოდიზაცია რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ამის მიხედ-

ვით აღნიშნავს, რომ მე-19 ს. 60-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება. ეთნო-კულტურული-დემოკრატიული მოძრაობა ორგანულად იყო დაკავშირებული რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელსაც მეთაურობდნენ დიდი რევოლუციური დემოკრატები გერკენი, ჩერნიშევსკი, დობროლინოვი, ნეკრასოვი, შნეღინი და „რაზნოხინელი“ ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები: პისარევი, ნ. სერნო-სოლოვიკეინი და სხვები. პროფ. ვ. თავიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ რუსი ხალხის ამ სახელოვანი შეილების იდეებზე აღიზარდნენ საქართველოს 60-იანი წლების დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვ. წერეთელი, ი. ვოივაშვილი, ნ. ნიკოლაძე, კარ. ლორთქიფანიძე, სურ. მესხი, პეს. ლილიბერიძე, ი. წინამძღვრ-შვილი და სხვ. ეს სახელოვანი პლეადა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა საქართველოს „საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი დარგის განახლებისათვის ღიღას და ხანგრძლივ ბრძოლას“.

ავტორის მრავალი მკაფიო ეპიზოდი მოკავს ამ ბრძოლის შინაარსისა და ხასიათის ნათლ-საყოფად. აქ უმთავრესად ჩახვასიულია ამ ბრძოლის საგანი: ბატონყმობა და მისი ნაშთების აღმოფხვრა, მეფის კოლონიური პოლიტიკისათვის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაპირისპირება, ახალი ქართული პარტის შექმნა, ახალი სალიტერატურო ენის დიდგენა, კრიტიკული რეალიზმისა და ხალხურობის პრინციპის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში, პატრიოტული მოტივების ვან-მტყიცება ქართული კულტურის ყოველ დარგში და რუსეთის მოწინავე ხალხთან მტკიცე კავშირის დამყარება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსეთის დიდი დემოკრატი რევოლუციონერის ბ. ბელინსკის ლიტერატურული იდეებისათვის ბრძოლა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და დიდი რუსი ხალხის მდიდარი ენის შესწავლის პროპაგანდა მე-19 ს. 60-იანი წლების გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მიერ. პროფ. თავიშვილი აღნიშნავს, რომ ყველაზე უფრო ადრე ამ მოღვაწეთა შორის რუსული ენისა და კულტურის შესწავლის აქტიულებობაზე ქართველ ახალგაზრდობას მოუწოდა ცნობილმა პუბლიცისტმა ალ. ორბელიანმა. ავტორის მოკავს ალ. ორბელიანის შემდეგი ციტატა: 1859 წ. ეურნალ „ცისკარიდან“ (№ 10, 165): „თუ გონების გაღვივება და გულისხმიერების გამდიდრება გვიჩნდა ამ (რუსულ) ენას უნდა მივმართოთ; მისი საშუალებით შეგვიძლიან შევიღოთ ევროპული განათლება; მამასადაც, რა-



სული ენა ღიდ შემწეობას მოგვეყვს ჩვენს სა-
კუთარი ენისა და ლიტერატურის აღდგინებაში,
თუ ვისმე ნამდვილად სურს ეს აღდგინება,
რაც რომ ძველს დროში საბერძნეთსა და მისმე
განათლებამ სიკეთე უყო ჩვენს მამულსა, ამ
სიკეთეს ხელსა რუსული ენა უზამს, შერწყმუ-
ნეთ“ (369). ავტორს თავის აღმავს მოკაყვს ავ-
რეთვე ი. ჭავჭავაძის და სხვა ქართველ მწე-
რალთა სიტყვები რუსული ენისა და ლიტერა-
ტურის შესწავლის დიდი საქიროების შესახებ
ქართველი ხალხის მიერ. ამის შემდეგ გ. თა-
ვიშვილი ვრცლად ამტკებს 60-იანი წლების
მოღვაწეთა ბრძოლას ახალი, სახალხო სკოლი-
სათვის, ეტება სახალხო განათლების მშაბრე-
ლობის წესებს, პროფ-ეტქნიერის და ჰუმანიტა-
რული განათლების დაწესებულებებს. ქალთა
განათლების შინაარსსა და ფორმებს სასკოლო
ქსელის განვითარების და შრავალი საწდო წყა-
როს მიხედვით იდგენს სკოლებისა და მოსწაუ-
ლთა რიცხვს 1865 წლისათვის. მე-19 ს.
60-იანი წლების სკოლამდელი აღზრდისა და
სკოლისგარეშე განათლების საკითხების გან-
ხილვის შემდეგ ავტორი ვრცლად არჩევს ამავე
პერიოდის საქართველოს პედაგოგიურ განათ-
ლებას (მედ. განათლების დაწესებულებები, პე-
დაგოგიური განათლების საკითხები პრესაში,
მასწავლებელთა მომზადების საქმე და შათი
მდგომარეობა), პედაგოგიური მეცნიერების აღ-
მოცენებას საქართველოში და 60-იანი წლების
რუსეთის პედაგოგიისა და კერძოდ კ. დ. უშინ-
სკისა და ლევ ტოლსტოის პედაგოგიური მო-
ძღვრების გავლენის საკითხს ქართული პედა-
გოგიური აზროვნების განვითარებაზე მე-19 ს.
მეორე ნახევარში.

უკანასკელი თავი გ. თავიშვილის ყოველ-
შრივ საყურადღებო და საინტერესო წიგნი
დათმობილი აქვს ილია ჭავჭავაძის პედაგოგი-
კურ იდეებს. სრულებით ახალია, როგორც შრავ-
ალი სხვა საკითხი ამ ნაშრომში, — ილიას პე-
დაგოგიურ იდეათა ასე მწეობრი და მეცნიერ-
რული ანალიზი. შართალია, ილია ჭავჭავაძე
ეგებოდა პედაგოგიისა და განათლების საკით-
ხებს როგორც მწერალი და პუბლიცისტი, მაგ-
რამ ავტორს მისივე შესაძლებლად მიანიდა ილი-
ა-პარაკოს მის პედაგოგიურ იდეათა ვრთვეარ
სისტემაზე. უფრო მეტიც, ავტორი აღნიშნავს,
რომ ილია ჭავჭავაძე იაკობ ვოგებაშვილთან ვრ-
თად იყო ახალი ქართული პედაგოგიის ფუძე-
მდებელი. ავტორი განხილავს ილიას შეხედუ-
ლებებს აღზრდა-განათლების საზოგადოებრივ
მნიშვნელობისა და მისი მიზნების, აღზრდის,
როგორც სოციალური პროცესის არსის, ბავშ-
ვის დედაუნისა და აზროვნების, სკოლის რო-
ლისა და ამოცანების, მასწავლებლისა და მისი
დანიშნულების და აგრეთვე დიდაქტიკის შესა-

ხებ. ეს შეხედულებანი ავტორს განსაკუთრ-
აქვს ი. ჭავჭავაძის ზოგად ფილოსოფიურ და
საზოგადოებრივ ლიტერატურულ ნაშრომებში და-
კავშირებით და, უნდა ითქვას, მისივე საკითხს
აყენებს იგი ახლებურად და ორიგინალურად,
ახეთია ილიას ფილოსოფიურ შეხედულებათა
მატერიალისტური ფესვების ძიება, მისი კონ-
ცეპტია ელასთა ბრძოლის თეორიისა და წო-
დებათა ერთეულობის შესახებ და მსოფლმხედ-
ველობის სხვა საკითხები.

პროფ. გ. თავიშვილის „სახალხო განათლე-
ბისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის“
ეს მეორე წიგნი, როგორც პირველი ედა ჩვენს
კულტურის იმ ხარვეზის ამოსავსებად, რომელ-
საც იგი ეშასტურება მწელია უნაკლო იყოს. ეს
ნაკლი არ არის არსებითი ხასიათისა და იგი
უშთაერესად მე-19 საუკუნის 60-იანი წლების
პერიოდის ისტორიას ახასიათებს.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ
პერიოდის კვლევას ავტორი უფრო მეტად ბეჭ-
დებური წყაროების (უშთაერესად პრესის) მი-
ხედვით აწარმოებს და შედარებით ნაკლებად
მიმართავს საარქივო მასალას. შართალია
60-იანი წლების ბეჭდვითი სიტყვა (პრესა და
გამომცემლობა) უკვე დიდი მნიშვნელობის სა-
ზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს, მაგრამ არ-
მეც იგი ვერ აშოსწრავს. ევებს ვარეშეა —
საარქივო დოკუმენტებში ბევრი ისეთი ფაქტი
და ცნობა არის შემონახული რაც პრესას არ
გადისცემდა და, მაშასადამე, ჩვენს ავტორს არ
შეეძლო გამოყენებია.

60-იანი წლების პერიოდის შრავალმხრივი
გარჩევის მიუხედავად, ის შინე არ არის წარ-
მოდგენილი სრულყოფილი სახით. არ არის,
შრავალითად, მოცემული სამოციანელი ქართვე-
ლი საზოგადო მოღვაწეების მიერ ამ პერიოდში
კანაღებული ბრძოლა მეფის კოლონიური
პოლიტიკის წინააღმდეგ, არა ჩანს ამავე პერი-
ოდში წარმოებულ საზოგადოებრივი მოძრაო-
ბა უშაღლესი განათლების ვასაერეებლად
საქართველოში. ავტორი თვითონვე გრძნობს ამ
უხერხელობას და აღნიშნავს, რომ ეს საკითხ-
ები შას ვადაღებული აქვს თავისი ნაშრომის მე-
სამე წიგნისთვის, სადაც ვეპირდება იგი შით
განხილვას ამავე საკითხების შემდგომი პერიო-
დის ისტორიასთან ერთად (432). ეს დაპირება,
რასაკვირველია, სასურველი გამოსავალია ამ
შემთხვევაში, მაგრამ ავტორს შეეძლო აღნიშ-
ნული საკითხები ამავე წიგნიში განეხილა და
ამით აღებული პერიოდი (60-იანი წლები) უფ-
რო სრული და შთლიანი სახით წარმოედგინა.

ვაუგებარია — რატომ არ არის ამ წიგნის მე-
ორე ნაწილში გარჩეული იაკობ ვოგებაშვილის
პედაგოგიური იდეები! ის ზომ ილია ჭავჭავა-

ის, თანამედროვე და თითქმის მასთან ერთად გამოვიდა. სამოღვაწეო ასპარეზზე 60-იან წლებში, და თუ ავტორს შესაძლებლად და საჭიროდ მიაჩნია ილღას პედაგოგიკური იდეების გარჩევა ამ წიგნში, რატომ ასევე არ იქცევა იგი იაკობ ვოგებაშვილს მიმართ?

ნაშრომის ნაკლად უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ზოგიერთ ნაწილებში ფაქტიური მასალის ზედმეტი, გაუმართლებელი სიჭარბე. მაგალითად, მე-8 თავი — მე-19 ს. პირველი ნახევრის „მასწავლებელთა უფლებრივ მატერიალური პირობები“ (197 — 205) — განიკდის მასალის დაწოლას (ხელფასის ცხრილები, სისტატო განრიგებანი). ავტორის მიერ აქ წამოყენებული მოსაზრებების დასაბუთებისათვის ეს მასალა არ არის აუცილებელი. და ამდენად ზედმეტად ტვირთავს წიგნს.

ეს ნაკლი წინამდებარე შეფასებულ ნაშრომისა, როგორც ვხედავთ არ სარის, არსებითი, პრინციპული ხასიათისა და უკმაყოფილებლად ვერ აყენებს მის მაღალ ლიტერატურულ ზვეს უკვე გზა-და-გზა ვილაპარაკეთ.

დასასრულ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ პროფ. ვ. თავნიშვილის წიგნი — „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში“, — როგორც ახალი და უდიდოდ ორიგინალური შეცნობრული გამოკვლევა, წარმოადგენს სამჭოთა პედაგოგიკური მეცნიერების შესანიშნავ მონაპოვარს.

შალვა ნუსხაიძე

სსსრ მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი.

„ქილილა და დამანას“



„საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა „ქილილა და დამანას“ ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით. გამოცემას წამძღვარებული აქვს ა. ბ. სესავალი წერილი, რომელშიაც მოკლედ განხილულია „ქილილა და დამანას“ ლიტერატურული რაობა, ვარკვეულია ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის როლი ამ ძეგლის ქართულად ჩამოყალიბების საქმეში და ნაჩვენებია ქართული რედაქციის თავისებურებანი. ტექსტს დართული აქვს შენიშვნები და ლექსიკონი.

„ქილილა და დამანას“ ყველა გამოზენილი და კულტურის მაღალ დონეზე მდგარი ხალხის ენაზეა ვადათარგმნილი. ქართულად ის, როგორც ეს დადასტურებულია ჩვენი მეცნიერების მიერ, ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ყოფილა ცნობილი. მაგრამ მისი უძველესი თარგმანი ჩვენს დრომდე არ შენახულია. XVI—XVIII საუკუნეებში განუახლებიათ ამ თხზულებაზე მუშაობა და მისი სხვადასხვა ვერსია წარმოშობილა. ეს ვერსიები, ძირითადად, ერთ წყაროზე დამოკიდებული (ვაიზ ქაშიფის მიერ შემუშავებულ რედაქციაზე). მათ შორის არსებულ განსხვავებანი სხვადასხვა მიღეფეთა მიერ ერთსა და იმავე მასალისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებითა და მიდგომით უნდა აიხსნას.

„ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციებიდან ფართო შეიძველი საზოგადოება ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ შემუშავებულ რედაქციას იცნობს. პირველად ის 1886 წელს გამოიცა ი. ქუნიას რედაქციით. ტექსტის დამდგენს, როგორც ეს თანდართული წინასიტყვაობის შესწავლიდან ჩანს, არ ჰქონია სრული წარმოდგენა „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების შესახებ; ვერ შეუნიშნავს, რომ მის განკარგულებაში მყოფ ხელნაწერთა შორის ერთა საბას ავტოგრაფული ტექსტიც. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რედაქტორს ეპირატესობა უფრო ღამაში ბელთ შესრულებულ ხელნაწერებისათვის დაეთვია, საბას ნუსხაში წარმოდგენილი სწორი წაკითხვები შედგენილიდან გამოპარვია და ტექსტი სავრძისობა შეცდომებით გამოუქვეყნებია.

ახლა, ჩვენი მეცნიერების ზრდისა და აყვავების პირობებში, ვახდა შესაძლებელი „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების მეცნიერული შესწავლა, რაშიაც პროფესორ ალ. ბარამიძეს უდავოდ დიდი ამაგი მიუძღვის. დღეს საბოლოოდ ვარკვეულია ის ვარემოება, რომ „ქილილა და დამანას“ ქართულ რედაქციებს შორის უპირატესობა ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ ჩამოყალიბებულ ტექსტს გუოფენის. დღეს, შეიძლება ითქვას,



საბოლოოდ ვარკვეულია საბას როლი ამ თხზულების ქართულად შემუშავების საქმეში.

სპარსელების მიერ ტექვეშინლ ვახტანგჯ რომლის „ნაღველი ზღვის აღავს ავსებდა“ ხელი მოუყიდა აქილილა და დამანას“ ვადმოქართულთათვის. პროფ. ალ. ბარამიძის აზრით, „ვახტანგის თარგმანი შესრულებულია საქმის ცოდნით, გულისხმიერებითა და სიყვარულით“. მისი ნაშუშვარი ვახტანგს ვახალხვის მიზნით ჯერ ონანა მდიენისათვის, ხოლო შემდეგ სულხან-საბა ორბელიანისათვის გაუგზავნა. ქართული სიტყვის უდიდეს ოსტატს სულხან-საბა ორბელიანს, როგორც ეს მართებულადა აღნიშნული ამ გამოცემაზე თანდართულ ნარკვევში, „საკუთარი მთარგმნელობითრედაქტორული პრინციპის დეგვირად ახლბეურად გაუმართავს ტექსტი“ (გვ. XII). მას ჩაღხი გაუტრავს არა მხოლოდ სტილისტიკური არამედ იდეური თვალსაზრისითაც და ზოგ ფედარაკში ვატარებულ მესლიმანური იდეაჭრისტანულად შეუცვლია. შეუცვლია მას ფერეთვე ზოგი, ქართული მკითხველისათვის გაუგებარი სახელწოდებაც. მაგალითად, მისუთუნის შთის ნაცვლად კავკასიის შთა ჩაუწერია და ასე შემდეგ. მთავარი მიზეც ისაა, რომ საბას ითქმის მილიანად დაუმუშავებია აქილილა და დამანას“ ლექსითი ნაწილი. ამ შემთხვევაში მას ქართული პოეტური კვლტურის დიდი ცოდნა გამოუჩენია. საბა, ვარდა იმისა, რომ ჩინებულად იყენებს მის დრომდე არხებულ ქართული ლექსის ზომებსა და ფორმებს, ახდენს „არქაული საღვსო ნორმების დეფორმაციას“. იმდენად მდღარაა და, ზოგ შემთხვევაში, ახალი საბას პოეტური ხერხები, რომ მისი პოეზია უმეტვლად ღირსია სპეციალური ნარკვევის მიძღვნისა. აქილილა და დამანასი“ სპარსული ლექსების ფორმების მიხამებით დეწერილი ლექსები ვი არ ვეაქვს, არამედ ქართული პოეტური ტექნიკის მიხედვით შეთხზული ლექსები, რომლებიც, თავისთავად ცხადია, ქართული პოეზიის საგანტრში შემოღის. საბამ აქილილა და დამანას“ პოეტური ნაწილის ვაქართულება ჩინებულად შეასრულა. ერთი სიტყვით, კახტანგის ქირანახელი მან საბოლოოდ ვაჭართულა და ქართული ენისა და მხატვრული პროზის საყურადღებო ძეგლად აქცია იგი.

„ქილილა და დამანას“ ხელნაწერები საქმაო რაოდენობით მოიპოვება. სარეცენზიო გამოცემა ძირითადად საბასეულ ნუსხას ვეყარება. ნაკლებია ადგილები შეესებულა მეღქისედეკ კავკასიის ხელნაწერით, რომელიც ქეთიისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმშია დაცული (№ 197). უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის ვამომცემლებს ბევრი უმუშავნათ. ამ გამოცემით უმე-

ველად წინ წაიწია როგორც თხზულების შესწავლის, ისე ტექსტის მეცნიერულად დედგენის საქმე. ი. კუონის მიერ ვმორცმენს ტექსტთან შედარებით ახალ გამოცემაში მისი შედარებითი შესწორებების შეტანილი. ასე, მაგალითად, ძველ გამოცემაში (გვ. 165) იკითხება:

ფერ-მიხდით ხილთა უმჯობე
უღვანან კომში, უბია,
მაზე აყვითლებს ყვითელი,
გლაზ-გული ტრფიალს უბია.

ბუნდოვანებას ქმნის ვამოთქმა „მაზე ყვითლებს ყვითელი“. ახალ გამოცემაში ამის სანაცვლოდ ვკითხვლობთ: „მას შზე აყვითლებს ყვითელი“ (გვ. 155) და აზრიც ვასავები ზღემა ფერეთვე, ძველ გამოცემაში (გვ. 397) ვკითხვლობთ: „ტაიცი, რომელი ნაეჭარსა შეედარებულა და თვალ-მახელი სახედვედმ მისსა მეფრინობით მავალსა ფერხის წადგმასა ვერ ეწეოდა“. ვუფებარია „მეურნობით მავალი ფერხის წადგმა“. ახალ გამოცემაში ეს ასეა ვასწორებული: „მისსა მერნობით მავალსა ფერხის წადგმასა ვერ ეწეოდა“ (გვ. 420). ძველ გამოცემაში (გვ. 538) ვკითხვლობთ:

რა მეორეს დღეს შთიებმა
ქვეყანა, დაშეენა მან,
შედღინეობის საღამო
გაადღელი ზენამან.

„საღამოს ვადვილება“ ვუფებარია. ახალი გამოცემის მიხედვით ეს ადვილი ასე იკითხება: „შედღინეობის საღამო ვადილავა ზენამან“ (გვ. 570). ასეთი წაკითხვით აზრი ნათელი ზღემა.

ახალ გამოცემაში ბევრია შეტანილი ასეთი ხასიათის შესწორებანი, ვარეუობა, რაც წინ სწევს თხზულების შთელი რიგი ადგილების აზრის ვაგებისა და ტექსტის მეცნიერულად დედგენის საქმეს.

მიუხედავად დადებითი მხარეებისა, ამ გამოცემას ზოგი ნაკლიც ვაჩნია: ვამომცემლებს შეუმოკლებიათ ტექსტი. ამოულიათ, როგორც თითონ ამბობენ, „ნაკლები ინტერესის მქონე ფაბულური ჩარხი, რთული და ვანყენებული ფილოსოფიურ-არელოგიური მსაჯელობის ვამომხატველი ზოგიერთი ნაწყება“ (სარედაქციო შენიშვნები, გვ. 623) და სამავგიროდ მთლიანად ვამოუტყენებიათ „ქილილა და დამანას“ იგავ-არაკები. ჩემი აზრით, აკობებდა, რომ თხზულების ტექსტი დამეჭვილიყო მთლიანი საბით, ისე, როგორც ეს ვახტანგისა და საბას ზელიდანაა ვამოსული. მაშინ მას ვაცილებით მეტი ღირებულება ექნებოდა. თუ ვანყენებულ მსაჯელობას მოვერიდებოდი და მხოლოდ

ფავარაყებს გამოვყვევინებდით, მაშინ ტექსტის შემოყლება უფრო შეიძლებოდა. ასეთ შემთხვევაში აღარ იქნებოდა საჭირო დაგვებულა არაფა კომენტარები (ამ არაყის სარკებელი ეს არის... და სხვა) და არც არაყიდან არაყზე გადასასვლელი ამბები. ზმირად არაყის სარკებლის ახსნასა და არაფა შორის ვახიდულ ამბებს დიდი ადგილი უჭირავს. მაგრამ, თუ ფავარაყებს ვარდა სხვა ამბებსაც დავებღვათ, როგორც ამას ამ გამოცემაში აქვს ადგილი, დავიკადით თბზულების ფაბულურ-სიუჟეტური ხაზის შთლანობას, მაშინ აჯობებდა ტექსტი მლიანი საბით ყოფილიყო გამოვყვენებული. ამოღებულ ადგილებში ვატარებული აზრების გათვლისწინებაც, ვფიქრობთ, დებზმარებოდა მკითხველს იმ ეპოქის შესწავლაში, რომელშიაც ეს ძეგლი ფორმდებოდა. აქილად და დამანას ტექსტის სისრულის თვალსაზრისით უპირატესობა პირველი გამოცემის მზარეზე რჩება.

გამოცემული ტექსტი, როგორც აღინიშნა, ძირითადად ავტორგრაფულ ხელნაწერს ემყარება, მაგრამ აქა-იქ გვხვდება გადახვევები. ზოგი სიტყვა ხელნაწერში სხვაგვარად იყოთხება, ვიდრე გამოცემაში. ასე, მაგალითად, ხელნაწერში (გვ. 48) კეთხულობთ: „თაგესა საზრდელი მოაყლდა“. გამოცემაში კი „მოაყლდას“ ნაცვლად იყოთხება „მოკლებოდა“ („თაგესა საზრდელ მოკლებოდა“, გვ. 42). ხელნაწერში (გვ. 57) წერია: „მოჰმადიანთ სამოთხის სძლებს“. გამოცემაში „მოჰმადიანთ“-ის ნაცვლად გვაქვს „შაჰმადიანთ“ („შაჰმადიანთ სამოთხის სძლებს“, გვ. 68). ხელნაწერში (გვ. 57): „ცხვირს დააცხიკა“; გამოცემაში: „ცხვირს დააცხიკა“ (გვ. 69). აგრეთვე ხელნაწერში (გვ. 63) კეთხულობთ ქმენ-ყე კეთილი, ავნი კეთთილი, ორთავე ბოლო გაც მოსასვლელად. გამოცემაში (გვ. 80) ქმენ-ყე კეთილი, ავ(ნი) კეთთილი, ორთავე ბოლო გაც მოსასვლელად. ასო „ნ“ ჩამატებულია არა სიტყვა „ავნიში“, როგორც ეს დაბეჭდილიდან ჩანს, არამედ „კეთთილიში“.

ერთი შენიშვნაც გვაქვს ამ მიმართულებით საბას თავისი ხელით შესრულებული ნუსხის (საჭ. მუხ. S—31) რამდენჯერმე გადაუკითხავს. გადაკითხვის პროცესში, მას ტექსტში ცვლილებები შეუტანია: ზოგი ადგილი მლიად წაუღია, ზოგი სიტყვა გადაუსვამს და ზოგი შეუცვლია, გამორჩენილი სიტყვებიც, რაც შეუნიშნავს, ჩაუწერია და ასე უსწორებია ტექსტი ცვლილებები, რაც საბას შეაქვს მის ნუსხაში დიდი დავიკრებობა და სიფრთხილით უნდა იქნეს შესწავლილი.

სარკეცნით გამოცემაში დაბეჭდილ საბას ანდრძის დასაწყისში (გვ. 4) შემდგვს კეთხულობთ: „ესე წიგნი ქირმანსა და ისხანს შე-

კირვებაში შეყოფსა და უსაქმე მხოლოდყოფონების ურვის წამლად მოეჭმევა შეფესა ბეხტანგს ქართველთასე, რამეთუ ლეკვან ქართულად ეთარგმნებინა“ „უკველურად შეფესა იწვევს წაყოთხვა: „მოიმეშაქა მეფესა ბ(ატონ) ვახტანგს ქართველთასა“. საბასეულ ნუსხაში, სიდიდაც ეს გამოცემა დადამბეჭდილი, ეს ადგილი სხვანაირად იყოთხება. პირველად საბას ჩაუწერია ასე: „მოიმეშაქა მეფე ვახტანგს ქართველთასა“. გადაკითხვისას მას, ჩანს, სიტყვათა ამნათი ვანლაგება არ მოსწონებია და იმდროს არსებული წესის მიხედვით სიტყვები გადაუსვამს. სიტყვის „ქართველთასა“ თავზე ასო „ა“ დაუწერია და „მეფეზე“ კი ასო „ბ“, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ „ქართველთასა“ უნდა წავიკეთხოთ და შემდეგ „მეფე“, ე. ი. „ქართველთასა მეფე ვახტანგს“ და არა „მეფესა ბ ვახტანგს ქართველთასა“. ცხადია, ტექსტზე მომუშავეს შეუნიშნავს ასო „ბ“, მაგრამ ვერ შეუნიშნავს „ა“, რასაც გუგუბრობა გამოიწვევია¹.

ტექსტზე თანდართული ლექსიკონი საზოგადოდ არც შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ აჯობებდა, რომ იგი უფრო სრული საბით ყოფილიყო წარმოდგენილი. ტექსტში ვხვდებამთელი რიგი სიტყვები, რომლებიც ბევრი მკითხველისათვის გაუგებარია და რომელთა განმარტებასაც ლექსიკონში ვერ ვპოულობთ. მაგალითად, არ არის განმარტებული სიტყვა „საბრზე“ („დღესა ერთსა საბრზე დაურწყო“, გვ. 257). საბასევე განმარტებით „საბრზე არა მზეხ ხუნ დი, რომელსა შემადღებენ რკინათა, ანუ ზეთაგან და დუღებენ მარკვეთა ადგილთა დიდთა ნადირთა შესაწყობელად“. თუ ლექსიკონის შემდგენელმა საპიროდ სცნო „ილიწის“ (ჩიტის მზეხ) განმარტება, რა დამავა „საბრზემ“? იმ არის განმარტებული აგრეთვე სიტყვა „ეჯი“ (სამი ეჯი ვლეს, გვ. 421), რაც გზის სიგრძის საზომს წარმოადგენს და სხვა.

განმარტებულ სიტყვიდან ყურადღებას იმყოფებს სიტყვა „უზაბარის“, ჩემი აზრით, არასწორი განმარტება. ლექსიკონში ის ვეფხეადა ვაგებული და თბზულების ტექსტის ადგილებიცაა მითითებული, სადაც ეს სიტყვა თითქმის ვეფხვის მნიშვნელობით ვხვდება. დღემდე გამოცემულ ქართულ თბზულებებზე თანდართული ლექსიკონების მიხედვით „უზაბარი“ ლომს აღნიშნავს და არა ვეფხვს. ქართველი მეცნიერები დღემდე ასე განმარტებდნენ იმ სიტყვის მნიშვნელობას. აქილილა და დამანას ამ გა-

¹ სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში (II, გვ. 342) ეს ადგილი სწორად იყოთხება.

მოკემის ლექსიკონის შემდგენელი, როგორც ჩანს, შეგნებულად სცელის ამ გაგებას. ასეთ შემთხვევაში რედაქციას წინასიტყვაობაში ან შენიშვნებში უნდა წარმოედგინა ის მისაღები, რის საფუძველზედაც სიტყვის „უზაბარის“ ტრადიციულად არსებული განმარტების შეცვლა საჭიროდ იქნა მიჩნეული. მაგრამ ეს არ არის შესრულებული. როგორც აღინიშნა, სიტყვის განმარტებასთან მითითებულია გვერდები და სტრიქონები, სადაც ეს სიტყვა (უზაბარი) ვეხვდება. ვანიხილოთ ეს ადგილები და ვნახოთ, თუ ეს სიტყვა რა მნიშვნელობითაა აქ გამოყენებული. მითითებულ ადგილას (გვ. 28) შემდეგი იკითხება: „მის ადრე გაზრდას ცდილობდა, რათამცა კბილი და ჭანგი მისი უზაბარის სისხლით შეესვარა; და ენება ტყისა მის პატრონად იგი დაედგინა“. იგავ-არაკი, საიდანაც ეს ადგილია წარმოდგენილი, ვეფხვის ბოკვერისა და ლომის ამბავს ვაღმოსცემს. ვეფხვი ერთ ტყეშია დამკვიდრებული. მისი „შიშითა შუნ ლომი ფერხს ვერ გარდადგმიდა“. ვეფხვს „ერთი ლეკვი ჰყვა“... მის ადრე გაზრდას ცდილობდა, რათამცა კბილი და ჭანგი მისი უზაბარის სისხლით შეესვარა, და ენება ტყისა მის პატრონად იგი დაედგინა“. ვეფხვის სიკვდილის შემდეგ, „ლომნი, მგელნი და სხვანი მძივნარე მზეცნი, რომელნიცა სანადიროდ მის ტყისა მოსურნე იყვნეს, სრულობით მოვიდნენ მის ტყერის დასაყრობელად... ამა ვეფხვისა ბოკვერისა მათი ომი და ბრძოლა არ ძალედვა და ტყე იგი დასატყვევლად მიონდომია... სისხლისა მღვრელისა ლომმა ყოველთა სიღია და იგი სხარულისა მომამტებელი ადგილი მან დაიხურა“. ვეფხობობ, სპარსული ტექსტის მოშველიება არ იქნება საჭირო იმის დასადასტურებლად, რომ აქ „უზაბარში“ ლომი იგულისხმება და არა ვეფხვი. იგავიდან ნათლად ჩანს, რომ ვეფხვს სურდა, რათა მის ბოკვერს კბილი და ჭანგი ლომის სისხლით შეესვარა და არა ვეფხვისა. ფრაზა „კბილი და ჭანგი მისი უზაბარის სისხლით შეესვარა“ ნიშნავს „მისი კბილი და ჭანგი ლომის სისხლით შეესვარა“ და არა სხვა რამეს.

აგრეთვე, დამოწმებულ ადგილას (გვ. 91) ვკითხულობთ:

შე იგი ვარ, ვინ ძლიერსა ტოტის კრეასა არ აკმარებს, ლომს ვასწავლი ომის ეამსა, სიმხნე ჩემი მისცენ მარებს! უზაბარი ვით იყადრებს, გმირსა ვინცა შემოიღარებს, ჭანგთა ჩემთა დანაკოდსა წამალს რითღა მიაკარებს!?

ამას ამბობს ლომი. იგავ-არაკის მიხედვით, კურდღელი ეუბნება ლომს: „შე ერთი სხვა კურდღელი გამომატანეს, რიფქვეტე-მეფეკითა განაწესეთ და ერთი ლომიც ვინცა ვაქვემეწა-წია, და კურდღელი მან წამგვიარა... არა მისმინა და ავრე მიიხრა: ესე სანადირო ჩემია, და ესე ტყე ჩემი სამეკმდროა“. ამ სიტყვებით ვაცუცხლებელი ლომი ამბობს ზემოწარმოდგენილ სიტყვებს (შე იგი ვარ... და სხვა) და სისხლზე კურდღელს, რომ იგი ლომი აჩვენოს, რათა მისგან შური იძიოს. სპარსულ რედაქციაში (გამოყენებული გვაქვს ბობების ლითონგრაფიული ტექსტი ჰიჯრის 1279 (= 1863) წლისა, გვ. 62) ამ ლექსის შესამე და შეთანხმებ სტრიქონები ასე იკითხება: კოლამინ ჰეებარ ინ დილირი ტონედ, ჭე სერფანჯე ბარ სიილე მან აფგანედ რომელი უზაბარი ამ გულადობას იქმს, რამ ჩემ შესაყრობლად ჭანგი აღმართოს. ქართული ტექსტი აქ რამდენადმე თავისუფლებას იძენს, მაგრამ ეს საკითხისათვის არ არის საინტერესო. ორივე ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ლომი ვანწყენებულა იმ ლომის მოქმედებით, რომლის შესახებაც კურდღელმა მოახსენა და ვანიკვირებულე კითხულობს, თუ მის, ომის ეამსა თვით ლომთა მასწავლებელს, რომელი ლომი ვაბუნდაეს შებრძოლებას. ცხადია, აქ „უზაბარში“ ლომი იგულისხმება და არა ვეფხვი.

შესამე ადგილი, რომელსაც ლექსიკონის ავტორი იმიწმებს, შემდეგია: „მის ადგილს თურც ერთი ლომი ვგაზობდა, მოშინა და უზაბარის მსავგისი ყოველი მზეცნი მის სასამსაბუროდ წელ-მორტყმულნი დვენ და სხვათა ნადირთა სამიროდ ზელით-წერილით თავი დაედვათ“ (გვ. 46). თუ ეს ადგილი ასე წაიკითხოთ, როგორც ამას პირველი და მეორე გამოცემის რედაქტორები კითხულობენ და სიტყვა „უზაბარში“ აქ ლომი იგულისხმებთ, მაშინ, ცხადია, ვაუგებრობას ექნება ადგილი. ცნობილია, რომ ლომთა სხვადასხვა სახეობა არსებობს. არიან დიდი, საშუალო და შედარებით მომცრო აგებულების ლომები („უზაბარში“, მეტწილად, დიდი აგებულების ლომს გულისხმობენ, მაგრამ აქ ჩანაირი ლომიც არ უნდა ვიგულისხმობთ, ლომის მსგავსი ლომი—მაინც ვერაფერი შედარებაა. სიტყვა „პეზაბარ“ (პეზაბარ, პეზაბარ, პიზაბარ, პიზაბარ) ნიშნავს არა მხოლოდ ლომს, არამედ უშველებელს, ვეებურთელს (მღრ, ჭართ, „უზაბარმაზარი“), მსხვილს, სქელს, ღონიერს, ძლიერს, ძალოვანს, მაგარს, გამძლეს და სხ. (იხ. ლექსიკონები ვირგასისა არაბულურსული, გვ. 846 და ჯონსონისა არაბულურ-სპარსულ-ინგლისური, გვ. 137). სპარსულ რედაქციაში ეს ადგილი ასე იკითხება: დარ ჰავ-ლე ონ მერღზარ შირი ბუდ ზა საელათ ვა ჰე-

ბარი დარ ლოიათე შავქათ ვა უჰუშე ბასიარ დარ ხედმეთე უ ქამარ ბასთე ვა სეზო'ე ბიშო-მარ სარ მოთაბა'ათ ბარ ხათ ფარმანე უ ნასადე (გვ. 39). თარგმანი ასეთი იქნება: იმ წაღკოტის მიდამოში ერთი ღოში გვარობდა, მძინვარე-ბითა და ძლიერებით უმაღლეს დიდებულებაში (მყოფი), და ბუერნი შუენი მის სასამსახუროდ წელ-მორტყმული (დგენ) და (სხვათა) ნადირთა უთვალავთა მისი ბრძანების საშინოდ თავი და-ვედათ, სიტყვა „ჰეზბარი“ აქ, როგორც ხედავთ, წარმოდგენილია იაჲ მასდარით (გარყენებულო-ბის იაჲთ). ამ კონტექსტში ბასავლათ ვა (მა) ჰეზბარი დარ ლოიათე შავქათ (რასიდე) ის, ჩემი აზრით, შეუძლებელია ღოშს ნიშნავდეს. იგი აქ მეორე, სიძლიერეს, სიღონერის მნიშვნელობითაა აღებული. ბასავლათ ვა ჰეზბარი დარ ლოიათე შავქათ (რასიდე) ნიშნავს: მძინვარეებითა (სიფიციბით, სიამაფით, ჭედმაღლობით) და ძლიერებით (მყოფი) დიდებულების უკიდურე-სობაში, ვ. ი. სოღადის, ბრწყინვალეობის უმაღ-ლეს სახლარს მიღწეული — რასიდე, ეფიქ-რობთ, სპარსული ტექსტის ამ ადგილას სიტყვა ჰეზბარის (ჰეზბარის) ღომად, მით უმეტეს ეფუხვად, გავება არ მოხერხდება.

ჩვენთვის, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის ის ტექსტი, რომელსაც ვახტანგი ემყარებოდა, და მაშასადამე, არ ვიცით, თუ რანაირ კონ-ტექსტში იყო ეს სადავო სიტყვა ამ ადგილას მოთავსებული, მაგრამ არც ისაა შეუძლებელი, რომ უმჭიმეს პირობებში ტექსტზე მომუშავეს სიტყვის ყოველი მნიშვნელობისათვის, ზოგ-ჯერ, სათანადო ყურადღებაც ვერ მიექცია.

ასეა თუ ისე, ქართულ რედუქციაში ეს ადგი-ლი სხვაგვარადაა გავებული. სსთო შემთხვევა-ში იგი სჯობს ასე იქნეს წაქინსქენსწაქსწაღ-გისს თერე ერთი ღოში ჭქმბწქსწქსწაღ და უზაბარის მსგავს(ნი) ყოველი შუენი მის სა-სამსახუროდ წელ-მორტყმული დგენ, და სხვა-თა ნადირთა საშინოდ ხელით-წერილით თაუ-დაედავთ. „მსგავსის“ შემდეგ წურტილ-მამობი-დსმა გავუგებრობას ქმნის. „უზაბარი“ აქაც ღომად უნდა გაიგვით: „უზაბარის მსგავსნი ყოველნი შუენნი“, ვ. ი. ღომის მსგავსნი ყო-ველნი შუენნი და ა. შ.

ჩვენ ამ სიტყვის მნიშვნელობაზე ხანგრძლი-ვად იმიტომ შეჩერდით, რომ სასურველია მისი არასწორი გავება არ გავრცელდეს და ქართულ მკითხველს რომელიმე ლიტერატურული ძეგ-ლის ამა თუ იმ ადგილის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა არ შეექმნას.

წიგნში, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება კორექტურული ხასიათის შეცდომები. მაგალითად (გვ. 47), იკითხება: „ორი სული-ქონდა“. უნდა იყოს: „ორი სოლი ქონდა“. „კეთილის“ ნაცვლად (გვ. 80) იკითხება „კეთილი“ და სხვა.

ჩვენი შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებენ ამ გამოცემის მნიშვნელობას, თავისთავად კარგ-საქმე გაკეთდა. ქართული მკითხველი კმაყო-ფილებს გრძნობით შეხედება „ქილილა“ და-ღამანას“ გამოქვეყნებას.

დ. კობიძე.

